ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეიმურაზ ქურდოვანიძე

ვაჟა ფშაველა
და
ქართული ფოლკლორი

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წიგნში განხილულია დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების მიმართება ქართულ ფოლკლორთან. ავტორი აკვირდება პოეტის შერჩეულ ხალხურ წყაროებს და არკვევს, როგორ გარდაქმნის იგი უკვე ცნობილ მასალას და მხატვრული ასახვის რა არასპეციფიკურ თავისებურებებს იყენებს ორიგინალური თხზულების შესაქმნელად, რა ახალ მხატვრულ აზრს სძენს განხორციელებულ ცვლილებებს. ნაშრომი განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის, ასევე ფოლკლორისტთა და მწერლობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილი

რეცენზენტები: პროფ. რუსუდან ჩოლოყაშვილი
პროფ. ქეთევან სიხარულიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011

ISBN 978-9941-13-192-9

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ვაჟა ფშაველა სიცოცხლეშივე აღიარეს დიდ შემოქმედად, ერთადერთ და განუმეორებელ მოვლენად. მწერლობაში გამოჩენისთანავე მოექცა იგი ყურადღების ცენტრში და ამის მიზეზი მხოლოდ მის მიერ დამუშავებული თემები არ ყოფილა. ვაჟამ თან მოიტანა გამორჩეული პოეტური ხმა და საზოგადოებას სათქმელი ლიტერატურულ ენასთან დიალექტური ფორმების ნაზავით შესთავაზა. ამან მკითხველს, ბუნებრივია, უხერხულობის გრძნობა გაუჩინა. განსაკუთრებით გახმიანდა დიდი აკაკი წერეთლის ნათქვამი: „...ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო", თუმც კი შექებაც მიაყოლა: „გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო!" მაგრამ პირველი ფრაზა, მით უმეტეს აკაკის ნათქვამი, უფრო გახმაურდა. ჩანს, მხატვრული ენის საკითხი პრობლემას მართლაც ქმნიდა, რაზეც დაუფარავად საუბრობდნენ (მაგ., პ. მირიანაშვილის 1888 წელს დასტამბული წერილი), მოგვიანებით კი, 1894 წელს, ჟურნალში ვაჟას ნაწარმოების გამოქვეყნებისგან თავი შეიკავეს. ენის პრობლემაზე დავით კლდიაშვილიც მიგვითითებს, როცა იხსენებს „გოგოთურ და აფშინას" საზოგადოებრივ კითხვას: მსმენელთა „უმეტესობას ეუცხოებოდა მისი ენა" (კლდიაშვილი, 1947:891). პოეტის ენისგან მიღებულ შთაბეჭდილებას ისიც ამძიმებდა, რომ ვაჟას ნააზრევი ქართულ ლიტერატურაში უკვე ცნობილი თემებისაგან განსხვავების გარდა, ფილოსოფიური წიაღსვლებით იყო გაჯერებული და ადვილად არ აღიქმებოდა. სწორედ ეს უნდა ჰქონოდა მხედველობაში კრიტიკოს კიტა აბაშიძეს, როცა ვაჟაზე წერდა: მისი „პოეზიის შინაარსი და ფორმა... არა ყოველი მოკვდავისათვის მისაწვდომი, არა ყოველი ადამიანისათვის არის ადვილად გასაგები და შესაფასებელი (აბაშიძე, 1915:48).

ეს წინაღობა ვაჟას კი შეექმნა, მაგრამ მას პიროვნული თვისებების გამოვლენის ასპარეზიც მოუმზადა. უნდა გავიხსენოთ მისი საოცარი მიზანსწრაფულობა სიყრმიდან და ოცნება სახელის მოხვეჭაზე. მთავარი მაინც შემოქმედების ნიჭი ჩანს, რომე-

ლიც მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდას. მისი გული აუფორიაქებია პოეტ რაფიელ ერისთავის ლექსებს: „როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი... ხალხური ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა... მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი...“ (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:180). რაფიელ ერისთავის მაგალითს წაუხალისებია ვაჟა და შემოქმედებითი გზის დასაწყისში ნაწარმოებთა დაბეჭდვის საქმის გართულების მიუხედავად, გაუძლიერებია მისი შინაგანი რწმენა საკუთარი შემოქმედების ღირებულებისა და ორიგინალობის თაობაზე. [მთიდან მოსულ პოეტს იმაზე სურდა მოთხრობა, რაც ყველაზე კარგად იცოდა და იქაური ამბების გადმოცემაც თავისი პერსონაჟების ენით უნდა მოეტანა მკითხველამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავინ დაუჯერებდა მთხრობელს/ ჩანს, ვაჟას ეს ღრმად სწამდა, სწორედ ამიტომ გამოსტყდომია დავით კლდიაშვილს: მე ამ ჩემი ენით მომწონს თავიო. ვაჟასთვის სრულიად უდაო ჩანს დებულება: „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა... მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“... [ენაში] უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება. ფესვები მწერლის ენისა, სტილისა, იქ არის ჩაწმახნული, მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი“ (იქვე, 294).

აქედან, ვფიქრობთ, სრულიად ნათელია პოეტის ენის არჩევანის განპირობებულობა. ვაჟას პერსონაჟთა ვინაობა, მათი მოქმედების გეოგრაფიული გარემო, ნაწარმოებთა თემატიკა უცილობლად მოითხოვდა მეტყველების ფშაურ-ხევსურულ კილოს, თუ ავტორს მხატვრულად დამაჯერებელი ნაწარმოებების შექმნის პრეტენზია ჰქონდა. ფაქტია, რომ პირველი მკითხველი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, ვთქვათ, „ბახტრიონის“ ქადაგი დახვეწილი ლიტერატურული ენით მოსაუბრე რომ წარმდგარიყო მის წინ.

დიალექტური ფორმების შემოტანას ლიტერატურული ენის სივრცეში სწორი განსაზღვრება მოუძებნა შ. ძიძიგურმა, როცა თქვა: დიალექტიზმებს ვაჟას ნაწერებში სტილისტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებულიო (ძიძიგური, 1971:200). თავად ვაჟა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მწერალი მოვალე იყო დიალექტურ მეტყველებაში ხმარებული ყველა საყურადღებო სიტყვა, თუ ის შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას, გააცნოს სალიტერატურო ენას.

ვაჟას გამორჩეულ ნიჭს თაყვანისმცემლებიც ჰყოლია ან მოგვიანებით გამოსჩენია. მათ წინ ილია ჭავჭავაძე მიუძღვოდა. და, მართალია, არ გვაქვს დიდი ილიას ხელიდან გამოსული წერილი ვაჟას შემოქმედების შესახებ, მაგრამ ზეპირი გამონათქვამები ცნობილია (მხედველობაში გვაქვს „ივერიის“ თანამშრომლებთან ილიას ნათქვამი: „ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ და გზა ვაჟას დავუთმოთო“). გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ კარი ვაჟასთვის მუდმივად ღია ყოფილა და ეს უკვე ნიშანი იყო მისი ტალანტის აღიარებისა (ყუბანეიშვილი, 1982:203).

ვაჟა ფშაველას ნააზრევზე აზრის გამოთქმის პირველივე ცდებში ხაზგასმული იყო, რომ მის პოეზიას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ხალხში. „ვაჟა ხალხის სულში ჩასახული ძლიერი სტიქიონის პოეტია და ამ გარემოებაში უნდა ვეძიოთ იმ ძალის საიდუმლო, რომელიც მისი პოეზიიდან გადმოსჩქეფს“ (ნაკაშიძე, 1915:348). ამავე კრიტიკოსის ადრინდელ გამონათქვამში უხერხულ ფრაზასაც წააწყდებით, რომელიც ვაჟას ნიჭის დაუფასებლობად შეიძლება მოგვეჩვენოს: ვაჟამ „აკრიფა ფშაურ პოეზიაში გაფანტული გრძნობები, ერთად შეკონა და თავისი საკუთარი ცხოვრების წყალი მოაპკურა“ (ნაკაშიძე,1896: 51).

ვაჟას ფოლკლორთან მიმართების თაობაზე „კოპალასა“ და „ეთერის“ მაგალითებზე მართებულად იყო ნათქვამი, რომ პოეტმა ხალხის თქმულება გარდაქმნა „სამხატვრო ქმნილებად“ (ხახანაშვილი, 1913: 206).

იპ. ვართაგავას დამოკიდებულება ვაჟას პიროვნებისა და შემოქმედებისადმი ძალზე კრიტიკულია. იგი საუბრობს საკუთრივ ვაჟასა და მისი პოეზიისაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა შეუსაბამობაზე პოეზიის სიღრმის, შინაარსისა და იდეათა სასარგებლოდ. იგი ლამის თვლის, რომ რასაც ვაჟა თავის შემოქმედებას უწოდებს, ის ფოლკლორში მზამზარეულად დევს. პოეტი მხატვრული შრომით თავს არ იწუხებს, მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონის მობილიზაციას არ ახდენს და შედეგი ისაა, რომ პოეტი ვერ ართულებს ხალხის ფანტაზიის ამ ქმნილებას, ვერ თავისუფლდება მისი ზეგავლენისაგან ვერც იდეის და ვერც ფორმის მხრივ (ვართაგავა, 1914: 4).

ვაჟას ფოლკლორთან დამოკიდებულებას მართებულად აფასებს სიმონ ხუნდაძე: „მრავალი ჩვენი მგოსანი კვებავდა თავის ფანტაზიას ხალხური ზღაპრებით, თვისებებითა და წარმოდგენებით, მაგრამ ყველაზე უფრო მათ შორის ვაჟა ფშაველა სწვდა ხალხის „კოლექტიურ სულს", მან ყველაზე კარგად გამოკვება თავისი ფანტაზია ხალხის მეხსიერებაში შენახული მითებითა და ლეგენდებით" (ნარდონი, 1915: 143).

გ. ქიქოძის ზოგადი შეფასებით: „ფანტაზიის სიძლიერე და ნათელმხილველობა ვაჟა-ფშაველას ნიჭის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა. მისთვის არ არსებობდა არავითარი საზღვარი ლეგენდასა და სინამდვილეს, მითსა და ისტორიას შორის, სიზმარსა და სიფხიზლეს შორის" (ქიქოძე, 1928: XI). მეტად კონკრეტულია მეცნიერი მოგვიანებით გამოთქმულ მოსაზრებაში: „ვაჟა-ფშაველას პოემები, თვით ისეთნიც კი, რომელნიც განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას ეხებიან, რაღაც ზოგად ადამიანურ ზეისტორიულ შთაბეჭდილებას ახდენენ. ეს იმით აიხსნება, რომ ეს პოემები თავიანთი სიუჟეტითა და მხატვრული სახეებით განსაკუთრებით ახლო დგანან ფოლკლორთან ანუ ხალხურ პოეზიასთან: თავისი ეპოქის გმირები ავტორს თითქო ასწლოვანი და ათასწლოვანი მითოსის სიღრმიდან ჰყავს გამოწვეული" (ქიქოძე, 1947:277).

ვაჟას დამოკიდებულება ფშავ-ხევსურეთის მითური სინამდვილისადმი ტიციან ტაბიძის მეხსიერებაში აცოცხლებს ისეთ

ძველ პოეტებს, როგორებიც ჰომეროსი და ვირგილიუსი იყვნენ. მართალია, ვაჟა ახალ დროში ცხოვრობს და შესმული აქვს მე-19 საუკუნის ყველა საწამლავი, მაგრამ ის თავისმა პოეტურმა ინტუიციამ იხსნაო, – ამბობს პოეტი. ვფიქრობთ, წერილის შემდეგ მონაკვეთში არაზუსტადაა პოეტის აზრი ფორმულირებული, როცა ის წერს: „ვაჟამ დაკარგა თავისი ფესვები და ხალხის ფესვებში გაიბნა; მან დაკარგა თავისი ხმა, რომ ხალხის ხმით ამღერებულიყო“ (ტაბიძე, 1928: 26). თავად ვაჟა წინააღმდეგი იყო ყოველგვარი „გაბნევისა“. უდავოა, რომ იგი ხალხური სიტყვიერებით სარგებლობდა, მაგრამ თავისი ნაწარმოებებიდან მხოლოდ იმათ აფასებდა, რომლებშიც თვითონ ჰქონდა ნათქვამი სეფე სიტყვა, ანუ ხალხური საფუძვლიდან ორიგინალურ თხზულებას ქმნიდა. ტ. ტაბიძემ იმავე წერილში მართებულად განსაზღვრა ვაჟას პოეტური მისია: ვაჟა „შეგნებულად ეყრდნობოდა ხალხურ მოტივს და ხმარობდა ხალხურ შაირს, ეს იყო მისი პოეტური მისია“ (იქვე).

ვაჟა ფშაველა ხალხურ მეტყველებაზე სრული დამოკიდებულებისაგან თავისმა ნიჭმა გადაარჩინა. „ეს ნიჭი გულისხმობდა თავისუფალი, დაუძაბავი, ბუნებრივი ხალხური ენობრივი და მხატვრული გენიის შერწყმულ განსახიერებას ერთ პიროვნებაში...“ ეს ის შემთხვევაა, როცა თვით პოეტშია „ხალხური მეტყველების პოტენციური ძალა, რომლის გაშლა თავისთავად ხალხური მეტყველების გაშლას“ ნიშნავს (კიკნაძე, 1989:173).

ვაჟა ფშაველას მხატვრული ნააზრევის ფოლკლორულ ძირებს ფშავ-ხევსურულ პოეზიაში მიაკვლია აკაკი შანიძემ. პოეტის ეპიკური ნაწარმოებების ხალხური საფუძვლების დაძებნა-გაანალიზების შემდეგ სრულიად დასაბუთებულად ჟღერს მეცნიერის დასკვნა: ვაჟა ამ პოეზიაზე ჩანს აღზრდილი. ვაჟა ძლიერია, სადაც ხალხურ თქმულებას და ხალხურ ამბებს (რა თქმა უნდა, თავისებურად გადაკეთებულსა და გადამუშავებულს) ხალხური ლექსების ფორმითვე გვაძლევს და სუსტია, სადაც ამ ნიადაგს ჰშორდება (შანიძე, 1931:023).

აკაკი შანიძის დაკვირვებათა შემდეგ ვაჟა ფშაველას შემოქმედების ფოლკლორთან მიმართების კვლევამ სისტემატური ხა-

სიათი მიიღო. დაიწერა ფოლკლორისტთა – მ. ჩიქოვანის, ქს. სიხარულიძის, გ. ბარნოვის, ზ. კიკნაძის; ლიტერატურისმცოდნეთა – მ. ზანდუკელის, დ. ბენაშვილის, ა. მახარაძის, გ. კიკნაძის, ა. გაწერელიას, მ. კვესელავას, თ. ჩხენკელის ა. ბაქრაძის, ს. ცაიშვილის, ბ. დობორჯგინიძის, დ. რამიშვილის, ლ. სულხანიშვილის, ი. ევგენიძის, დ. წოწკოლაურის, მ. შენგელიას და სხვ. გამოკვლევები. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ენათმეცნიერ ალექსი ჭინჭარაულის წერილი, რომელშიც ავტორი არკვევს პოეტის დამოკიდებულებას ფშაურ-ხევსურულ ზეპირსიტყვიერებასთან (ჭინჭარაული, 1975:367-378).

ვაჟა ფშაველას შემოქმედებითი ნააზრევისადმი ჩვენი ინტერესი მრავალი ათეული წელია გრძელდება. ვაკვირდებოდით როგორც პოეტურ ეპოსს, ისე პროზას. დიდი პოეტის შემოქმედების ზეპირსიტყვიერებასთან მიმართების საკითხებზე ჩვენი ნაფიქრი მცირე წვლილია ქართველთა საამაყო პოეტის შესწავლის საქმეში.

ვაჟას შემოქმედების დრო და ფშაურ-ხევსური ცხოვრების წესი

საქართველოში რუსეთის ბატონობის დამკვიდრებამ და ახალი კანონების შემოღებამ ყველა მის კუთხეს შეუცვალა ცხოვრების ნირი. ვაჟას დროინდელი ფშავ-ხევსურეთი, მართალია, ჯერ ისევ თემური ადათებითა და ტრადიციებით ცხოვრობდა, მაგრამ მთის პატრიარქალურ ყოფაში შეუფერხებლად იჭრებოდა სავაჭრო კაპიტალიზმი, რომელსაც თავისი კორექტივი შეჰქონდა ცხოვრებაში. ამ პროცესმა კიდევ უფრო გაართულა ხალხის მატერიალური მდგომარეობა და პარალელურად სხვა ცვლილებებსაც დაუდო საფუძველი, კონკრეტულად, მთაში თემურ წყობას ბზარი გაუჩინა.

გენიალური პოეტის შეუცდომელმა ალღომ განსაზღვრა, რა ფასეულობა იმალებოდა პატრიარქალური ყოფის მთაში ძველის რღვევისა და ახლის დამკვიდრების ჟამს, რაც, თავისთავად, ითვალისწინებდა კონფლიქტს, მხატვრული შემოქმედების საფუძველს. გარდა იმისა, რომ ფორმაციათა ცვლა სოციალურ ძვრებთან იყო დაკავშირებული, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ფშაველ-ხევსურთა ისედაც მოუწყობელ ყოფას, მწირი სოციალური უზრუნველყოფით ცნობილ მთიელებს ფსიქოლოგიური პრობლემებიც ექმნებოდათ, რაც არა მარტო საზოგადოდ არის მხატვრული ასახვისთვის ძალზე საინტერესო ელემენტი, არამედ კონკრეტულად ვაჟა ფშაველასათვის, რომელიც შემოქმედებაში პირველ ნაბიჯებს დგამდა და უთუოდ უნდა მიეპყრო საზოგადოების ყურადღება. რაკი თავისი ასახვის საგნად მან მთიელთა, ფშავლები-

სა და ხევსურების, ყოფა აირჩია, რაზე შეეძლო მოეთხრო, თუ არა იმაზე, რაც არა მარტო ახალი იყო, არამედ საგრძნობლად განსხვავდებოდა ცხოვრების იმ წესისა და გარემოსაგან, რომელიც იმავე პერიოდის საქართველოს ბარში იყო დამკვიდრებული და მწერლობაში ასახული.

ნაწარმოებთა მაღალი ღირსებების გარდა, ვაჟას დახატულმა პოეტიზირებულმა სამყარომ ფშავ-ხევსურეთის მიმართ მთელი საქართველოს ცხოველი ინტერესი გააღვიძა, რაც დღესაც არ გამქრალა.

ვაჟამ კარგად იცის, რომ მწერლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, „რამდენად ღრმადაა ჩახედული ცხოვრებაში, რამდენად ესმის საჭირბოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა და რამდენად ძლიერად იგრძნო მათი მავნებლობა და სარგებლობა" (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:294-295). მწერლის ცხოვრებასთან განუყოფლობაზე აზრი მრავალჯერ გამოუთქვამს პოეტს: შემოქმედი – წერს ერთგან – „სდუღს, იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდუღს" მის მიერ შეთხზულში. XIX საუკუნის 80-იან წლებში პოეტს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა საკუთარი ხედვა, ფილოსოფიური და ზნეობრივი მიმართება ყოველივე იმისადმი, რასაც მთიელთა ცხოვრებაში ხვდებოდა. პოეტის ნაწარმოებთა გაცნობა ნათელს ხდის, რომ მის შემოქმედებას ცხოვრებისეული სინამდვილე კვებავდა, ცხოვრება არჩევინებდა თემებსა და ხასიათებს ნაწარმოებებისათვის. „სინამდვილეა ცხოვრება ჩვენი, წერდა პოეტი, და მისნი პირობანი, აგრეთვე ისინი, ვისაც ჩვენ ვხედავთ, ვისთანაც ჩვენ ასე თუ ისე დამოკიდებულება გვაქვს და თვით ბუნება გარემო ჩვენსა" (იქვე, 193-194).

ცხოვრებაში ნაპოვნ ასეთ სახეთა პარალელურად, მწერლის მდიდარი ფანტაზიით ითხზვებოდა გამოგონილ პერსონაჟთა ახალი ბუნება-ხასიათები, მისადაგებული თავის დროსა და ადგილთან, დასამუშავებელ პრობლემასთან. ეს ხასიათები ხშირად სრულიად განუმეორებელი და ზნეობრივად იმაზე აღმატებული ჩანს, ვიდრე რეალურ ყოფაში იყო, ან შეიძლებოდა ყოფილიყო. მართე-

ბულია დაკვირვება, რომ ვაჟა ცხოვრობდა რელიგიურ-მითოლოგიურ გარემოცვაში – ფშავ-ხევსურთა ფანტასტიკურ სამყაროში, რომელთა ილუზორული წარმოსახვით ქაჯები, დევები, ღვთისშვილნი და სხვა ანიმისტური პერსონაჟები აქვე, დედამიწაზე... ბინადრობენ, ერთმანეთს გაუთავებლად ებრძვიან და ამ შეხლა-შეჯახებაში ადამიანებსაც ითრევენ" (ესიტაშვილი, 1985:94).

იმის გამო, რომ თანამედროვე ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ფშავისა და ხევსურეთის – ადგილას XIII საუკუნემდე ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – ფხოვი არსებობდა. ფშავ-ხევსურეთში წეს-ჩვეულებები და სოციალური ყოფის რეალიები ერთმანეთთან ძალზე დაახლოებული და ბევრ ასპექტში თითქმის მსგავსია (თოფჩიშვილი, 2005:271-272).

ვაჟას თანამედროვე ფშავ-ხევსურეთის ცხოვრება რომ გაუსაძლისი იყო, ამას მრავალი ცნობა ადასტურებს. ეს მდგომარეობა ისტორიულად მოსდევდა ფხოვს. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა (მეცხვარეობა) იყო და არის, მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, მაგრამ მთებზე პრიმიტიული იარაღებით ბევრს ვერაფერს მოიპოვებდნენ. თავად პოეტი კი იმასაც გვაუწყებს, რომ ხევსურეთის ყოფა კიდევ უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე ფშავისა. ორივეგან ბუნებით ნიჭიერი, გამორჩეული პოეტური ალღოთი დაჯილდოებული ხალხი სახლობდა, მაგრამ უწიგნურობა და უპერსპექტივო სიდუხჭირე აფერხებდა მათ წინსვლას. რეალურად, მათი ყოველდღიური საქმიანობა არსებობისათვის ბრძოლა იყო და ვაჟას ნაწარმოებებში ეს სინამდვილეა წარმმართველი. ვაჟა, როგორც რეალისტი, ვერ გაურბის იმ სინამდვილის აღიარებას, რომ მისი დროის მთის სოფელი დარღვეული, მოხელეებისაგან შევიწროებული და დაკნინებულია. სოფელში მამასახლისის, გზირისა და ბოქაულის თავისუფალი პარპაშით უფლებაწართმეულ მთიელს ხელ-ფეხს დრომოჭმული პატრიარქალური ტრადიციების აღსრულებაც არ აძლევს გასაქანს.

მწერალი თვლის, რომ ხალხი თავის ასეთ მდგომარეობას თავად უწყობს ხელს: „დღეს სოფელს რომ სანთელი სინათლისა, სწავლისა თვალებთან მიუტანო, თვალებზე ხელს იფარებს: ნა-

თელი არ დავინახოვო... განა ცოტას სტირის სოფელი „უპიროობაზე? „...იცის სოფელმა, ეს ნაკლი აქვს, მაგრამ ვერ ამოუფხვრია მაინც, სისხლ-ხორცში გასჯდომია ეს დიდად-დიდი ნაკლი..." (ვაჟა ფშაველა, V, 1964:276).

ვაჟას შემოქმედებაში დახატული ფშაველ-ხევსურთა მართლმადიდებლობა არ არის დაწმენდილი შენარევებისაგან. მართალია, ისტორიული ქრონიკების ცნობით, წმინდა ნინოს იბერიის სამეფოს ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ ფხოვისკენ გადაუნაცვლებია, მაგრამ მიზნის განხორციელებაში სირთულეები შეხვედრია – ფხოველებს ქრისტიანობა ნებით არ მიუღიათ. პოეტის მოღვაწეობის დროსაც მთა რეალურად ორი სარწმუნოების, წარმართული და ქრისტიანული „წეს-რწმუნების" თანაარსებობის არეალს წარმოადგენდა. ფშაველს „მხოლოდ ყური მოუკრავს ქრისტიანობისათვის". – ამბობს თვითმხილველი ვაჟა და, ვფიქრობთ, ასეთი შეფასება არ უნდა იყოს სუბიექტური. აქ „სადაც გინდათ, – განაგრძობს პოეტი, – მთაზე, უღრანს, გაუვალს ტყეში შეხვდებით ნასაყდრებს" (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:26-27), მათი ხნოვანება მე-19 საუკუნეს არ სცილდება. სამაგიეროდ, აქ დაცულია წარმართული დროის ხატის „საბრძანისები", სადაც ხალხი წინათ ლოცულობდა და ხატობა დღეობებსაც იხდიდა (მაკალათია, 1934:176). ვაჟა იხსენებს ფშაურ ლეგენდას, რომელშიც მოთხრობილია კერპობის, წარმართობის ბრძოლა ქრისტიანობასთან. მწერლისავე მოწმობით, ფშავში არის თამარ დედოფლისა და ლაშარის ჯვრის ხატები. მათ სწამთ ქრისტიანული წმინდანებიც: მთავარანგელოზი, ღვთიშობელი, წმინდა გიორგი და სხვ. გარდა ამისა, ხატებად ჰყავთ გამხდარი ზოგ-ზოგი გმირებიც, მაგალითებრ: სულა-კურდღელა (სულასა და კურდღელას ხატებად არ თვლიან (ოჩიაური, 1966:236), პირცეცხლი, პირქუში (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:28).

ძველის ახალთან შერევა აშკარაა. ვაჟა გვიდასტურებს, რომ ფშაველს სჯერა ზიარების, მონათვლისა და მარხვისა. განსაკუთრებით, დიდმარხვისა. ზიარებას სამკურნალო წამლის მნიშ-

ვნელობა აქვს მისთვის და ეზიარება მხოლოდ ავადმყოფობის დროს (იქვე, 13).

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა ფშავში IV საუკუნეში შევიდა ოფიციალურად, მან ვერ აღმოფხვრა უძველესი ხანიდან მომდინარე, ძლიერი სიცოცხლისუნარიანობით გამორჩეული წარმართული წარმოდგენები, პირიქით, ისინი შეერწყნენ ერთმანეთს ან თანაარსებობდნენ. პოეტი ორრწმენიანობის საფუძველს პოულობს ამ კუთხის ისტორიული ცხოვრების წესში.

საქართველოს მთაში გადმონაშთის სახით შემორჩენილია ყველა ადრეული რელიგიური ფორმები. ხშირად გვხვდება გაფეტიშებული კლდე, ლოდი, ხე. მათ ხალხი ზებუნებრივ უნარს მიაწერს, საკლავს სწირავს და შემწეობას ევედრება იმ იმედით, რომ შესმენილი იქნება. მთიელი ხევისბერების სადიდებლებიცა და კერძო პირთა სათხოვარიც პრაგმატულია, ადამიანთა კეთილდღეობაში ყოფნის (პურითა და საკლავით უზრუნველყოფა, ჯანმრთელობა მისი და მისი ოჯახისა და სხვ.) თხოვნის ფარგლებს იშვიათად სცილდება. დაღამებისას ტყე-ღრეში დარჩენილი მონადირე ასე ევედრება „ადგილის დედას“: „ემ ადგილის დედავ, შენ გებარებოდე, შამინახე შენის მადლით და დავლათითო!“ (მაკალათია, 1934:185). „ადგილის დედის“ ნიშს, დიდ ლოდს, ეთაყვანებიან ხევსური ქალები, საჩუქრები (საჭმლის სახით) მიაქვთ მისთვის და სთხოვენ: „ბარაქა მოგვიტანე ერბოსი და ყველისა, ადგილის დედაო. ჩვენი ნაშრომ-ნამუშევარი მშვიდობიანად მოგვახმარეო“ (მაკალათია, 1935:232).

უძველეს რელიგიურ რწმენათა თანაარსებობას ხელი შეუწყვია სხვადასხვა რელიგიური ფორმების შერწყმისთვის. როგორც ირკვევა „მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებში ყველაზე ბუნდოვანი და ძნელად შესამჩნევია ფეტიშიზმისა და სხვა ადრეული ფორმების გადმონაშთებთან შერწყმულ-შედუღებული ტოტემიზმის ელემენტები“ (ესიტაშვილი, 1985:39).

„ადგილის დედა“, ადგილს მიმაგრებული ფეტიში (ქვა, მთა, გორა ხევი და სხვ.) ანიმისტური სულიც არის. იგი მშვენიერ ასულად ეცხადება მონადირეს. ასეთივე ანიმისტური სულია ნადირთ

პატრონი და ფუძის ანგელოზი – პირიმზე. ვფიქრობთ, მათი დიფერენციაცია ადრეულ საუკუნეებში უფრო მკვეთრი უნდა ყოფილიყო, რასაც ვეღარ ვიტყვით მეცხრამეტე საუკუნის ჩანაწერების მიხედვით.

XX საუკუნის მონაცემებით, „ადგილის დედას“ ფშავის სოფლებში ღვთისმშობლობით ლოცულობენ. ადგილის დედის ხატის ნიში ჩვეულებრივი ფორმისაა და ზოგან ის შემკულია ირმისა და ხარის რქებით. ამ ხატთან იხდიდნენ მისი მამულის დამმუშავებელი ყმები „გუთნის სამღვთოს“, აქვე ხდებოდა „ნაკვეთი დღის“ დადებაც. ადგილის დედას თავისი დღეობა და ჯვარობაც ჰქონია: ამაღლებას და მარიამობას... მიდიოდნენ საწირ-საკლავით (მაკალათია, 1934:185).

მთიელისათვის ბუნება გასულიერებულია. იგი დასახლებულია ადამიანთა მიმართ მტრულად განწყობილი დევ-ქაჯებით, ავსულებით. გარემო ბუნების სულიერად წარმოდგენის ეს უძველესი რწმენა მთაში ალბათ არასოდეს შესუსტებულა, რასაც ასაზრდოებდა ყოფის სირთულე მთაში, თავად ბუნების სიმკაცრე, თვეობით მომწყვდევა თოვლითა და ყინულით დაფარულ მთათა გარემოცვაში. ეს ვითარება ბუნებრივად აცხოველებს წარმოსახვას, როცა ყოველ ნაბიჯზე საფრთხე არის ჩასაფრებული.

მწერალმა, შიშის გარდა, ბუნების გასულიერებაში დაინახა ადამიანთა პოეტური აღქმის უნარი. „თვით ბუნებასთან მებრძოლი მიწის მუშა, ბევრნაირად მისგან შეშინებული და დაჩაგრული, დაქანცულ-დაღალული, სიამოვნებით გადაავლებს თვალს ახლად ამოსულს იას, გაბზინებულ ტყეს – უხარიან, რომ ზაფხული მოდის. შვების მომცემია ნივთიერად – გრძნობაა ცხოველური, მაგრამ იდეალური მისწრაფებაც არის აქ დართული, უყვარს და მოსწონს სადღაც ეს ველური ნაზი ყვავილი, – იგი არც საჭმელია, არც სასმელი, თუნდ სასიამოვნო სუნი არა ჰქონდეს, ჩვენ მაინც მოგვწონს იგი, თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება მისი ნახვა, ცქერა, ხოლო განვითარებულს აზრიან კაცს იგი სხვა ბევრს რასმე მოაგონებს იმისდა მიხედვით, რამდენადაც იდეალისტია კაცი, რამდენად სულიერად მდიდარია იგი.

ნუთუ ია ბუჩქებით და ეკლებით დაჩრდილული არ მოგვაგონებს დაჩაგრულს სიმართლეს? ეს მცენარე კაცთაგანს არავის დაურგავ, არც მოურწყავ და ისე არ მოუყვანია: მას ბუნება ზრდის, იგია მხოლოდ მისი მშობელი დედა; მზე ათბობს – ეს ლალაა, მაინც კი ლამაზია, ამ ბუნებრივობაშია დამალული მისი მშვენიერება" (ვაჟა ფშაველა, IX, 1964: 394).

ვაჟა ფშაველამ თავის თანამოძმეებს გაუსწრო და „უენ-პირო" ბუნება ადამიანთათვის ნიშანდობლივი ფიქრის, განცდის უნარით დააჯილდოვა. ეს აზრის განსაკუთრებულად გამოხატვისთვის დანიშნული პოეტური ხერხია, თორემ ვაჟამ სხვებივით მშვენივრად იცის, „ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება?" (იქვე, 396).

ვაჟამ ფშაველების დახასიათებისას თქვა: „ფშაველი არის გაშლილის, მუდამ სიამაყის და მხიარულების გამომხატველის სახისა, ახოვანი, გულკეთილი, მომთმენი და, როგორც ყველა მთის კაცი, სტუმართ მოყვარე" (იქვე, 8). ამას დავამატებთ სერგი მაკალათიას ნათქვამს: „ფშაველი გონებამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მოლექსე... თავაზიანი" (მაკალათია, 1934:91).

ვაჟას დახასიათებით, „ხევსურეთი ხმელი, ხრიოკი ადგილია და მოსავალს ხელს ვერ უწყობს: დათესილი ქერი ჯერ ჯეჯილობაშივე ჩაირეცხება ღვარებისაგან და, თუნდაც მოვიდეს, სეტყვას მაინც ვეღარ გაეხვეწება, ვერ გადაურჩება... მდიდარი ოჯახები... იშვიათია ძლიერ... თუ ორი-სამი ძროხა და ოცი თხა-ცხვარი მოეპოვება ხევსურს, მდიდარია. ფარის პატრონებს ხევსურეთში ვერ იპოვით. კიდეც ამ სიღარიბეს და გაჭირვებულ ცხოვრებას უსწავლებია ხევსურისთვის სარჩოს გამოზოგვა... პოეტი ხევსური კაცის დახასიათებას ჩაცმულობით იწყებს: ის ადვილი საცნობია წითელჯვრიანი ჩოხით, გვერდზე ჩამოკიდებული ფარხმლით. იარაღს მშვიდობიანობის დროსაც არ იცილებს. ვაჟას შენიშვნით, თითქმის არ არსებობს ხევსური, რომ ან თვითონ არ იყოს სხვისგან დაჭრილი, ან თვითონ სხვა არ დაეჭრას. ვაჟა რამდენიმე არსებით თვისებაზე ჩერდება, რათა გამოკვეთოს მისი

ბუნება: „უცხო ადგილას ხევსური ფრთხილი და მშიშარაა. ხევსურეთში კი მეტად ამაყი და თავმოყვარეა: ცოტა რამეზე შარს მოგიდებს, მცირე რამ ეწყინება“. ძალზე საგულისხმოა პატრიარქალური წესის დაცვა, რომლითაც სხვათა მიმართ პატივისცემაა გამოხატული: გზავრს სიმღერით ხევსურის სოფელზე გავლა არ შეუძლიან; ზოგს სოფლებში... მგზავრი ცხენიდამ უნდა ჩამოხტეს და სოფელზე ქვეითად გაიაროს“. თავისი სარწმუნოებით ხევსური ნახევარ-ქრისტიანია და ფშაველზე ნაკლებად ესმის ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება; ხევისბერი და თავისი ხატები კი ძლიერა სწამს... ხევსურს ძალიან თავისუფალი დამოკიდებულება აქვს ცოლის შერთვისადმი.: თუ „მოეწონა ხევსურს ქალი და უნდა მისი ცოლად შერთვა: ის გამოუცხადებს ქალს თავის სურვილს და თუ ქალიც დასთანხმდა, წაიყვანს თავის სახლში. ჯვრისწერა ხევსურისათვის საჭირო არ არის. ქალი რჩება საქმროს ოჯახში ერთი წელი. კაცი ქალს არ შაეხება, იგი მხოლოდ ადევნებს თვალს, ქალი როგორ იქცევა სახლში, არის ნამუსიანი თუ არა...“ ერთი წლის შემდეგ ან ქორწინდება ქალზე, ან აგდებს სახლიდან და სხვა მოჰყავს. (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:46-49).

ძალზე მნიშვნელოვანია ვაჟას ცნობა საზოგადოდ კავკასიური, კონკრეტულად ხევსურული, სტუმარ-მასპინძლობის წესის შესახებ: „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას“ (იქვე, 48).

ასევე საზოგადოდ მიღებულ სამღვთო მოვალეობად მოჩანს სისხლის აღების (მსხვერპლად შეწირვის) ჩვეულებაც (იქვე, 234).

თემური წყობილება ხევსურეთში გამაგრებული იყო ხევისბერის გამგებლობით. ისვე უზრუნველყოფდა ადათების მტკიცედ დაცვას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში – სასჯელს. ხევისბერს რჯულსა და ტრადიციაზე აპელაციის წყალობით დამორჩილებული ჰყავდა სათემოს მოსახლეობა, თვით მატერიალური მდგომა-

რეობითა და გამორჩეული ვაჟკაცობით დაწინაურებულ ადამიანებამდე. XIX საუკუნეში ხევსურეთის თემებში ადგილი ჰქონია მიწების მიტაცებას. ჯვარსამლოცველოები მსხვილ მესაკუთრეებად ჩამოყალიბებულან. თემის აშლილობას ბუნებრივად გამოუწვევია მისი შინაგანი რღვევის პროცესი (მაკალათია, 1935:54).

ვაჟა ფშავ-ხევსურთა ჩვეულებებიდან გამოყოფს წაწლობისა და სწორფრობის ჩვეულებებს. პოეტმა, ბუნებრივია, მშვენივრად იცოდა მათი არსი და დანიშნულება. ეს ჩვეულება ფშავშიცა და ხევსურეთშიც, როგორც ირკვევა, სოციუმში „წესრიგის თავისებურ ტიპს" ქმნიდა (კანდელაკი, 2002:208). სწორფრობის ჩვეულება, ნ. ბალიაურის მოწმობით, თვით ხევსურეთის ტერიტორიაზეც განსხვავებულად, თუმცა მკაცრი რეგლამენტაციის დაცვით სრულდებოდა, ფშაურ წაწლობაში უფრო მეტი თავისუფლება ყოფილა დაშვებული (ბალიაური, 1991:173-175).

გადმოცემის მიხედვით, რომელსაც თვით პოეტი იხსენებს, წაწლობის ფშავში შემოღება (თუ გამაგრება) ლაშა გიორგის სახელს უკავშირდება. მსგავსი ცნობა ს. მაკალათიასთანაც გვხვდება (მაკალათია, 1925:5). წარმოშობის დრო და მიზეზიც სხვადასხვა სახელდება (თევდორაძე, 1930:131; ცოცანიძე, 2002:428), ან მისი განსაზღვრა შეუძლებლადაა მიჩნეული (კიკნაძე, 1992:60), ხოლო ბოლო დროის კვლევათა შედეგად სხვადასხვა ავტორი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ სწორფრობა (ალბათ, შესაბამისად, წაწლობაც) ამუხრუჭებდა ქორწინებას (კანდელაკი, 2002:205; მინდაძე, 2003: 24). მთიელთა „სექსუალური თამაშები" შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია და ის დაკავშირებულია მთის დემოგრაფიულ პრობლემასთან... მთას, გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, შეეძლო მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის გამოკვება... ამიტომ მკაცრად იდგა მემკვიდრეობის საკითხიც..." (თოფჩიშვილი, 2008:75).

მთიელის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია რწმენა სულის უკვდავებისა. დღემდე ცოცხლობს აქ უძველესი დროიდან მომდინარე წარმოდგენა მიცვალებულთა სულის გულის მოგების აუცილებლობისა, რათა შეინარჩუნონ მისი კეთილგანწყობა.

მთაში შემორჩენილი რიტუალები დიდად უწყობენ ხელს სულის უკვდავების რწმენის სიცოცხლისუნარიანობას. აქაც აქტიურად სწამდათ, რომ ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრებისას დაშვებული გადაცდომებისათვის საიქიოში მიეგება საზღაური. ეს იყო ზნეობრივ საფუძველზე დამყნობილი მისაგებელი, რომელსაც ყველა ელოდა. მონოთეისტურ რელიგიებში ჩამოყალიბებული წარმოდგენა საიქიოს ორ დაპირისპირებულ სამყაროზე, ჯოჯოხეთსა და სამოთხეზე, ღმერთის სასჯელის შიშით ცოდვის ჩადენისგან აკავებდა ადამიანს.

1886 წლიდან მოყოლებული, როცა გამოქვეყნდა ვაჟას წერილი „ფშაველები", მწერალი მრავალგზის უბრუნდება ამ წარმოდგენათა თავისებურებებზე საუბარს (წერილები: „ხალარჯობა და რიგები", „ხმა მთიდან", „თიანური ფელეტონი" და სხვ) და ხალხის ცხოვრების ამ მხარის მიმართ თავის დამოკიდებულებასაც ავლენს.

წერილში „ფშაველების ამაოდ მორწმუნეობანი" ვაჟა იხსენებს რწმენას, რომ ღმერთი ადამიანს დაბადებისთანავე აკუთვნებს (დაუწერს) ბედს ან უბედურებას, რით ან როგორ უნდა მოკვდეს. ვაჟას მოწმობით, ფშაველის შეშფოთებას იწვევს საიქიო-შავეთი, რომელსაც შუაზე ჩაუდის ცეცხლმოდებული კუპრის მდინარე ბეწვის ხიდით. ადამიანის დამამშვიდებელია რწმენა იმისა, რომ საიქიოში კაცის მადლი იზომ-იწონება და არასოდეს იკარგება. ეს ლექსშიც არის დაფიქსირებული:

„სიზმარი ვნახე დაცდილი,
წიკო გამოდის ჩვენითა,
შავეთში სადამ ჩავვარდი
ჩემის მიმინოს ცხენითა;
ათამაშებდა ყურებსა,
გაკვებულიყო ქერითა.
შამამყვნენ მოქიშპეები,
მოღალატენი ენითა.
სასწორზე შავიყარენით,
მე მართალ მოველ ბევრითა".

(ვაჟა ფშაველა, IX, 1964, 67)

ეს და მსგავსი წარმომავლობის ფიქრები ფშაველთა სულიერი ცხოვრების საკმაოდ აქტუალური ნაწილია. ფშავში არის გავრცელებული „შავეთის" წარმოსახვითი სურათის უფრო დაწვრილებითი აღწერაც:

> „ვაი, ამ ბეწვის ხიდზედა რა ძნელი გასავლელია.
> ქვეშ შავი წყალი გამოდის, ზედ გაუგდია პერია:
> მაგ ჯოჯოხეთის კუთხესა, რა ძნელი შასასვლელია,
> ცოდვიანს შეაბრუნებენ, გზას ნარ-ეკალი ჰფენია;
> შიგა დგა კუპრის ქვევრები, დუღს და ამოდის ცეცხლია;
> გარშემო ეშმაკებ უდგა, ძირში ანთია გენია.
> კაცს კაცის მოღალატესა, ჩაუყვეს ენის წვერია...
> ხელი ჰკრეს, შიგა ჩააგდეს, მანდა ხარ შესაფერია".
>
> (მაკალათია 1934: 157)

აქვე შეგვიძლია ვნახოთ, როგორ გაიაზრა მწერალმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში, კონკრეტულად, მოთხრობაში „შთაბეჭდილებანი (ფშავლების ცხოვრებიდან)" ეს პრობლემა?

...მოკლია, სულთა საუფლოდან იყო მობრუნებული. მწერალი მოკლიას ნაამბობს, მართალია, „თითქოს ეხლაც სიზმარში" მყოფის „ბოდვას" უწოდებს, მაგრამ დაწვრილებით აღწერს „შავეთის" ვითარებას: „ჯერ ერთს პრიალო მინდორზე გამაქანეს, ყოილიანს მინდორზე, სუ წითელ-ყვითლად გაჰღუოდა... მერე ამწიეს ცისაკე, ფრთეები შამესხა. მივედით ერთს ადგილს, დიდი ნასახლარები იყო ჩაქცეულ-ჩანგრეული. ბნელი იყო, რო თვალი არ გაიჩხვერებოდა. მაღლაით წყალი ჰჟონავდა, ჩამოდიოდა და გუბდებოდა. გველ-ბაყაყებით ავსილიყო იქაურობა... მივადექით ერთს დიდ ხევსა, ცეცხლით სავსეს. ჯერაც თვალწინ მიდგა ჩამოთოვლილი მთები და ხალხის წიოკი ცეცხლში. ცეცხლი შავადა ფუოდა. ეგ კუპრის წყალიაო, მითხრეს წერა-მწერალთ. თვალი დამრჩა ზენაისკე, გაგონილი მქონდა წინავ ბეწვის ხიდა აქ უნდა სამ იყოსო, ვიფიქრე; დავხარე თვალი და მართლა ვნახე... შევდეგ [ბეწვის ხიდზე], თვალები კი დავხუჭე: სამნივ ღვთის შვილნი უკვენ მამყვნენ... გაველ. მივადეგით სხვას კარსა: აქაც სამ მარცხნივ შავი კაცები იდგნენ, საძაგლები, საზარლები... ხელი გა-

მოწვადეს ჩემკე: აქ მოგვგვარეთ, აქაო. – სათქვენოდ არა სცალიან მოკლიასაო, – უთხრა იმ ერთმა ღვთის შვილმა. პირდაპირ შემიყვანეს განათებულს სახლში; იქაური სინათლე აღარც მზისასა ჰგვანდა, არც ცეცხლისასა, სულ სხვა რიგი როგორივ იყო. ზემოთ სიმღერა ისმოდა; ცეცხლის ბალღები იმღეროდენ მწკეპრის ხმით... ხალხი ირეოდა ერთმანეთში... (ვაჟა ფშაველა, V, 1964:26).

მოკლიას შემთხვევით არ ათქმევინა მწერალმა: „გაგონილი მქონდაო“. სოფელში ამ თემაზე ხშირად საუბრობენ. მოარული ამბები „შავეთის“ შესახებ დიდ ვარიაციულობას არ ამჟღავნებს. ვაჟა-მოკლიას აქ მოტანილი მონათხრობი თანხვდება იმ ცოდნას, რომელიც XIX საუკუნეში ჩაწერილი და დასტამბული ზეპირგადმოცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის (ხიზანიშვილი, 1889; ხიზანიშვილი, 1900; ფშავლიშვილი, 1896; აფშინაშვილი, 1893; აფშინაშვილი, 1894; აფშინაშვილი, 1898; აფშინაშვილი, 1900 და სხვ.) მიხედვით შეგვიძლია მივიღოთ.

განსხვავებულია საიქიოს შესახებ მოთხრობის მხოლოდ ის ნაწილი, რასაც ცოდვილთა ტანჯვის ფორმების შესახებ ვიგებთ. საიქიოში მოკლია არ დაიტოვეს. იგი შეხვდა ერთ ბებერ კაცს, რომელსაც „უმტვერო თოვლივით თეთრი წვერი გულზედა სცემდა“. როცა მას მოახსენეს მოკლია მოვიყვანეთო, გაჯავრდა: წაიყვანეთო, – თქვა. მოკლიას ბარათი მისცეს და უთხრეს, სამ წელს კიდევ იცოცხლებო. ადგილიდან ადგილზე გადასვლისას მოკლია ნაცნობებს ეძებდა. იგი ხალხში თავის მამიდაშვილსაც დაინახავს, რომელიც ქვევით ჩამოსვლას სთხოვს. ეს „ქვევით“, როგორც ირკვევა, ის ადგილია, სადაც ადამიანები იტანჯებიან. მოკლია ნანახიდან იხსენებს მხოლოდ სამ ეპიზოდს. ესენია: ა) ხარი რქებით ერჩის კაცს, რომელიც გუთნისდედობისას მას მშიერს ამუშავებდა; ბ) ვეებერთელა ფარდაგზე ცოლ-ქმარი წევს და ერთმანეთს სწიხლავს. ღვთისშვილთა განმარტებით, ამ ცოლქმარს ცხოვრებაში სძულდა ერთმანეთი, მაგრამ მაინც ერთად იყვნენ და ახლაც განაგრძობენ ჩხუბს; გ) ნეკის ოდენა ფიცარზე ცოლ-ქმარი მოსვენებით წევს. თურმე ისინი ცხოვრებაში ლხინსა

და ჭირში მხარს აძლევდნენ ერთმანეთს და საიქიოშიც ისევ თანხმობაში განაგრძობენ ყოფას.

ქართულ ზღაპარსა და აპოკრიფში, სადაც ეს თემა არის დამუშავებული, ეპიზოდთა რიცხვი მეტია.

ბერძნული ენიდან თარგმნილი აპოკრიფი „მიმოსვლაი ღვთისმშობლისაი“ საქართველოში მე-13 საუკუნის ხელნაწერით არის ცნობილი. მას, როგორც სასულიერო ტექსტს, საგანგებოდ გამოკვეთილი მიზანდასახულება აქვს: მორწმუნეებს თვალწინ უნდა გადაუშალოს შესაძლებელ ტანჯვათა ფართო სპექტრი, რომელიც ქრისტიან ადამიანს ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვების, უპირატესად, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი გადაცდომებისათვის მოელის სიკვდილის შემდეგ.

მსგავსია ზღაპარში გმირის საიქიოს გზაზე მოგზაურობის ეპიზოდის გამოჩენის ფუნქციაც.

აპოკრიფსა და ზღაპარს შორის საერთოა ცოდვილთა დასჯის მოდელი: ცხოვრების მანძილზე ჩადენილი ცოდვის გამო ადამიანი მაშინვე კი არ ისჯება, არამედ სიკვდილის შემდეგ და რაკი სულის უკვდავების რწმენის მნიშვნელობა უდავოა ქრისტიანისთვის, ამიტომ ენიჭება საიქიოში ცხოვრებასაც ასეთი მნიშვნელობა. აპოკრიფში ტანჯვის მეტი თემატური მრავალფეროვნება დასტურდება, ზღაპარში ყოფითია ცოდვაც და შესაბამისი სასჯელიც.

აპოკრიფსა და ზღაპარს შორის ასევე განსხვავებულია ტანჯულებთან შეხვედრის მიზანდასახულება. მარიამ ღვთისმშობელი მოითხოვს უჩვენონ „სატანჯველნი“, რომელთა კაცნი ცოდვილნი იტანჯებიან“ (ყუბანეიშვილი, 1946:15-19). ზღაპარში კი გმირი წინასწარი განზრახულობის გარეშე მზის დედასთან მიმავალ გზაზე, რომელიც მიცვალებულთა საუფლოზე გადის, ხვდება ცოდვილებს. აპოკრიფში ტანჯვის სცენები ისეთი მუქი ფერებით არის დახატული, რომ არ შეიძლება შიში არ ჩანერგოს. თავად ცეცხლის მდინარესა და ალში ტანჯვის ფორმებიც სასტიკია, ზღაპარში, აპოკრიფთან შედარებით, სატანჯველი უფრო მსუბუქი მოჩანს.

„მიმოსვლაი...": „...მდინარე ცეცხლისა გამოვიდა. იყო სიმრავლე მამათა და [დე]დათაი, რომელნიმე სარტ[ყ]ლამდი და რომელნიმე მკერდამდი, რომელნიმე თხემამდი... ცეცხლსა შინა". ტანჯვის ხარისხს განსაზღვრავს ცოდვის სიმძიმე: სარტყლამდე იტანჯებიან დედ-მამისაგან დაწყევლილები, მკერდამდე – მეძავები, თხემამდე – ადამიანის ხორცის მჭამელები.

ღვთისმშობელმა სხვა ადგილას იხილა „დედაკაცი დამოკიდებული ორითა [ძუძუითა და მხეცნი ჭამდეს] და პირისა მისგან გამოვიდოდეს [ალი ცეცხლისაი] (გვ. 16). ნანახით შეძრწუნებულ ატირებულ მარიამს მთავარანგელოზი მიქაელი ეტყვის: „ჯერ არ გიხილვან დიდნი სატანჯველნი" (იქვე).

„მზის ქალი": „...მზის სიძე [გავიდა] ერთს მშვენივრად მორთულს მინდორზედ... ნიავის ქროლაზედ ბალახი ზღვასავით ღელავს, წყაროებს ჩუხჩუხი და ლურლური მოაქვს ბალახებს შუა. მინდვრის შუა ერთი ხარი დგას. პირაკრულია, ვერც არასა სჭამს და ვერც არასა სვამს, ისეთი მჭლეა, რომ კაჭკაჭი ვერაფერს გამორჩება..." ეს ხარი პატრონს არაფერში გამოსდგომია და იმიტომ იტანჯება.

სხვაგან მზის სიძე შეხვდა კაცს, რომელიც „ხევზედ ხიდადა ძევს: ვინც გაივლის და გამოივლის, ყველა იმაზედ გახდება და გამოხდება" (ჩიქოვანი, I, 1938:105). კაცხიდას ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვა იყო სიხარბე, გაჭირვებულისათვის ანგარიშგაუწევლობა, ხალხის „გატყავება".

ორივე თხზულებაში თანაგრძნობის მოტივი ჩნდება, მარიამ ღვთისმშობელი და მიქაელ მთავარანგელოზი ტირიან, მაგრამ აპოკრიფში, რომლის დიდაქტიკური ფუნქცია აშკარად გამოკვეთილია, ქრისტიანებზე დამთრგუნველად ზემოქმედების დანიშნულებასთან ერთად, ცოდვათაგან გათავისუფლება არ ხდება. ასევე ტანჯვისგან არ თავისუფლდებიან ზღაპრის ცოდვილნი, გარდა ირმისა, რომელიც ერთადერთი უცოდველია ზღაპრის ამ ეპიზოდის მონაწილეთა შორის.

მიუხედავად წარმოდგენილ თხზულელებში არსებული პარალელური ვითარებებისა, მიხეილ ჩიქოვანის მართებული დაკ-

ვირვებით, აპოკრიფს არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართულ ზღაპარზე (ჩიქოვანი, III, 1956:XV). თედო რაზიკაშვილის ჩაწერილი „მზის ქალიცა“ და „საიქიოს ზღაპარიც“, რომლებიც ამუშავებენ გმირის მიცვალებულთა საუფლოში მოგზაურობის თემას, დამოუკიდებლად არიან ჩამოყალიბებული. ცოდვილთა ტანჯვის მოტივი უთუოდ ატარებს აღმზრდელობითი ზემოქმედების ფუნქციას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შიშის დანერგვისას. ეს ტენდენცია უფრო ვაჟა ფშაველას მოთხრობაში „მუცელა“ შეინიშნება, რადგან ამ ზღაპრის მთავარი გმირი რეალურ ცხოვრებაში ვერ აცნობიერებს თავისი ცხოვრების წესის დამღუპველობას და მუცელას ფსიქიკაზე ზეწოლა მისთანების სასიკეთოდაა ჩაფიქრებული („მუცელას“ თემაზე საგანგებოდ ქვემოთ ვისაუბრებთ).

ვაჟა ფშაველას, როგორც მწერლის, რეალისტური ხედვა სრულად არ იქნებოდა გამოხატული, თუ იგი წარსულისადმი მთიელთა დამოკიდებულებას არ შეაფასებდა. პოეტი ხედავდა, რომ თანამედროვე ფშაველი და ხევსური თავისი ცნობიერებით არა მარტო მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული გარდასულთან, არამედ მისით ივსებდა სულიერ მოთხოვნებს. თავისუფლებადაკარგული ხალხი წარსულის გმირული ამბებით ცოცხლობდა. ისტორიის ხსოვნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჟა ფშაველაც და იმიტომ იყენებდა საისტორიო სიტყვიერების ნიმუშებს და თავადაც ქმნიდა ნაწარმოებებს ამ თემაზე (მაგალითად, „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“), რომ კიდევ უფრო გაელვივებინა წარსულისადმი პატივისცემა. ისტორიულ პირთა თავგადასავლების რეალურობის რწმენის გარდა, ფშაველს ფანტასტიკური არსებების ნამდვილობისაც სჯეროდა. ხალხში ტრადიციით მომდინარე ცრუმორწმუნეობის დამაგრებას ხელს უწყობდა გაუნათლებლობა და გასულიერებული გარემო ბუნების შეუცნობელი იდუმალება. ამას ისიც აღრმავებდა, რომ მათი სულიერი საზრდო, ხალხური პოეზია, მითური თქმულება-გადმოცემები ესმოდათ ცოცხალი შესრულებითა და ნამდვილობის შთაგონებით.

ვაჟას მოთხრობებში ადვილი შესამჩნევია, რომ ფშაველ კაცს, მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა, მუდამ თან ახლავს სიმღერა. მწერლის მიერ თხზულებებში მოტანილი სიმღერები სხვადასხვა შინაარსისაა. მათ ყველგან კონკრეტულ ფუნქციას უძებნის ვაჟა, მათი საშუალებით აცოცხლებს რომელსამე თემას. ასე, ფშაური ზეპირსიტყვიერების მშვენიერი ნიმუში, თედო რაზიკაშვილის ჩაწერილი „ალაზნის თავსა, კლდის თავსა" (ფშაური პოეზია, 1953:1) ვაჟას გამოყენებული აქვს „საშობაო მოთხრობაში", რითაც სურს ისტორიული წარსულის ხსოვნაზე მიგვანიშნოს:

ალაზნის თავსა, კლდის თავსა,
სისხლის წყარონი დიანო.
არცა ჰსმენ მონადირენი,
არც როდის დაშრებიანო.
ის ურჯულონი ლეკები
სასმელად გამოდიანო.
(ვაჟა ფშაველა, V, 1964:176)

უიღბლო და უსიამოვნოდ გასახსენებელ წარსულთან აზრობრივად არის დაკავშირებული მოხეური საგმირო-სავაჟაცო აფორისტული დახვეწილობით გამორჩეული ლექსი „ჯურხაის ფარი", რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს ჩაუწერია და გამოუქვეყნებია („ივერია", 1885:8).

ბეთლემის კარსა ჰკიდია,
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი,
ხანისხან შასძრავს ქარიო.

მწერალი ამ ლექსით კონტრასტს ქმნის ადრე ხსენებული ლექსის განწყობილებასთან. ვაჟას მოტანილი ლექსი განსხვავდება როგორც მოხეური, ისე ხევსურული ვარიანტებისაგან (ხალხური პოეზია, III, 1974, 20:284-5), თუმცა არა აზრობრივად. ფუნქცია ამ ლექსის გახსენებისა ნათელია – ვაჟას სურს დაგვა-

ჯეროს, რომ ვოჟა ჯურხაის სული XIX საუკუნის ბოლოსაც ცოცხლობს.

მოთხრობაში „დათვი" მწერალი ხატავს ნამდვილი იარაღის ნაცვლად წალდებითა და კეტებით დათვზე სანადიროდ მზადების კომიკურ სურათს და მონადირეთა გასამხნევებლად იხსენებს მშვენიერ აფორისტულ ლექსს:

ვინც რომ ვაჟია,
ჩოხა – ჯაჭვია,
ქუდი ნაბდისა –
ჩაბალახია.

ხატში სალოცავად სიარული ფშაველთათვის რელიგური გრძნობის დაკმაყოფილების გარდა, მოლხენა-მხიარულების ჟამია. სხვადასხვა თავყრილობის აღწერისას პოეტი თხრობაში ხშირად ურთავს ხალხურ ლექსებს და ყოველთვის წარმატებით უფარდებს მათ თავისი სათქმელის განწყობილებას. პოეტი წერს: „უკანასკნელად მომესმა ხალხის ხმა, რომელიც მოახლოებულ ბინდს, საღამოს წინ უხვდებოდა:

ჩვენის ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო;
წვერში დაუსხამ ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო;
იმის უჭმელი ვაჟკაცი
უდროოდ გადასულაო.

(ვაჟა ფშაველა V, 1964:181)

ვაჟას სიმღერის ფშაური ვარიანტი მოაქვს. მისი ოთხი სტრიქონი პოეტმა ჯერ კიდევ 1886 წ. „ივერიის" 39-ე ნომერში დაბეჭდა და კომენტარში დაასაბუთა ლექსის პირველი სტრიქონის გაყოფიერების ფაქტი: „ხატს ფშაველი ეძახის ბატონს, ანუ ღვთისშვილს" და თავის თავს ყმას. იგი ამის მეტს ბატონს იმჟამით ამჟამამდე მაინც არ იცნობს" (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:28).

ეს საინტერესო ლექსი შემდგომ აკაკი შანიძეს ჩაუწერია ბესარიონ გაბუურისგან. მეცნიერი ლაპარაკობს მეორე სტრიქონის დაწერილობასა და ზოგიერთი საკულტო სიტყვის ვარიაციაზე (შანიძე, 1931:596-7), თუმცა ამ ცვლილებებით ლექსის შინაარსი არ იცვლება.

რაზე მოგვითხრობს ეს მითური სიმბოლოებით გაწყობილი ლექსი?

ჩვენი აზრით, ლექსში სიმბოლოების გამოყენებით ფილოსოფიურად არის გააზრებული ადამიანის ღმერთთან მიახლების გზა. ბიბლიური ტრადიციით, ალვის ხე, ანუ სტირაქსა მერქნის, ფოთლებისა და ყვავილის სითეთრით გამოირჩევა და აქვს კარგი ჩრდილი (ბიბლიური ენციკლოპედია, 1891:704).

ალვის ხე საკრალურ ხეს განასახიერებს და ვაზთან კავშირი მათ მზიურ სემანტიკაზე მიგვითითებს. ღვთის კარზე ხის ალვად ამოსვლა, რომელსაც წვერზე ყურძენი მოუსხამს, უნდა მიგვანიშნებდეს ღვთიური სიწმინდის დაურვებაზე. ტრადიციით, თეთრი სიწმინდის სიმბოლოა, ყურძენი, ვაზის პროდუქტი, ერთი მხრივ, მიჩნეულია ძლიერის, ლამაზის, სასარგებლოს სიმბოლოდ, მეორე მხრივ, აკი თავად ღმერთი აცხადებს: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მევენახეა (ბიბლია, 1989:1063 – იოანე, XV, 1-6). ლექსის მიხედვით, ყურძენი უკვე დამწიფებულია და თუ ქალ-ვაჟი არ ეზიარება მას, ანუ ღვთის გზას არ დაადგება, უდროოდ დაშავდება.

ლექსის ზოგ ვარიანტში „ქალ-ვაჟი" შეცვლილია „ვაჟკაცით" და ამით დავიწროებულია ღმერთთან მიახლებულთა რაოდენობა.

რატომ უნდა ემღერათ ეს სიმღერა ხატობაში?

ჩანს, ვაჟას მოღვაწეობის დროს უკვე დამკვიდრებული იყო ფილოსოფიური შინაარსის ლექსთა დღეობებში (სალხინოდ თავშეყრისას) შესრულების ტრადიცია. ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს ის ფაქტი, რომ აკ. შანიძეს ეს ლექსი ხევში ჩაუწერია, როგორც სმურის (შესხმის) ტექსტი (შანიძე, 1931:597). აღსანიშნავია, რომ ლხინში სხვადასხვა შინაარსის სიმღერების შესრულების ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

ვაჟას არ ესწავლებოდა ის, რით სულდგმულობდა მთიელი კაცი და ამიტომ თავისი თანამედროვე ადამიანების გვერდით თხზულებებში მითურ გმირებსაც აცოცხლებდა, ფანტასტიკურ სამყაროს უდგამდა სულს, წარსულსა და აწმყოს ერთ მთლიან, ცოცხალსა და ქმედითუნარიან კავშირში წარმოსახავდა, რათა დავერწმუნებინეთ, რომ უერთმანეთოდ ვერ ვიარსებებდით, ვერაფერს შევქმნიდით მათი ხსოვნის გარეშე. მწერალი თავის შეთხზულ სამყაროში უპრობლემოდ აბამდა ურთიერთკავშირს ცოცხლებსა და გარდასულებს შორის და, რაც მთავარია, მათ თავისი დროის ადამიანური ემოციებით ტვირთავდა, რადგან ასეთი დამოკიდებულების მოთხოვნილება ჰქონდათ თანამედროვეებს.

მკითხველის მიერ თავისთავად ეგზოტიკური მთის განსაკუთრებულად აღქმას განაპირობებს ვაჟა ფშაველას ხატვის, სათქმელის დანახვისა და მოწვდის მანერა. მწერალს აინტერესებს ფშაველის ყოფა, მისი ზნეობრივ-მორალური სახე. ფშაური ცხოვრების ხატვისას ყველაფერში ჩანს პოეტის თვითმყოფადი ბუნება და შინაგანი სამყაროს გამორჩეულობა, შემოქმედების დიდი ნიჭი. ვაჟა ფშაველამ მკითხველს გადაუშალა მთიელი კაცის ხასიათი, დახატა მისი ცხოვრება გარემომცველი ბუნების წიაღში და ხაზი გაუსვა ადამიანის ბუნებისაგან განუყოფლობას, მათ ერთობას სიცოცხლეშიცა და სიკვდილის შემდეგაც.

თავი II

ვაჟა ფშაველა ხალხური სიტყვიერების სპეციფიკასა და მის ინდივიდუალურ შემოქმედებასთან მიმართებაზე

ვაჟა ფშაველა რომანტიკოსის თვალით უყურებდა და აფასებდა ფშავსა და მის პოეტურ შემოქმედებას. ფშაურ პოეზიაში პოეტს მოსწონდა საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული თავისებური შეხედულებები მსოფლიო ცხოვრებაზე, ლექსთა სულის გამაღვიძებელი კილო და ლექსიკის სიმდიდრე, აქ მაცხოვრებელთა გმირული შემართება, თანამოძმეთა დახმარებისთვის მზაობა და სხვ. დიდი სიყვარული და პატივისცემა ფშავისა და, შესაბამისად, მთელი საქართველოსი ვაჟას ყველა ნაწერში იგრძნობა. ეს არცაა საკვირველი, რადგან რაზიკაშვილებში ძალიან ძლიერი იყო ეროვნული გრძნობა.

სპეციალური განსწავლულობის უქონლობამ ვაჟა ფშაველას ვერ შეუშალა ხელი ხალხურ შემოქმედებაზე დიდი მნიშვნელობის თეორიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, მისი სპეციფიკური თავისებურებების დახასიათებაში. მან მართებული დაკვირვებებით გაამდიდრა ფოლკლორისტიკა იმ გარემოს შესახებ, რომელშიც იქმნებოდა ზეპირსიტყვიერება. მასვე ეკუთვნის ხალხის სულიერ ცხოვრებაში ფოლკლორის როლისა და ფასის განსაზღვრის ცდაც.

ვაჟა ფშაველას ფოლკლორისტულ და ეთნოგრაფიულ წერილებში ძვირფასი ცნობებია გაბნეული სახალხო მთქმელისა და ინდივიდუალური შემოქმედის დასახასიათებლად, მათ მიერ ნაწარმოებთა თხზვის პროცესის გასაგებად და სხვა. პოეტმა ამ პერიოდში ჯერ კიდევ დაუმუშავებელ მრავალ საკითხზე შეაჩერა

ყურადღება და გაგვიმჟღავნა თავისი თვალსაზრისი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება, რადგან საფუძვლად უდევს გენიოსი პოეტის ალღო და საანალიზო საგნის საუცხოო ცოდნა.

ვაჟა ფშაველას მოღვაწეობა დაემთხვა საქართველოს ისტორიის ძნელბედობის ხანას. სოციალურმა ცვლილებებმა ამ დროს სახე უცვალა არა მარტო ცხოვრებას, არამედ ხალხის ფიქრსა და ოცნებებსაც. ძველი ყოფის ნგრევამ და ახლის დამკვიდრებამ ტრადიციული იდეალების გადაფასებამდე მიიყვანა ხალხი. ეს მტკივნეული პრობლემები არაერთხელ გამოჩნდა როგორც პოეტის პუბლიცისტურ წერილებში, ასევე მხატვრულ შემოქმედებაში. ახალი დრო, ახალი ურთიერთობები შეუფერხებლივ შლიდა ადამიანთა ტრადიციულ ზნეობრივ სახეს და ეს პოეტს ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის, წინსვლის შემაფერხებელ ზღუდედ ესახებოდა. ამიტომ წუხდა დიდი მამულიშვილი, თავისი თხზულებებით ცდილობდა ხელი შეეშალა ამ რღვევისათვის, ხალხში მომავლის იმედი ჩაენერგა.

ეს მოწიფულობის ასაკში იყო, მანამდე კი, ყრმობისას, პოეტს გარს ერტყა ფშაველ სახალხო მგოსანთა და მთქმელთა მრავალრიცხოვანი კრებული. მწერლობისა და ისტორიის დიდი პატივისმცემელი ყოფილა მამა – პავლე რაზიკაშვილი. დედა კი, როგორც ვაჟას უმცროსი ძმა, თედო მოგვითხრობს: „უბრალო რაიმე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი. ის რომ დეევებზედ და ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზედ დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულს არა არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვითმნახველ-გამგონედ მეჩვენებოდა“ (ჩიქოვანი, 1975:292).

მოგვიანებით ვაჟა ფშაველა თავის ავტობიოგრაფიაში ჩაწერს: „საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყვანდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებასო“ (ვაჟა ფშაველა, X, 1964:137). საგმირო ამბების სიყვარულზე, მისდამი გამორჩეულ დამოკიდებულებაზე პოეტი ხშირად მიგვანიშ-

ნებს. ახალ ეპოქასთან შედარებით საგმირო დრო-ჟამისადმი პოეტის საგანგებო პატივისცემა იგრძნობა ძველი ფშაური პოეზიის დახასიათებისასაც. „ფშავლები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშავლის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზედ უთქვამს ლექსი, – მოყოლებული სიცოცხლიდამ სიკვდილამდე და საიქიომდე" (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:19). ამ მდიდარ პოეტურ მასალას ვაჟა ჰყოფს ორ ნაწილად – ძველი და ახალი დროის ლექსებად და უპირატესობას ძველს ანიჭებს.

მართალია, პოეტის მიერ „მშვენიერი და მაღალი კილოს" დამადასტურებელი ლექსებია ნიმუშად მოტანილი ამ წერილში, მაგრამ მათი თემატიკა (ფილოსოფიური, სავაჟკაცო, საგმირო ლექსები და აფორიზმები, სატრფიალო, საისტორიო და სხვ.) აშკარად მიგვანიშნებს ამ ნაწარმოებებში გამოხატულ გარდასულ ეპოქათა იდეალებზე.

ვაჟა ფშაველასათვის შემოქმედების საფუძველი, ხალხური იქნება იგი თუ ინდივიდუალური, არის ცხოვრება თავისი ავ-კარგით, თავისი წეს-ჩვეულებებით, მსოფლგაგებით, იმ ნირით, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაშია დამკვიდრებული (იქვე, 407).

პოეტის მართებული თვალსაზრისით, ძველ ფშავ-ხევსურულ სიმღერებში წარმმართველი იმიტომ არის საგმირო-სავაჟკაცო თემატიკა, რომ „ძველისძველი ცხოვრება... მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა", (იქვე, 82). ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, თემს არ ეჩოთირებოდა მეზობლებთან შუღლი, ერთმანეთის აწიოკება. პირიქით, თემს სხვა ლოგიკა არ გააჩნდა. ამ უმძიმეს ურთიერთობათა დროს, ვაჟას მოწმობით, „ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა... თემსაც ძვირად უღირდა ვაჟკაცი" (იქვე). ხალხი ყველასგან გამოარჩევდა ასეთ გმირებს, უმღერდნენ მათ საქმიანობას და არა მარტო იმას გადმოგვცემდნენ, რაც სინამდვილეში გაეკეთებინათ, არამედ „ფანტაზიითაც

უმატებდა გმირს... ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ" (იქვე).

ხალხური მთქმელების ამ მისწრაფებას გმირის გაიდეალებულად ხატვამდე მივყავართ. ასეთი იდეალი ყველა თემში იყო საჭირო ხალხის ცხოვრების სტიმულაციისათვის. ფანტაზიის მოხმობა გმირის სახის ძერწვისას ხალხური შემოქმედების ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია. ვაჟა ფშაველას შენიშვნა ამის თაობაზე ხსნის ზეპირსიტყვიერების შემქმნელთა დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. მელექსეების წინაშე ყოველთვის იდგა ამოცანა არა ობიექტური სინამდვილის ზუსტი გადმოცემისა, არამედ მისი მხატვრულად გააზრებისა. პოეტურად გარდაქმნილი ხალხური ამბავი ახლოსაც იყო და შორდებოდა კიდეც ობიექტურ რეალობას. ეს მხატვრული სიმართლე იდეალური გმირის ფიზიკურ-ზნეობრივი სახის შესაქმნელად იყო გამიზნული, რადგან ეპოქის მოთხოვნილებათა კარნახით, „თუ არა ვაჟკაცობითა და ვაჟკაცის გმირობის წყალობით, თემს ერთი დღე სიცოცხლე არ შეეძლო" (იქვე, 83).

ასეთ გმირებს ბევრს იცნობდა ფშავ-ხევსურეთი. ქისტებთან ბრძოლაში თავგამოჩენილი ბლოელი ბაბურაული და ჭორმეშელი ბერდია იდეალურ გმირებად ჰყოლიათ დასახული ხევსურებს:

„ვინ შასდეგ საძელის გორსა, (მტრის დასახვედრად)
ვინ შასჭრა ჯაჭვის სახელი (ხმალ აიმაღლე)
– იქნების ბაბურაული,
ხირჩლას უყვარდის სახელი..."

(იქვე, 287).

გმირის სახელისთვის თავდაუზოგავად იბრძვის მთიელი ვაჟკაცი. „ძველს ლექსებში ერთადერთი წადილი, ღაღადისი ისმის: ვაჟკაცობა, მამაცობა, გულადობა... ძველი დრო იყო ვაჟკაცობისა, ძალისა, მტრობისა, მუშტისა და ხმლისა" (იქვე, 166). სწორედ თემური წყობილების პირობებში ჩამოაყალიბა ცხოვრებამ კოდექსი კაი ყმობისა, სამშობლოს, ერის სამსახურისა.

შემთხვევითი არ არის, რომ ფშავ-ხევსურეთის პოეზიაში ჩამოყალიბდა ეს კოდექსი. მასში თემური ყოფისდროინდელი კაი

ყმობისათვის სავალდებულო მრავალი ნიშანია დასახელებული (გულოვნება, პურადობა, შემწეობა სხვათა მიმართ, ღირსების დაცვა და სხვ.). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს კოდექსი გაცდენილია კონკრეტული ეპოქის მოთხოვნათა საზღვრებს და გამოსადეგია ყველა დროისათვის, ამაღლებულია ზოგადობამდე. აკი ვაჟა ფშაველა მიგვითითებს, რომ ზოგადი თვალსაზრისი ხშირად კონკრეტული ფაქტის საფუძველზე ყალიბდება. კერძო ამბავი ედება სარჩულად საზოგადო იდეალს და ასე გადაიქცევა ნორმად:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარნი უნდან ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხნი შავარდნისანი“
(იქვე, 83).

მართალია, პოეტი აღიარებს, რომ „ძველი ფშაური გმირის იდეალი სასტიკია, უკიდურესობამდე მიდის“, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ სასტიკ დროში სხვაგვარად სახელის მოპოვება ვერ ხერხდებოდა. სახელის მაძიებელი ვაჟკაცები სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე გადიოდნენ და გამარჯვებული მხოლოდ ნამდვილნი რჩებოდნენ. სახელოვანნი ამიტომ იყვნენ თითებზე ჩამოსათვლელნი. მათ თემი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა და ამასაც ჰქონდა თავისი საფუძველი. თემისთვის თავდადებულ გმირს „ხატობის დროს ხევისბერი განსაკუთრებულ დიდის თასით საკარგყმოს (კაი ყმა) ასმევს. გმირი ხდება საგნად ქება-დიდებისა ლექსებში. სიკვდილის შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი. ჯერ ხევისბერი იტყვის და მერე დიდი და პატარა მიაყოლებს შესანდობარს. დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა; სხვას აძლობს, თვითონ მშიერია, სხვის სიცოცხლისათვის მებრძოლი თვითონ სიკვდილს ეძლევა პირში“ (იქვე, 87).

სხვა რა მიზეზით უნდა გაჩენილიყო კაი ყმის ქებათა გვერდით „ცუდაის“ მაძაგებელი ლექსები?

„კაი ყმის ცოლი ტიროდა:
ოხრადა მრჩება ბინაო“.
„იცინის ცუდაის ცოლი:
„გამაიქცევა (ჩემი ქმარი) წინაო“.
გამოქცეულის მოსვლასა,
აღარ მოსვლა სჯობ შინაო.
ჩამორბის კოკლაის გორსა,
თვალ-შურთხო, შენი ქმარიო.
მისცევით ტარ-სახეხავნი,
გააბზრიალოს ტარიო.
საბუჩეს ჩარდახ აუგეთ,
გააზდევინეთ ქალიო“
(იქვე, 166-7).

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის მთაში უკვე საბოლოოდ გაფორმდა ტრადიციულ ფასეულობათა გადასინჯვის პროცესი. ძველ იდეალებზე აღზრდილი ხალხი (განსაკუთრებით მოხუცები) ჩივილს მიეტანა. ამ პროცესის შეჩერება აღარაფერს შეეძლო. ამიტომ წერს პოეტი: „რა ქნას ახალი დროის ფშაველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით“ (იქვე, 19).

დრომ ახალ ლექსებში – ერის ცხოვრების სარკეში – უმთავრეს საკითხად დააყენა სოციალური პრობლემა. „ამ ლექსებში ჩვენ ვხედავთ ცხადად, ნათლად, ერის გულსა და სულს. ვხედავთ, რომ უმთავრესი ძალა ერის გონებისა მიმართულია ცხოვრების ეკონომიურ მხარეზე“ (იქვე, 168). ისმის ჩივილი სიღარიბესა და უსახსრობაზე, ძალმომრეობაზე, ქურდობასა და ძარცვაზე, მრუშობაზე. საქმე იქამდე მისულა, რომ „სიავ-სიკეთე კაცისა მის ეკონომიურის მდგომარეობით იზომება. ახლა „კაი ბიჭობა“ სარჩოთი, ქონებით“ ფასდება. თუ ძველად ომიდან გაქცევა იყო სირცხვილი, ახლა სიღარიბეა ადამიანის ნაკლად მიჩნეული, თუმცა გამდიდრებულთა მიმართ ირონიული დამოკიდებულება აშკარად იგრძნობა ყველა ლექსში. ეს ფაქტი კარგად მიგვანიშნებს ახალ ლექსთა გამომთქმელებზე – ღარიბ მშრომელებზე.

საერთო ვითარებამ, ახალი დროის მიერ წარმოშობილმა პრობლემებმა ფერი უცვალა არა მარტო ადამიანთა ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას, თავად პოეზიაც შეიცვალა. „ახალი ლექსები, – წერს პოეტი, – რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკვნესის სატირული ნაღველი; რეალური მიმართულება ახალი დროის ლექსებისა უწმაწურობამდე, ცინიკობამდე მიდის ხალხში სატირა იბადება, როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება..." (იქვე, 19).

ტრადიციული ზეპირსიტყვიერი პოეზია ამ დროსაც ძირითად არსენალად რჩება პოეტის თანამედროვე ფშაველი მელექსეებისათვის, თუმცა ახალი ნაკადის მომძლავრებაც აშკარაა. ვაჟა ფშაველა მართებულ დაკვირვებას გვთავაზობს ძველისა და ახლის სინთეზის უაღრესად საინტერესო პროცესზე: „ფშაურს პოეზიაში შეერთებულია უკიდურესი იდეალიზმი უკიდურეს რეალიზმთან. მელექსე, სადაც სატრფოს ადარებს „უკვდავების წყაროს", ვარსკვლავს, მზეს და მთვარეს: – „პირს რომ დაიბანს ლამაზი, შუქნი მთას გადივლიანო" და სხვ. იქვე, იმასთან, არ დაისვენებს, ვერ მოითმენს, რომ არ შეურაცხყოს ადამიანის ესთეტიკური გრძნობა (იქვე, 175).

ასეთი თავისუფლების დასტურს ვაჟა მრავალ ლექსთა გვერდით კაფიის ნიმუშებშიც ხედავს, რომლებშიც სიმბოლოებით არის ასახული ეროტიკული თემები.

ახალ დროში ფშავლისათვის შეიცვალა სათაყვანებელი ქალის დანიშნულებაც. თუ აქამდე ლექსებში მის გარეგნობაზე იყო უმთავრესი ყურადღება გამახვილებული (ირჩევდნენ ქალებს „ალვის ტანიანს", მშვენიერი პირ-კბილის, თმის, თვალ-წარბის და სხვა ნიშნების მიხედვით), ახლა შრომისუნარიანობისა და გამძლეობისათვის მიუნიჭებიათ პრიორიტეტი. „ახლა ლამის ქერის მკაში გამოიხატოს ქალის იდეალი!" – წუხს ვაჟა და ასახელებს ლექსებს, რომლებშიც მამაკაცები ჩივიან ცოლის შუადღემდე ძილზე, ჭამის გაზრდილ მადაზე, ჩოხის დაუმთავრებლობასა და სხვ. (იქვე, 108-109).

მსგავსი ლექსები აქვს მხედველობაში დიდ პოეტს, როცა მსჯელობს ერის ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების ზეპირ-

სიტყვიერებაში დაუყოვნებლივ ასახვაზე. ჩვეულებრივ, ლიტერატურულ შემოქმედებაზე ადრე ხალხურ პოეზიაში გამოჩნდება ხოლმე ამგვარი თემები. ეს აქცევს ფოლკლორულ პოეზიას ცხოვრების სარკედ.

ვაჟა ფშაველა შემთხვევით არ განაცალკევებს ფშაველთა ძველ და ახალ პოეზიას. გარდა ობიექტური ვითარების ასახვისა, პოეტი გარკვეულ აზრს დებს ასეთ დიფერენციაციაში. აშკარაა ვაჟას პოზიცია: მას მთაში არც კაპიტალიზმის ასე შეუფერხებლად შემოჭრა მოსწონს და არც მისი პროდუქტი – უიდეალო, ყოფითი ურთიერთობების ამსახველი ახალი ლექსი მისთვის მხოლოდ დროის სულისკვეთების გამომხატველია და ვერ გაუტოლდება ძველი ფშაური პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთაც ვაჟა დიდი პატივით ეკიდება, თუნდაც იმიტომ, რომ ზნეობრივი სიმაღლის გარდა, მათში მეტ პოეტურს და ამაღლებულს ჭვრეტს.

საყურადღებო დაკვირვებები ჰქონდა პოეტს ფშაური სატრფიალო პოეზიის ტრადიციაზეც. „ძველის დროის ფშაველს, – წერს პოეტი, – უყვარდა ქალი, როგორც მშვენიერების, სიმშვიდის და სიწმინდის წარმომადგენელი. ქალს უყვარდა ვაჟი გულადობისათვის, ვაჟკაცობისათვის, და დიდი ზემოქმედებაც ჰქონდათ ქალებს კაცებზე“ (იქვე, 18). მართალია, ფშაური სატრფიალო პოეზიის დიდი ნაწილი „წაწლობის“ ჩვეულების ამსახველია, მაგრამ გავრცელებულია წმინდა სატრფიალო ლექსებიც, რომლებშიც არ ჩანს ამ ტრადიციული ჩვეულების კვალი. ვაჟა ფშაველას მოწმობით, წაწლობა ერთი მამოძრავებელი ჩარხთაგანია ხალხური შემოქმედებისა. ვაჟას დაკვირვებით, ძველად წაწლობას, გარდა ადამიანთა სიყვარულით გაფაქიზებისა, სხვა პროგრესული როლიც ჰქონია დაკისრებული: „ვაჟკაცი მუდამ სცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათის დიფირამბების ღირსი. ქალები ხშირად ვაჟკაცებს ვაჟკაცობისათვის ალექსებდნენ კიდეც, ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და წაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისთვის რისხვის მიმცემს ვაჟკაცს იკიდებდნენ“ (იქვე, 101).

ვაჟა ფშაველა მაღალ შეფასებას აძლევდა წაწალთა პოეზიას, დიდი ლირიკული აღმაფრენით ნიშანდებულად მიიჩნევდა ასეთ ლექსებს:

„მამერევიან ტირილნი,
შამამეყრება გულსაო,
ვაჰმე, რა ძნელად მიყვარხარ,
შენ კი არ მიგდებ ყურსაო!
სიზმარში მამეჩვენება,
ჩემს წინ სადამა ჰყუდაო,
ნახანის მომაგონდები,
სამ დღეს არა ვსჭამ პურსაო...
წაწალს ვეშაგურს ენაცვლოს
ქალი თინაი გულსაო".

ან

„სიყვარულმა და ნდომამა
სიკვდილ არ იცის ქალისა,
ნეტავი ნისლად მაქცივა,
გადმოვიქლიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
საცა შენა ხნავ ხარითა"
(იქვე, 100).

პოეტი, ამასთან ერთად, შემდეგ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: „თუმცა ფშაველი – დედაკაცს ეშმაკეულობას, ეშმაკისაგან ჩამომავლობას მიაწერს, მაგრამ მაინც დედაკაცის ზემოქმედების ქვეშ არის მომწყვდეული, მონაა იმისი, ლოცულობს იმას ხატივით..." (იქვე, 104). პოეტი საგანგებოდ ჩერდება სიყვარულის საკითხში ქალისა და კაცის ფსიქოლოგიაზე და ქალს ანიჭებს უპირატესობას, როგორც წმინდა, უბიწო, შეუბღალავი, შეუგინებელი გრძნობის დამცველს.

ვაჟა საუკეთესო მცოდნეა ფშაური ყოფისა და იცის, რომ ცხოვრების პირობები, ქალის უმძიმესი შრომა ოჯახსა და მის გარეთ, ადრევე სპობს სიყვარულის ამაღლებული გრძნობის საფუძველს. პოეტის აზრით, მხოლოდ განუხორციელებელი სიყვა-

რულისაგან მიღებულ სულიერ ძვრებს ძალუძს ლექსად გაამჟღავნოს თავისი გრძნობა ისე, როგორც ეს შეძლო უნიჭიერესმა პოეტმა ქალმა ხვარამზემ.

„შენ ჩემო დიდო იმედო,
მზევ, მოფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
მოსდიხარ ოქროს მილითა,
შენთანაც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა...
შენისამც ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შაგეჭრებოდი –
ან შენი ნანდაური (წაწალი) მქნა,
გულს დარდად ჩაგეჭრებოდი,
ანამც თასი მქნა ოქროსი,
რო ღვინით აგეესებოდი,
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდი – შაგერგებოდი,
ანა მქნა მოვის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი...“

(იქვე, 353)

ვაჟა ფშაველას წერილებში მისი მრავალი თანამედროვე სახალხო პოეტის შემოქმედებას ვეცნობით. ესენი არიან: ჯაბანა, მერცხალა – ფოთოლაანთ გამიხარდი, კაცობა, პარასკევა ფხიკელიშვილი-გაბიდოური და სხვ. დიდი პოეტი მაღალ შეფასებას აძლევს მათ ნიჭს, დაულეველ ოპტიმიზმს და იმასაც აღნიშნავს, რომ ღვთით მომადლებული ნიჭის ადამიანები იყვნენ. მათ ამღერებდა როგორც წუხილი, ისე სიხარული, ოღონდ თითოეული მათგანის გამოსახატავად საგანგებო საღებავებს არჩევდნენ და მშვენიერ პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. ვაჟა ფშაველას მიერ დამოწმებული ხალხური ლექსები ნათლად ადასტურებს პოეტის თვალსაზრისს, რომ მხოლოდ გარემო პირობებისა და ცხოვრების ჭირ-ვარამისა თუ სიხარულისაგან მიღებული შთაბეჭდილებები იქცეოდა პოეტური შთაგონების საგნად. დრო, ეპოქა და მისი პრობლემები უტყუარად, შეუფერადებლად აისახება ხალხურ

ნაწარმოებებში და სწორედ ესაა მათი მომხიბვლელობის საფუძველი. ვაჟას შეუცდომელი განსაზღვრებით, „ერის თქმულებაზედ თვით ეპოქა მოქმედობს და ამიტომ ხდება, რომ ერი შესანიშნავის საუკუნის შესანიშნავს მოვლენას ამბად, ზღაპრად ან ლექსად გამოიტყვის ხოლმე" (იქვე, 116).

ფშაველ სახალხო მთქმელთა შემოქმედების რეალისტურ საფუძველზე დავანებას შემთხვევით არ უსვამს ხაზს პოეტი. ხალხურ მგოსანს ის ამღერებს, რასაც ხედავს და განიცდის. განყენებული მის თვალსაწიერში იშვიათად მოხვდება ხოლმე და თუ იმაზედაც თქვა სიტყვა, ისიც აუცილებლად კონკრეტული შემთხვევით იქნებოდა შეპირობებული.

თავისი თანამედროვე ხალხური პოეტების დახასიათებას ვაჟა მათივე შემოქმედების ხასიათის გათვალისწინებით ცდილობს. გარდა ლექსებისა, პოეტი გვაცნობს ეპიზოდებს მელექსეთა ცხოვრებიდან. ასე, მაგალითად, ფშაველ მელექსეთა ლიდერი, მერცხალა მამასახლისის გალექსების შემდეგ ახალ ლექსს ქმნის, რითაც მამასახლისის ცნობისწადილის დაკმაყოფილება განუზრახავს:

„რად გინდა ჩემი გაგება,
ან ჩემის ამბის კითხვაო?
– ფოთოლათ მერცხალაი ვარ
ურძნის ჯოხივით ლიტაო,
კარზედ დიდი მაქვ მამული, –
სახნავი ერთის თვისაო.
ას კოდიანში ქერ მიძე,
ორასიანში წმინდაო;
კარზედ მიბრუნავს წისქვილი,
დავფქვავ, რომელიც მინდაო.
კარიკურ ხილით სავსე მაქვ,
ვაშლითა, ხელის სხლითაო...
ბიჭი ვარ კაის-ყელშია (პირის გემოიანი),
რაც მინდა, პირსა ვკითხაო...
კარჩი მგელ ვერას შამიჭამს, –
შინ შემოტანილს – ციცაო"

(იქვე, 31)

ამ კაფიის პოეტური ღირსება ნათელია. პოეტი იყენებს ფოლკლორში ძალზე გავრცელებულ მხატვრულ ხერხს, თვითირონიას, მიიწერს არარსებულ სიმდიდრეს, „შეედიდება" მამასახლისს და მხოლოდ ფინალში გამოტყდება, რომ დასცინოდა თავის თავს.

საკუთარი მდგომარეობის შეუფარავი დახასიათებაა ჯაბანას გამოთქმული კაფიის მთავარი ღირსებაც. აქაც ლექსის შინაარსი იქმნება რეალური ამბის საფუძველზე (იქვე, 33).

ვაჟას მითითებით, იუმორით იყო სავსე ფშავში პირველი მოლექსის, პარასკევას ლექსებიც (იქვე, 134).

დიდ პოეტს ძლიერ მოსწონდა ფშაველ მელექსეთა ეს მისწრაფება – თავად გაეცინათ საკუთარ უკუღმართ ბედზე და ამით დაეძლიათ სირთულეები, თავიდან მოეშორებინათ უიმედობა და სასონარკვეთა, რასაც რეალური ცხოვრების პირობები უქმნიდათ. ეს კონკრეტულ საფუძველზე აგებული ლექსები იმით არის საინტერესო, რომ, ერთი მხრივ, რეალურ ყოფას ასახავს, მეორე მხრივ კი, გვიდასტურებს მელექსეთა ინდივიდუალურ წვლილს კოლექტიურ შემოქმედებაში. ვაჟას მოწმობით, მისი დედის ბიძამ, პარასკევამ, პირველმა შექმნა „სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს". მისი ლექსები დღესაც ცოცხლობს, იმას დღესაც მღერის ხალხი", რაც იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, რომ ინდივიდუალური შემოქმედება კოლექტიურად, ხალხურად წოდების უფლებამოსილებით აღიჭურვა.

ვაჟა ფშაველას მოსწონდა და ანგარიშს უწევდა ხალხის აზრს. მას უყვარდა ხალხში ტრიალი, თანამემამულეთაგან ისმენდა და იწერდა ლექსებსა და გადმოცემებს, დაკვირვებულ ცხოვრებისეულ განსჯას ხედავდა მოვლენათა მათეულ შეფასებაში, თვით ხალხურ ქმნილებებში. „მდაბიო ხალხი თუმცა მდაბიოა, მაგრამ იმასაც თავისი საკუთარი აზრი, თავისი საკუთარი შეხედულება აქვს მსოფლიოზე. ხალხი, როგორც კრებული გონიერ არსებათა, ეძებს მიზეზს ყოველგვარ ამბისას, რასაც კი იმისი

თვალი და ყური სწვდება. ყოველ ამგვარ ამბავს თავისებურად გაიგებს, თავისებურ მიზეზს უპოვნის...“ (იქვე, 82).

უბრალო მშრომელი კაცის თავისუფალ აზრსა და ყოფიერებით დაღდასმულ მსოფლგაგებაში ვაჟა ფშაველა ხედავს ხალხური აზროვნების ანგარიშგასაწევ ღირებულებას და ხაზს უსვამს ზეპირსიტყვიერების არა მარტო შემეცნებით, არამედ ისტორიულ მნიშვნელობასაც.

შაირის თხზვის შემოქმედებითი პროცესის გასათვალისწინებლად დიდად საინტერესოა პოეტის შთაბეჭდილებები თავის თანამედროვეებზე. კაფიაობა იმითაა ფასეული, რომ მოპაექრეები უმკლავდებიან „ერთი მეორეს არა წინად გაგონილის ან ნასწავლის შაირით... მოლექსენი საკვირველს ენა და გონება მახვილობას იჩენენ ამ შეკამათების დროს, უცხო კაცს ეგონება წინადვე მომზადებულან ამ სიტყვიერი ბრძოლისთვინაო, იმდენად დახელოვნებულნი არიან“ (იქვე, 163). ვაჟას საილუსტრაციოდ მოაქვს მოყვრისა და ახალი სიძის ექსპრომტი პაექრობის ნიმუში, რითაც თვალსაჩინოს ხდის კაფიაობის არსსაცა და მოკაფიავეთა უნარსაც.

მოყვარე: „დუქნისას ჩამოვიარე,
ცნობა მეწადა სიძისა,
რა კარგი ქალი მოგეცით,
ვაჰმე, მოგიკლავთ სიმშილსა?!“

სიძე: ქერის პურს არც მე დავაკლებ,
არც თქვენ გაჰზარდეთ ბრინჯითა.
ისეთებ მიდგა გოდრები,
შიგ ვერ ჩაჰხდები კიბითა“.

მოყვარე: „ცხენებს დაჰწყვიტეთ წელები
კახეთს ნახვეწის ზიდვითა...“

სიძე: „თასურეების პარვასა –
ხვეწა სჯობ ჩემის ფიქრითა“

(იქვე)

ამგვარ ექსპრომტად ნათქვამ შაირებში, როგორც პოეტი მიგვითითებს, ძირითადად მოპაექრეთა (ზოგჯერ მათი გვარის)

ნაკლოვანებებზეა გამახვილებული ყურადღება, რათა ნათქვამი მოქიშპისათვის „ტყემალივით კბილის მჭრელი" გამოდგეს. ექსპრომტი შაირებით კაფიაობა ტრადიციული ხალხური ნაწარმოებების მთქმელებს უჭირთ, როცა ინდივიდუალური შემოქმედების ნიჭი და უნარი აკლიათ.

როგორც ცნობილია, ერთი კუთხის ადამიანთა თვალწინ შექმნილი კარგი კაფიები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში. განსაკუთრებულად ნიჭიერად თქმული შაირები დროთა განმავლობაში ტრადიციულად იქცეოდა და მიუხედავად იმისა, რომ კაფიათა ერთი ნაწილის ავტორები ისევ ცნობილი იყვნენ, ეს ლექსები მაინც კოლექტიურ შემოქმედებაში ერთიანდებოდა.

კაფიის შემოქმედთა თხზვის უნარს, პოეტურ ოსტატობას, ბუნებრივად მივყავართ ზეპირსიტყვიერების ერთ სპეციფიკურ თავისებურებასთან, კერძოდ, ფოლკლორში ინდივიდუალურისა და კოლექტიურის ურთიერთობის პრობლემასთან. ამ საკითხებზე ვაჟას ძალზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული.

მარტო კაფია კი არა, ნებისმიერი ხალხური ნაწარმოები თავდაპირველად ინდივიდუალური შემოქმედების პირმშოა, ვიდრე ხალხურში არ გავრცელდება და მათ აღიარებას არ დაიმსახურებს, ხალხის აზრისა და ფიქრის გამომხატველად არ იქცევა. ეს მნიშვნელოვანი თვალსაზრისი ვაჟას მტკიცედ ჰქონდა შეთვისებული, რა თქმა უნდა, არა თეორიული სახელმძღვანელოებიდან, არამედ ფშაველ მელექსეებზე დაკვირვების შედეგად. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე ხახანაშვილის ოპონენტი ვაჟა ფშაველა დიდი დამაჯერებლობით მიუთითებდა: „განა ხალხურ ამბავს, ლექსს რომ ვეძახით ამ სახელს, მართლა მთელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ამის შედგენაში, ხომ აქაც ერთი, ცალკე აღებული ერიდამ პირი იტყვის ჯერ და მერე ხალხი გაიმეორებს, მიუმატებს, ან დააკლებს" (იქვე, 116).

ორიგინალური მწერლობა ოდითგანვე სარგებლობდა ზეპირსიტყვიერებით, რადგან მასში ხედავდა ხალხის ფიქრისა და ოცნების გამოხატულებას. ვაჟა ფშაველასათვის ხალხურ შემოქმედებას ცხოვრების ლაბირინთებში ღრმად ჩახედვის, მისი შეს-

წავლის მნიშვნელობა ჰქონდა. „დიდად საჭიროა მწერლობისთვის საერო ლიტერატურის ცოდნა. ეს ცოდნა მწერალს აძლევს ჯერ ცნებებს, – სიტყვებს და მერე გააცნობს ერის სულის და გულის მოძრაობას, მის აზრს ცხოვრებისას" (იქვე, 53).

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ვაჟა ფშაველას მსჯელობა საკითხზე, თუ რა შთააგონებს ხალხურ პოეტს ლექსად დააწყოს თავისი ფიქრი. პოეტი საუბრობს იმ გარემოსა და პრობლემებზე, რომლებიც სტიმულს აძლევს ადამიანს ლექსად აქციოს თავისი გრძნობები. „პოეზიას, საზოგადოდ, და უფრო კი ხალხურს, ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: გამოხატვა, დასურათება თანამედროვე ცხოვრებისა, – აწმყოს ჭირ-ვარამისა და ლხინ-გახარებისა", – ამბობს პოეტი და თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად ინდივიდუალურ მწერლობასთან ავლებს პარალელს. ბევრჯერ პროფესიონალი პოეტი, ვაჟას აზრით, „თავის საკუთარ თვალთა ხედვას და ყურთა სმენას იხშობს და იმეორებს სხვისგან გაგონილს, სხვის ჩანაგონარს ჰანგსა". ვაჟა ფშაველას ეს დაპირისპირება იმისთვის სჭირდება, რომ სხვადასხვა რიგის შემოქმედთა შესაძლებლობების მასშტაბი განსაზღვროს. მწერლებს დიდი ასპარეზი აქვთ თავიანთი ცოდნისა და თვალსაწიერის გასაფართოებლად, ხალხური პოეტი კი მოკლებულია ამ შესაძლებლობებს. ვაჟა ამ ფაქტს მიიჩნევს ხალხური შემოქმედების ლიტერატურისაგან განსხვავებული განვითარების საფუძვლად. „მდაბიო მგოსანი რამ უნდა აამღეროს, აალაპარაკოს, თუ არ გარე შემორტყმულმა ცხოვრებამ, მისმა სიტკბომ თუ სიმწარემ, სხვადასხვა ბუნების მოვლენამ, მით უმეტეს, რომ ხშირად წიგნს მისკენ ბილიკი დახშული აქვს..."

პაექრობამ „ვეფხისტყაოსნის" წარმომავლობის პრობლემაზე ვაჟა ფშაველას რამდენიმე დიდად ღირებული თეორიული თვალსაზრისი გამოათქმევინა. პოლემიკისას პოეტი კატეგორიულად მოითხოვდა: „ჯერ საბუთების შეგნებაა საჭირო და მერე აზრი თავისთავად დადგინდება". ვაჟა აუცილებლად მიიჩნევდა კვლევისას სწორი სამეცნიერო მეთოდის მომარჯვებას: „ცხადია ყველასათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეთოდს სამეცნიერო

მოვლენათა გასაგებ-შესაგნებლად. მეთოდი სასწორია, საზომი, რომლითაც უნდა აიწონოს და გაიზომოს ასაწონი და გასაზომი. ხშირად შეიძლება, რომ ეს საზომი ყალბი იყოს და მაშინ სანდობი არ არის ამგვარის სასწორ-საზომით აღებ-მიმცემი კაცი. ყალბს მეთოდზედაც სწორედ ესევე უნდა ვსთქვათ" (იქვე, 114).

„ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის სპარსულიდან ნასესხობის საწინააღმდეგოდ ვაჟა ფშაველა აქცენტს აკეთებს პოემაში ქართული სინამდვილის გადმოცემის ფაქტზე. იგი შოთა რუსთაველის ნააზრევს ქართველის გულიდან ამოღებულად, მთელი ერის არსების გამომხატველად მიიჩნევს. ვაჟას ღრმად სწამს, რომ რეალური ქართული სინამდვილეა რუსთაველის შემოქმედების საფუძველი: „ნუთუ თამარის დიდებული ეპოქა თავის გამოჩენილი ისტორიული პირებით, მჩქეფარე, გამარჯვებული ცხოვრება, არ აღაფრთოვანებდა შოთას, არ ააჟღერებდა მის ჩანგს, არ აძლევდა მასალას ტიპების შექმნისას, შინაარსს „ვეფხისტყაოსნისათვის?" (იქვე, 116).

პოემის ფოლკლორულ გადმოცემაზე აგების უარსაყოფად, სხვა საბუთების გვერდით, ვაჟა „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკის განსხვავებულობაზეც მიუთითებს. „ვეფხისტყაოსნის" ლიტერატურულ ჩამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ტაეპს სხვადასხვა რითმა (დაბოლოება) აქვს და საერო „ვეფხისტყაოსანშიც" ამასვე ვხედავთ.."

ამ დაკვირვებით ვაჟა იმ აზრისკენ იხრება, რომ ხალხური თქმულება შოთა რუსთაველის პოემის ხალხში გადასვლის ნიმუში უფროა, ვიდრე პირიქით. ვაჟა ფოლკლორული ლექსების ტრადიციულ ერთრითმიანობაზე ამახვილებს ყურადღებას: „...ნამდვილ ეროვნულ ლექსებს ამ [რუსთველის პოემის] თვისებას ვერ ვამჩნევთ: რომელი დაბოლოებაცა აქვს ლექსის პირველ სტრიქონს, იგივე დაბოლოება რჩება ყველა სტრიქონს" (იქვე).

ოცი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" ვაჟა ფშაველა ისევ დაობს პოემის სპარსული წარმოშობის თაობაზე, თავად ამბავი და პერსონაჟები ქართველებად მიაჩნია და თვლის, რომ პოემის არა თუ სპარსუ-

ლი, ქართული ხალხური წყაროს აღმოჩენაც კი ვერასგზით ვერ დაჩრდილავს შოთა რუსთაველის პოემის ორიგინალობას და თვით ავტორის შემოქმედებით გენიას (იქვე, 303-318; 319-331).

შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკური თავისებურებების გამჟღავნებისა და პოეტის ხალხური ნაწარმოებისადმი მიდგომის ხასიათის განსაზღვრისათვის საინტერესოა ვაჟას დაკვირვებები: „ლეგენდა, ზღაპარი თესლია მხოლოდ და, მაშ მარტო თესლშია ძალა და ის აღარ უნდა ვიკითხოთ, როგორს ნიადაგზე ითესება ეს თესლი? ნიადაგი პოეტია, რომელმაც ერთი მარცვალი უნდა ათასად აქციოს" (იქვე, 307). ასეთ ნაყოფიერ ნიადაგად იქცა ვაჟა ფშაველა თავისი საუკეთესო ქმნილებების: „ალუდა ქეთელაურის", „სტუმარ-მასპინძლის", „გველის მჭამელის" და სხვათათვის ახალი სულის ჩადგმისას. ზემოწარმოდგენილი თვალსაზრისი რომ არ გამოეთქვა კიდეც პოეტს, თავად მისი ხელიდან გამოსული თხზულებები დაადასტურებდა მათი შემქმნელის ჭეშმარიტ პოზიციას.

შეუცდომელია ვაჟა ფშაველას მეორე თვალსაზრისიც. პოეტი შემოქმედებითი პროცესის დახასიათებისას ამბობდა: „რაც უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანგანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული... და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარ სულსა და გულსა, არაფერი გამოვა..."

როგორც ვხედავთ, ვაჟა სავალდებულოდ თვლის მწერლის მიერ ხალხური ნაწარმოების ჯერ გათავისებას, მერე მასში ახალი სულის ჩადგმას. მოგვიანებით ვაჟა საკმაოდ აკონკრეტებს თავის თვალსაზრისს და ნაწარმოებისათვის ახალი იდეური მიზანდასახულების მიცემის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, ძველიდან თვისობრივად ახალი მთელის წარმოქმნას მოითხოვს: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნა-

წარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“ (იქვე, 361).

ხალხური ნაწარმოების საფუძველზე ღირსეული ორიგი-ნალური თხზულების შექმნის სხვა გზა მწერლობის ისტორიამ არ იცის.

„ვეფხისტყაოსნის“ გარშემო შექმნილ სჯა-კამათს პოეტისთვის მიუცია ბიძგი მოეთხრო თავისი შემოქმედების წყაროების შესახებ, რათა შემდგომ მისი ნააზრევი არ ქცეულიყო „თავსამტვრევად, საქექ-საჩხრეკად“. პოეტი ამჟღავნებს თავისი პოემების – „ბახტრიონის“, „გოგოთურ და აფშინას“, „სტუმარ-მასპინძლის“, „გველის მჭამელის“ – წყაროებს (იქვე, 320-324). მოგვიანებით იპ. ვართაგავასადმი დაწერილ პასუხში ვაჟა დამატებით „ალუდა ქეთელაურის“ წყაროს აცნობს მკითხველს (იქვე, 365). პოემა „გიგლიას“ წყაროს ვპოულობთ ვაჟას წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“ (იქვე, 83-84), ხოლო „კოპალასი“ წერილში „კოპალა და იახსარი – დევების მებრძოლნი“ (იქვე, 77-81).

ვაჟა ფშაველა დაუფარავად აცხადებს თავის წარუმატებლობაზე შემოქმედებითი ძიებებისას. „რომელ ლეგენდას თუ ზღაპარს გაუვლია ჩემის ფანტაზიის მანგანაში, რომელიც თავისებურად შემიმუშავებია, კვალი დაუმჩნევია მკითხველების გულ-გონებაში და რომელიც პირდაპირ გამილექსია – არც ერთს შეგნებულს მკითხველს... ჩემთვის სახელად არ მოულოცია“ (იქვე, 324).

ვაჟამ თავისი შემოქმედების წყაროების დასახელებასთან ერთად მართებულად განსაჯა მსოფლიო ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთა – გოეთესა და შექსპირის მიდგომა ხალხურ თუ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გადამუშავების პრობლემებისადმი, ზუსტად დაახასიათა „ქმნის, შემოქმედების“ პროცესი*.

---

* ფაუსტზე არსებული ლეგენდის საფუძველზე ნაწარმოების შექმნა გოეთემდე მრავალმა ავტორმა სცადა (კ. მარლო, გ. ლესინგი, ნ. ლენაუ და სხვ. (დაწვრილებით იხ. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, VI, 1989:62-65), მაგრამ

1914 წელს ვაჟა ფშაველა ისევ მსჯელობს შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებზე. მისი აზრით, პოეტური ქმნილება განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა შემოქმედს თავის მიერ ღრმად განცდილი გადააქვს ქაღალდზე. „მკითხველი მხოლოდ მაშინ წამოიძახებს პოეტის ნაწარმოებზე: „რა კარგია, რა მშვენიერებააო", როცა სურათი, რომელიც მან დახატა, ისეთს სულიერ ტკივილებს აგრძნობინებდა მწერალს, როგორც ფიზიკური ტკივილი გულისა, თავისა, მთელის სხეულისა... სურათის ქმნა პოეტის გულ-გონებაში მშობელ ენაზე სწარმოებს, ჩუმად, ყრუდ..." (იქვე, 298).

ამავე რიგისაა ვაჟას მეორე თვალსაზრისი, რომელიც ხალხურ ნაწარმოებთა შესრულებაზე გამოუთქვამს პოეტს. ვაჟა ფშაველა მიუთითებს შემსრულებლის სულიერი მდგომარეობის ნაწარმოების ხასიათთან შერწყმის აუცილებლობაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი მსმენელზე დიდი ემოციური ზემოქმედების მიღწევა. ასეთი განცდა დაუფლებია თვით ვაჟას ხევსური ჩალხიას მიერ ფანდურის აკომპანიმენტით ერეკლე მეორის ციკლის ერთი ლექსის შესრულების მოსმენისას: „დაჰგმინავდა და დაჰკვნესოდა ჩალხია ფანდურს, ჭერიცა სახლისა ჰგმინავდა, სარკმლიდამ მომჩინარი მაღალი მთა მდუმარებდა. კედელზე დაკიდებული აბჯარი და თვით ჩალხიას დაშნაიც არას იტყოდნენ" (იქვე, 206).

ლეგენდასთან ჭიდილში მხოლოდ გოეთე გამოვიდა გამარჯვებული, რადგან, ვაჟას თქმით, „დიდი ტვინისა და გრძნობის პატრონს" ჩაუვარდა ხელში.

ვაჟა ასახელებს უ. შექსპირის სამ ტრაგედიას – „ჰამლეტს", „მეფე ლირს", „რომეო და ჯულიეტას", თუმცა საჭიროდ არ ცნობს ნაყროებზე მითითებას. გავიხსენოთ, რომ „ჰამლეტის" ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენდა კიდის ფეოდალური შურისძიებისა და სისხლის აღების იდეით გამსჭვალული „ჰამლეტი"; „რომეო და ჯულიეტას" წყაროდ შექსპირს შეეძლო გამოეყენებინა რამდენიმე წყარო: ქსენეფონ ეფესელის „ეფესიაკა", იამბიკუს სირუსის „ბაბილონიაკა", ოვიდიუსის „მეტამორფოზები" და სხვ; „მეფე ლირისათვის" შექსპირს გამოუყენებია რამდენიმე წყარო. იხ. უ. შექსპირი, ტრაგედიები, II, გ. გაჩეჩილაძის რედ., თბ., 1954:781-3.

კვნესა ესმის ფშაველის სიმღერაშიც პოეტს აფხუშოს ხატის ეზოში შეყრილთა სიმღერისათვის ყურის გდებისას: „სიმღერის ხმა გულსა სწვდება და ნაღველს აღვიძებსო“, – გვეუბნება პოეტი.

ვაჟა ფშაველას დაკვირვება ხსნის ხევსურული სიმღერის სპეციფიკურ თავისებურებებსაც, როცა წარმოგვიდგენს მთების ლაღი შვილის მშობლიურ გარემოში დაბრუნების სურათს და სულის იმ ზეიმს, რომელიც შინ მობრუნებას ახლავს. „ხევსური მაშინ არის სანახავი, როდესაც ბარიდან მთაში მიდის; იგი გაცოცხლდება, დაიწყებს ყვირილს, სიმღერას, მთელს არაგვის ჭალას ააქოთებს და ააზრიალებს; ხევსურის სიმღერა ხმამაღლა ტირილის ზარს მოგვაგონებს; იგი როდესაც იმღერის – გმინავს და მთებსაც აგმინებს“ (იქვე, 46-47).

ვაჟა ფშაველა შესანიშნავად გრძნობს იმ იდეალიზაციას, რომელიც ისტორიულ პირებთან დაკავშირებულ თქმულებებსა და ლექსებში მოჩანს. ეს პოეტური პლანი კარგადაა წარმოჩენილი თამარ მეფეზე არსებულ ეტიმოლოგიურ თქმულებაში, რომელშიც ქართველი ხალხი შეეცადა თავისი საყვარელი დედოფალი ყოვლისშემძლე უძლიერეს პიროვნებად წარმოედგინა. თქმულების მიხედვით, თამარ დედოფალს ზამთრის მგზავნელი „მხრიანი“ – სულღუმი და ვარსკვლავი ცისკარი ერთად ჰყოლია კოლოფში დამწყვდეული, თამარი „ზღვის იქით“ წასულა და პირისფარეში გოგოსთვის დაუტოვებია მთელი თავისი სიმდიდრე. გოგოს არ სცოდნია, რა იყო კოლოფში და გაუხსნია. „მხრიანი“ – სულღუმი, ზამთრის გამჩენი, ამოხტომია და მთებისკენ გაფრენილა, ცისკარიც აფრენილა და ცაზე შემჯდარა. სულღუმი ყაზბეგის, „გველის მთის“, ანუ არხოტის მთის „კვრივში“ სადღაც დაბანაკებულა... დედაკაცის ნატყვევარი ძალიან განრისხებული ყოფილა... მზე გაუბრუნებია, აუცივებია, აუტეხია ქარები, ღრუბლები გადმოუსხამ და მთა-ბარი თოვლით გადაულესია... მას აქეთ ცისკარი მნათობად არის ცაში, სულღუმი კი, ბოროტი „მხრიანი“, დარ-ავდარს განაგებს და დროჟამს აბრუნებს: გაზაფხულს ზაფხულით აბერებს, ზაფხულს შემოდგომით აჭკნობს,

შემოდგომას ზამთრის თოვლ-ყინულით შეჰსუდრავს და სულს ამოაძრობს“ (იქვე, 149-150).

ვაჟა თამარის ეპოქის იდეალიზაციისათვის იხსენებს ამ თქმულებას და, რაც მთავარია, არ ივიწყებს იმაზე მითითებას, რომ „ამ ამბავს თორღვა დაბეჯითებით გიამბობთ, საჭიროებისამებრ ჯვარითაც შემოგფიცავსთ“ (იქვე). ამ შემთხვევაში პოეტი სწორად ხსნის მთქმელის ცდას, სარწმუნოდ მოაჩვენოს მსმენელს მონათხრობი (თორღვა ასახელებს სულღუმის მნახველ ქისტ ციგალას, რომელიც, თურმე, სოფელ გველეთში ცხოვრობს და ხელმწიფისაგან „გველის მთის“ მყინვარების ყარაულად არის დაყენებული და სხვ.). პოეტს კარგად მოეხსენება, საერთოდ ზეპირსიტყვიერების შემნახველ-მატარებელთა ამ მიზანსწრაფვის არსი და მოსწონს კიდეც მთქმელის ეს დაჯერებულობა, რადგან პოეზიას ჭვრეტს ამბისადმი მთქმელის დამოკიდებულებაში და თავადაც თორღვასავით მომავლის იმედით ივსება: „მე და თორღვას... ცისკრის და სულღუმის ზღაპარიც ჭეშმარიტად მიგვაჩნია. გვჯერა ისიც, რომ თამარ-დედოფალი არ მომკვდარა, რომ იმას უხვედრ ალაგას ანგელოზებთან ოქროს კუბოში სძინავს, რადგან მეფობის ვადა, ღვთის განგებით, ჯერხნობით, სხვას არ გასვლია. მაგრამ დრო მოვა და ისევ გაიღვიძებს. ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხი მეტის მეტად შეწუხდება და ცხოვრების ილაჯი გაუწყდება...“ (იქვე).

ვაჟას სურს ხაზი გაუსვას მსმენელზე ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების ზეგავლენის ხარისხს. მართალია, გადმოცემაში დაუჯერებელი ამბავია მოთხრობილი, მაგრამ პოეტური თქმულებისაგან მიღებული ესთეტიკური სიამოვნების გარდა, ჩნდება იმედიანი ოცნების შესაძლებლობა, რაც ადამიანს უაღრესად სჭირდება. სწორედ ამაში ხედავს დიდი პოეტი ადამიანზე ხალხური შემოქმედების გამაკეთილშობილებელი ზეგავლენის დანიშნულებას.

მართებულად არის შეფასებული ფშავში თამარის დიდებაზე გავრცელებული მეორე ლექსიც:

„თამარს უამბო დედამა,
შენზედ სიზმარი ვნახეო.
ერთსა სარკეში ჩავხედე,
ხმელეთ სულ დავინახეო.
შენ იყო, შვილო, ქვეყანა,
შაგნებით შამინახეო"

(იქვე, 168).

ლექსში ხაზგასმულია თამარის დროის ივერიის სამეფოს სივრცე და მისი მმართველის სიბრძნე. ვაჟას ლექსი მოაქვს, როგორც ისტორიული სინამდვილის ზეპირსიტყვიერებაში სწორად ასახვის ნიმუში.

ვაჟა ფშაველა საისტორიო ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის თაობაზე საგანგებოდ არ ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ პოეტის პოზიციას ამჟღავნებს ცალკეული გამონათქვამები. იგი ზეპირპოეტურ ნაწარმოებებს ისტორიული წყაროს დონეზე განიხილავს. „ხალხი... კრებულად გენიოსია, – წერს პოეტი ამის თაობაზე, – დიდი ნიჭის და მოსაზრების მქონე. მართლაც, აზრი და შეხედულება ხალხისა რომელსამე საგანზე გაცილებით საყურადღებოა და უტყუარი, ვიდრე ცალკე პირისა, თუნდა იგი გენიოსი იყოს... ხალხის შეხედულება უფრო ჭეშმარიტია იქ, სადაც რომელიმე ავტორიტეტი არ ჩრდილავს ხალხის გონებას და ზევიდამ არ აწვება, როგორც მაგალითად პრაქტიკული ცხოვრება და კაცთა ერთმანეთთან დამოკიდებულება... ხალხის აზრი გამოიხატება მის თქმულებებში: პოეზიაში, ზღაპრებში, ანდაზებში და სხვა, რომელთაც ერთად საზოგადო სახელი სახალხო ეპოსი ჰქვიან" (იქვე, 449).

პოეტის წერილებში რომელიმე თვალსაზრისის დასადასტურებლად მოტანილი საილუსტრაციო მასალის გაცნობა ნათელს ხდის, რომ ვაჟამ იცის საისტორიო ზეპირსიტყვიერებისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკა.

საისტორიო პოეტური თხზულება ისტორიული ამბების ანარეკლია და, მართალია, დოკუმენტად ვერ გამოდგება, მაგრამ ისტორიული სინამდვილის გასათვალისწინებლად საუკეთესო მასა-

ლა შეუძლია მოგვცეს. ასეთი მიდგომა პოეტმა 1659 წლის ცნობილი აჯანყების თემაზე შექმნილი „ბახტრიონის ციკლის“ სახალხო ლექსების გამოყენებისას ყველაზე ნათლად გაამჟღავნა.

ერეკლე მეორის მეფობის ხანისა და მოღალატე ქართველებთან მეფის გართულებული დამოკიდებულების საჩვენებლად პოეტი ისეთ ლექსებს არჩევს, რომელშიც ყველაზე კარგად არის დახასიათებული ერთი პერიოდის ვითარება. ვაჟა ეყრდნობა ამ მასალას, სარწმუნოდ მიაჩნია ხალხური პოეტის მიერ აღწერილი გარემოებები:

„ერეკლე ატირდ, ვაჟებო,
„აღარავინ ას ჩემიო.
ბევრა მყვანდ აზნაურები,
ყველა ყოფილა მტერიო:
ლევან ქიზიყში მამიკლეს,
ხევსურნო, ბატონ თქვენიო,
ფშაველო თანდილაშვილო,
ენაიმც მაგჭრა გრძელიო:
ხახათ მწარია მაჰპარე,
ღამე აკლიე ბნელიო.
ჭარელთან ჩამაიყვანე,
გამააცვლიე ფერიო,
გრიგოლო ჩოლოყაშვილო,
წინ-წინ ღალატი შენიო,
შენ შამიყარე ლაშქარი,
მთის ხალხი დასწვი ჩემიო“.
ბარაქალ, ხევსურთ შვილებო,
მეფე გყავთ მადლობელიო,
თქვენ არ გაუტყდით თათრებსა,
შამაუქციეთ ხელიო...
მინდოდავ ჩალხურიშვილო,
ვინ არი შენი ფერიო“

(იქვე, 205-206).

ერეკლესადმი დიდი სიყვარულის გამჟღავნების საპირისპიროდ, სიძულვილი და დაცინვა ისმის ზურაბ ერისთავის „საგმირო საქმეებისადმი“ მიძღვნილ ლექსებში. ზურაბის აგრესიული ბუნებისა და ავკაცობის შესახებ ზეპირსიტყვიერებაში ბევრი

ლექს-გადმოცემაა შემონახული. შინაური შუღლის მოყვარული ფეოდალისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ფშავ-ხევსურულ პოეზიაში სიმართლით აისახა. პოეტი იხსენებს გადმოცემას ზურაბ ერისთავის მიერ წმინდა ლაშარის ჯვრის ხატის შემუსვრის მცდელობის შესახებ. ძვირად დაუჯდა ზურაბს „ასეთი თავხედობა, წყევლა-კრულვის მეტი იმას არაფერი დაჰრჩა და თვით მისი მისწრაფება ფშავ-ხევსურეთში ბატონყმობის დამყარებისა ქარმა და წყალმა წაიღო“, – წერს პოეტი (იქვე, 236).

ხალხური მოლექსეები დაცინვით იხსენიებენ ფშავ-ხევსურეთიდან სირცხვილით გაძევებულ ერისთავს. ვაჟა ფშაველას ნიმუშად რამდენიმე ლექსი მოაქვს, რომლებშიც დასახელებულია ზურაბთან ბრძოლის ადგილები:

„ფშავში ამოხვედ, ზურაბო,
ღალას და კულუხს ელიო,
ფშავლებმა გამოგაქციეს,
დღე დაგიყენეს ცხელიო.
კართანას გადასავალში
მსახურთ გიკიდეს ხელიო,
თვალივს რო ამოემართე,
იქ მოგაგონდა ცხენიო“

(იქვე, 229)

გეოგრაფიულ ადგილებზე მითითება არა მარტო ზრდის გადმოცემული ამბის სარწმუნოების ხარისხს, არამედ ისტორიული ფაქტის ზეპირსიტყვიერებაში სწორად ასახვის შესაძლებლობაზეც მიგვანიშნებს.

ხალხის მეხსიერება დაუშრეტელი წყაროა და ამიტომ წარსული ისტორიის გასათვალისწინებლად დიდად ღირებულ ცნობებს ინახავს. „ქართლის ცხოვრების“ ოფიციალური წიგნებისაგან განსხვავებით, ხალხურ გადმოცემებში ხშირად ისეთ ფაქტებზეა ყურადღება გამახვილებული, რაც ავსებს სასახლის კარის ისტორიკოსების მონათხრობის ხარვეზებს. ეს ჰქონდა მხედველობაში ვაჟა ფშაველას, როდესაც ზეპირგადმოცემათა ისტორიულ ღირებულებაზე მიგვითითებდა: „მთაში უბირის კაცისაგან

ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნების ან ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირ კაცს არავითარი მზამზარეული შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისივე მსგავსის უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი მოთხრობა" („ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი", „ივერია", 1902, 196).

პოეტის ეს გამონათქვამი ჭეშმარიტებას ღაღადებს. ხალხში დარჩენილი ასეთი ცოდნით ვაჟა ფშაველა მრავალგზის სარგებლობდა და ახალ სიცოცხლეს სძენდა ჟამთაღმწერელთა ყურადღების მიღმა დარჩენილ გმირთა სახელებს. ამის მაგალითად მხოლოდ პოეტის „ბახტრიონიც" გამოდგება.

ვაჟა ფშაველას წერილებში, ფოლკლორულ ჩანაწერებსა თუ თხზულებებში მრავლადაა გაბნეული ფშავხევსურული მითოსი. წერილში „კოპალა და იახსარი – დევების მებრძოლნი" (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:77-81) პოეტი გადმოგვცემს ფშავში გაგონილ თქმულებას დევებთან ბრძოლისა და ფშავიდან მათი განდევნის შესახებ. პროზაულ გადმოცემაში ყურადღებაა გამახვილებული ხატების დევებთან ბრძოლის მიზანზე – არ მისცენ საშუალება ბოროტ ძალას დაათმობინონ ადამიანებს ხატების რწმენა. მითური გადმოცემა ბერ კოპალას ძალგულოვან გმირად გვიხატავს, რომლის ურთიერთობა დევებთან შეჯიბრზეა დაფუძნებული და ცოტა არ იყოს, ყოფით ხასიათს ატარებს, ალბათ, ჩაწერის ეპოქის ზეგავლენით – ბრძოლის ამსახველ მოტივებს და მათი გადმოცემის წესს ზღაპრული ელფერი დაჰკრავს, განსხვავებით პოეტური ტექსტებისაგან.

დევებთან მებრძოლი ხატების შესახებ ფშაურ ხალხურ გადმოცემაზე დაკვირვებამ ვაჟას აღიარებინა, რომ კოპალას უფრო დიდი სახელი ჰქონდა, ვიდრე იახსარს. პოეტის მიერ წერილში მოტანილი ლექსი იახსარზე მაღალპოეტურობის გარდა, დევ-

კერპებთან ბრძოლის იდეას განამტკიცებს და გამოხატავს ხალხის ზრუნვას თავის ხატზე.

ვაჟა ფშაველას ინტერესი დაუმსახურებია მითურ გადმოცემას მთაში ცნობილი ღვთაებების შესახებ. ვაჟას წერილში „რამერუმე მთისა" მითითებულია ღვთაებათა ვინაობა, დასახელებულია მათი საქმიანობა: „აი ვენაცვალეთ ჩვენს ხახმატის ჯვარს – ასკაისძეს და იმის თანამეტახტეებს: გუდანის ჯვარს – ბერბაადურს, კარატის ჯვარს – კოპალას, ბაცალიგოს ჯვარს, ცეცხლის ანგელოზს პორქუშს, ფშაველთ სალოცავს იახსარს, წმინდა გიორგის ლაშარელა – ლაშარის ჯვარს, იმათ განუყრელ ძმობას და ვაჟკაცობას... იმათ წინამძღვრობით ბევრჯერ ულაშქრნია ჩვენს მამა-პაპას; ბევრჯერ გასულა თარეში და მდევარი და უსახელებია თავი; იმათ გაპრიალებულ ხმლის ბელადობით ბევრი მტრებისათვის აგვიდენია მტვერი და დაგვიდგია ბეგარა, იმათ, სხვა საიქთ, ქაჯეთიც აუკლიათ და დაუმორჩილებიათ. რა მაშინ და მერე, – როცა დღესაც ბევრი ხდება ღირსი სიზმრით საცხად იმათი ნახვისა: ჰნახეთ, რომ ისინი ქაჯვ-ჩაცქნიანები, შურთხებივით ყელმოღერებულები, ნაურვალის „ხვადებით" ნიავქარივით უვლიან გარს თავის საყმოთ!.. როცა ჩვენმა ბატონებმა ქაჯეთი აიკლეს და დავლა-ალაფიანნი შინათკე გამობრუნდნენ, „დევ-ქაჯთაც" ბევრი მოესროლეს იმათ „ციცეების, ძაღლების და სხვა „უსურმაგის" ნაჭერ-ნაკუწები, მაგრამ გმირმა ბერბაადურმა – გუდანის ჯვარმა დალამფარი უფარა, ვაჟმა ასკაისძემ – ხახმატის ჯვარმა – კაბის კალთები, და ტანზედ არც ერთი არ მიუკარებიათ. ბორბლის მთასთან, ერთ ვიწრო გასავალში, ქაჯებმა იმათ ცხენის დოლოჩაც აუყუდეს, მაგრამ ბიჭნი იმაშიც შიგ გამოძვრნენ და ნასახელარ-გამარჯვებულნი „იქავ ხევსურეთს" მიიქცნენ, ხახმატს შეიყარნენ; აქედამ ყოველივე ქაჯეთიდამ წამოღებულ-წამოსხმული ღმერთს გაუგზავნეს; თავად მხოლოდ ერთი საუკეთესო ფური დაიჭირეს, რომელიც საღმრთოდ დაკლეს, სისხლით „გაინათლნენ" და ისევ ის „ვაჟნი" გახდნენ. იმ ფურის რქა, რომელშიაც ერთი კოდი პური ჩადის, ეხლაც ხახმატის ჯვრის მონაშენობაშია შენახული... ხახმატის ჯვარი, როცა ქაჯე-

თით მიმავალა თავის თანამოლაშქრე ხატებით, იმათ ლაშქარს წყალი მაჰწყურებია. ხახმატის ჯვარს კარატის ჯვრის კოპალასთვის „დაუძახებავ": „მამეშველე, ჯარი წყურვილს მელევისო". ისაც მაჰგებებია: ერთ უწყლო ადგილს მდელოსად ლახტი დაუტყლაშუნია, წყარო ამოუყვანია და მთელი მხედრობა დაუძღვია. „ხადური ჯვარი" კი „უდუმლივ" მოსულა და ის კაი კაცობა გაუწევია... ოქროს სამართებელი და სალესველი მოუპარნია მოზავე ხატებისათვის, რომლებიც იმათ ქაჯეთიდამ წამოღებულები ჰქონიათ..." (იქვე, 153-6).

ეს გადმოცემა, თინათინ ოჩიაურის მოწმობით, ჯვარხატების ქაჯავეთში ლაშქრობის შესახებ არსებული თქმულების ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ხევსურულ ვარიანტს წარმოადგენს. აქვეა ცნობა იმის შესახებ, ხადუს ჯვარმა ღვთისშვილებს ქურდულად როგორ მოსტაცა ნადავლის ნაწილი, რისთვისაც იგი „მოიკვეთეს".

აქ წარმოვადგინეთ დიდი მწერლის შეხედულებათა და მიმართებების ძირითადი ასპექტები. ბუნებრივია, პოეტის ნააზრევში კიდევ არის საყურადღებო გამონათქვამები. ზოგ მათგანს ვაჟას მხატვრული ნაწარმოებების კვლევისას გავეცნობით.

უნივერსალური მითური თემების ინტერპრეტაცია

ვაჟა ფშაველას შემოქმედების მითოლოგიასთან კავშირის ძიებამ აკ. გაწერელია მიიყვანა დასკვნამდე: „არც ერთი ქართველი პოეტი არ დასწაფებია ქართულ ხალხურ (კერძოდ, ფშაურს) მითოსს ისე ძლიერ, როგორც ვაჟა ფშაველა. მისი პოეზია მდიდარია მითოლოგიური სიუჟეტებით, ლეგენდარულ თქმულებათა ცალკეული სურათებით, პერსონაჟებითა და სახეებით". მკვლევარმა ნათლად დაინახა, რომ „სამყაროს მხატვრული მოდელი, რომელიც ვაჟა ფშაველამ შექმნა, გამომდინარეობს ქართული მითოლოგიიდან... ვაჟა დგას ქართველ მთიელთა უძველეს შეხედულებათა და წარმოდგენათა ნიადაგზე, ამოდის ქართული მითოლოგიის უღრმესი ფენებიდან. საკვირველი ძლიერებით ახდენს თავისი პოეტური ხილვების ფიქსაციას" (გაწერელია, 1966: 151). სხვა მკვლევარებთან ამ კონტექსტშივეა შეფასებული ვაჟას მიერ შერჩეული მასალის ადრეულ რწმენებს, მითებსა და ლეგენდებს, ეთნოგრაფიულ ადათ-წესებსა და ყოფასთან მიმართების საკითხები (კიკნაძე, 1966:155; კვესელავა, 1961:113; ჩხენკელი 1971:18; ბაქრაძე, 1972: 100; სირაძე, 1980:150).

მითების მოტივებისა და ამბების გამოყენება ინდივიდუალური შემოქმედებითი მიზნებისათვის აუცილებლად გულისხმობს ინტერპრეტაციას. მსოფლიო ლიტერატურულ პრაქტიკაში ეს გზა ვაჟამდე დიდი ხნის გაკვალული იყო, მაგრამ, ბუნებრივია, პოეტმა გამოცდილება საკუთარი ნაწარმოებების შექმნისას შეიძინა და ჩვენ სწორედ ამ დაკვირვებებს გავეცანით ზემოთ.

თავისი შემოქმედების წყაროებზე საუბრისას პოეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყველაზე მდიდარი შინაარსის, აზრიანი და ხელოვნური ხალხური ნაწარმოებიც კი საჭიროებდა პოეტის საკუთარ სულიერ ქურაში გადადნობას და გადადუღებას, თუ მისგან ახალი მხატვრული ერთეულის შექმნა ეწადა მწერალს. საინტერესოა, რომ ვაჟა თავად ყველაზე კარგად გრძნობდა, ხალხური წარმოშობის რომელი მასალის გარდაქმნამ მოუტანა წარმატება მას, როგორც პოეტს. მკითხველ საზოგადოებაში ძალზე გახმაურებულ ნაწარმოებთა გვერდით ვაჟას პოეტურ მემკვიდრეობაში ბევრი ისეთი პოემაა, რომლებიც ვერ უტოლდება საქვეყნოდ აღიარებულ „ბახტრიონს", „ალუდა ქეთელაურს", „გველის მჭამელს", „სტუმარ-მასპინძელს", მაგრამ დიდი პოეტის ხელდადებულნი არიან და ამდენად ყურადღების ღირსნიც. ამ პოემათა შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გასარკვევად, თუ როგორ პოეტურ ინტერპრეტაციას აძლევდა ვაჟა ხალხში გავრცელებულ თქმულება-გადმოცემებს, არამედ პოეტის მხატვრული აზროვნების ევოლუციისათვის თვალის გასადევნებლადაც. საგულისხმო ამ მიმართებით ისიც არის, რომ ვაჟა ფშაველა, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, ყოველ პოემას ეპოქის მიერ წარმოშობილ პრობლემათა გათვალისწინებით წერდა, და, შესაბამისად, ისეთ ხალხურ მასალას არჩევდა, რომელიც უფრო ნათლად გამოკვეთდა მის იდეებს, საკუთარ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ხალხის იდეალებთან.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებასა და, განსაკუთრებით, მის ხალხურ პოეტურ ფოლკლორთან მიმართებაზე სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია, ასე ვთქვათ, „ნაკლებად პოპულარულად" მიჩნეული პოემების შესწავლის გარეშე. ჩვენი დაკვირვების საგნად გახდილი ნაწარმოებების გაცნობამ გაარკვია, რომ მის პოემებში გამჟღავნებული იდეები და პოეტური ოსტატობა ზოგან უტოლდება, ზოგან კი ჩამოუვარდება ვაჟასეულ აღიარებულ დონეს. ეს ქმნილებები დიდი პოეტის მსოფლგაგების ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპს გვითვალისწინებს. იგი წარ-

მოადგენს მთელის იმ ნაწილს, ურომლისოდაც ერთობლიობაში ვერ წარმოდგება ვაჟას განუმეორებელი ფენომენი.

ა) **„მონადირე“**. ვაჟა ფშაველას პოემისათვის „მონადირე“ გამოუყენებია პოპულარული მითური მოტივი ნადირთ პატრონის რისხვის შესახებ. ცნობილ სამონადირეო მითებში ნადირთ მწყემსის მონადირეზე განრისხება სხვადასხვა მიზეზით ხდება. ქალღვთაება დალისა და მონადირეს შორის სასიყვარულო შეთანხმება ითვალისწინებს ტაბუს, რომელსაც არღვევს მონადირე და ისჯება კიდეც. ზოგიერთ მითურ გადმოცემაში დაკარგულია სასიყვარულო გარიგებაზე მითითება და მონადირე ამგვარ ურთიერთობათა გარეშეა ხელმომართული, მაგრამ ისჯება სიხარბის დაუძლეველობის გამო.

ვაჟა ფშაველას თავისი პოემისათვის სამონადირეო მითის ეს უკანასკნელი მოტივი აურჩევია, რადგან პოეტურ მსჯელობას ზნეობის პრობლემაზე აპირებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის გადმოცემების საკონფლიქტო მოტივიც ითვალისწინებს ტაბუს დარღვევას.

პოემის გმირი, თორღვა სახელგანთქმული მონადირეა. მას სამჯერ ჩაუფლავს მიწაში თავისი თოფი და შეუსრულებია მთაში გავრცელებული ტრადიციული წესი, რომელიც ითვალისწინებს ასი ნადირის მოკვლის შემდეგ რიტუალურ შესვენებას. პოემის მოქმედების დასაწყისისთვის თორღვა ახალგაზრდა აღარ არის, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს: „არც ისე დავბერებულვარ, რო სუ კერაჩივ ვიჯდია!“. თორღვას თოფის მეოთხედ მიწაში დამარხვამდე ერთი ნადირიღა დარჩენია მოსაკლავი. მონადირე იხსენებს ნადირთ დევნის აზარტს და იმ სიამოვნებას, რაც ამ ვაჟკაცურ საქმიანობას ახლავს თან. მკითხველი გრძნობს მონადირის ბაქიაობას, განსაკუთრებით თავისი თავის არწივთან შედარებისას. ყოველივე კი შეიძლება შევაფასოთ, როგორც დროჟამ გამოვლილი განცდის გაზვიადების ცდა.

თორღვას ესიზმრება მშვენიერი ნადირთ პატრონი. მზებურა ქალს:

„ია, პირიმზე ტანთ ეცვა,
თავზე ბუერა ეხურა,
მეტად ლამაზი რამ იყო,
საამო, სახით ღვთებურა;

ბრძამ-ლელის წინდებსა ჰქსოვდა,
თითებს აქანებს წყლებურა,
ტანად მომცროა და თმებით
ის არე-მარე ებურა“.

(ვაჟა ფშაველა, III, 1964:30)

ნადირთ პატრონი სიზმარშივე გაუწყრება ურჩ ირემს და დასწყევლის: თორღვას თოფის ანაწერი გახდიო.

ეს სიზმარი მონადირისთვის ღვთის ნების გამოცხადებადაა მიჩნეული, ამიტომ ესახება იმედი თორღვას, მაგრამ მას ახსენდება ხუთი წლის წინანდელი საბედისწერო ნადირობა, რათა ახლაც შეინანოს თავისი მაშინდელი საქციელი.

...ყვირილობის ჟამი მდგარა. სანადიროდ წასულ თორღვას ფურის მაძიებელი ხარ-ირმის ღრიალი შემოესმა, ჩაუსაფრდა და მოკლა. მონადირემ მაშინვე დაინახა, რომ ირმის რქებზე გაბრწყინდა „სანთლები, ვარსკვლავთ გვარია“ და მოესმა „წყრომის ხმა". თორღვამ გაღმა გორზე შენიშნა გუმბათიანი საყდარი, რომლის წინ გამოდგა თოვლივით თეთრწვერა ბერი და გადმოსძახა მონადირეს:

„...რა ჰქენ, თორღვაო,
რაად მამიკალ ზვერია?!
კარგი, –ჰნახოდი, ბეჭშია
შენი ცოლ-შვილი სწერია!“

ამ ეპიზოდში პოეტი ითვალისწინებს სამონადირეო მითის მონაცემებს, თუმცა ორიგინალურად წარმართავს მოქმედებას.

საერთოდ მონადირისა და ნადირის ურთიერთობის ამსახველი მითური გადმოცემების უმრავლესობაში ხაზგასმულია ნადირის განსაკუთრებულობა: იგი ცალრქიანია, ხან თეთრი ფერისაა, ხან შუბლზე თეთრნიშნიანი, დაგრეხილ ან ამობრუნებულრქიანი და სხვ. ეს ტაბუირებული ნადირი ეჩვენება მონადირეს უპირატესად გამოცდის მიზნით, მაგრამ მონადირე, მისი დანახვით თავდაკარგული, ნადირის გამორჩეულობას არ უწევს ანგარიშს და

ესვრის მას, ზოგჯერ მოარტყამს, ზოგჯერ ააცდენს ტყვიას, მაგრამ, მიუხედავად შედეგისა, აუცილებლად ისჯება.

ერთი გადმოცემის მიხედვით, მონადირემ ტყვია ააცდინა თეთრ ირემს და სახლში დაბრუნებულმა ცოლს უთხრა: დღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ, მოვკვდები, სუდარა მომიმზადეო. მართლაც, იმ ღამეს მოკვდა მონადირე, – ვკითხულობთ თ. რაზიკაშვილის ჩანაწერში.

ზოგიერთ მითურ ტექსტში ნადირის ნიშნიანობაზე მითითება დაკარგულია. მონადირე გახუტას ნადირთ პატრონისგან ჯიხვის მოკვლის ნებართვა ჰქონდა. გახუტამ მოკლა ჯიხვი, დაუწყო გატყავება, ნადირი კი წამოხტა და გაიქცა. ნადირთ პატრონი საყვედურობს მონადირეს: მე ჯიხვის მოკვლის ნება დაგრთე, შენ კი მესროლეო. მთქმელის კომენტარით, იმ ჯიხვად, თურმე, ნადირთ პატრონი მოსჩვენებია. მას ხომ სურვილისამებრ შეეძლო ეცვალა სახე.

ვაჟა ფშაველას გმირმა მხოლოდ ირმის მოკვლის შემდეგ გაიაზრა, რომ ტაბუირებულ ნადირს ესროლა. პოეტს სასჯელის გამცხადებლად ბერი გამოჰყავს, ნაცვლად გადმოცემებისეული ნადირთ ღვთაებისა თუ „ქალ-დედაკაცებისა".

ცალრქა ირმის (ნადირთ პატრონის ზოომორფული სახე) მოკვლის გამო ნადირთ პატრონმა დაიყვირა: „ცალრქას დაჰკრესო?" და ჯიჯეთელი მონადირე ასე დაწყევლა: „ცალზე დარჩეს შვილიშვილითო!"

მთქმელის რწმუნებით: შინ დაბრუნებულ მონადირეს უფროსი ვაჟი მკვდარ დახვდა, შუათანა მისი მოსვლისას მოკვდა, მესამე ვაჟი – ძმების დამარხვის დროს. დარჩა მხოლოდ უმცროსი, მეოთხე. იმ დღიდან ასე დაეწერათ: ამ გვარს მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი რჩებოდა.

კახეთში ფიქსირებული ერთი გადმოცემის მიხედვით, მონადირემ ირემი რომ მოკლა, შემოესმა ქალ-დედაკაცების წივილ-კივილი: „რაღა ვქნათ, მოგვიკლაო!" მონადირე მივიდა იქვე მდგარ ხესთან და სამჯერ შემოჰკრა თოფის კონდახი. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა იმ ადგილზე და ხე გამხმარი დაუხ-

ვდა. ასეთივე ამბავი შეემთხვა მეორეჯერაც. ხე მაშინაც გახმა. მონადირემ თოფი გადააგდო და აღარ მიჰკარებია.

ზემომოტანილ მითურ გადმოცემებთან შედარებით ეს კახური თქმულება გვიან შექმნილი ჩანს. იგი შეიცავს რწმენას ნადირთ პატრონის რისხვის გაუვნებლობის შესახებ. წმინდა ცხოველის მოკვლისთვის მონადირე უნდა დასჯილიყო, მაგრამ რაკი მან პროფილაქტიკური მაგია მოიშველია (ხეს გადასცა თავისი ცოდვა – ზოგჯერ ქვას გადააბარებენ ან გამდინარ წყალს გაატანენ), თვითონ გადარჩა, ხე კი გახმა.

ვაჟას გმირმა გაიაზრა თუ არა თავისი საქციელი, მაშინვე გაქრა საყდარიცა და ბერიც. თორღვამ ტრადიციული წესიც კი შეასრულა, თან წაღებული სანთლები დაუნთო „ადგილის დედას“, მოზვერიც შეუთქვა სამხვეწროდ, მაგრამ ვერაფერმა ვერ იხსნა.

თუ თავად თორღვას მოვუსმენთ, მისი ცოდვის მიზეზი არ-ცოდნაა. ხარ-ირმის მოკვლის შემდეგ თორღვა იტყვის: „მე არ ვიცოდი იმ რქათი, თუ ნაკურთხნ იყვნენ ღვთისანი“.

პოემის ამ ეპიზოდში თორღვა უნებლიედ სცოდავს და პოეტი თავისი გმირის მოქმედების დამაჯერებელ მოტივაციას ქმნის. ერთი შეხედვით, ძირითადი კონფლიქტი – ნადირთ პატრონის მიერ გმირის გამოცდა და შემდეგ მისდამი მოვლენილი შურისგება არ სცილდება მითური გადმოცემების ტრადიციას და ამ მხრივ პოემაში ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ პოეტმა ირმის მოკვლამდე შემოიტანა მოტივი, რომელმაც უნდა წარმოაჩინოს თორღვას ნამდვილი დანაშაული და ვაჟასთვის სწორედ ეს მოტივია მნიშვნელოვანი.

გავიხსენოთ, რომ თორღვა სწორედ ყვირილობის ხანს წავიდა სანადიროდ. პოეტი წერს:

„ირმის ყვირილზე ლამაზსა
ვინ მაიგონებს, – საითა?!
ამოგმინდება ტიალი
სურვილით სავსეს გულითა,
მემრე ზედი-ზედ დაჰკვნესებს
ფურის მძებნელი სულითა.

სადაც კი იმას გაუვლავ,
ასუნებულა ვნებითა,
დგნალი და შიმელაები
გადუღვერია რქებითა.
ნაბოტარს დაულევია
ის არე-მარე ტყებითა...“
(იქვე, 32)

ტრადიციული ხალხური ცოდნა გვიდასტურებს, რომ ყვირილობისას ირემ-ჯიხვსა და სხვა საკვებად გამოსაყენებელი ნადირის მოკვლაზე ტაბუ იყო დადებული. გარდა გამრავლებისთვის ხელის შენყობაზე აუცილებელი ზრუნვისა, საყურადღებოა მეორე მომენტიც: „ირემს მყვირილობის დროს საშინლად მქისე სუნი ასდის სხეულზე“ და საჭმელად არ ვარგა.

ერთი გადმოცემის მიხედვით, ჩოხელ პაპას თოფი დაეკრა ირმისთვის იმ მომენტში, როცა ის ნუკრს აჩენდა. ჩოხელი პაპა ამის შემდეგ კლდიდან გადმოვარდნილა.

ამდენად, თორღვას სიხარბემ განაპირობა სასჯელი.

სასჯელზე საუბრისას პოეტი ისევ ხალხურ რწმენას იშველიებს, რომლის თანახმად, მოკლულ ტაბუირებულ ნადირს ბეჭის ძვალზე აწერია ადამიანის მომავალი. ხარბი მონადირისადმი ნადირთ პატრონის მიერ მოვლენილი რისხვა სასტიკია: ამოწყდა თორღვას დიდი ოჯახი.

„ორის წლის უკვენ ჩემს სახლსა
ჩემს მეტი არვინ ჰრჩენია.
სამი ვაჟკაცი დავმარხე,
სამნივე საქორწილონი,
ცოლი, – და ქალსა ბატარას
ჯერ არ მიეღო მირონი“.

თვითონაც სანატრელი გახდომია სიკვდილი თორღვას!

მხოლოდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შეუძლია შესძინოს ადამიანს ჭეშმარიტი ცოდნა. მხოლოდ ოჯახის გაწყვეტის შემდეგ მივიდა მონადირე ადამიანის ბუნების შეუცნობლობის აზრამდე, თუმცა მას მაინც ვერ აუხსნია, რატომაა, რომ:

„რაც გვიყვარს, რაც რომ გვებრალვის,
თუკი ჩავიგდეთ ხელადა,
არ დავინანებთ, გავქელავთ,
მოვეკიდებით მგელადა“.

თორღვა ბუნებით მოქმედების კაცია და, მართალია, საბედისწერო ნადირობამ ბევრი შხამი შეასვა, გული მაინც ტყისკენ მიუწევს, ისევ ნადირობა ენატრება. ესეც ბუნებრივია, რადგან ადამიანის აღუვსებლობას საზღვარი არა აქვს. თორღვამ, რასაკვირველია, არ იცის, რა ელის ხვალ, მაგრამ მოძალებულად გრძნობს ნადირობის სურვილს, ხარის მოკვლაზეც ოცნებობს. პოეტისა და მკითხველისათვის ცოცხალი კაცის ეს ოცნება გასაგებია.

ბ) „ხის ბეჭი“ ვაჟამ 1895 წელს დაწერა და მას საფუძვლად ქართულ-კავკასიური მითური თქმულება დაუდო.

მსოფლიო ფოლკლორი იცნობს რწმენას, რომლის თანახმად, ცხოველის ძვალი სასიცოცხლო ძალთა შემცველია. ეს რწმენა თავის საფუძველს ანიმისტური მსოფლმხედველობიდან იღებს და საზრდოს აძლევს ადამიანის ფანტაზიას, ცხოველის ძვალთან დაკავშირებით შექმნას ზეპირგადმოცემები. მსოფლიო საზღაპრო ეპოსი იცნობს მოტივებს, დაფუძნებულს ამ რწმენაზე: თევზის ფხის დავარდნის ადგილზე ამოდის მშვენიერი ალვის ხე; გერი გოგონა დედინაცვლის ბრძანებით დაკლული ფურის ძვლებს დაფლავს მიწაში. ამ ადგილას ძვირფას ძღვენაკიდებული რაში გამოცხადდება. საქართველოშივე გვხვდება ძვლების დამარხვის, დაწვისა და წყალში გადაყრის ჩვეულებები.

ჩვენში ხის ბეჭის შესახებ თქმულების რამდენიმე ვარიანტი არის ფიქსირებული. აკ. შანიძის გამოქვეყნებული ტექსტი „ბათირის ამბავი“ გ. წერეთელს ბარისახოში ჩაუწერია გიგია ჭინჭარაულისაგან. არსებობს სხვა კუთხეებში მოპოვებული ჩანაწერებიც: მთარაჭული ე. ვირსალაძისა (ვირსალაძე, 1964:220-222), თუშური შ. ძიძიგურისა (ძიძიგური, 1971:41-42), ლეჩხუმური მ. მაკალათიასი (მაკალათია, 1985:147-148). კავკასიური მასალიდან ცნობილია აფხაზური, ჩეჩნური, ოსური და სხვა თქმულებები.

თ. ოჩიაური იცნობს გადმოცემის ისეთ ვარიანტებს, რომლებშიც ნადირს ბეჭის ნაცვლად ჯოხს ან დანას უდებენ. მკვლევარი მითურ გადმოცემას ანიმისტური მსოფლმხედველობის გამოხატულებად თვლის, რომელიც ასევე იცნობს სხვად ქცევისა თუ მოკლულის გაცოცხლების მოტივებს (ოჩიაური, 1955:223-232). ე. ვირსალაძე თქმულებას მოკვდავი და აღდგენადი ღვთაების შესახებ წარმოდგენებს უკავშირებს (ვირსალაძე, 1964:221-222).

აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ვარიანტი ვრცელია. ხის ბეჭის ამბავთან მისვლამდე წინა ისტორიაა მოთხრობილი, ძირითად ამბავთან კი კონტამინირებულია სხვა სიუჟეტი. ძირითად ნაწილში ვიგებთ: ეშმაკებით გამოტენილ ეხში მოიყვანეს სამი ჯიხვი, დაკლეს და ადუღეს... შეჭამეს... მოგროვილ ძვლებს „მოახვიეს ტყავი, დაჰკრეს მათრახი. ადგა და გაიქცა ჯიხვი, რომენიც შავჭამეთ! ახლა მეორეს (ა)ასხეს ძვლები, მაჰხვიეს ტყავი, შაულოცეს. ადგა და გაიქცა. მითხრა ჩემმა ხაზეინმა ეშმაკმა: ერთი ძ[ვ]ალი დამალე. გავიჩარი წელში და დავმალე. დაიწყეს ძებნა. ის ბეჭი მე მქონდა. გაუკეთეს ხისა, ჩაუდგეს, მაახვიეს ტყავი, შაულოცეს:

„ადეგ, ადეგ, ხეჭეჭაო,
ხისა გიდავ ბეჭედაო".

ადგა და გაიქცა... დილით... დავინახენ თვალით ჯიხვები. მართ(ლ)ად სამი ჯიხვი მოვკალ და ის ბეჭი მე მქონდა დამალული. ანკი ის მამიკლია, რომენსაც ხის ბეჭი ჩაუდგეს წუხელ..." (შანიძე, 1931: 637-638).

საანალიზო მითური გადმოცემის პრეამბულაში მონადირე ზოგან ეშმაკებს ხვდება, სხვაგან ანგელოზებს. ეს ნიუანსები მთქმელისგან მომდინარეობს. მთავარი და მნიშვნელოვანი მასში არის შეგროვებული ძვლებით ნადირის სხეულის აწყობისა და მისი გაცოცხლების მოტივი. საანალიზო თქმულებაში დაცულია უძველესი სამონადირეო წარმოდგენა ეგზოგამიური კოლექტივის მიერ საკრალურ დროსა და სივრცეში ნადირის მოკვლის, აღდგენის (გაცოვხლების) და მონადირეთათვის განაწილების შესა-

ხებ. ეს ძალიან ძველი სიუჟეტი (ნადირის ჯოხის დაკვრით გაცოცხლების მოტივი ასახულია „ოდისეაში“ (ცანავა, 2005:287). როგორც ცნობილია, ყოველ ახალ ვითარებაში იტვირთება სოციალური გარემოს შესაბამისი იდეოლოგიითა და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობებით. ფორმის მდგრადობა არ ქმნის დაბრკოლებას იდეოლოგიური ცვალებადობისათვის, რასაც აშკარად ცხადყოფს გაცოცხლების იდეის რიტუალური რეალიზაციის უძველესი ფორმების გამოყენება სხვადასხვა სოციალური გარემოს სიმბოლიზაციისთვის... (სურგულაძე, 2003:104).

აკ. შანიძის ჩანაწერთან მიბმულია ტექსტი მონადირის ძაღლად გადაქცევის შესახებ. მას აკ. შანიძე მართებულად თვლის სხვა ტიპის ნაწარმოებად, თუმცა შ. ძიძიგური ფიქრობს, რომ ეს ნაწილი ორგანულ კავშირშია ძირითად ამბავთან. სინამდვილეში, მონადირის ძაღლად გადაქცევის მოტივი ცალკე ერთეულია. იგი გავრცელებულია საერთაშორისო ფოლკლორში, მასზე აგებულია ზღაპარი (სიუჟეტური ტიპი 429), მათ შორის, ქართული – „ლილოველი მონადირე“. აკაკი შანიძის „ხის ბეჭთან“ ეს სიუჟეტი მთავარი პერსონაჟის საშუალებითაა კონტამინირებული.

როგორია ვაჟა ფშაველას პოემის შინაარსი და რა იდეის ხორცშესასხმელად მიმართა პოეტმა ამ თემას?

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მითური გადმოცემის საპირისპიროდ, ვაჟა პოემაში განვითარებულ ამბავს რეალისტურ ელფერს სძენს და როგორც კი შესაძლებელია აშორებს მას ფანტასტიკურ საბურველს, რომელშიც გახვეულია ხევსურული თქმულება ბათირის შესახებ, თუმცა ირეალურის მთლიანად წაშლა შეუძლებელია. მითური ამბის რეალისტურ გარემოში გათამაშებამ, პოეტის ჩანაფიქრით, ზემოქმედების მეტი ძალა უნდა მიანიჭოს იდეას.

ვაჟა თავისი მიზნისათვის უარყოფს ხალხური ნაწარმოების ბევრ დეტალს (მაგალითად, თქმულების შესავალ ეპიზოდს, რომელიც „საკვირველი ამბის“ მოტივს შეიცავს, ასევე სხვა მეორეხარისხოვან ეპიზოდებს) და უშუალოდ მივყავართ „მოულოდნელობის ეფექტამდე“. პოეტი მოგვითხრობს იმაზე, მოკლული

ჯიხვის გატყავების შემდეგ როგორ დაიწყო მონადირემ ცეცხლზე გულ-ფილტვის შეწვა, ჯიხვი კი წამოხტა და გაიქცა. „საკვირველს შევესწარიო!" – ყვიროდა მონადირე. მას აგებინებენ, რომ უფრო მეტი საკვირველების მნახველებიც არსებობენ და ადრესატზე მიუთითებენ. საერთაშორისო ფოლკლორში გავრცელებული ეს მოტივი ყველაზე ხშირად ჯადოსნური ზღაპრის პრეამბულაში ჩნდება და მას მსმენელის ინტერესის აღძვრის მიზნით მიმართავენ.

ვაჟა ფშაველა გმირის პორტრეტს ფოლკლორული მანერით ქმნის. პორტრეტის შექმნამდე და ამის შემდეგაც პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის წარმოჩენას, ქმნის პასაჟებს, რომლებმაც ნიადაგი უნდა შეამზადონ ბალიას გარესამყაროსთან კონფლიქტის მოტივირებისათვის:

„კაცი ვინმე სჩანს ხის ძირას
მობუზვით, როგორც ობოლი.
თოფი აქვს მიყუდებული
იქვე წიფელზე მარჯვესა,
მკრთოლარე ცეცხლი უნათებს
მჭმუნვარეს პირისახესა.
ზის მკერდ-მიპყრობით ცეცხლისკე,
ჩიბუხს ეწევა დინჯადა...
ზის თავისათვის მარტოკა,
ფიქრობს ხვალინდელ ცდისასა:
მოჰკლავს თუ არა ნადირსა,
ფიქრით არკვევდა იმასა".

(ვაჟა ფშაველა III, 1964:239)

პოეტი აქვე გვიმჟღავნებს მონადირე ბალიას მწუხარების მიზეზს – ნადირობაში ხელი მოსცარვია. ბალიამ რამდენჯერმე ესროლა ხან ირემს, ხან ღორებს, თანაც სულ ახლოდან, მაგრამ ააცდინა. ამ მიზეზით საგონებელში ჩავარდნილ მონადირეს ფიქრიდან გამოიყვანს „პირჯვრის მწერელი" კაცის ხმა. ამ ეპიზოდის გამართვისას ვაჟა სცილდება ხალხურ გადმოცემას, „ეშმაკს", ტექსტის გვიანდელ ჩანამატს, რომელშიც რეალური ადამიანის-

გან განსხვავებული არსება, ძალა, სული უნდა იგულისხმებოდეს (იგი ეხმარება, მოქცევის წესს ასწავლის ბათირს (ესიტაშვილი, 1985:103) ცვლის ქრისტიანით. მოპატიჟე ბალიას აფრთხილებს: „ნუ გეგონები ალქაჯი, ბოროტი საქმის მრჩეველიო“. თქმულების მითური სამყაროსაგან განსხვავებულ ვაჟას შექმნილ ქრისტიანულ საზოგადოებაში ყველაფერი არის „ნაკურთხი უფლის ხელითა“ და\ „ხეებს სანთლები აკრია“. ხმა სტუმრად იწვევს ხელმოცარულ ბალიას. მას უარის თქმა უნდოდა, მაგრამ უცნობი აღარ მოეშვა. პოეტი ამ ეპიზოდს ხალხური გადმოცემის მიხედვით იაზრებს.

პოემის შემდგომ თავში ვაჟა ხატავს ხალხური გადმოცემისათვის უცნობ სურათს მშვენივრად აყვავებული ტაფობისას. ბალიას თვალწინ გადაეშლება უცნაური სახილველი. ამ ადგილებში მონადირე ადრეც ყოფილა, მაგრამ მსგავსი სილამაზე არ შეუნიშნავს. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად პოეტი რეალურსა და ირეალურს ხლართავს ერთმანეთში და ნიადაგს ამზადებს შემდგომი საკვირველებისათვის.

მომდევნო ეპიზოდს პოეტი თავისებურად წარმართავს: უარს ამბობს ხალხური გადმოცემის იდუმალებაზე, არ ახსენებს ტაბუს, რასაც არსებითი ფუნქცია აკისრია თქმულებაში.

ხ ა ლ ხ უ რ ი	ვ ა ჟ ა
„ხმა კი მეძახდა: წამოდი, ჩემ ხმას მოჰყევ, მხოლოდ არაფერი მოგატყუონ, ჩემდა უკითხავად არავის აზრახდეო.“	„ერთმა მას ხელი მოჰკიდა და წაიყვანა თანაო... ღვინოს აწვდიან თანაო, გადაჰკრა მონადირემაც, დიდხანს არ დაახანაო“.

ვაჟა ხატავს ნადირთ მფარველი ქალღვთაების მეთაურობით გამართულ რიტუალს. ამ პურობაზევე უნდა გადაწყდეს მონადირეებისთვის ნადირთა მიკუთვნების რიგიც.

პოეტი ხატავს ტურფა დალს, არ ივიწყებს მის ატრიბუტებს – ნისლივით თმას და ელვარე სილამაზეს, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მონადირეზე:

„ჭკვიდამ არია სტუმარი
იმის ნისლივით თმამაო,
წამოდგა ქალი ფეხზედა, –
თითქოს იელვა ცამაო, –
ჰაერში გაიკრიალა
მისმა ზარივით ხმამაო“.

ქალი სტუმრებს პურის ჭამის ნებას აძლევს, ხოლო ბალიას აფრთხილებს, ძვლები, რომლებიც შეხვდება, არ დაკარგოს. რიტუალს მრავალი სტუმარი ესწრება – „დაჯარებული ხალხიაო“, ამბობს ვაჟა და ამით უნდა გამოხატავდეს გვაროვნულ სოციალურ გარემოს, ნათესაური ჯგუფის (სურგულაძე, 2003:90) ერთად პურობას. პოემის მიხედვით, ხორცს თანასწორად ურიგებენ თავშეყრილთ, ძვლებს კი, უმცირეს ნაწილსაც კი, ერთად აწყობენ, სვამენ მიწის და ქვეყნის გამგებლის სადღეგრძელოებს, საგანგებოდ ადღეგრძელებენ ნადირთ ღვთაებას.

შემდეგი ეპიზოდის გააზრებისას ვაჟა ისევ სცილდება ხალხურ გადმოცემას. ბათირი ეშმაკის რჩევას ასრულებს, ბალია თავად მოქმედებს:

ხალხური	ვაჟა
„მითხრა ჩემმა ხაზეინმა ეშმაკმა: ერთი ძვალი დამალე. გავიჩარი წელჩი და დავმალე“.	„აქ მონადირემ იცრუა: წილად ბეჭი ხვდა ირმისა, „ხელ-უკულმ“ წყალში გადაგდო, დღესაც წყალს მიაქვს, მიდისა“.

თქმულებისაგან განსხვავებით, ვაჟა ბეჭის ძვლის ძებნის ეპიზოდში ბალიას ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უღრმავდება:

„აურჟოლებს მონადირესა,
თითქოს შეჰყროდეს ციება.
ვაჰ, თუ გაიგეს, – ჰფიქრობდა: –
შემრისხონ, გამამწარონო;
მომკლან და აქვე დამმარხონ,
ზედ მიწა მომაყარონო“.

რიტუალის ხელმძღვანელებმა სწრაფად იპოვეს გამოსავალი: ხისგან გამოთალეს ბეჭი, ძვლად ჩათვალეს და ნადირთ პატრონმა თავისი მოვალეობის აღსრულება დაიწყო, თითოეულ ნადირს დაუწესა მომკვლელიცა და მოკვლის დროც. ხალხში დარჩენილია მცდარი რწმენა იმის თაობაზე, თითქოს დალის წმინდა გიორგისგან ჰქონდა დავალებული როგორც ცოცხალ, ისე მკვდარ ნადირთა აღრიცხვა:

„აიღეს ბოლოს ხის ბეჭი...
ვისად დასწერენ იმასა?
„ეს ყვირილობას მოკვდება,
სწორედ პარასკევ დილასა.
ბალიას ანაწერია,
რაკი გადიღებს წვიმასა“.

ნადირთ პატრონის გადაწყვეტილება ბალიას მიერ ხისბეჭიანი ირმის მოკვლის თაობაზე ეხმიანება და შორდება კიდეც თქმულების შესაბამის ადგილს. ეხმიანება რეზულტატის მიხედვით, შორდება გააზრებით. ბათირს, თქმულების მიხედვით, სამი ჯიხვის მოკვლა უწინასწარმეტყველეს ტაბუს დაცვის გამო (სამჯერ მიაწოდეს არაყი, მაგრამ არც ერთხელ არ დალია). ვაჟა უყურადღებოდ ტოვებს ამ ეპიზოდს, ამით წყვეტს კავშირს თქმულებასთან და რეალისტურ ყოფაში გადაჰყავს გმირი: შინ დაბრუნებულმა ბალიამ თავი შეაცოდა თანასოფლელებს თავისი უიღბლობით, თუმცა გულში სათუთად ინახავდა ირმის მოკვლის იმედს.

და აი, დადგა შემოდგომაც.ბალიას ესმის ხარ-ირმის ყვირილი, ხედავს კიდეც მას, უმიზნებს თოფს, ჩახმახს მოსწევს, მაგრამ მეორე მხრიდან გაისმის თოფის გრიალის ხმა: „უყურებს, დაბარგანავდა ხარი ირემი ტიალი“. ირმის მომკვლელი მონადირე უსწრაფესად გაჩნდება ნანადირევთან, კისერში ხანჯლის წვერს დააბჯენს, თავს მოსჭრის და ჩამოტყავებას დაიწყებს.

ამ სიტუაციის შექმნით პოეტი იწყებს ბალიას ნამდვილი ბუნების გამოვლინებას. ნანახით შემცბარი და დაღონებული ბალია ნელა მიუახლოვდა მონადირეს, მიესალმა, დამალა მოქიშპისადმი

თავისი სიძულვილი, თუმცა „შუბლზე კი გაჭარხლებულსა ოფლი ჩამოსდის ცხელია“. მონადირეებს შორის გამართული დიალოგი მოწოდებულია მათი შინაგანი ბუნების გახსნისათვის. უცნობი ცდილობს დაარწმუნოს ბალია, რომ განგებ არ გაუწბილებია და მზად არის გაუყოს ნანადირევი.

ბალიამ ვაჟკაცისა და მონადირისათვის უკადრისი თანხმობა განაცხადა ნანადირევის გაყოფაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა მისთვის ვინაობის კითხვა. უცებ მას სხვა ირემმა ჩაუქროლა. პოეტი ცდილობს უფრო ნათლად დაგვანახოს უცნობი მონადირის სიკეთე. ამიტომ ათქმევინებს მას: მიდი, ესროლეო! ბალიამ ისევ ააცდინა მიზანში. ახალმა მარცხმა მთლად დაუკარგა სიმშვიდე, აღარ იცის, რა ქნას. იგი მიუბრუნდა მონადირეს, მაგრამ

„ჰხედავს, რომ ისიც გამქრალა
თავის გრძნეულის მახითა,
ირემი გატყავებული
იქვეა სრულად, მთლიანად.

ბალიას გამოცდისთვის შექმნილ ამ ეპიზოდს პოეტი ისევ რეალურისა და ირეალურის შერწყმის გზით აგებს. მოქმედების შემდგომი განვითარება ისევ ბალიას ხასიათის წარმოჩენას ემსახურება.

ბალიამ ნანადირევი მიითვისა და შინ ჩამოიტანა. უცებ შეიკრიბა ხალხი, შეუქეს ნანადირევი და მიულოცეს სახელი. რაკი ერთხელ გადაუდგა ნამუსს, ბალიას უკან დასახევი გზა აღარა აქვს და ისიც მეზობელ-თანასოფლელთა კითხვებზე პასუხებს თხზავს, აზვიადებს ნადირობისას თავსგადახდენილ საშიშროებას, ამაღლებს თავისი ვაჟკაცობის ხარისხს.

ვაჟა ამ ცრუ ზეიმს დიდხანს არ აგრძელებს. ლეშს ყველას თვალწინ მხრიდან ბეჭი გადმოუვარდა. ბაქია, ტყუილის მკადრებელმა მონადირემ ინანა თავისი შეცოდება: „თუ ასე მოვსტყუვდებოდი, რისთვის გამზარდე, დედაო?!“ ამის შემდეგ ბალიამ თოფიც გაყიდა და ნადირის ხორცის ჭამაზეც უარი თქვა.

ხის ბეჭზე ხალხურმა გადმოცემამ ვაჟას ახალი ორიგინალური ნაწარმოების შექმნისკენ უბიძგა. ავტორი სარგებლობს მითური გადმოცემის პირველი ნაწილით, მაგრამ გარკვეულწილად ასხვაფერებს მას. ხალხური გადმოცემისაგან განსხვავებით, პოემა ბუნების სურათით იწყება. თქმულებაშიც და ვაჟასთანაც მონადირე ხელმოცარულია. ეს მოტივაცია ხელს უწყობს პოეტს უფრო მიზანსწრაფული გახადოს თავისი გმირი. ვაჟას მითური გარემოდან რეალისტურ ვითარებაში გადმოჰყავს გმირი, სადაც მეტია საცდური. ვაჟასთან ტაფობში მიწვეული მონადირე ნადირთ პატრონის სტუმარი ხდება.

ხალხური გადმოცემიდან გადახვევა განსაკუთრებით საგრძნობია პოემის მესამე თავიდან. ხალხურ გადმოცემაში არსად არ არის ნახსენები ქალი, რომელიც პოემის კვანძის შემქმნელი ეპიზოდის ცენტრალური ფიგურა ხდება. პოეტი ბალიას ხასიათის ინდივიდუალიზაციაზე ზრუნავს – იგი თავად მიდის ირმის ბეჭის გადამალვის აზრამდე და მდინარეს ატანს. ვაჟა, გადმოცემისაგან განსხვავებით, ირმების გაცოცხლებისა და მომავალში მათი კონკრეტულ მონადირეთა მიერ მოკვლის დროის დასადგენად მთელ ეპიზოდს ქმნის.

ვაჟას „ხის ბეჭი" ზნეობის პრობლემას ეძღვნება. ამიტომ მისთვის საინტერესოა, როგორ მოიქცევა ადამიანი კრიტიკულ მომენტში. პოეტისთვის საინტერესოა, რას იზამს ბალია? ვაჟა თავის გმირს სულსწრაფ ადამიანად ხატავს. მისი ცდუნებისათვის მიმართული ქმედება პირველი ცდისთანავე რეზულტატურია და სწორედ ეს ააშკარავებს გმირის შინაგან სახეს.

„ხის ბეჭის" შექმნისას ვაჟა ფშაველას პოეტური ოსტატობა ზენიტში იყო. პოეტი ქმნის დიდი ზემოქმედების მომხდენ პოეტურ პასაჟებს, შესანიშნავად ავლენს ნიჭს გმირთა ხასიათების შექმნისა და სიტუაციების აკინძვის დროს. მას სიუჟეტის განვითარების არც ერთი ნიუანსი არ რჩება უყურადღებოდ და თავის პოზიციასაც ამჟღავნებს.

გ) „დაჭრილი ვეფხვი" ისევ ნადირთ ღვთაებისა და მონადირის ურთიერთობის სფეროდანაა. უნდა გავიხსენოთ, რომ ნა-

დირთ პატრონ ქალს, სხვა თვისებებთან ერთად ჰქონდა სხვად ქცევის უნარი. იგი ასე გარდაქმნილი მოევლინებოდა ხოლმე თავის სამოქმედო სივრცეში შეტყუებულ, ნადირის მოკვლის აზარტით თავგზააბნეულ მონადირეს და გამოცდას უწყობდა. ასეთი გამოცდა მითის ყველა სახეობაში გვხვდება, როგორც ნადირთ ღვთაებისა და მონადირის ურთიერთდამოკიდებულების აუცილებელი ატრიბუტი.

კონფლიქტი სამონადირეო მითში, როგორც წესი, მონადირის მიერ ტაბუს დარღვევის შემდეგ ვლინდება, მანამდე იგი შენიღბულია, თუმცა თავად ტაბუს დადებაში აუცილებლად იგულისხმება. აკრძალვის დამრღვევ მონადირეს ნადირთ პატრონი შეუბრალებელი სიმკაცრით სჯის. „დაჭრილ ვეფხვში“ გამოყვანილი ნადირთ მწყემსი (პოეტი მის შესახებ გვაუწყებს: „თან მოსდევთ თავის პატრონი, ნებ-ნება შემოჰკიოდა“) დამსაჩუქრებლის როლშია, მაგრამ ეს არ არის საზოგადოდ სიკეთის ქმნის სურვილით შეპირობებული ქმედება. მონადირემ ჯილდო უნდა დაიმსახუროს სიკეთესა და ბოროტებას (სიხარბეს) შორის გადებულ ბეწვის ხიდზე გავლით.

ვაჟა პოემის მოქმედებას გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს, იწყებს. „ჯიხვების ხროს“ თან ახლავს თავისი მწყემსი. ჯიხვები უსაფრთხო ადგილს შეეფარნენ, სადაც ვერც მონადირე მიდის და ვერც მტაცებლები აღწევენ. ქვემოთ კი სწრაფად მსრბოლი ირმების ჯოგი გადადის გორს და მონადირე შორ მანძილზე ხარს და ფურს დაინახავს, ესვრის, მაგრამ ააცდენს.

ხელმოცარული მონადირე წყვდიადში დგას და ადგილის დედას ევედრება ხელის მომართვას, ნანახი სიზმრის ახდენას. მონადირის სიზმრისადმი რწმენა ამ შემთხვევაში ტრადიციულადაა გააზრებული პოეტის მიერ – „მე ხომ ამ სიზმრით ვნადირობ, ნადირს ვხოც იმავ თაობით?“ – რაც ხალხში უძველესი რწმენის სიცოცხლეზე მიგვანიშნებს.

ადამიანთა შემწე ადგილის დედა უყურადღებოდ არ ტოვებს თავისი სამეურვეოს შვილს, მაგრამ ვის დაეხმაროს სურვილის შესრულებაში? მისთვის ხომ, ნადირთ პატრონის მსგავსად, უც-

ნობია მონადირის ბუნება! სურვილის აღსრულებამდე მონადირე უნდა გამოიცადოს და პოეტიც ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული მოტივის გამოყენებით ქმნის ეპიზოდს, რომლის მიზანია მონადირე თვარელის ავ-კარგში გარკვევა.

მონადირემ შენიშნა ტოტგაწვდილი ვეფხვი, რომელსაც კლანჭი სტკიოდა და:

„კვნესოდა, როგორც ვაჟკაცი
მტერზე ჯავრ-ამოუყრელი,
მუდამ მდებარე მტრის ფეხ-ქვეშ,
ვით მთა ჯანღ-გადაუყრელი".
(ვაჟა ფშაველა III, 1964:128)

ხელმოცარული მონადირე არჩევანის წინაშე დგას. პირველი, იმპულსურად წარმოშობილი სურვილი კარნახობს: რაღას უცდი, „დაჰკარ, ხომ ვეფხვიც მხეცია!" მაგრამ ნანახის გაცნობიერების შემდეგ გონი თრგუნავს ემოციას და მონადირეს შინაგანი ხმა დაუშლის დაჭრილი ვეფხვისთვის სროლას. პოეტი ქმნის მონადირის გადაწყვეტილების მოტივაციას: „ეგეც ჩემსავით ნადირობს, კალთები აუკეცია, ნადირობაში მაგასაც მთა-ბარი დაუკეცია".

მონადირული წესის თანახმად, თვარელმა ვეფხვს კლანჭიდან ამოუღო:

„სიპი მომსხო და სრულია,
ნაშალი კლდისა სალისა,
ნაგალი ღვართა, ზვავისა,
და გალესილი ნისკარტით
ღამის მთეველის სვავისა..."

ვეფხვმა სიკეთის წილ არ დაახანა სიკეთის ქმნა და საჩუქარი მიუძღვნა მონადირეს: ირგვლივ გამეფებულ მდუმარებასა და წყვდიადში სად იყო, სად არა:

„უცბად იმის წინ ირემმა
დაიწყო რქების ტრიალი...“

ამ თითქოს ყოფით ამბავში ძველი მითი განაგრძობს სიცოცხლეს, აწესრიგებს ვითარებას:

„...ირმის ნადგომში
ვეფხვი გაბრუნდა ზნექითა.
ერთი – კი დაიღავღუვა
და გაემართა ზევითა“.

ხანგამოსულს კი:

„კლდის თავს გამოდგა ხარ-ჯიხვი,
გამოქცეული ქვეყითა“.

მონადირემ ირმის შემდეგ ჯიხვიც მოკლა, ხევში ჩამოაგორა და:

„ჯიხვის ნადგომზე ვეფხვს ჰხედავს,
ვეფხვი ტოტს იცემს მკერდშია...“

ნადირთ ღვთაება ვეფხვის სახით მოევლინა მონადირეს. არ გვაქვს იმის დამადასტურებელი ცნობა, თითქოს ვეფხვი მონადირისათვის ნადირის მირეკვის გამო ოდესღაც შეიძლებოდა ნადირთ მწყემსიც ყოფილიყო (სურგულაძე, 2003:134), თუმცა ცნობილია მოკლული ვეფხვის დატირების ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელშიც ჩამოთვლილია მონადირისთვის ყველაზე ძვირფასი ვეფხვის სანაცვლო პირები:

რომ არ მოგვეკლა შენი თავი,
ნეტავ შენ მაგივრად შვილი მოგვეკლა!..
(ვირსალაძე 1964: 27)

მითში საზოგადოდ სიკეთის ქმნასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ გამოცდასთან. პოემაშიც ნადირთ პატრონი როცა დარ-

წმუნდა თვარელის სიკეთეში, ჯილდოდ ხარ-ირემი და ჯიხვი მიუძღვნა და თან ანიშნა ამის შესახებ.

ნადირთ ღვთაების ბუნებისათვის სიკეთის პასუხად ამგვარი ძღვენის გაცემა დამახასიათებელია (დასტურად გამოდგება ვარიანტებად ცნობილი ლექსი „დალი კლდეზე მშობიარობს“ (ხალხური პოეზია, I, 1972:200).

დ) „გველის მჭამელის“ არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, – წერს ვაჟა, – შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს; მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოსაკვლელად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა; მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატკივარის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იძახის, რის წამალიც არის და მინდიამაც ამ მცენარეთა ენა კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაექიმება. მისი წამალი უებარია. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მხედართმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა, ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის...“ (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:364).

ამ ფილოსოფიური ხასიათის პოემამ ყველაზე მეტი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მათ შორის გამოჩნდა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული აზრებიც. პოემის გამოქვეყნების შემდეგ მკვლევარები დაინტერესდნენ იმ ხალხური გადმოცემით, რომელშიც მოთხრობილი იქნებოდა მინდიას ბრძნად ქცევის ამბავი. ასეთი ამბები აღმოჩნდა, მაგრამ ისიც გაირკვა, რომ მოპოვებულ მასალას საეჭვო ღირსებები გააჩნდა. საკითხის კვლევის დროს ვაჟას მინდიას სახელის გამო მცდარად დაუკავშირდა ბევრი პოეტური ტექსტი თუ პროზაული გადმოცემა, რომლებშიც ხშირად არც კი გვხვდებოდა ვაჟა ფშაველას პოემის დამახასიათებელი ძირითადი მოტივები.

პოემისა და მის შესახებ ვაჟას გამონათქვამების გამოქვეყნების მრავალი წლის შემდეგ ცნობილი გახდა ექიმ გ. თედორაძის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი გადმოცემა. ხალხში გაგონილი ამბავი ექიმის მიერ გადამუშავებულია და ამდენად ჭეშმარიტ ღირსებას მოკლებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არც სხვა მოგვეპოვება უკეთესი. გ. თედორაძისეულ გადაკეთებათა სიმძიმე განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა პოემის წყაროს საკითხი დგება. თუმცა ჩამწერ-გადამამუშავებელი მიგვითითებს იმაზე, რაც შეცვალა, მაგრამ ტექსტში ახალი დროის გავლენით შემოსული სხვა თავისებურებებიც შეინიშნება. გადმოცემის პირველი გაცნობისთანავე ნათელი ხდება, რომ გ. თედორაძის ჩანაწერში ერთმანეთთან არის შერწყმული მითური და საყოფაცხოვრებო მოტივები, საზღაპრო ეპოსის რეალიები და ძველი გადმოცემის გადამუშავებისას გაჩენილი ელემენტები.

გ. თედორაძის შენიშვნით, ჩანაწერებში ხალხურია „გუგულების ამბავი, ლექსები, მინდიას ტყვეობა ნადირთ მწყემსთან, მისი დაავადება ტილით, თეთრი გველის ჭამა, განკურნება, მისნად გადაქცევა, ქისტეთს წასვლა საომრად, ძმობილ ალდისძის ბინაზე მისვლის მაგივრად მტრის სახლში მისვლა, ციხეში გამომწყვდევა და სიკვდილი“ (თევდორაძე, 1939, 97).

ამ მოტივების ჩამოთვლაც საკმარისია, რომ გამოჩნდეს მათი არაერთგვაროვნება, პირველ რიგში, წარმოშობის მხრივ.

ცნობილია, თ. ნაროზაულისგან ჩაწერილი ვრცელი პროზაული ტექსტი. ეს კონტამინირებული ვარიანტი, განსაკუთრებით მისი პირველი და მეორე ნაწილი, კავშირს არ ამჟღავნებს მინდიას თქმულებასთან. (გაჩეჩილაძე, 1959:27). მკვლევარ თ. ოჩიაურის მართებული დასკვნით, ჩანაწერის პირველი ნაწილი „შეეხება ხევსურეთში „ჟამთა გაჩენას“, მეორე ხახმატის ჯვარის მკადრე გახუა მეგრელაურის ანუ გახუა ჭორმეშიონის ხატებთან ერთად ქაჯაეთში მოგზაურობას (ოჩიაური, 1967:99).

როგორც გ. თედორაძის, ისე თ. ნაროზაულისეულ ვარიანტში ბევრი, ასე ვთქვათ, „ზედმეტი“ მოტივია შესული. ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, რით ემსგავსება ეს ვა-

რიანტები ერთმანეთს. ამის გარკვევა ერთგვარად მიგვაახლოვებს საკითხს, რით შეიძლებოდა ესარგებლა დიდ პოეტს ხალხური მასალიდან, ანუ რა შექმნა თავად?

ზემოდასახელებულ ორ ვარიანტს შორის მსგავსია შემდეგი მოტივები:

1. მინდიას გუგულების ქვეყანაში მოხვედრა.

2. მინდიას მიერ გუგულების გათავისუფლება ფრინველების ჯარისგან.

3. გუგულების სურვილი მინდიას დასაჩუქრებისა.

4. თეთრი გველის ხორცით გამასპინძლება; მინდიას ცუდად შექმნა გველის ხორცის ჭამის მიზეზით; სამი ხელი ლოგინის გამოცვლა.

5. კბენარის იღლიებში დაგროვება და მისგან გათავისუფლება.

6. ფრინველ-ნადირთა, ხეთა და ყვავილ-ბალახთა ენის გაგების უნარის შეძენა.

7. მინდიას დაბრუნება ხევსურეთში და ბრძენისა და მკურნალის სახელის დაგდება.

8. სასწაულებრივი უნარის დაკარგვა და ჩვეულებრივ ადამიანად ქცევა.

9. ქისტეთში ჩასვლა და სიკვდილი მტრების ხელით.

ბუნებრივია, ერთმანეთისგან განსხვავებულია ამ მოტივთა მხატვრული ხორცშესხმა, რითაც ვარიანტები სხვადასხვაგვარად აღიქმება.

ზემოხსენებულ ჩანაწერებთან მსგავსებას ამჟღავნებს თინა ოჩიაურისეული ხევსურული გადმოცემა, რომელშიც ველარ ვხვდებით მინდიას დაბადების მითურ მოტივს. ამღელი მინდია ქაჯების ტყვეა. იგი მაშინ უნდა დაკლან შესაჭმელად, როცა სხეულზე მოჭერილი თოკი ხორცში დაემალება. ერთხელ მინდია ქაჯების ცხოვრების საიდუმლოებას გაიგებს: ქაჯების დედა მას მთაზე წაიყვანს გველების დასაჭერად. გველთა შორის იყო ერთი, რომელსაც ყელი მატყლით ჰქონდა დაფარული. ქაჯები ერთ ტყვე ქალს დირეზე ჩამოჰკიდებენ, აქეთ-იქეთ კედლებზე საჩეჩ-

ლებს დაამაგრებენ და ქალს გააქან-გამოაქანებენ. ქალი სხეულით ეხება საჩეჩლებს და სისხლი სდის. სისხლი ლანგარზე გროვდება და ქაჯებიც სვამენ. ქაჯები მინდიასაც შესთავაზებენ ადამიანის სისხლს, მაგრამ მინდია უარს ამბობს. ამ დროს ხევსური დაინახავს, როგორ დაკლა ქაჯების დედამ ყელმატყლიანი გველი და ჩადო მოსახარშად. მინდიამ გადაწყვიტა, ქაჯებისგან შეჭმას სიკვდილი მირჩევნიაო და ორი წვეთი გველის სისხლი გასინჯა.... სიკვდილის მაგივრად მინდია ბედს ეწია – ფრინველებისა და მცენარეების ენა ისწავლა.

თქმულების მეორე ნაწილში მოთხრობილია მინდიას ტყვეობიდან გაქცევისა და გუგულების ქვეყანაში მოხვედრაზე, სადაც ხევსური მკბენარისგან გათავისუფლდება. შემდგომ მოთხრობილია ამღაში ჩამოსვლასა და ბრძნად აღიარებაზე. თქმულების ფინალი მთქმელს აღარ ახსოვს (ჩიქოვანი, 1956:76).

უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა გადმოცემაში დაცულია მოტივის გამააზრიანებელი ძირითადი ამბავი: გველთან დაკავშირებული ადამიანი ჯილდოვდება მაგიური ცოდნით. ეს ქმედება, როგორც მითოლოგიის მკვლევარები (ა. გაწერელია. ა. ბაქრაძე, თ. ჩხენკელი) მიიჩნევენ, ქაჯების სამოსახლოში – ქვესკნელშია შეასაძლებელი. ტყვე მინდია ქვესკნელში იყო ქაჯებთან, იქ შეიძინა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუღწეველი მაგიური ძალა ბუნების წვდომისა, გულთმისნობისა. ხევსურული მითური მოთხრობის თანახმად, მინდიამ ქაჯებთან (გარდაცვლილთა საუფლოს გველი სიბრძნესთანაც ასოცირდება (აბაკელია, 1997:12)) ყოფნისას გველის სისხლი დალია. როგორც ვლ. პროპმა გაარკვია, ნათელმხილველური ცოდნის შეძენა კავშირშია ინიციაციის ჩვეულებასთან, როცა ჭაბუკს გადაყლაპავს გველეშაპი და ამოანთხევს, ან თავად ჭაბუკი ჭამს გველის ხორცის ნაჭერს, რის შედეგადაც მაგიური უნარით ჯილდოვდება (პროპი 2000:196). ამ მოტივს ჩვენ ფოლკლორულ გარემოში გარდაქმნილს ვიცნობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცილებულია პირვე-

ლწყაროს. ამიტომაა, რომ მოტივი ვარიაციულია დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ხევსურული გადმოცემით, სისხლის დალევა ხორცის ჭამის მონაცვლე მოტივია და იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი. ზღაპარში, მაგალითად, ვარიაციულ მრავალფეროვნებას თან ახლავს ხოლმე გმირის გულთმისნობის (ბუნების ენის ცოდნის) საგანგებო მოტივირებები. საზღაპრო სიუჟეტში ვარიანტულობა ახასიათებს გველის ხორცის მიღების ელემენტს, რომელიც მოტივის შემადგენელი ნაწილია. იგი ხან სისხლის დალევით, ხან კი ენაზე ენის მიდებით ან სხვა ფორმით არის შეცვლილი და, როგორც ვხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ფორმას არ გააჩნია. „ჩაგბერავ და არ შეგეშინდესო. – უთხრა გველმა მეცხვარე ბიჭს. – ჩაჰბერა ვაჟს და გახდა გულთმისანი მწყემსი. ყველაფრის ლაპარაკს და ხმას გაიგონებდა: ცხვრისას, ძროხისას...“ – ვკითხულობთ თედო რაზიკაშვილის ჩაწერილ ზღაპარში.

საქართველოში ზღაპართა მრავალი ვარიანტი მოგვეპოვება ადამიანისა და გველის ურთიერთობიდან, რაც ადამიანის „გაბრძენებით“ მთავრდება – კაცი სწავლობს ბუნების ენას.

ვაჟა-ფშაველა პოემა „გველის მჭამელს“ საგანგებოდ იწყებს ისეთი შინაარსის შემცველი სიტუაციით, რომელშიც თავიდანვე უნდა გამოიკვეთოს, რათა შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდეს ორი საწყისი – სულიერი და მატერიალური. ლუდით მთვრალი ხევსურები ღრეობენ, ფანდურს უკრავენ და საგმირო ამბებს დამღერიან: „აღგზნებით გმირთა სახელებს ლექსებში სთვლიდენ წმინდადა“. ერთი მხრივ, ლუდი, და, მეორე მხრივ, ხევსურ გმირთა თავგადასავლის აუცილებელი კომპონენტი, მტრის ხოცვა-ჟლეტისა და სისხლის ღვრის ისტორია, ქმნის გამორჩეულ გარემოს, რომელშიც სულიერებისათვის ადგილი აღარ უნდა იყოს დარჩენილი, მიუხედავად სიმღერათა პატრიოტული ხასიათისა და დანიშნულებისა. პოეტი სურათის ხატვისას ამ მომენტზე საგანგებოდ არ უსვამს ხაზს. ალბათ, ამიტომ არის, რომ თავშეყრილთა შორის არის ერთი თავისთვის დიდად ბედნიერი და ბე-

დით კმაყოფილი კაცი, რომელიც „სჩანს სახემკრთალი და მშვიდია...“ ეს „დაღვრემილი“ ხევსური:

„ტყეობით დაბრუნებული
ძმებში ყოფნითა სტკბებოდა,
როგორაც სხვანი მრავალნი,
ისიც ლუდითა თვრებოდა“.
(ვაჟა ფშაველა, IV, 1964:8)

ეს იდილია მხოლოდ გარეგნულად უნდა მივიჩნიოთ. სხვა შემთხვევაში ფერმკთალობასა და დაღვრემილობაზე მითითება არ გაჩნდებოდა.

ირკვევა, რომ მინდია თორმეტ წელს ტყვედ ჰყავდათ ქაჯებს. ვაჟა მოგვითხრობს ხევსურის თავსგადახდენილ „დაუჯერებელ ამბებს“: ფრიად დაუჩაგრავს სამშობლოს გარეთ, უნათესაოდ ყოფნას ხევსური, მაგრამ რაკი ვერ დაუხსნია თავი ტყეობიდან, გადაუწყვიტავს თავის მოკვლა. მინდიას დაუნახავს, როგორ ხარშავდნენ ქაჯები სადილისათვის გველის ხორცს და უფიქრია: ამ ხორცს შევჭამ და მოვკვდებიო. აუღია კიდეც ერთი ნაჭერი, ზიზღით შეუჭამია, მაგრამ სიკვდილის ნაცვლად ზეციურ ძალთა წყალობა მიუღია:

„ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუეს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ...“

მინდიას ახალი, ღვთაებრივი ცოდნის თანახმად, თურმე სულიერ-უსულოს ენა აქვს. პოეტს არ ავიწყდება მითითება იმაზე, რომ „...ჭამა გველისა ქაჯთაგან იყო ზმანება“. მინდიას სიხარული განსაკუთრებულია, რადგან „მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემაო“. თანაც მინდიამ ისე იგრძნო თავი, რომ „აღა-

რაფრისა ეშინის, თუნდ თავს დაატყდეს მეხია". საკუთარი თავისა და შესაძლებლობებისადმი რწმენა დიდი ძალა გამხდარა მინდიას ხელში. ვაჟა-ფშაველა ამ ძალისა და უნარის საზოგადოების სამსახურში ჩაყენებაზე მიგვანიშნებს და საგანგებოდ უსვამს ამას ხაზს. მინდია მთელი ფშავ-ხევსურეთის იმედად ქცეულა (დაჭრილისა და მომაკვდავის განკურნებაც შეუძლია!). თვით გვირგვინოსანი თამარია მის იმედად, რადგან ხევსურს სცოდნია მტრის „დასამარცხებელი და შემმუსვრელი" ფანდი.

მინდიამ შეიძინა უნარი „იგრძნოს და მიხვდეს". ამ აქამდე უბრალო, ჩვეულებრივი ხევსურის არსებაში ბუნება შესულა და დაბუდებულა. ამ შეგრძნების უნარს იგი თავად უქცევია ბუნების ნაწილად. ყოველივე ეს გამოვლენილია ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუღწეველ უნარში – გაიგოს მცენარისა და მღილის ფიქრი და სურვილი.

ბუნებასა და ადამიანს შორის დამყარებული ჰარმონია, რომელზედაც ვაჟა ფშაველა მიგვითითებს, განსაკუთრებულის ხარისხშია აყვანილი. გაზაფხულზე, როცა გარემო სულს ჩაიდგამს, მინდია სალმით ხვდება ბუნების შვილთ. თავის მხრივ, ისიც „ვაშას" ძახილით ეგებება ადამიანს. ყვავილნი:

„მინდიას გაუმარჯოსო,"
ერთხმად ასტეხენ ყიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა".

ბუნებასთან მინდიას კეთილგანწყობით ურთიერთობას, ერთი მხრივ, სიხარული და კმაყოფილება მოაქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, შორეული მიზეზია გმირისავე ტრაგედიისა. მანამდე ვაჟა ფშაველა მოგვითხრობს „ახალი ცოდნის" შეძენის ხასიათზე. ყვავილები თავად უმჟღავნებენ მინდიას „მე ვარო ამის წამალი, სხვა გაიძახის – „იმისა". პოეტს შემოაქვს სიკეთისათვის ბუნების თვითშეწირვის მოტივი, რითაც ეხმიანება თავისსავე ცნობილ თვალსაზრისს იმ ჰარმონიის შესახებ. რომელიც ბუნებაში გამეფებულა:

„ბუნება მბრძანებელია,
იგავ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც-კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!.."
(„ღამე მთაში")

ამრიგად, თურმე, ბუნების წესის (ზნის) თანახმად, „სიცოცხლით გაფუფუნებულს" ყვავილებს არაფრად მიაჩნიათ სიკვდილი, თუკი სნეულებს, „ძვალ-ხორცითა ჩამორღვეულთა" წამლად გაუხდებიან.

ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მინდიასადმი თავთავები. თურმე, მინდია მკის დროს გადარეულივით იმიტომ დარბის აქეთ-იქით, რომ თავთავნი ხელნამგლიან ხევსურს:

„მნახავენ თავის ღმერთადა:–
„არა, მე მომჭერ მინდიავ,
ნუ მტოვებ შენი კვნესამე!"
„არა მე, – სხვა გაიძახის: –
უფრო მანიშნებს ზეცა მე.
პატარა ნისლიც რო ვნახო.
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა".
სხვა უფროც ჰყვირის: „ნუ მწირავ,
იხარე თავის ჯანითა!"

თავთავები, ყვავილებისა არ იყოს, ადამიანთა სარგებლობისთვის თავს არ ზოგავენ, ამ ქვეყნად მოსულებს უნდათ შეასრულონ თავისი მისია – პურად, საჭმელად იქცნენ და მშივრები გააძღონ.

თუ თავთავები და ყვავილები თავად იხვეწებიან „გამომიყენეო", ხეები, საპირისპიროდ, ევედრებიან მინდიას არ მოჭრას, ოჯახში ჩხვრიმალით წავიდეს იოლად.

აქ მინდია ბუნების სხვადასხვა საგნისადმი აშკარად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, რაც შეუნიშნავი არ დარჩენიათ მკვლევარებს. თ. ჩხენკელმა განმარტა პოემის ეს მონაკვეთი. ყვავილებისა და ბალახის მოსაწყვეტად მინდიას მზაობის ეპიზოდი ხალხური გადმოცემის ზეგავლენით შექმნილად მიიჩნევა. აქ „მინდია მარცვლეულის მფარველი, ოქროსთავთუხიანი ყანის მფარველი ღვთაებაა". მწიფე მარცვალი და შემოსული ბალახი უნდა მოიჭრას, რათა ისინი მომავალ გაზაფხულზე კვლავ აღორძინდნენ. თ. ჩხენკელისთვის ნათელია, რომ ვაჟას პოემაში „ამ პასაჟის მითოსურმა შინაარსმა პ რ ო ფ ა ნ ი რ ე ბ ა განიცადა". ვაჟა თავად გრძნობს მის "მითოსურ" დამოუკიდებლობას და მისი განეიტრალებისათვის ქმნის პოეტურ მონაკვეთს, თუმცა ამ განმარტებით მითოსის კვალი ვერ იშლება და „მხატვრულ სინამდვილეს შინაგან წინააღმდეგობას უწევს" (ჩხენკელი 1989:158-159) მხოლოდ.

მინდიას, ბუნების ენის მცოდნეს, კიდევ შეუძლია დაუგდოს ყური ხეთა ვედრებას, თანამოძმეებსაც შეუძლია ურჩიოს – ნუ მოსჭრიან ხეებს, მაგრამ რა ქნან ხევსურებმა, რომელთაც არც ბუნების ენა ესმით და ტრადიციული ცოდნაც არ უკრძალავთ ხეთა მოჭრას? პოემაში პირველი კონფლიქტის საფუძველს სწორედ ის ქმნის, რომ მინდიას „ახალი ცოდნის" გამზიარებელი არ იძიება მის გარშემო. მინდიას:

„არავინ უსმენს, არქმევენ
ამ გვარს მის რჩევას ბოდვასა:
– ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია
სარგოდა, მოსახმარადა!"
და დღესაც არავინ ჰზოგავს
ვერხვ-წოფელს მოსაკლავადა".

მინდიას საქციელით გაკვირვებულ ხევსურთა გულისთქმის გამოხატვა ჩალხიას უდვია თავს. ჩალხია ჩვეულებრივი ხევსურია, „მარტივი", „პირდაპირი გონებაა" (კიკნაძე, 1989:148). მაგრამ ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ასეთივე პირდაპირმხედველია მინდიას ყველა გარშემომყოფი. ჩალხია იმას დასაშვებად მიიჩნევს, რომ ხე-ქვა-ბალახისა და ცხოველთა მოკვლა სიბრალულს შეიძლება იწვევდეს, როგორც ამას მინდია უქადაგებს. მინდია ამბობს: კაცის მოკვლა ყველაზე დიდი ცოდვააო (ამის დაჯერებასაც შესძლებდა ჩალხია), მაგრამ რა ქნას, აკი თავად უნახავს, როგორ მოუკლავს მინდიას მტერი, როგორ შეათავსოს ერთმანეთთან ნათქვამი და ნანახი?

აქ სინამდვილის გაცნობიერების, ათვლის სხვადასხვა დონესთან გვაქვს საქმე. მართალია, მტერიც კაცია, მაგრამ მისთვის სიკვდილი თვით უფალს დაუწესებია, რათა „შვება" არ დაგვირღვიოს, რჯულის ცნება არ მოგვიშალოს.

მინდია კაცთა დიფერენციაციას ახდენს, მტერსა და მოყვარეს მიჯნავს ერთმანეთისგან, ხევსურები კი საზოგადოდ კაცის კვლაზე მსჯელობენ და მათ შორის გაუგებრობის საფუძველიც ესაა.

ხევსურთა სურვილი სრულიად ბუნებრივი ჩანს – უნდათ გაერკვნენ მინდიას სიმართლეში. ამიტომაც განსჯიან მის საქციელს. ამ დროს კი ბუნების ენის მცოდნე ხევსური ტირის, რადგან იქვე, იფნის ქვეშ მჯდარი ჩიტების ლაპარაკს უსმენს. ერთი ჩიტი უყვება მეორეს შვილების სიკვდილის ამბავს. ვაჟა ფშაველას მიერ შექმნილი ეს ეპიზოდი სპეციალური დანიშნულებისაა: ხევსურებმა საკუთარი თვალით ნახეს და, შესაბამისად, დაიჯერეს კიდეც მინდიას განსაკუთრებულობა:

„მაგრამ ნაგრძნობსა გულითა,
გონებით ჰშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა".

მინდიას გარესამყაროსადმი გამორჩეული, არასტანდარტული დამოკიდებულება თავის თავში ატარებს ტრაგიკულს. მინდიას არსებობის ტრაგიზმი მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო მძლავრობს გარშემომყოფთა წინააღმდეგობა. აქამდე საზოგადოებრივ პლანში წარმოდგენილ კონფლიქტს პოემის მეექვსე თავიდან ოჯახურიც მიუმატა ვაჟამ.

ახლა უნდა გამოიღოს შედეგი ინიციაციაგამოვლილი, ანუ „სულეთში“ ნამყოფი და ღვთისშვილთან „გართული“, ანუ ღვთაებრივი ხ ე ლ ი (თ. ჩხენკელი) მინდიას მიერ დაშვებულმა შეცდომამ – დაცოლშვილებამ. რაკი ღვთიურ მადლს ეზიარა მინდია და საოცარი უნარი შეიძინა, მას ისე მარტოს უნდა ეცხოვრა, როგორიც ხევსურეთში დაბრუნდა. მაგიურ ძალებთან წილნაყარნი, ანუ ხევსურული ტერმინით „ღაბუშები“, ჩვეულებრივ, დაუქორწინებლები არიან. ცოლის შერთვას მათ ღვთისშვილი უშლის“, – აღნიშნავს თინა ოჩიაური.

ვაჟას მინდია მარტოსულია, მიუხედავად იმისა, რომ ცოლშვილი ახვევია თავს. მარტოსულობა მისი ბედია, ისევე როგორც ბუნების ენის გაგების ბედნიერება. ასეთი „ინტუიციის“ პატრონს, როგორც გამონაკლისს, თავისი გარემო და სამყარო სჭირდებოდა, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, არ იძიებოდა არც ხევსურთა საზოგადოებაში და არც საერთოდ დედამიწაზე. გავრცელებული თვალსაზრისით, ადამიანი ქვეყნად აქტიური საქმიანობისა და ბრძოლისათვის არის გაჩენილი და მხოლოდ ბუნებით „ტკბობას“ ვერ მიეცემა, რაკი ამით თავს ვერ გაიტანს. პრაქტიკული თვალსაზრისით, ყველაზე ჰუმანურ საზოგადოებასაც კი გაუჭირდებოდა ხის მოუჭრელობის, ცხოველ-ნადირის მოუკვლელობის პრინციპით არსებობის შენარჩუნება. მინდია ქადაგებს იმას, რაც ტრადიციის ძალით წარმოუდგენლად, სრულიად მიუღებლად მიაჩნდათ მის თანამოძმეებსა და ახლობლებს. პოემაში გმირთა მოქმედების საოჯახო გარემოში გადმონაცვლებისას ვაჟა კონფლიქტის არსს არ ცვლის. ისევ ათვლის წერტილის სხვადასხვაობა ეჯახება ერთმანეთს.

ამ კონფლიქტში ვაჟა მინდიას ოჯახის მოთხოვნილებებს არსებით მნიშვნელობას ანიჭებს. მზიას ჩვეულებრივმა მოთხოვნებმა უნდა გამოააშკარავოს მინდიას „არაჩვეულებრივ“ მისწრაფებათა პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეუთავსებლობა. ამ ფონზე უნდა გადაწყდეს პოემის პერსონაჟთა ბედი.

მინდიას, ამ უაღრესად სულიერ ადამიანს, გამახვილებული აქვს მოვალეობის გრძნობა, რის გამოც არ შეუძლია ყური არ მიუგდოს ცოლის უკმაყოფილო წუწუნს. მზიას პრეტენზია მინდიასადმი ყოფითია. ქალი მოითხოვს ქმრისგან, ერთი მხრივ, შეშას („სიცივე ბავშვებს მილევსო“) და, მეორე მხრივ, ხორცს („ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი რა ვაჟკაცობას იზამენ? არსად არ გამიგონია, ასრე გაზრდილი სხვისა მენ“).

ვაჟა ფშაველა ცოლ-ქმრის კონფლიქტის პროცესს კი არ გვიჩვენებს, არამედ პირდაპირ შედეგს გვაცნობს. ვაჟას მთელი ყურადღება გადატანილი აქვს ცოლ-ქმრის დაპირისპირების მიზეზის თვითგანსჯაზე, თვითანალიზზე. მინდია მაშინ საყვედურობს ცოლს, როცა უკვე დაუკარგავს ღვთაებრივი ნიჭი. ეს კი მომხდარა თანდათან, „დღეს-ხვალეობით“, რწმენის ღალატით. მინდიასათვის თავს დამტყდარი უბედურება სასოწარკვეთის საგანი გამხდარა. იგი ჩივის გამორჩეული უნარის დაკარგვას, განსაკუთრებით კი, სამშობლო ქვეყნისათვის გამოუსადეგარობას, როცა მტერი კარს არის მომდგარი.

მინდიას, ეტყობა, თავისი უნებისყოფობით დაკარგული უნარის დაბრუნების იმედი ჰქონდა, როცა ხატისთვის თავის თავის შესავედრებლად ათიოდე ძროხა დაუკლავს. ღვთის სასწაულს დაუგვიანია და ახლა მინდია კიდევ სცდის ბედს. პოეტი განსაკუთრებული ტრაგიზმით ხატავს თავის გმირს ამ ეპიზოდში. მინდია:

„დაემხო საჯარის წინა,
როგორც მოჭრილი ცელითა...
ლოცულობს თვალ-ცრემლიანი,
აზრი არ ისმის ლოცვისა.

ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინად ბერდიამ, – ეს უკვირს:
უფრო ტანჯვაა გლოვისა,
ვიდრე გულ-დაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.
ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი
აბჯრის ჟღერაში ერევა,
ლოცულობს, დაჩოქილია,
ხანიც მრავალი ელევა“.

ასეთი ტრაგიკული განწყობილება გმირისა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახდენი უკვე მოხდა, მინდიამ თავისი საუნჯე დაკარგა და, ამის შესაბამისად, მისი ბედიც გადაწყვეტილია. იმ დიდი და სანეტარო ამაღლების შემდეგ სრულიად გაუსაძლისია დაცემის ტრაგედია. ფიზიკური სიცოცხლე მინდიასათვის დიდ აზრს აღარ შეიცავს, რადგან უმთავრესი, მისი ყველასგან გამორჩეულობის ნიჭი, უკან წარუტაცია მომნიჭებელს.

ვაჟა ფშაველა მინდიას გმირობისა და მტერზე აუცილებელ გამარჯვების იმედზე სხვათა პირით გვაუწყებს, მზიას კი მოათხრობინებს იმ სულიერ ტკივილებზე, რაც მინდიას „ძვირი საუნჯის“ დაკარგვამ მოუტანა. მზიასა და სანდუას დიალოგს, გარდა წმინდა ინფორმაციული დანიშნულებისა, სხვა ფუნქციაც გააჩნია. პოეტი მზიას პირით კიდევ ერთხელ იმეორებს მინდიას მიერ ცოლისთვის წაყენებულ ბრალდებას (ჩვენ უკვე მის შესახებ ვიცით, იგი სანდუას – ე. ი. ხალხისთვის – არის დანიშნული). ერთხელ ფიქსირებული ფაქტის გამეორებამ უნდა გახაზოს მისი ძირითადობა:

„რომ თქვენგან ცოდვაში შაველ,
არ-საქნელი ვქენ საქმეო:
შეშა ვჭერ, ნადირი ვხოცე,
როგორც უბრალო რამეო.
ყვავილნი ხმას აღარ მცემენ,
აღარც ვარსკვლავნი ღამეო.
უფლისგან მომადლებული
დიდი ცოდნა და ძალია
დავკარგე შენის აყოლით,
წელზე რადღა მრტყავ ხმალია?“

მზიას ამ ნათქვამის შემდეგ სანდუამ (შესაძლოა, ხალხმა) უნდა აღიაროს მინდიას სასწაულებრივი უნარი (რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი გახდა საუნჯის დაკარგვის შემდეგ!) ხევსური დედაკაცის სიტყვებში გამოხატულია წყრომა მზიას მიმართ, ოღონდ უკმაყოფილების მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ სამშობლო ქვეყანა მშველელის გარეშე დარჩა. მზიას ჯერაც არა აქვს შეგნებული მინდიას გამორჩეულობა. მისი თვალი საკუთარ ეზოს ვერ სცილდება და ამ მიზეზით თავიც არ მიაჩნია დამნაშავედ მინდიას წინაშე.

მზიას სიზმარით ვაჟა ფშაველა კიდევ უფრო გვიახლოვებს კატასტროფას. თავად სიზმარი აგებულია პოეტისათვის ტრადიციულ სიმბოლოებზე („მოვარდნილიყო ღვარები, როგორც დევები მქშინავი“, „მთებსა სტყდებოდა წვერები“, „კლდეებიც თოფებივითა შხიოდა, კუპრს აწვიმებდა მიწასა, ცხელი წვეთები სცვიოდა“; „მიაქვს წყალს ხალხი, ფარი, ხმალია, ათასგან ციხე ირღვევა, ქავ-ციხეებთან სახლია...“).

მზიას სიზმარში ქვეყნის წალეკვის სურათია დახატული, რომლის დროსაც აღარაფერი რჩება უვნებელი. რაკი რეალურ ცხოვრებაში მზია მინდიას წინაშე თავს უცოდველად თვლის, წარღვნის დროს გადარჩენას ხატ-ღმერთს შესთხოვს, მაგრამ შემწეობას ვერ იღებს. ალბათ, ჩადენილი ცოდვის არაცნობიერ შეგნება-აღიარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს სიზმრის ის მონაკვეთი, რომელშიც მზიას დასჯაზეა მოთხრობილი და, რაც მთავარია, ეს აქტი ღვთის ნებადაა გამოცხადებული:

...ხატ-ღმერთსა ვთხოვდი შველასა,
თან გამოსვლასა ვცდილობდი,
ვეგანებოდი კიდესა;
ბალღებს ვაფარებ პირებზე
შავის მანდილის რიდესა,
და რამდენჯერაც მივჯარდი
ნაპირს, იმდენჯერ მქისია,
კაცების სახე წინ დამხვდა
შავები, როგორც ფისია.

ხელი მკრეს, წყალში ჩამაგდეს,
თან გადმომძახეს ისია:
„სად მიხვალ? წადი, წყალს გაჰყევ,
ბრძანება არის ღვთისია!“

სიზმრის ფინალურ ნაწილში მზია ისევ დაჟინებით ცდილობს არ მიიკაროს „ცოდვიანის“ იარლიყი. უფრო მეტიც, იგი გვეუბნება, რომ მინდიამ სიზმარში აღიარა ღმერთის წინაშე თავისი დანაშაული, რისთვისაც სამართლიანად ისჯება, მაგრამ ქმართან ერთად ცოლმაც უნდა გაიზიაროს სასჯელი, როგორც მინდიას ცოდვის უმთავრესმა მიზეზმა.

მინდია თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს და ხევსურის ეს საქციელი სრულიად ბუნებრივია, რადგან მან ჯერ კიდევ მაშინ ამოწურა თავისი სასიცოცხლო ენერგია, როცა დაკარგა უნარი ბუნების ენის ფლობისა. მინდიას არ ენანება თავი სასიკვდილოდ. არც მკითხველი წუხს თავის საყვარელ გმირთან განშორებას, რადგან მინდიას ისეთს ჰქონდა მნიშვნელობა და არა ახალ მდგომარეობაში მყოფს. ღვთაებრივი უნარისგან დაცლილი მინდიას ტანჯვის, მისი შესაზარი ყოფის დასრულებას ამ ვითარებაში თავისთავად მოაქვს შვება. საზოგადოებისათვის უსარგებლო მინდიას სიცოცხლეს აზრი მოაკლდა. აკი ვაჟა ფშაველაც გახაზავს ამ აზრს, როცა თავის გამორჩეულად სათაყვანებელი გმირის სიკვდილის შემდეგ მიგვითითებს, როგორი ნელის მღერით მიმოდის ნიავიც, ვიდრე მწვანეზე გათამაშდება „ლაღად, მოლხენით, სტვენითა“. საქვეყნო გლოვა კი არ ცხადდება, სიმშვიდე მეფდება, რადგან ბუნებას დაუბრუნდა თავისი ნაწილი.

პროფესორმა მიხ. ჩიქოვანმა „გველის მჭამელის“ თითქმის ყველა ძირითად მოტივს დაუძებნა პარალელი ხალხურ შემოქმედებაში. მათ შორის: მინდიას ქაჯებთან ტყვედ ყოფნა და გადაწყვეტილება თავის მოკვლის შესახებ; ამ მიზნით გველის ხორცის მიღება და შედეგად მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა საიდუმლო ენის დაუფლება; მინდია – მკურნალი, მხედართმთავარი და სხვ., სულ 23 ერთეული (ბუნებრივია, ყველა ეს მოტივი

ვერ მოიძებნებოდა ერთ რომელიმე ნაწარმოებში. ამიტომ მოტივთა პარალელები მოპოვებულია საერთოდ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.) „გველის მჭამელის“ წერის დროს ვაჟა „შერჩევით იღებს ტრადიციულ მოტივებსა და ზნე-ჩვეულებებს“ (ჩიქოვანი, 1956:94).

ცნობილია, რომ ვაჟა ფშაველა საუკეთესო მცოდნე იყო ფშავ-ხევსურეთის მითოლოგიის, ზეპირსიტყვიერებისა და შემოქმედებითი მუშაობის დროს სრულიად ბუნებრივად მიმართავდა ტიპოლოგიურ მასალას, უხვად იყენებდა საჭირო მოტივებს. ის ფაქტი, რომ ვაჟას პოემაში დადასტურებული მოტივები ცნობილია ზეპირსიტყვიერებაში, ბუნებრივია, არ ნიშნავს პოემის ფოლკლორთან უშუალო დამოკიდებულებას, რადგან, საბოლოო ჯამში, ახალ ერთეულს ქმნის მოტივთა აზრობრივი ერთობლიობა და არა მათი არსებობა საერთოდ. ვაჟას პოემის იდეა და მისი გადაწყვეტა ორიგინალურია, პირველ რიგში, იმ თვალთახედვით, რომელსაც ავტორი მოაქცევს ამ ძველ, ტრადიციულ მოტივებში მათი აზრის გაფართოებისას.

გველის მჭამელ ბრძენკაცზე შექმნილ ხალხურ გადმოცემაში ერთმანეთთან შერწყმულია ფანტასტიკური და ყოფითი პლანები; თქმულებაში შეინიშნება გარესამყაროსადმი ფილოსოფიური დამოკიდებულებაც. მიუხედავად ამისა, იგი, ფაქტობრივად, მაინც უკონფლიქტო, ერთხაზოვანი თხზულებაა, რომელშიც ახსნილია მინდიას ფერისცვალება, შექებულია მისი საზოგადოებრივი სამსახური. ამ თვალსაზრისით ხალხურ გადმოცემას არც იდეური მიზანდასახულობა აკლია, მაგრამ, ბუნებრივია, იგი ვერ გაუტოლდება ვაჟა ფშაველას პოემას ვერც ფილოსოფიური სიღრმითა და ვერც პოეტური მრავალფეროვნებით.

„გველის მჭამელზე“ საუბრისას უმთავრესი ყურადღება უნდა მიემართოს ხალხური გადმოცემის იმ მოტივს, რომელშიც დახასიათებულია გმირის მიერ გველის ხორცის ჭამა და მისი შედეგი. ეს ფოლკლორული გადმოცემა თავის საფუძველს ძველი მითიდან იღებს, რომელშიც გველის სიბრძნე განსაკუთრებულ ხა-

რისხშია აყვანილი. ამ მითს კარგად იცნობს აღმოსავლური სამყარო, ფართოდაა გავრცელებული იგი ევროპაშიც.

ქართველი მინდიას კავშირი გველთან (გველის ხორცის ჭამა) აღინიშნება გასაოცარი შედეგით – ადამიანი ბუნების ენას ეუფლება. ეს უნარი ზღაპრების გმირებისთვის სხვადასხვა ტიპის მარტივი თავგადასავლების საფუძვლად იქცევა ხოლმე. ზღაპარში მხატვრულად დამუშავებული ეს მოტივი ყოფით ამბებს არ სცილდება: იგი ცნობისმოყვარე და ახირებული ცოლის ჭკუის სწავლებით მთავრდება.

ქართული გადმოცემისგან განსხვავებით, ვაჟა ფშაველა სერიოზულ პრობლემებს უქმნის თავის გმირს და წარმოაჩენს თავის თვალსაზრისს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის მიმართება ბუნებასთან, ადამიანის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ურთიერთდამოკიდებულება სხვებთან და ა. შ.

ხალხური ზღაპრის გმირისგან განსხვავებით, მინდიასავით ბუნების ენა რომ ესმის, ვაჟა ფშაველა ტრაგიკული ადამიანის სახეს ქმნის. სხვათაგან გამორჩეულობა ყოველთვის არის წინააღმდეგობის საფუძველი. ვაჟას პოემაში ეს წინააღმდეგობა მაღალი დაძაბულობის შემცველია. ბუნების ენის ცოდნით დაჯილდოებული ადამიანი, რომელსაც აზრიცა და შეგრძნებებიც გარდაექმნა, ველარ იცხოვრებს ჩვეულებრივი ადამიანის ტრადიციული ცხოვრებით. მისი მსგავსნი (ახლობლები, მეზობელ-თანამემამულენი), ვისთანაც მინდიას უხდება ცხოვრება, ხომ ამ ღვთაებრივი მადლის გარეშე არიან დარჩენილნი, და რაკი ვაჟამ მინდია სოფლურ გარემოში დაატრიალა, ბუნებრივია, კონფლიქტურმა სიტუაციებმაც არ დაახანა. პოემის პირველ ნაწილში მინდია ახლადშეძენილ უნარს ბედნიერებით აუვსია, მაგრამ მწუხარებაც არ არის შორს, რადგან თვით მინდიას უნარი, მისი დამოკიდებულება ამ უნართან ქმნის ტრაგიკულ ვითარებას. მინდიას გამგებიანი ურთიერთობა ბუნებასთან მანამდეა დადებითი ნიშნით აღბეჭდილი, ვიდრე ჰარმონიული ყოფის შესაძლებლობაა დაცული. მინდიას თანდათანობით გადადგომა საღმრთოდ მიჩ-

ნეული რწმენიდან კატასტროფას ამზადებს, რომელმაც მარტო მინდიას შეცდომა კი არ უნდა წარმოაჩინოს, არამედ ტრადიციულისგან განსხვავებული თვალსაზრისის არსებობა-სიცოცხლისუნარიანობა უნდა გვარწმუნებინოს. რასაც მინდია ამკვიდრებდა, ტრადიციულ საზოგადოებაში ძნელად შესასრულებელი, თუმცა აზრს მოკლებული არ იყო. მინდიასეული ცოდნა მიუღებელია ხევსურთა საზოგადოებისთვის. ახალ დროს (პოემაში თამარ მეფის ეპოქაა ნახსენები, თუმცა შუასაუკუნეების აზროვნება არ იგრძნობა), ახალ საზოგადოებას დაუვიწყებია ძველისძველი ცოდნა ადამიანისა და ბუნების შერწყმის თაობაზე და ამიტომ მინდია უცხო სხეულივითაა შემოჭრილი იმ სამყაროში, სადაც ჩვეულებრივადაა მიჩნეული საკუთარი კეთილდღეობისათვის ბუნებასთან უდიერი მოქცევა.

ვაჟა ფშაველა პოემაში თავისი მიზნებისათვის ქმნის ზეპირსიტყვიერი გადმოცემისთვის უცნობ მრავალ ეპიზოდს, რომლებიც ხელს უწყობს ჩანაფიქრის განხორციელებაში. ვაჟა ფშაველა ხატავს ხალხური გადმოცემისათვის უცნობ პერსონაჟებსაც, რომლებსაც პოეტის იდეების ხორცშესხმა ევალებათ. ორგინალურ ეპიზოდთა თუ სიტუაციათა სიუხვის მიუხედავად, ხევსურთა ცხოვრების ასახვამ მოითხოვა ამ ხალხის ყოფისათვის ნიშანდობლივი წეს-ჩვეულებებისა და სხვა რეალიების შემოტანა. ყოველივე ეს ხალხურ პოეზიაში მრავალგზისი ასახვა-დახასიათების გამო ძალზე ნაცნობია და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვაჟა განუსაზღვრელად სარგებლობს ხალხური მასალით. თავისი გმირების ცხოვრების ყოფასთან დაახლოება-შერწყმა ხომ ვაჟა ფშაველას მხატვრული მეთოდის ერთი არსებითი ნიშანი იყო და პოეტი აქაც არ ღალატობს ამ ტრადიციას. მთის ყოფის ყოველი ნიუანსი ისე იყო შესისხლხორცებული პოეტის მიერ, რომ იქნებ გაძნელდეს კიდეც მათი საგანგებო სესხების მტკიცება.

დიდოსტატი ვაჟა არაჩვეულებრივი სიზუსტით გაიაზრებს პოემის სიუჟეტსა და მხატვრულ ქსოვილს დასაწყისიდან ფინალამდე. პოეტის ორიგინალური თვალსაზრისი, სულიერისა და მატერიალურის დაპირისპირებისა, თავიდანვე გვამზადებს ტრა-

გედიისათვის, რომელიც, ჩანს, ფსიქოლოგიურ ასპექტში უნდა გათამაშდეს. ამის საფუძველს იძლევა ნაწარმოების სულიერი საწყისის განმასახიერებელი გმირი. იგი პოემაში შემოდის განწმენდილი ყოველივე მყვირალასა და თვალში საცემისაგან. მინდია ხალასი, თავის თავში ჩაღრმავებული კაცია, რომელიც თავისდაუნებურად დაუპირისპირდა მატერიალურს. ამ კონფლიქტის წყარო თვით სულიერშია, როგორც მატერიალურის საპირისპირო პოლუსში. პოემის მიხედვით, მატერიალურის მხარეზე დგანან მრავალნი, სულიერი მინდია მარტოა. ვაჟა მიგვანიშნებს მის სამშობლოს გარეთ უნათესაოდ ყოფნაზე. ქვესკნელში ნატარი მინდია ქაჯთა გარემოშია დაუფლებული იმას, რაც ადამის ძეთაგან შემდგარი მასისათვის მარტო მიუწვდომელი კი არა, გაუგებარიცაა. ვაჟამ მინდიას ბუნების ენის ცოდნას, მკურნალობის უნარსა და მხედართმთავრულ ნიჭს საზოგადოებრივი დანიშნულება მიანიჭა. ამით პოეტმა არა მარტო განსაზღვრა გმირის განსაკუთრებული მნიშვნელობა თემისთვის, არამედ მოამზადა ტრაგედიის საფუძველი, რომელიც უნდა შექმნას ამ უნარის დაკარგვის შესაძლებლობამ.

მოქმედების შემდგომ განვითარებას ვაჟა ფშაველა ისე წარმართავს, რომ მინდიას „საგანძურის" დაკარგვის შესაძლებლობამ არ უნდა დაახანოს. ამ ეპიზოდების გამართვისას პოეტი მითოლოგიური ცოდნით სარგებლობს: თავთავებთან მიმართებაში მინდია განასახიერებს მარცვლეულის მფარველ ღვთაებას, ხოლო ხეთა მოჭრა ეკრძალება, როგორც ცოცხალი ღვთაებისა – ხე-დრიადასი (თ. ჩხენკელი). ვაჟა ფშაველა მოსალოდნელ ტრაგიკულ კონფლიქტს ამზადებს, როცა უპირისპირებს ერთმანეთს მინდიას შინაგან განცდებს და რეალური ცხოვრების მოთხოვნილებებს. ყურადღებას იპყრობს, ერთი მხრივ, იდილიური ურთიერთდამოკიდებულება გმირისა და ყვავილ-თავთავთა (ისინი მინდიას ადამიანთა სასიკეთოდ გამოყენებას სთხოვენ) და, მეორე მხრივ, უარყოფითი ნიშნით გამოხატული ურთიერთობა გმირისა ხეებსა და ადამიანებთან (ხეები ეხვეწებიან არ მოჭრას, ადამიანებს არ ესმით გულის ხმა).

როგორც საზოგადოებრივი, ისე ოჯახური კონფლიქტი მინდიასი აღინიშნება ერთი ტიპის წინააღმდეგობებით. მინდიასა და თემს (ცოლს) შორის ტრაგიკულის საფუძველი ხდება მოთხოვნისა და შესაძლებლობის შეუსაბამობა, მინდიასა და მასთან დაპირისპირებულ პერსონაჟთა თვალსაწიერის განსხვავებულობა, ობიექტური რეალობის გაცნობიერებისას ათვლის წერტილის სხვადასხვაობა.

ბედის (მართებული იქნებოდა მწერლის) განგებით ერთ გეოგრაფიულ პუნქტში შეყრილი ეს ადამიანები გარეგნულად ერთნაირები არიან, ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არ ესმით ერთმანეთისა, უფრო სწორად, არაფერი გაეგებათ მინდიას შინაგანი ენისა. ვაჟა ისე წარმართავს საქმეს, რომ ურთიერთგაგება ბოლომდე შეუძლებელი უნდა დარჩეს თვალთახედვათა განსხვავებულობის მიზეზით. პოეტი ტრაგედიის ამ ასპექტს განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოადგენს. გმირის მარცხის პირადი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, პირველ რიგში, მინდიასათვის არის შემაძრწუნებელი. უკანასკნელი იმედის გაქრობამ, რომ ვეღარ დაიბრუნებდა მინდია თავის სასწაულებრივ უნარს, ფაქტობრივად, გადაწყვიტა გმირის ბედი. მინდიას ფიზიკური სიცოცხლის მოსალოდნელ აღსასრულზე პოეტმა მზიას სიზმრით მიგვანიშნა.

„გველის მჭამელის“ ორიგინალურ მსოფლგაგებას, მის ფილოსოფიურ მიმართულებას, ვაჟა ფშაველა სრულიად განსხვავებულ რანგში აყავს. თავად პოემის განუმეორებლობას ხელი შეუწყო მითსა და ზეპირსიტყვიერებასთან გარკვეულმა წილნაყარობამაც.

ე) მოთხრობა **„როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?“** დაფუძნებულია დაბრკოლებათა ტრაგიკული გადაულახაობის ესთეტიკაზე. იგი მწერალს დაუწერია 1909 წელს, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო პერიოდში. ამიტომ საქმე გვაქვს მაღალი მხატვრული ოსტატობით შექმნილ ტილოსთან, რომელშიც აირეკლა ვაჟას დიდი გამოცდილება, გამოხატული სიუჟეტის

აგებაში, თხრობის ვირტუოზულ უბრალოებასა და გასაოცარ სახეობრიობაში.

ვაჟას მოთხრობის საფუძველი გამხდარა ხალხური თქმულება, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მწერალს გაუფართოებია პრობლემა, შესაბამისად, მისი ნაწარმოების სიუჟეტი განსხვავდება ხალხურ გადმოცემაში მოთხრობილი ამბისაგან.

ხალხური ეტიმოლოგიური თქმულება „ბუების წარმოშობა" უცნობი მთქმელისაგან ჩაუწერია და 1847 წ. გამოუქვეყნებია პოეტ რაფიელ ერისთავს რუსულენოვან გაზეთ „კავკაზში". ამ კონკრეტული მოთხრობის მაგალითზე ნათელი რომ გახდეს დიდი მწერლის მხატვრული აზროვნების თავისებურებები, მოვიტანთ ხალხური გადმოცემის მოკლე შინაარსს: ქვრივ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა; დედინაცვალმა გერები აითვალწუნა და თავიდან მოშორების მიზნით საქონლის მწყემსვა დაავალა. თამაშში გართულ ძმებს ძროხა დაეკარგათ. დედინაცვლის შიშით შინ დაბრუნება ვერ გაბედეს და ღმერთს ფრინველად გადაქცევა შესთხოვეს. ღმერთმა ბუებად აქცია ბიჭები. ისინი ფრინველებად ქცეულნიც განაგრძობენ ძროხების ძებნას, შემდეგ კი ერთმანეთს ეკითხებიან: „იპოვნე?" პასუხი ყოველთვის უცვლელი იყო: „ვერა, ვერაო!"

ვაჟა ფშაველა ხალხური თქმულების ძირითადი ქარგით ინტერესდება, ოღონდ, როგორც პოეტს წესად ჰქონდა, ცვლის მას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ მწერალი მოტივირებულს ხდის პერსონაჟთა ყოველ მოქმედებას. თქმულების ქვრივი კაცი, ორი ვაჟის მამა, მოთხრობაში სახელოვანი მონადირე იოთამია, რომელსაც ქალ-ვაჟი დარჩენია პირველი ცოლისაგან. თქმულების მიხედვით, ბიჭები დედინაცვლის შიშით ვერ მიბრუნდნენ შინ: მოთხრობაში დედინაცვალი ბავშვების მიერ დამწყვდეულ საქონელს გადამალავს და პატარებს სახლიდან გააგდებს, ვითომ დაკარგული პირუტყვის მოსაძებნად.

ვაჟას მოთხრობა, ხალხური გადმოცემის მსგავსად, გერ-დედინაცვლის ძველისძველ დაპირისპირებაზეა აგებული. ამ მოტივს ყველა დროში, ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში გააჩნია განახლების, ახალი ფერებით გამრავალფეროვნების უნარი.

ვაჟასთან დედინაცვლისაგან გერების სიძულვილის მოტივაცია ზოგადია, მაგრამ გარკვეული. ბავშვების სახლიდან გაგდებაც ლოგიკურადაა გაპირობებული დედინაცვლის სიძულვილით. დედინაცვლისა და გერების კონფლიქტი, თავის მხრივ, წარმოშობს ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტს. ვაჟა იოთამის დასახასიათებლად ამბობს: „მოუხეშავს, ბრიყვს და სასტიკს იოთამს ფრიად უყვარდა პირველი ცოლიდან დარჩენილი შვილები, ქალ-ვაჟი, მზია და ვეფხვია (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:250). მონადირის პირადი ღირსებების მწერლისეული უარყოფითი შეფასება გაფერმკრთალებულია შვილების სიყვარულით. როგორც კი გაიგებს ბავშვების დაკარგვის ამბავს, იოთამი ამხელს ცოლის ბოროტ განზრახვას და, მიუხედავად ყველაფრისა (უკუნეთი ღამე, კოკისპირული წვიმა, დაღლილობა, ტანსაცმლის სისველე), მიდის მათ მოსაძებნად.

ვაჟა გამოკვეთილად არ მიგვითითებს მოთხრობის მოქმედების დროზე, თუმცა ნაწარმოებში დასახელებული იურიდიული და ყოფითი ხასიათის კონკრეტული რეალიები მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის მასზე. ასე, მაგ.: იოთამი ტყეში შეხვდა ქალს, მოიტაცა იგი და თავისი მონა-მორჩილება უბრძანა, ხოლო „მდევრად წამოსული ცოლის ძმები ისრით დახოცა, სიმამრს ქვით გაუტეხა თავი". პატრიარქალური ყოფის ნიშნებით არის აღბეჭდილი იოთამის ქოხიც, განსაკუთრებით, ცნობა: კერის გარშემო ხავსსა და ლელზე ზემოდან ლოგინად გაფენილი იყო არჩვების, ირმისა და მგლის ტყავები. ამასთან ერთად მოთხრობის მეორე თავში ვაჟა შედარებისათვის მოიტანს მაშინ ქართულში ახლად შემოსულ სიტყვას – ორთქმავალს. რა თქმა უნდა, ეს დეტალი ვერ შეიტანს სიცხადეს მოთხრობის მოქმედების დროში. საერთოდ კი ნაწარმოებში დაყენებულია ზოგადადამიანური პრობლემა, რომლისთვისაც კონკრეტულ დროს არა აქვს მნიშვნელობა.

ვაჟა ფშაველას ეს მოთხრობა წარმოადგენს მძაფრი ფსიქოლოგიზმით აღბეჭდილ ამბავს იმის თაობაზე, როგორ კარგავს და უშედეგოდ ეძებს მამა შვილებს. ბუნებრივია, ხალხურ თქმულებაში სიტყვა არ არის ნათქვამი არც ყმაწვილების ძებნასა და არც

იმ თავგადასავალზე, რაც ბავშვების მამას შეემთხვა. ვაჟა თავად ქმნის ამ ისტორიას და გზადაგზა სხვა ხალხურ გადმოცემებსაც იშველიებს.

თხრობის ფსიქოლოგიურ პლანში წარმართვას, ცხადია, დასახული კონფლიქტი უწყობს ხელს, მაგრამ ყველა ნიუანსში იგრძნობა გამოცდილი ოსტატის ხელი. იოთამის მიერ შვილების ძებნის ეპიზოდებს მწერალი ისე გააწყობს, რომ შთამბეჭდავად დახატოს ავდრიანი დაბურული ტყის დამძიმებული გარემო უკუნეთ ღამეში და ამასთან არ დაივიწყოს გმირის სულიერი მდგომარეობის წარმოჩენა. „წვიმა კოკისპირულად ასხამდა, მიდის იოთამი უგზო-უკვლოდ. თავბრუ ესხმის... ერთხანს შედგა, ჩაფირდა, უნდოდა დაბრუნებულიყო, ცოლისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ფეხი და აზრი აღარ შეიშალა... ყვირის: „ჰეი, ვეფხიავ, ჰეი, მზიავ!“ პასუხი არ მოსცა არავინ. იმის ძახილზე მხოლოდ ნადირნი გარბოდენ, მიალაწუნებენ... დადის თავგადაგლეჯილი, ხელებდასისხლიანებული, თავპირდაკაწრული... „სადა ხართ, ჩემო შვილებო, თქვე საწყლებო, სადა?“ ...ხან თავისთვის ბუტბუტებდა იოთამი და ხან კი მაღალის ხმითა ჰყვიროდა. ამაო იყო მისი ძახილი... თმაგაწეწილი, თვალებდაფეთებული იოთამი გიჟსა ჰგავდა...“

ვაჟა ფშაველა იოთამს უქმნის დაბრკოლებათა ტრაგიკული გადაულახაობის ვითარებას და ამით, ერთი მხრივ, უკიდურესად ამძაფრებს გმირის უმწეობის შეგრძნებას, მეორე მხრივ, აძლიერებს მკითხველის გმირისადმი თანაგრძნობის ხარისხს. იოთამი „აქეთ-იქით აწყდებოდა, არ იცოდა, სად დაედგა ფეხი, რისთვის ეხლო ხელი, ყველგან თავისი შვილები ეგულებოდა“. მონადირეს იმის იმედიღა დარჩენია, რომ ასეთ უამინდობაში შორს ვერსად წავიდოდნენ მისი პატარები, ისევ იმეორებდა იმათ სახელებს და მიიწევდა წინ.

პერსონაჟის ამ განცდისა და ფიზიკური ქმედების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მწერლის რემარკა: „როდი იცოდა საბრალომ, რომ მისი შვილები დედინაცვალმა იმავე საღამოს დაირეკა კარში, როცა ის სანადიროდ წავიდა“.

მწერალი მკითხველს გმირის განცდათა თანამოზიარედ აქცევს, როცა ქმნის იოთამის მიერ შვილების ნახვისა და შეუცნობლობის, მათი ხმის მოსმენისა და ამოუცნობლობის დრამატიზმით აღსავსე სიტუაციებს, რომელიც დაბრკოლებათა ტრაგიკული გადაულახაობის საფუძველს წარმოადგენს. იოთამს შვილების „ხმა, ძახილ-ძუხილი კიდეც ესმოდა, მაგრამ არ იცოდა, ეს ხმა ვისი ან რისი იყო...“ „ღამღამობით განუწყვეტლივ ესმოდა ეს საუცხოვო ხმა – ბუების ძახილი; ბევრჯერ ვაის ძახილით თავზედაც გადაუარა ბუმ, მაგრამ ერთმანეთს ველარ სცნობდნენ მამა-შვილები“.

ბუებად ქცეული ბავშვების მამა, ბუნებრივია, მარტო იმიტომ არ არის წარმოდგენილი მონადირედ, რომ მთაში ეს პროფესია ყველაზე პოპულარულია. მონადირეობას მოთხრობაში საგანგებო ფუნქცია აკისრია. იოთამი ჩვეულებრივი კი არა, სახელგანთქმული მონადირეა და, რაც მთავარია, დაკავშირებულია ნადირთ ღვთაებასთან. ვაჟა საერთაშორისო გავრცელების სამონადირეო მითებიდან იყენებს ერთ მათგანს, კერძოდ, იმ მითს, რომლის თანახმადაც, ნადირთ ღვთაება, ვეფხვად გარდაქმნილი, მონადირეს ადრე გაწეული სიკეთის სამაგიეროდ სიკეთეს მიუზღავს. ვაჟა წერს: „ამ ვეფხვმა იოთამს თმაზე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა, ზედ შეაგდებდა და იოთამი ისრით ხოცავდა“. და აი, ვეფხვი გაჭირვებაში ჩავარდნილ მონადირეს სთავაზობს: „მე, მეგობარო, [შენი] სამსახურისათვის მზად ვარ, არ დავზოგავ შენთვის ჩემს ჯანს, ჩემს კლანჭებს და თვალებს, თვით სიცოცხლესაც კი, წავიდეთ, მივიარ-მოვიაროთ, მოვძებნოთ, ან მკვდრებს შევხვდებით, ან ცოცხლებს“.

ვეფხვმა თავდაუზოგავად ეძება ბავშვები, მაგრამ ვერ იპოვა. შემდეგ კი, როცა იმედი გადაუწყდა, მივიდა მონადირესთან დათქმულ ადგილას და იჯდა „გაუნძრევლად და თვალებს აწყალებდა მეგობრის მოსასვლელ გზასა. ერთ ადგილას იყო ტკიპივით მიკრული, აღარც საჭმელი აგონდებოდა და აღარც სასმელი. მიცემულ პირობას არა ჰღალატობდა, ელოდებოდა თავის კეთილისმყოფელს. უცადა ერთი კვირა, უცადა ორი, თვე, -ორი,

-ოთხი. მთელი წელი. ხმებოდა ვეფხვი და დნებოდა ერთ ადგილას დაკერებული... ჩამოდნა, როგორც ცვილი, დაეღვენთა დედამიწას..."

ამ ეპიზოდის შესაქმნელად ვაჟა იყენებს ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარე სიუჟეტს – „ანდროკლეს ვეფხვს". საზღაპრო ეპოსში (AT 156 A) დამკვიდრებული (ქურდოვანიძე, 2000:20) ამ მითის შემოტანით მწერალი ამძაფრებს წარმოდგენილი ამბის დრამატიზმს და ამავე დროს აფიქსირებს თავის რწმენას სიკეთის წილ სიკეთის ქმნის აუცილებლობაზე.

მწერალი სიკეთის განსაკუთრებულ ფასზე უფრო ადრეც გვესაუბრა, როცა ვეფხვს ათქმევინა: „განა იმ სიკეთის შემდეგ, რაც შენ ჩემზე დასთესე, შემიძლიანღა ვახლო ადამიანის ხორცს პირი, არა მარტო შენს და შენობილისას, არამედ ვინც უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანის სახე ჰქონდეს".

ვაჟას მიერ შექმნილ ამ პასაჟებს საგანგებო დანიშნულება აქვს, რაც იოთამის გარესამყაროსთან დამოკიდებულებაში მჟღავნდება მოთხრობის მესამე თავში. შვილების ამაო ძებნით შეწუხებული იოთამი შეხვდება ჯერ მგელს, მერე დათვს. მწერალი ამ ურთიერთობების აგებისას იმავე პოზიციას ამჟღავნებს, რაც „შვლის ნუკრის ნაამბობსა" და სხვა მოთხრობებში ჰქონდა, კერძოდ, გვიჩვენებს ადამიანის შეუბრალებლობას ბუნების შვილთა მიმართ. მართალია, ვაჟას არ ავიწყდება იოთამის მოქმედების მოტივირება, მაგრამ ისე მკვეთრი ფერებით არის დახატული მონადირის გააფთრება, რომ მოტივირება სუსტდება, შეიძლება ითქვას, კარგავს თავის ძალას და იოთამის (საზოგადოდ ადამიანის) გამართლება შეუძლებელი ხდება. შვილების ძებნისას მონადირე რასაც კი შეხვდებოდა, მტაცებელს თუ ფრინველს, ისრით გულს უპობდა. ერთხელ თავპირდასისხლიანებულ მგელს გადააწყდა. მოეჩვენა, რომ მისი შვილების სისხლით იყო მგელი მოსვრილი. მშვილდი მოიმარჯვა და ისარი გულში გაუტარა ნადირს. „ოჰ, შე წყეულო, შე მოსისხლევ, შენ დაჭამე ჩემი შვილები?" – ჩაეუბნებოდა იოთამი. აღარ აცალა ნადირს თავისთავად მომკვდარიყო, ყურებში დასტაცა და ათრია, თავში ლურსმებით

მოჭედილ ხვედას უშენდა: „მოკვდი, არამზადავ, მოკვდი!“ თან ხახაში ხელებს უყოფდა. მგელს სიკვდილი არ აკმარა, დანით მუცელი გადაუსერა და შიგ ხელებს აფათურებდა, თითქოს ცოცხლებს ამორეკავდა მგლის მუცლიდან თავის შვილებს. როცა ვერაფერი ნიშანი იპოვა, გაუტყავებელ ნადირს მიანება თავი". კიდევ უფრო უდანაშაულოდ გამოიყურება დათვი. იოთამი „მიეყუდა ბუნაგში ნაწოლს დათვს, – რაღაც ცხოველის ძვალსა ხრავდა. „შენ დასჭამე ჩემი შვილები და ახლა ძვლებსა ხრავ, შე მურტალო?“ დათვმა მხოლოდ ღრიალით უპასუხა, უკან ფეხებზე შედგა, იოთამის მოსაგერიებლად ემზადებოდა, მაგრამ იოთამის წვერმახვილმა შუბმა აღარ დააცალა და იქვე სული გააფრთხობინა... იოთამმა ძვლებს დაუწყო სინჯვა, მაგრამ დათვის ნახრავი ძვლები ერთიც არ გამოდგა ადამიანისა". ამ ფონზე განსაკუთრებულ მხილებად გაისმის მწერლის სიტყვები: „დარწმუნდა, რომ არც მგელს და არც დათვს იოთამთან არაფერი დანაშაული არ ჰქონდათ, მაგრამ იმათი დახოცვა მაინც არ ენანებოდა“.

მოთხრობაში ადამიანთაგან რადიკალურად განსხვავებულად იქცევიან მხეცები. უღრან ტყეში ბავშვების გარშემო „მხოლოდ მხეცების ბრგღვინვა და ფშვინვა ისმოდა. ბალღების ტირილზე ზოგი მათგანი დამფრთხალი გარბოდა, მაგრამ ზოგი კი, შიმშილით შეწუხებული, პირდაღებული თავზე წაადგებოდათ, მაგრამ ბალღების ღრიანცელი მოსისხლე მხეცსაც კი გულს ულბობდა, ერიდებოდა – გვერდზე გაუვლიდა და რამდენჯერ ორთქმავალივით თვალები შეანათა მგელმა, მაგრამ თავს დაცემას ვერც ის ბედავდა“.

ადამიანი ნადირზე უფრო გულმხეცია – ასეთი დასკვნა შეიძლება გამოიტანოს მკითხველმა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს აზრი კაცთა მოდგმის მხოლოდ ერთ კატეგორიაზე ვრცელდება.

გველის მჭამელი მინდიას მოტრფიალე ვაჟა ფშაველა აშკარად კიცხავს იოთამს, მაგრამ ბოლომდე არ წირავს. ვაჟასათვის იოთამი უპირველესად ადამიანია, რომელშიც ერთად სახლობს ბოროტიცა და კეთილიც და, როგორც არის ხოლმე, ხან ერთი მძლავრობს და ხან მეორე. ამიტომ გვაუწყებს მწერალი, რომ იო-

თამს ვეფხვისთვის სიკეთე გაუკეთებია და, რაც მთავარია, თავგადადებულია შვილებისათვის. მონადირისათვის მოვლენილი სასჯელი, შვილების ძიებისას წინააღმდეგობის ტრაგიკული გადაულახაობა, უმძიმესია სასჯელთა შორის, რადგან იგი თავიდანვე განწირულია შეუსრულებლობისათვის.

უმწეო ბავშვების დაკარგვამ გონი წაართვა მონადირეს, გააბოროტა იგი და როცა იმედი გადაუწყდა, სიკვდილს დაუწყო ძებნა. სიკვდილი იოთამის ხსნა იქნებოდა, მაგრამ მდინარემ, რომელშიც ჩავარდა, ათჯერ მაინც გამორიყა ნაპირზე. მდინარემ თავის თავზე არ იტვირთა იოთამის დახრჩობა, თუმცა თვლიდა, რომ სიკვდილს იმსახურებდა. რაკი ადამიანთა საცხოვრისს იყო მოშორებული იოთამი, მწერალმა მდინარეს დააკისრა მისი დანაშაულში მხილება: „შვილები თავად შენ დაარჩვე და აქ ჩემთან კითხულობ? შენს შვილებს რა დაუშავებიათ, რო დავარჩო... რად ჩაჰყარე ჩვილი ბალღები დედინაცვლის ხელში, თუ შენ კაი კაცი ხარ? როცა ის თვალჟუჟუნა, თმაგრძელა შენს კერაზე დააბძანე, მაშინვე დაარჩვე შენი თავიც და შვილებიც“.

მოთხრობაში ბუნება მდინარის სახით სიკეთის სამსახურში დგას, როცა ცდილობს, არ დაარღვიოს სამართლიანობა, ანუ ბუნებრივი წონასწორობა. მდინარის ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ უდანაშაულო მის ტალღებში სიკვდილს ვერ იპოვის. იოთამის შვილები კი ჯერ ანგელოზები არიან, უსუსურნი, უმეცარნი, ცხოვრებაში გამოუცდელნი და თუნდაც ამიტომ არ იმსახურებენ სიკვდილს.

ვეფხვის ერთგულების ჰიპერბოლიზაციის მოტივი ვაჟას იმ მრწამსის გამოხატულებაა, რომლის მიხედვით, ბუნება თავად სიკეთეა, თანაც უმაღლესი სიკეთე. ადამიანს, გონიერებით გამორჩეულ არსებას, არ შეუძლია იყოს ისეთი ჰარმონიული, როგორიც ბუნებაა. ვაჟა დაპირისპირებაში: ბუნება – ადამიანი, ბუნებას ანიჭებს უპირატესობას. მაშ სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ მოთხრობის ფინალი: „ვეფხვის ძვლების და ლეშის ნაღვენთისა ამოვიდა დეკა ქუჩად, დაყუნთებულ ვეფხვის სახედ, რომელიც აღარც იზრდება, აღარც პატარავდება, არცა ხმება.

ვაფხვის მაგავსად ამოსულს დეკას მხარს უმშვენებს ზამთარ-ზაფხულ აყვავებული, დაუჭკნობელი პირიმზე – ყვავილი მთისა". ეს ვაჟას რწმენაა. სიკეთე სიკეთით მრავლდება.

სიუჟეტის განვითარებაში ვაჟა ხალხურ რწმენა-წარმოდგენებსაც იყენებს. ერთი მათგანია რწმენა სულების შესახებ (რომლებსაც ქრისტიანობაში ანგელოზებს უწოდებენ). მათი ფუნქციაა რაიმე თხოვნაზე ან ქმედებაზე დასტურის მიცემა სიტყვით: „ამინ". ეს გადმოცემა, შელოცვის მაგავსად, დაფუძნებულია სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე. ამ რწმენას „ბედის მწერლები" იშველიებენ ჯადოსნურ ზღაპარში ბავშვების სასწაულებრივი დაბადების ან პერსონაჟთა სხვად ქცევისას. თავად ვაჟაც მას ქცევადობასთან აკავშირებს. იგი პირველად ჩნდება ბავშვების ნატვრისას, გადაიქცნენ ფრინველებად. მეორედ – მონადირის კლდედ ქცევისას: „ნეტავი მეც კლდედ მაქცია, რომ ჩემი შვილების ხმა მაინც მსმენოდა მუდამ, ამით მენუგეშებინა თავი. ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, მაქციე მეც კლდედ, – წარმოსთქვა იოთამმა ხელაპყრობით... – იოთამი კლდედ იქცა, აიტუზა, მიეკრა კლდეს, სადაც თავი შეაფარა. მხოლოდ იოთამს ადამიანის სახე შერჩა. სდგას თავდაკიდებული, გულხელდაკრეფილი და თვალებიდან ცრემლს აფრქვევს".

კლდედ რატომ გადაიქცა მონადირე? იმიტომ, რომ კლდეში, საერთოდ ქვაში, სულია დაბუდებული ანიმისტური მსოფლმხედველობის მიხედვით. იმიტომ ესმის ყოველივე კლდეს. ამ რწმენის საფუძველზე აგრძნობინებს და ათქმევინებს ხოლმე უნატიფეს ტკივილებს კლდეებს ვაჟა ფშაველა. ახლაც კლდე იქცა მონადირის ჭირისუფლად, მხოლოდ მან შეძლო გაეგებინებინა შეჭირვებული მამისათვის შვილების ამბავი: „აგერ შენი შვილები, ისინი უკვე ფრინველები არიან, იმათ რომ შეხვდე, ვეღარ იცნობ, საბრალოვ!".

კლდესთან შეხვედრით ვაჟამ საზღვარი დაუდო იოთამის თვითგვემას. ცოდვის ტანჯვით გამოსყიდვის მცდელობა მწერლისთვის იმედის საფუძველია. კლდე – იოთამი იმედითაა, რომ „გაიგონებს თავის შვილების გულის მომწყვლელ კივილს", რაც

ამ ვითარებაში მხოლოდ კმაყოფილების მომნიჭებელი შეიძლება იყოს. კლდე იოთამს ვაჟამ ტირილის უნარი შეუნარჩუნა, რათა განიწმინდოს.

მოთხრობაში „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?“ ვხვდებით თვითგამეორების შემთხვევებს. ვაჟა არც სხვა ნაწარმოებებში ერიდება ერთხელ უკვე ნათქვამთან მიბრუნებას. ამით იგი თავისი ადრე დაფიქსირებული თვალსაზრისისა თუ რწმენის განმტკიცებაზე ზრუნავს.

დემითოლოგიზაცია, როგორც რეალობა

გარესამყაროს შეცნობა საფეხურებრივად მიმდინარეობდა და ადამიანის აზროვნების განვითარებას შეესაბამებოდა. ეს მუდმივი პროცესი აისახა როგორც მითებში, ისე რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოებ ცრურწმენებში, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებული გადმოცემები (მაგ., ზებუნებრივი არსებების შესახებ) მითების პარალელურად უძველესი პერიოდიდან მოდის. ძალზე მნიშვნელოვანია ამ საფუძველზე შექმნილ გადმოცემათა შინაარსისადმი მიდგომის საკითხი. მთქმელები ზოგ ამბავს „ნამდვილად" მომხდარ-ნახულის პრეტენზიით ყვებიან, ზოგს კი გამონაგონის იარლიყი აზის. როგორც მითებში, ასევე ე.წ. „დაბალ მითოლოგიაში" გაერთიანებული ტექსტების გმირებს ნიშან-თვისებების მსგავსება ან ერთგვარობა უდასტურდებათ, რაც მათი გენეტიკის ერთგვარობით არის განპირობებული. საერთო თვისებები ახასიათებთ სამონადირეო მითის გმირს, ღვთაება დალის და ცრუ რწმენის საბურველში გახვეულ ბოროტ სულს, ალს. დალი და ალი სხვადასხვა დროის შვილები არიან და თუ მათ მსგავსებას გენეტიკური წინაპირობა აქვს, ალის დალისაგან განსხვავება მის შესახებ მოთხრობილი ამბების შინაგანი სტრუქტურითა და მთქმელთა მათდამი მიმართებით უნდა აიხსნას. უძველესმა რწმენა-წარმოდგენებმა საქართველოსა და კავკასიაში სტადიალური განვითარების ფორმები მეტ-ნაკლები სიმყარით დაიცვა და ჩვენამდე ისე მოვიდა. საზოგადოებრივ ფორმაციათა მონაცვლეობამ ამ წარმოდგენებს ფერი უცვალა, თუმცა ახალმა ვერ მოახერხა ძველის წაშლა. XIX საუკუნეში ჯერ

ისევ სჯეროდათ, რომ, მაგალითად, ნადირთ პატრონი აწესრიგებდა ტყის ნადირთა ცხოვრებას, მათ ურთიერთობას მონადირეებთან და სხვ. ასეთი ვითარება არცთუ ისე შორეულ წარსულში მთლიანად კავკასიაში მცხოვრები ხალხების სინამდვილეში დასტურდებოდა და ერთტიპობრიობით ხასიათდებოდა, რაც მონადირეობით დასაქმებული საზოგადოების ანიმისტური მსოფლმხედველობის ერთგვაროვნობის პროდუქტად მიიჩნევა.

ურთიერთობა ნადირთ პატრონსა და მონადირეს შორის ადვილი არ იყო და ითვალისწინებდა გამოცდას, რისთვისაც გამოყენებული იყო ნადირთ ღვთაების მაქციაობის უნარი, ამ არსების ერთი უმთავრესი მახასიათებელთაგანი. მთაში ბოლო დრომდე ახსოვთ მონადირეთა მორჩილების უზრუნველსაყოფად შექმნილი სამონადირეო ტაბუთა სისტემა (რობაქიძე, 1941:146; ვირსალაძე, 1964:26-29).

ნადირთ პატრონი ხალხის წარმოდგენასა და გადმოცემებში იმ უძველესი ხანიდან ცხოვრობს, როცა იგი ზოომორფული ბუნების არსება იყო. იგი ჯიხვის, არჩვის ან ირმის სახით ევლინება მონადირეს და გამორჩეულია სხვა ნადირისაგან: თეთრი ფერი, თეთრი ნიშანი შუბლზე, ოქროს რქები, დაგრეხილი და ამობრუნებული რქა, ან ცალი რქა, ჩვეულებრივზე დიდი ზომა ან ჭრელი ტყავი განასხვავებს. გვიან მას უკვე ანთროპომორფული სახით წარმოადგენდნენ. ნადირთ პატრონი, როგორც მაქცია, მონადირეს ეჩვენება თეთრი შუნის, ქურციკის, არჩვის, გარეული თხის და სხვ. სახით. ასეთ ცხოველთან შეჯახებისას მონადირე ვერ იოკებს ნადირის მოკვლის ჟინს (თუმცა ზოგჯერ გვიანდელი მოტივაციის მიხედვით, მონადირემ იცის, რომ ეს ნადირი ტაბუირებულია, მაგრამ მაინც ესვრის) და იღუპება.

ხალხის წარმოდგენით, ნადირთ ღვთაება ლამაზი ქალია, აქვს გრძელი ოქროსფერი თმა. მისი ძირითადი ფუნქცია – ნადირთ მფარველობა-მწყემსობა – ქალური საწყისის აქტუალიზაციითაა ნიშანდებული. ნადირთ ღვთაების ქალურმა ინტერესმა ახალი თემა – სამიჯნურო ერთგულება – შემოიტანა და ნადირობასთან დაკავშირებულ ტაბუთა მკაცრად დაცვა განაგრძო. ნა-

დირთ ღვთაება სასიყვარულო პირობით ეკვრება სასურველ მონადირეს, შემდეგ კი პირობის დამრღვევი საყვარლის მიმართ დაუნდობელი ხდება – ღუპავს მას.

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ სამონადირეო კულტურაში ნადირთ ღვთაების სახე „კერის მფარველის... გარემო ბუნების პატრონის და მფარველი ქალისა (მაგალითად, ნადირთა დედა და პარტონი) ორინიაკის პერიოდის (ზედა პალეოლითი) მონადირეთა წარმოდგენაში შეიძლება ძალიან ადრე შერწყმოდა იმ ნადირის, ან ნადირთა სახეს, რომელთაგან იყო დამოკიდებული მონადირეთა ჯგუფის არსებობა" (ეფიმენკო, 1938:426).

ვაჟა ფშაველა თავის შემოქმედებაში რამდენიმეჯერ ასახავს მითური ნადირთ ღვთაების სახეს. პოემების „ხის ბეჭი", „მონადირე", „დაჭრილი ვეფხვი" გარდა, ვაჟა ნადირთა მფარველის თემას ამუშავებს პოეზიაშიც და პროზაშიც. მოთხრობაში **„ნადირთ პატრონი"** დაცულია ფშავ-ხევსურეთში მოარული მითური წარმოდგენები. თავად მოთხრობა შემეცნებითი ხასიათისაა და უფრო ბარის ყმაწვილთათვის არის დაწერილი, ვიდრე მთისა, რადგან ხალხური რწმენები, რომელთა საფუძველზეც მწერალი აგებს თავის თხრობას, ძალიან ნაცნობია მთიელებისათვის.

წარმოდგენები, რომლებითაც ვაჟა სარგებლობს, გავრცელებულია საქართველოსა (სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, სამეგრელო, თუშეთი, კახეთი) და მის მეზობელთა (ოსეთი, ჩერქეზეთი, აფხაზეთი, ქისტეთი, დაღესტანი და სხვ.) შორის ნიუანსობრივი სახეცვლილებებით. სხვადასხვა მოტივებზე აგებულ გადმოცემათა გარდა, არსებობდა ზოგადი წეს-ჩვეულებები, რომელთა დაცვა-შესრულება სავალდებულო ყოფილა ამ „წმინდა საქმით" დაკავებული მონადირეებისთვის.

„ნადირთ პატრონის" გმირი ელიზბარი, მარტო უზომოდ გატაცებული კი არა, წარმატებული მონადირეცაა. ვაჟას აქცენტირებული აქვს სამონადირეო საქმიანობაში არსებული აკრძალვები. ელიზბარის მოხუცი მამა ჩივის, რომ მის შვილს „აღარა აქვს...

სახლსა და საქმეზე გული... აღარც ცოდვა-მადლს უყურებს“ (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:191).

მწერალი ვითარების დრამატიზაციის მიზნით მოხუცის საშუალებით იხსენებს სამონადირეო ტაბუთა დამრღვევების ისტორიებს: „განთქმული მონადირეების უმადურს ყოფას, ცოლშვილის გაწყვეტას“, ნავროზას, მამუკასა და ღვთისავარის ძირფესვიანად ამოგდებისა და უბარაქოდ დარჩენის, ერთ ჯერზე სამი ხარირმისა და ორი ფურირმის მოკვლის სასჯელად გამახარეს თვალის გამოთხრის მაგალითებსაც ჩამოთვლის.

მოხუცის წუხილი იმით არის გაძლიერებული, რომ ღრმად სჯერა წინაპართაგან მომდინარე რწმენისა, რომლის მიხედვით, მაქცია ნადირთ პატრონი სახეშეცვლილი მოევლინება ხოლმე მონადირეს: „გამახარეს უთქვამს: გუგულის მსგავსი ფრინველი დასტრიალებდა ირმებს, როცა ვსთოფავდიო.“ ის უნდა ეცნო საწყალს, – ამბობს მოხუცი, – და ვერ იცნო. ნადირთ პატრონი ათასნაირი სახით ეჩვენება მონადირეს.

ნადირობის ჟინდამცხრალი მოხუცის მონოლოგი ზომიერებაზე ტაბუს გვახსენებს და მთაში დამკვიდრებულ პროფილაქტიკურ მაგიას გვაცნობს: მონადირემ ერთი-ორი ნადირი უნდა მოკლას ერთ დღეს (მოტივაცია: ტყე ნადირის გარეშე დარჩება) და თუ ანგარიშს არ გაუწევს ტაბუს, უთუოდ პირჯვარი უნდა დაიწეროს და ითხოვოს: ღმერთო, ცოდვაში ნუ შემიყვანო.

ნადირობის აზარტი (არ გამოვრიცხავთ სიხარბეს!) კონტროლის უნარს უსუსტებს ადამიანს. ვაჟა მოხუცის პირით გვამცნობს ბედისწერის შესახებ ხალხში დამკვიდრებულ რწმენას: „კაცს უმწერლოდ ბეწვი თმაც არ გაუთეთრდება თავზეო“.

ყველა მონადირემ იცის სამონადირეო აკრძალვათა ანბანი, მაგრამ ტაბუ მაინც ირღვევა. ამ კონტექსტში მწერლის რეპლიკა და მოტანილი ლექსი თითქოს მოტივაციას უქმნის ახალგაზრდა მონადირეთა ნადირობის ზღვარგადასულ ტრფიალს, როგორც დროში შეზღუდულ ქმედებას. ხალხურ ლექსში ნადირობაზე ხელაღებული მოხუცის წუხილი გამოსჭვივის:

„ვაჰ, დედას თქვენსა, ჯიხვებო,
დავბერდი, მაკლეს თვალთაო;
ფეხდაფეხ ვეღარ მოგყვებით,
მუხლები დამეხლართაო...“

(იქვე, 192).

ლექსის მეორე ნაწილის მიხედვით, მონადირეს ბოლომდე არა აქვს დაკარგული იმედი წარმატებული ნადირობისა, თუმცა ნათქვამი უფრო სასურველის სფეროდანაა, ვიდრე შესაძლებლისა:

„კიდევ სამ გაყურებინებთ
ჩემის ხირიმის ხმასაო,
ჭიუხში შეგაბერტყინებთ
ცისკრის ხანს ქუჩის ნამსაო“.

ამ ლექსის სრულიად იდენტური ხევსურული ვარიანტი გიორგი ნათაძის კრებულშია გამოქვეყნებული (ნათაძე, 1950:149).

მომდევნო ლექსშიც სევდა ისმის, თუმცა მისი მიზეზი სულ სხვა სფეროდანაა:

„თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს,
გული გკლავს მონადირეო:
ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო,
სისხლი ვერ დაგადინეო.
ვერ დაგიკვეხე სწორებში,
რქაზე ვერ დაგაბჯინეო:
ვერ გადაგაგდე კლდეზედა
გულო, ვერ გაგაცინეო“.

ნადირობა რთულია, ჯიხვი ძლიერი და სწრაფი, ჭიუხები კი ადამიანისათვის გაუვალი. მონადირეთა წუხილის თემა ხშირად ისმის ლექსებში. ვაჟას მიერ მოტანილი ეს ლექსი მცირე ცვლილებით (ფოლკლორულში მე-5-6 ტაეპები ამთავრებს ნაწარმოებს) არის გავრცელებული (ხალხური პოეზია, VII, 1979:682).

ვაჟა ფშაველა გვაცნობს მონადირეთა მიერ მიგნებულ „ნადირის მოტყუების“ წესებს (თავზე ირმის რქის დადგმას, მხრებზე ირმის ტყავის დაფენას, ირმის მსგავსად „ყვირილს“) და იქვე

კომენტარს აკეთებს; იმდენად ბუნებრივად „ბღაოდა“ თურმე ელიზბარი, კინაღამ მონადირეებს არ შემოკვდომოდათ.

სამონადირეო ტაბუთა ცოდნით და მისი დარღვევით არის გაპირობებული ღმრთისა და ნადირთ პატრონის წინაშე შიში. შიშს რეალური ფაქტი ბადებს (მონადირის დაბრმავება, ოჯახის წევრის სიკვდილი და სხვა, რომელთა სამედიცინო მიზეზს არავინ ეძებს). ეს ცრუმორწმუნეთათვის პირდაპირი გამოხატულებაა რისხვისა. შიშია იმის მიზეზი, რომ მონადირეები ნადირის დანახვის შემდეგ თვალგაფაციცებით ეძებენ ნადირთ პატრონის ლანდს, რომელმაც იქვე ახლოს შეიძლება გაიელვოს.

ვაჟას დახატული ნადირთ პატრონი მონადირეს „პატარა ტანის ქალის სახით ეჩვენება დიდრონ გაშლილ თმებით; ხელში ჯოხი უჭირავს და ხან უკან მისდევს თავის სამწყსოს, ხან წინ მიუძღვის, ხან გვერდზე, მხარდამხარ, და თან ნელი ხმით მიუსტვენს. თუმც ხშირად ათასნაირ სახეს იღებს, ხანდახან ბუზადაც კი იქცევა, დაუჯდება მონადირეს ლულაზე, რომ მიზანი შეუშალოს, იქცევა ზაფხულში დიდრონ წვიმის წვეთად, ჩამოვარდება მაღლიდან, დაეცემა კვესზე ჩახმახს, რომ ფალია დაუსველოს, თოფი აღარ გავარდეს; ზამთარში იქცევა თოვლის ფარტენად ამავე მიზნით; გადაიქცევა ფრინველად, ან საუცხოვო ნადირად, რომ დააფრთხოს სამწყსაო და ხიფათს გადაარჩინოს“ (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:193).

მონადირეთა რწმენას ის ასუსტებს, რომ უმრავლესობას ასეთი გარეგნობის ქალი არ უნახავს, ან იქნებ შეხვედრია და ვერ უცვნია, რადგან ნადირთ პატრონი მაქციაა. ნადირობისას დაძაბულ მონადირეს კი იმდენი ამოუხსნელი ხმა და ფაჩი-ფუჩი ესმის ტყეში, რომ ეჭვი ღრღნის, ჩხიკვად ან ხმელ ფოთლად ხომ არ მეჩვენებაო და თავგზა ებნევა.

ვაჟა ფშაველა აზარის წესსაც გვაცნობს, როცა მონადირე იძულებულია თოფი მიწაში დამარხოს და აიკრძალოს ნადირის მოკვლა, „თუნდა ნადირის ხროვა შინ შეჰხტომოდა“. მოხუცი თევდორე ელიზბარს ისე პოეტურად უყვებოდა ნადირთ პატ-

რონთან შეხვდრაზე, რომ ელიზბარს სიზმარში ეწვია მშვენიერი ქალი.

ვაჟა განაგრძობს თავისი მისიის აღსრულებას და ისევ გვასწავლის ნადირობის ძირითად ცნებებს.

თევდორე ელიზბარს ხარირემსა და ორაგულზე ნადირობის საიდუმლოებებს ანდობს: თურმე ენკენისთვის შუა რიცხვებში იწყება ირმის ყვირილობისა და ორაგულის თხრის უფლისგან დაწესებული დრო. ამ დროს ისინი მსუქნები არიან. რაც შეეხება თოფის სროლას, „ხელსზევით სროლას ეცადე, რაც შეიძლო. დადებით მსროლელი მონადირე მონადირედ არ მიმაჩნია... თოფი ბოშად გეჭიროს, რომ ჩახმახის დასხლეტის დროს არ დაგეძრას. რაც შეიძლება გული დაიდინჯე სროლის დროს, ხოლო ხელი ააჩქარე. ნადირობაში ხელისა და თვალის სიჩქარეა პირველი იღბალი... როცა ეპარები, უნდა აურჩიო ისეთი გეზი, რომ ნადირის მხრიდან მონაბერი ნიავი შენ პირში გცემდეს“ (იქვე, 194).

მწერლის მიერ ელიზბარის ნადირობის დაწვრილებითი აღწერა მოთხრობის ერთი საუკეთესო ეპიზოდია, აღსავსე მღელვარებით, თავდავიწყებული ჟინით, როცა სხვა აღარაფერი გესმის და, ფაქტობრივად, მოწყვეტილი ხარ ყველაფერს, გარდა იმ ლოკალური ადგილისა.

„შუაღამე გადასულს ელიზბარს ხმა მოესმა, რომელმაც ზარის ხმასავით გაუარა ურუანტელად მთელს ტანში... პირჯვარი გადაისახა და ღმერთს მადლობა შესწირა და იმ მხრისკენ გაემართა, საითაც ყვირილი ისმოდა, ფრთხილად ადგამდა ფეხს და მგელივით აცეცებდა თვალებს... „აგერ რქები – თავი... დაჩნდეს... კარგად დაჩნდეს“... უცქერის გაშეშებული. ირმის რქებმა გააოცა. ყელი, თავი და რქები უჩანს. სუნს იყრის... ჩამოჯდა ელიზბარი და დაუმიზნა თოფი. უცდის მხოლოდ, რომ ტანი გამოაჩინოს. – ღმერთო, ეს რა რქებია, კელაპტრებივით ანათებს მისი შტოები! თეთრი ტრედივით ფრინველი დაჰფარფატებს თავზე... ირემი წამოდგა წინ და მთელი მკერდი დაუჩნდა. ის არის. უნდა დასხლიტოს ელიზბარმა თავზე შემოყენებული თოფი, რომ ირემს წინ აეფარა ხმალამოწვდილი კაცი, ხელში ცეცხ-

ლის ხმალი უჭირავს და ემუქრება. ხელიც თითქოს ვიღაცამ დაუჭირა და ჩასჩურჩულა ყურში; „ნუ, ნუ! ჰაა, არ ესროლო, ღმერთი არ გაგიწყრეს!.. „ელიზბარს მოუდუნდა მკლავები, შემოყენებული თოფი ხელიდან გაუვარდა. თოფმა დაიგრიალა და იქვე მიწაში მოჰხვდა ტყვია, ირემმა თავს უშველა“ (იქვე, 196).

მწერალი მკითხველის წინაშე აცოცხლებს მონადირის აგზნებული გონების წარმოსახვას. ის, რაც ელიზბარს სიბნელეში ეზმანება, სხვა არაფერია, თუ არა ნადირთ პატრონის სახელთან დაკავშირებულ ტაბუთა ამოქმედება. ტაბუს ყოველი ნიუანსი მონადირის გონებაში ცოცხლობს და სურათიც მით უფრო შთამბეჭდავი იხატება, რაც მეტი ფანტაზიის უნარი აქვს თავად მონადირეს. ნანახი წარმოქმნის ფსიქოლოგიურ მუხრუჭს და მუშაობას იწყებს შინაგანი ცენზურა. შედეგი: მონადირის თოფი სხვა მიმართულებით ისვრის. ელიზბარს ძლიერი წარმოსახვის უნარი აქვს. ამიტომ ის ირმის თავზე მარტო მტრედივით მოფარფატე ფრინველს კი არ ხედავს, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა ტაბუს დაცვისთვის, არამედ ცეცხლის ხმლიან კაცსაც, რომელიც მუქარით უკრძალავს ირმის მოკვლას...

ვაჟა გვარწმუნებს, რომ ელიზბარს ღმერთმა უშველა, გონს დროზე მოიყვანა: „ღმერთო, შენ დამიხსენ ყოველი განსაცდელისაგანო!“ – მადლიერებით ამბობს მონადირე და მწერალი იმაშიც გვარწმუნებს, რომ ელიზბარისთვის ნადირთ პატრონის ნახვა ირმის მოკვლაზე უფრო დიდი ბედნიერება იყო.

საანალიზო მოთხრობაში ვაჟა აცოცხლებს სამონადირეო მითის ცნობილ მოტივებს, დაკავშირებულს ტაბუსთან. ფშაურ-ხევსურულ სამონადირეო მითურ გადმოცემებში საერთოდ არ ფიგურირებს სვანური მითისთვის ცნობილი სამიჯნურო მოტივი. ამიტომ ვაჟა ამ თემას როდესაც ეხება, მას კონფლიქტი ზნეობის სფეროში გადააქვს. ასეა პოემებში „ხის ბეჭი“, „მონადირე“, „დაჭრილი ვეფხვი“. გვიან დაწერილ ლექსში „ნადირთ პატრონი“ ცხოველთ მფარველი მონადირეს თავკერძობას საყვედურობს, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას უწუნებს და წუხს, რომ ადამიანს არა აქვს უნარი მადლიერი დარჩეს იმ სიკეთით,

სხვამ რომ უწილადა. ნადირთ პატრონი გაახსენებს მონადირეს, რომ ოცი ირემი მოაკვლევინა, მაგრამ არ ეყო, უმადურია და ახლა თივის ძნის გაფანტვისთვის სდევნის იმათ შვილიშვილებს, რომლებიც ნადირთ პატრონმა მოაკვლევინა. ამ ლექსში მითური ცოდნა ფრაგმენტულია, სამაგიეროდ, ვაჟა ხატავს ნადირთ ღვთაების პორტრეტს, მსგავსს უკვე დახატულისას, თუმცა მაინც განსხვავებულს:

„...წაქცეულს წიფელზე იჯდა,
ათამაშებდა ფეხებსა.
იმისი სიტყვა-პასუხი
ჰგავ ელვას დანაკვესებსა...
თუმც არაფერი არ ეცვა,
წითელ ვარდივით ჰღვიოდა...
თავზე ეხურა გვირგვინი, –
ია და ვარდი სცვიოდა“...

ვაჟა, ბუნებრივია, ეყრდნობა მთაში გავრცელებულ წარმოდგენებს ნადირთ ღვთაების პორტრეტის შექმნისას, მაგრამ აქცენტს აკეთებს თმებზე, ქალისგან გამომკრთალ ელვაზე, წკრიალა ხმაზე. შედარებისთვის გაგახსენებთ უფრო ადრე „ხის ბეჭში“ დახატულ პორტრეტს:

„...გოგოც ვინმე ზის
ტურფა, ლამაზი რამაო.
ჭკვიდამ არია სტუმარი,
იმის ნისლივით თმამაო,
წამოდგა ქალი ფეხზედა, –
თითქოს იელვა ცამაო, –
ჰაერში გაიწკრიალა
მისმა ზარივით ხმამაო“.

ყველგან იგრძნობა, რომ პოეტი დიდ შთაგონებას იღებს ამ მითური სახისგან. ზემოხსენებულ ლექსში პოეტი გოგონას დილის ცისკარს ადარებს, რომლის ნახვისგან მიღებული შთაბეჭდილებით: „ჯერაც მარჭვია ისარი, გულსა ნასროლი იმისა“.

პატრიარქატმა თავისი ნადირთ პატრონი მოიყვანა ცხოვრებაში. ხევსურეთში მას ოჩოპინტრე ჰქვია და პატრიარქატის ადრინდელ ეტაპზე გაჩენილად მიიჩნევა (ჯანაშვილი, 1913:181). გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ, შესაძლოა, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალ საფეხურს ასახავდეს ხალხური წარმოდგენები, რომელთა მიხედვით, ნადირთ მწყემსები საზოგადოდ კაცებიც არიან და ქალებიც (ვირსალაძე, 1964:32), და-ძმა (ჯანაშვილი, იქვე), „ტყაში მაფა" და მესეფები (სახოკია, 1956:9). თქმულებათა მიხედვით, მათ შორის კონფლიქტი არ არის, მორიგეობით ენაცვლებიან ერთმანეთს ტყის საქმეთა მართვაში. ჩანს, დროის გასვლის შემდეგ გაძლიერებულმა მამაკაცმა ნადირთ მწყემსმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქალღვთაებას და მშვენიერი ნადირთ დედოფალი ბოროტ ძალად აქცია, მეტიც, დაამახინჯა კიდეც. რაჭული და ქართლური გადმოცემების მიხედვით, ნადირობისას ცხოველს გაყოლილი მონადირეები უჩვეულო – წაღმართ-უკუღმართ – კვალს დაადგნენ და მათ თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა:

„ვნახეთ კლდითა ნაპრალსა შიგან ჯდა
კბილ-მარგალიტი, თავწამებული,
რომელსა ესხნეს გვერდნი უკანით და
თითნი უკანით,
პირი კისრით და კისერი /პირით/,
ზურგი მუცლით და მუცელი ზურგით,
მუხლი ქვეით და წვივი ზეით.
ქუსლი წაღმა და თითნი უკანითვე,
თმანი საზარელი, სისხლითა დასვრილი".

(ვირსალაძე 1964: 116).

მომხიბვლელი ნადირთ ღვთაების ასეთი მეტამორფოზა (მსგავსი ცნობა დაცულია პროზაულ გადმოცემაშიც – მითოლოგია, 1992: 82) იმ მიზნით განხორციელდა, რომ მითური იდუმალებისაგან დაცლილიყო ნადირთ ღვთაება და მისი გარეგნობა სრულიად კონტრასტულ ნიშნულამდე მისულიყო – ყველაფერს შეეცვალა ფორმა, მშვენიერი ოქროსფერი თმებიც კი სისხლის-

ფერი გამხდარიყო, რათა ახალ დემითოლოგიზებულ პერსონაჟს თავისი გარეგნობით შიში ჩაენერგა მნახველისთვის. ამ ლექსის მიხედვით, ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ განაჩენი გამოუტანა გარდასულს. ხალხის წარმოდგენაში ნადირობის ღვთაების დამცრობის პარალელურად გააქტიურდა ტყის ქალი, რომლის სახე შემდგომ შეირწყა ტყის ბინადარმა ალმა (თურქულენოვანი სამყაროდან შემოსულმა დემონოლოგიის ცნობილმა მახიჯმა, ჭუჭყიანმა ქალმა) და გარეგნობით დალს მიემსგავსა (ჩლაიძე, 2006:47). ალებს, კლდის ან ტყის სულებს, მითურ ნადირთ ღვთაებასთან აღრევის გამო ახასიათებთ გარეგნული მშვენიერება და ლამაზი თმები, მაქციაობის უნარი, სიყვარულისთვის მზაობა. დემონური ტყის ქალი – ავსულები – ნადირობასთან კავშირს არ ამჟღავნებენ, ისევ ადამიანთა საცხოვრისის გარეთ, თუმცა კი ძველებურად მიუვალ ადგილას აღარ ბინადრობენ, ვნებენ დასაქორწინებელ ქალ-ვაჟებს, სასიყვარულო ურთიერთობებში ერთგულება-სიმტკიცეს აღარ მოითხოვენ. ისინი ერიდებიან ადამიანებს, მაგრამ ჩასაფრებულები კი ელიან, როდის გამოჩნდება გზააბნეული მგზავრი, რათა დატანჯონ იგი. ალები ბოროტად არიან განწყობილი ასევე მელოგინეთა მიმართ (ორბელიანი, 1991:46) და სხვ.

რაკი ნადირთ ღვთაება უპირატესად ერთ სფეროს განაგებდა, ამიტომ მისი ფუნქციები შემოსაზღვრული იყო. როცა მან დაკარგა ღვთაებრიობა და დემონურ არსებად, ტყის ქალად (ალად) გაბატონდა ტყე-ჭალის სივრცეში, მისი მოქმედების არეალიც გაფართოვდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ალი რაიმეს ემსახურებოდეს, გარდა ბოროტებისა. დემონოლოგიაში რამდენიმე ალი გვხვდება. ხალხურ გადმოცემებში უფრო ხშირად მოთხრობილია წყლის, კლდისა და ტყის ალებზე, რომელთა საქმიანობას ყოველთვის წარმართავს მაქციაობა. იგი, ნადირთ ღვთაების მსგავსად, ხან ცხოველად იქცევა, ხან ჩიტად (პეპლად), ხანაც ხორციელ ქალად. ხალხი ალისაგან თავს იცავს, მათ შორის, შელოცვით. მოგვიანებით ადამიანებმა დაიჯერეს, რომ წმინდა გიორგის სახელის ხსენება აფრთხობს ალს და სხვ.

მ. ჯანაშვილის მოწმობით, რომელიც აფხაზურ გადმოცემებს ეყრდნობა: „ალი... „წყლის დედა“, ტბასა თუ წყაროში ბინადრობს, ლამაზია“. იგი თავიდან უნდა ყოფილიყო ჭალა-ტყეთა ღმერთი. წყლის დედა, ცეცხლისებრ მანათობელის ქალის სახით. „ალი სვანურად ჰალ არის და აღგზნებულ ცეცხლს ჰქვიან“. ალის შესახებ ეს მონაცემები სხვა კუთხეების გადმოცემებშიც მეორდება.

ქართული ხალხური გადმოცემები კავკასიური თქმულებების ტიპოლოგიის ჩარჩოში (სიხარულიძე, 2006:161) ჯდება: ალები მოულოდნელად ჩნდებიან ადამიანის წინაშე და უცებ ქრებიან, თეთრებს იცვამენ, გაწეწილი თმები ფეხებამდე სწვდებათ, (მითოლოგია, 1992: 83). სხვა ჩანაწერში მეტი კონკრეტიზაციაა. ალი არის ახალგაზრდა, თვრამეტი წლის ქალი, „აქვს გრძელი შავი თმა, რომელიც კოჭამდე სცემს, ტანზე არაფერი აცვია, ერთთავად წყალში ზის. ზოგჯერ ქვაზე შემოჯდება და თმას ივარცხნის. დალის მსგავსად, თუ ვინმე მიეპარა და თმა მოაჭრა მაკრატლით, მაშინ როგორც ჩვეულებრივი ქალი მოკვდავი ხდება (იქვე, 89). თუ ადრე ნადირთ ღვთაება, მშვენიერი პატარა ქალი, მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა და მონადირეებისაგან თავის შესაფერის ძღვენს – უპირატესად ერთგულ სიყვარულს იღებდა (საქართველოს მთაში ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, ის მონადირეებიც ასაჩუქრებდნენ ღვთაებას, ვინც მასთან პირობით არ იყვნენ შეკრულნი: თხის, ხარის ან ძროხის ტყავისაგან ამოსხმულ პაწაწინა ქალმებს უტოვებდნენ იმ კლდეში, სადაც მისი სამყოფი ეგულებოდათ (ვირსალაძე, 1964:115), მოგვიანებით ალს, მავნე სულს, მონადირეთა და მგზავრთა მტერს, ადამიანები ებრძვიან და მოხერხებით იმორჩილებენ კიდეც (მითოლოგია, 1992: 84). ალის სამფლობელო მაღალი კლდეებიდან დაბლა, ტყე-ღრეში ჩამოვიდა, ვენახებში დაიწყო ცხოვრება. დაბნელდება თუ არა, გზაზე გამოვა, დაუხვდება გამვლელებს თმაგაშლილი და ხელებგაშლილი, წაიყვანს და თავის ჭკუაზე ატარებს (იქვე, 90).

ცნობილია, რომ ვაჟამ, მთის შვილმა და მითური სამყაროს შესანიშნავმა მცოდნემ, თავის მხატვრულ ნააზრევში უძველესი

მითური წარმოდგენების ინტერპრეტაციის თვალსაჩინო ნიმუშები დაგვიტოვა. სახელდობრ, ნადირთ ღვთაება და გველეშაპი თავიანთი პირველქმნილი მითური სახით მრავალგზის ასახა ეპიკურ პოეზიაში (კიკნაძე, 1989:148; ჩხენკელი, 1989:3-194; ქურდოვანიძე, 1991:32-52). თავისა და მთიელი კაცისათვის ძალზე ახლობელ სამყაროზე საუბარს იგი ვერც მოთხრობებში ასცდა და შექმნა რამდენიმე შესანიშნავი ნაწარმოები, მათ შორის, „ნაპრალნი“.

„ნაპრალნი“ 1902 წელს, საქართველოსათვის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ყოფის პერიოდშია დაწერილი. იგი იგავად გაუაზრებია ვაჟას. პოეტი კეთილთან ბოროტის ბრძოლის ალეგორიულ სურათს ხატავს, სურს უდანაშაულოს მიმართ დამპყრობელთა შეუბრალებლობა გვიჩვენოს. ვაჟა წარმოგვიდგენს სიტუაციას, როცა ძლიერს სუსტის დასამონებლად არავითარი მიზეზი არ სჭირდება.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში მდინარე საზოგადოდ ორი ფუნქციით შემოდის: სიკეთეა, როცა ადამიანთა სიცოცხლესა და კეთილდღეობას ემსახურება, მაგრამ ამავე დროს ბოროტებაც შეუძლია ჩაიდინოს, როგორც სტიქიამ. „ნაპრალნში“ მთის დაუმონავ მდინარეს დაურღვევია კლდის მთლიანობა და შუაზე გაუხლეჩია იგი, ორ ნაპრალად უქცევია ოდესღაც ერთიანი მთა. სიმბოლურად აქ ქვეყნის გახლეჩას გულისხმობს მწერალი, რომელმაც იცის, რომ დანაწევრების შემდეგ ბევრად უადვილდება დამპყრობელს მიზნისკენ სვლა. მოთხრობაში ხაზგასმულია, რომ მთათა ჰარმონიული კავშირის დარღვევით მდინარეს შიში გაუმეფებია განცალკევებულ ნაპრალთა გულში – ძირს გამოგვითხრის და დაგვამხობსო, თუმცა ნაპრალთა შორის ქარად შემოვარდნილი იდუმალი ხმა ნუგეშს არ აკლებს კლდეებს: „ნუ გეშინიანთ, ნუ, მაგრად, შეუპოვრად იყავით, ვერაფერს დაგაკლებსთ თქვენ მდინარე!“ (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:60).

კეთილისა და ბოროტის ბრძოლის პირველ ეტაპს მეორე მოჰყვა: ერთ ნაპრალს ეწვია „დიდი, როგორც შავი ნისლი, ვეშაპი, დაადგა თავს და შუაგულზე დაუწყო ნგრევა, ბუნაგს იკეთებდა“.

ვაჟა ფშაველა ვეშაპს, რასაკვირველია, ბოროტებად, ადამიანთა მტრად წარმოსახავს:

„შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირღია დაგველირება,
ჩვენ, მოსვენებით მძინარეთ,
საჭმელად დაგვეპირება...“
(„ღამე მთაში“)

ან

„გავხედე მინდვრად მოცურავს
შავი ვეშაპი ქშენითა,
ყოილთან მიწას მაჰლოკდა
ცეცხლის მსროლელის ენითა.
პირითაც ცეცხლი სდიოდა,
საზარელ იყო მეტადა...
მნახა, გულზავად მომმართა,
ვუნდოდი დასაკვნეტადა.
პირი დააღო ვეება,
ჩასაყლაპავად მიტია...
მოკლულმა შემომანთხია
ბოროტი სისხლი პირზედა.
ცხენი წამექცა, თვითონაც
მიწას დავეცი ძირზედა...“
(„ბახტრიონი“)

ალბათ საჭიროა გავიხსენოთ, რომ უძველესი წარმოდგენით გველეშაპი წყლის სტიქიის ბატონს განასახიერებდა, მასზე იყო დამოკიდებული წყლის გათავისუფლება და მოსავლის ბედი. ნილოსის, განგის, ტიგროსისა და ევფრატის ველებზე მცხოვრებ ხალხებს შეუმუშავებიათ ჩვეულება, რომელიც ითვალისწინებდა ვეშაპის გულის მოგების მიზნით განხორციელებულ მსხვერპლშეწირვას: ქალიშვილს შესაჭმელად ან ქორწინებისათვის დატოვებდნენ მდინარის ან ტბის პირად (პროპი, 1984:236). ეს ჩვეულება ტიპოლოგიური ჩანს. იგი ჩრდილოეთის ქვეყნებში ყოველ სეზონზე სრულდებოდა ადგილობრივი სტიქიის – პურგის – გულის მოსაგებად (ოშეროვი, 1936:200). მსხვერპლშეწირვის რიტუ-

ალი ყველგან ითვალისწინებდა გვარის გადარჩენის ინტერესებს და ამიტომ ითვლებოდა საჭიროდ და წმიდათაწმინდად.

ცნობილია ამ რიტუალის ამსახველი მითის ერთი უძველესი ვარიანტი, რომელიც ვეშაპის მიერ მზის (=ქალიშვილის) ჩანთქმასა და წყვდიადის გამეფებაზე მოგვითხრობს. ვეშაპს გმირი უპირისპირდება და ამარცხებს. ეს ამბავი მოარულ სიუჟეტად ჩამოყალიბდა და მრავალი ცვლილებით აღიბეჭდა, ვიდრე ოვიდიუსი „მეტამორფოზებში" შექმნიდა თავის ჯადოსნურ ზღაპარს დამსგავსებულ ვერსიას. პერსევს-ანდრომედას მითი ოვიდიუსთან უკვე დესაკრალიზებულია (ცანავა, 1998:118). ამ მიზეზით ზღაპარში ვეღარ ვხვდებით ღვთაებისათვის მსხვერპლის რიტუალური შენირვის მითისეულ გააზრებას. ჯადოსნურ ზღაპარს არ აინტერესებს რიტუალის საკრალური არსი. ამბავი, მართალია, იგივე დარჩა, მაგრამ მისი აღქმა-შეფასება ათვლის სხვა წერტილიდან ხდება (ქურდოვანიძე 2004:4-12).

ზღაპარში გველეშაპი ადამიანთათვის ისევ რისხვის მომგვრელ არსებად დარჩა (ქურდოვანიძე, 2002:53-55). გველეშაპი „წამოვიდა ჭექა-ქუხილით" (ჩიქოვანი, II, 1952:290); „იშხუვლა ცაში გველეშაპმა" (ჩიქოვანი, I, 1938:93). ტრადიციის ძალით, მეზღაპრეები გაზვიადებულად წარმოადგენენ როგორც ვეშაპის ზომას, ასევე იმ რეზონანსს, რაც მის მოკვლას მოსდევს: „იმოდენა იყო ის წყეული, რომ სისხლი ზღვად დადგა და ხორციდან დიდი მთები აღიმართა" (იქვე); „გავარდა ხმა გველეშაპის სიკვდილისა და ქვეყანა ერთმანეთს ეცა" (ჩიქოვანი, II:290).

„ნაპრალნში" გამოყვანილ ვეშაპს მოძალადის ფუნქცია შერჩენილი აქვს, მაგრამ მწერალი მასში არ მოიაზრებს უძველეს მითურ არსებას, წყლის სტიქიასთან დაკავშირებულ გველეშაპს, მრავალთავიანსა და ცეცხლისმფრქვეველ ბასრკბილებიან ურჩხულს. იგი ჩვეულებრივი დამპყრობელია, ფიზიკურად მასიური, მაგრამ სინამდვილეში მშიშარა. მან თავად კი არ დაიპყრო ეს ტერიტორია, არამედ უკვე დაქცეულს შეეფარა, ძალაგამოცლილ, ბრძოლისუუნარო გარემოში მივიდა და თავი ძლევამოსილად მოაჩვენა ყველას. აქ ხომ ღამის გასათევი სჭირდებოდა და მანაც

ბუნაგის მოსაწყობად ნაპრალის შუაგული აირჩია და სწორედ იქიდან დაიწყო გამოქვაბულის თხრა.

ვაჟა ფშაველა თითქოს ითვალისწინებს ქართულ-კავკასიურ სინამდვილეს, როცა წერს: სადაც ვეშაპმა ფეხი დაადგა, ყველგან „გლოვისა და ტირილის ხმა“ შემოესმა. ნაპრალში ფეხი მოიკიდა თუ არა, ვეშაპი მაშინვე საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას შეუდგა: ცხოველებსა და ფრინველებზე ნადირობდა „გაუმაძღარი ფაშვის ამოსაყორავად“, აავსო იქაურობა ძვლებით, ბუმბულით, ნადირთა ბალნითა და ბიტირით და საზიზღარი სუნი დააყენა.

ვეშაპის დაპყრობილ ნაპრალს თავის მდგომარეობაზე მხოლოდ წუხილი შეუძლია: „ძმაო, ნუთუ ვერაფერს მიშველი, ეს რა ღვთის რისხვაა ჩემს თავს?!“ ნაპრალის მეორე ნაწილს კი მხოლოდ სიტყვით თანაგრძნობის უნარი შერჩენია, წინააღმდეგობასა და ბრძოლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოძალადეს მათი ჩივილის მოსმენაც აღიზიანებს და იმუქრება: „ხმა ჩაიწყვიტეთ... ხომ არ გინდათ... სულ დაგანგრიოთ და ნაცარმტვრად გაქციოთ?!“

მალე მეორე ნაპრალს ალი დაეპატრონა. ვაჟა ფშაველას ალი, როგორც ბოროტება, უკვე დადგენილ მოცემულობად არსებობს, ანუ ალი კონკრეტული მოტივაციის გარეშე ჩამდგარა თავის ამფსონ ვეშაპთან ერთად ბოროტების სამსახურში.

მწერალი ალს, აღმოსავლური ტრადიციის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენს ლამაზ ქალად, რითაც ხარკს უხდის ქართული მთის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ტრადიციაში დამკვიდრებულ წარმოდგენას მახინჯი ალის მშვენიერი ნადირთ პატრონის გარეგნობასთან შერწყმის შესახებ. ვაჟას ალი გიჟმაჟი, ქარაფშუტა და უდარდელი ქალია. იგი კისკისებდა, როცა ხედავდა, ვეშაპი როგორ წიწკნიდა და ჯიჯგნიდა ნანადირევს. ალი ადამიანებს ნაპრალის მღვიმეში ემალებოდა, მაგრამ ზოგჯერ, როცა იმედი ჰქონდა, ვერ დაინახავდნენ, დაჯდებოდა ნაპრალზე და ვეშაპს უამბობდა თავის ოინებზე, ლაპარაკობდა „სხაპა-სხუპით, ხელების, ფეხების და სახის თამაშით, მოუღალავად. წყალთა ნაკადულივით მოსდიოდა პირიდგან სიტყვა-სიტყვაზე“.

ვაჟა ფშაველა ითვალისწინებს ხალხში გავრცელებულ გადმოცემას, რომ ალები ახალგაზრდა ვაჟებს ეტანებიან. ამიტომ მოთხრობაში აწინაურებს ტრფობის მოტივს. კერძოდ, ვეშაპს ოჩოკოჩის ფუნქციით წარმოადგენს, ხოლო ალს – ტყაშმაფასი. მეგრული თქმულების კვალობაზე აგებს პოეტი ვეშაპისა და ალის ურთიერთობას. მახინჯი ვაცკაცა ცდილობს დაიპყროს მშვენიერი ტყაშმაფა, მაგრამ უშედეგოდ. ტყაშმაფას უარი მოტივირებულია: თუ ოჩოკოჩი ინტიმურ კავშირს დაამყარებდა მასთან, ტყაშმაფა მოკვდებოდა. მეგრული გადმოცემის მიხედვით, როცა ოჩოკოჩი მოახერხებს ტყის მეფის დაორსულებას, ქალი მოლოგინების შემდეგ თვითონ იკლავს თავს (სახოკია, 1950:8). ვაჟა იმასაც უწევს ანგარიშს, რომ ალი, თავისი წინამორბედის მსგავსად, სასიყვარულო ქსელს თავად ხლართავს. ალი ვეშაპს, მართალია, „ბიძიას" უწოდებს, სიბერის გამო არ მოსწონს, მაგრამ, როგორც გვერდზე მყოფს, შორიდან ეკეკლუცება, ცდილობს თავი შეაყვაროს, უიმედო სიყვარულით დატანჯოს. ალმა საწადელს მიაღწია კიდეც. იგი კისკისებდა, როცა ვეშაპი კვნესით ეუბნებოდა: „მე გულში ცეცხლი ამინთე, დაუქრობელიო". ვეშაპთან არშიყობა და მისი გაგიჟება ალის საქმიანობისა და ბოროტი ბუნების ერთი გამოვლინებაა. სხვა დროს ალი წყაროსთან ზის, თმას ივარცხნის, სალამურს უკრავს და ტკბილ ხმაზე მღერის მწყემსთა მოსაზიდად. „პატარა გოგო-ბიჭები შემოესეოდნენ გარს, იგი უცინოდა, სათითაოდ გულში იკრავდა და აღრჩობდა. შემდეგ კი მოჰყვებოდა კისკისს". ვაჟა ამ ეპიზოდში ალის მკითხველისთვის მოულოდნელ სურვილს ამხელს: „გაუწყდით თქვენს მშობლებს, რატომ ჩემები არ ხართ? ვინ მისცა თქვენი თავი თქვენს პატრონს?! რატომ მე არა მყავს შვილები? ჩემი სისხლისა, მცოდნე ჩემის ენისა, ზნე-ჩვეულებისა რატომ არა ხართ?!" ეს, ასე ვთქვათ, დროებითი სისუსტეა ალის მეორე ბუნებისა, ხოლო წარმმართველი სიბოროტის სამსახურია. მაქცია ალი ზოგჯერ ჯიხვად ეჩვენებოდა მონადირეს. ის თოფს ესვროდა ნადირს და როცა გახარებული რქაში ჩასჭიდებდა ხელს, ალი, უკვე თავისი სახით, ყელში ეცემოდა და ახრჩობდა".

მწერალს ვეშაპისა და ალის ავკაცობა საზოგადო უბედურების რანგში აჰყავს: თავის გასაჭირზე ჩივიან ნაპრალნი და გახმობის მოლოდინით გულდამძიმებული მუხები. ამიტომ მხსნელად შემოჰყავს მითისა და ზღაპრის საყვარელი არსება არწივი: მოძალადეთა პარპაში „საზარელი ტანისა და საზარელი ხმის ფრინველმა შეაჩერა. იგი „დაჰყეფდა გულ-მრისხანედ, თითქოს იმუქრებოდა“ და აშინებდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. ნაპრალებმა და მუხებმა ჯერ არ იციან, რომ ღმერთს მისწვდა მათი წუხილი და მან განსაცდელში არ დატოვა საბრალონი, თავისი ფრინველი გამოგზავნა მათ საშველად.

ფრინველთა მეფის პირველი მსხვერპლი ალი გახდა. ერთხელ, როცა ალი, ჩვეულებისამებრ, სიცილ-კისკისით აყრუებდა არემარეს, „საზარელი ჭექა გაისმა ცაში და ფრინველი მხრებმოკუმშული დაეცა მას თავზე“, გაიტაცა ალი და გააქრო.

შეძრწუნდა ვეშაპი, დღისით გარეთ გამოსვლისა ეშინოდა, – გვაუწყებს ვაჟა. მწერალი მოთხრობის ამ მონაკვეთიდან ხსნის გარეგნულად საშიში, მაგრამ სინამდვილეში უმწეო ვეშაპის ნამდვილ სახეს. იმაზე, რომ ვეშაპი არ იყო ის, ვისადაც თავს ასაღებდა, ვაჟამ მიგვითითა, როცა შენიშნა: ვეშაპი „გადალახლახდებოდა“ [ალის] ბუნაგშიო. ეს საგანგებოდ შერჩეული სიტყვა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოთხრობის გმირი მითური წინაპრის მსგავსად კი არ დაფრინავს, არამედ ლახლახით დადის. არწივმა ალი რომ მოიტაცა, „ვეშაპი თავისთვის მოიკუნჭა, უნდოდა მიჰშველებოდა თავის სატრფოს, მაგრამ სად შეეძლო ჰაერში ფრენა?! პირიდან დორბლებს, ცოფსა ჰყრიდა, ხვნეშოდა, კვნესოდა და უგემურად ილანძღებოდა“.

დემითოლოგიზებული ვეშაპის ჭეშმარიტი რაობა უფრო ნათლად ჩანს არწივის ვეშაპის ბუნაგზე დაცემის აღწერისას: არწივს ვეშაპი „სიკვდილის პირზე მიეყვანა. ვეშაპი, სისხლში მოსვრილი, ბოლოს აწყვეტდა უკვე თავს. მაღლა ფრინველებს შეწყალებას სთხოვდა, მაგრამ ამაოდ: იგი, დაატყო რა, რომ დაჰრია ხელი, უფრო მედგრად სცემდა ნისკარტს და ბჯღალებს და აგერ ვეშაპი, როგორც დიდი უზარმაზარი ძელი, დაგორდა და ჩაიჩეხა ხევში“.

რაკი ნაპრალებს და მუხებს, სიმბოლურად ადამიანებს, თავისი თავის შველა არ შეუძლიათ, შემწეობა უფალმა უნდა გაუწიოს: არწივი ღმერთმა ბოროტების დასათრგუნად მოავლინა და მანაც აღასრულა თავისი ვალი.

მადლიერი ნაპრალნი და მუხები უფალს ადიდებდნენ. მათ უერთდებოდნენ ლოდები, დეკანი, ჯოყრები, ბალახი. „უძლეველი მხოლოდ ღმერთია!“ – ამბობდნენ ცაზე მოსრიალე ორბები.

მწერალი ამკვიდრებს ღმრთის უძლეველობისა და სამართლიანობის იდეას და სურს დაგვარწმუნოს, რომ დრო თავისი წინსვლით სიკეთეს ემსახურება, ადამიანებს თავისუფლების შეგრძნება ენერგიით ავსებს.

ფინალში ვაჟა ბუნებისა და ადამიანთა საერთო სიხარულის გამომხატველ სურათს ხატავს, რათა იმედი ჩაგვისახოს, რომ ყველას ეშველება ისე, როგორც გათავისუფლდნენ ნაპრალნი და მუხები: ნაპრალებთან ხალხმა მოიყარა თავი, „დიდნი და მცირენი, ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, მთელი ნაპრალთა მიდამო ხალხით აივსო. ეს ადგილი ხალხმა წმინდა ადგილად დასახა. ყველას მოჰქონდა სხვადასხვა ყვავილები, მცენარეულობა და იმათ ძირებზე ჰრგავდნენ“.

მოთხრობილი ამბის იგავურ-ალეგორიული გააზრებით ვაჟა ფშაველა ცარისტული რეჟიმის პირობებში ტკივილიან მამხილებელ სათქმელს ნიღბავს. მწერლის მიერ ნაპრალთა და მუხების მხსნელად ღმერთის ფრინველის – არწივის – შემოყვანა სიმბოლურად ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის საბოლოოდ დათრგუნულ ქართველებს „დიდი ვეშაპისაგან“ თავდახსნისთვის ბრძოლის უნარი და ძალა არ გააჩნიათ, რომ თავისუფლებაზე ამ ხანად მხოლოდ ოცნება შეიძლება და გათავისუფლებას ზეციურ ძალთა ნება და შემწეობა სჭირდება.

ალისა და ვეშაპის მოსპობამ სიხარულით აავსო ხალხი და გარეთ გამოიყვანა, რაც იმაზე მინიშნებაა, რომ ადამიანები ამ დღეს ელოდნენ, ამ დღეზე ოცნებობდნენ.

თავი V

ზნეობრივი გმირის ძიება

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკასა და ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ჩივილს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებათა შესახებ. საწუხარის საგანი სხვადასხვაა, იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალ სფეროს მოიცავს. ვაჟა ფშაველას ყურადღების ერთ-ერთი საგანი გამხდარა ადამიანთა ზნეობრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები. საქართველოში სავაჭრო კაპიტალიზმის წარმატებებმა ხელი შეუწყო მორალურ ფასეულობათა გადაფასების პროცესს და გარკვეულად დააჩქარა საზოგადოების ზნეობრივი დაქვეითება. როგორც ჩანს, ეს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მოვლენა იყო, რომ სწრაფად ვრცელდებოდა, ბარიდან მთაშიც დაუყონებლივ ააღწია. საუკუნის დასასრულისათვის, ეტყობა, უკვე მთელი საქართველო იდგა ამ საშიშროების წინაშე.

ვაჟა ფშაველა 1886 წელს დაწერილ წერილში „ფშაველები“ სინანულით უჩიოდა ფშაველთა საზოგადოებრივი ცხოვრების ნირის შეცვლას. ეს ფაქტი, პოეტის მოწმობით, ხალხურ პოეზიაშიც ასახულა. ბუნებრივია, შეცვლილი ცხოვრების ყველა წვრილმანი ვერ მოიპოვებდა პოეზიაში ასახვის უფლებას. ამიტომ ვაჟას მსჯელობაც უფრო ზოგადია. იგი წერს: „ძველს ლექსებში არის გამოხატული ვაჟკაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმაღლე. ძველს ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვირს. ახალი ლექსები რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკვნესის სატირული ნაღველი; რეალური მიმართულება ახლის დროის ლექსებისა უწმაწურობამდე, ცინიკურობამდე მიდის. მაინც ხალხში სატირა იბადება, როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და ერთის წყობიდან მეორეში გადადის. მოხუცებულები ემდურებიან ლექსების

შინაარსის გამოცვლას: ჩვენს დროსო, ამბობენ ისინი, წაწლობისას და უწმინდურობისას არ იმღეროდენო. ეს მართალია, მაგრამ რა ქნას ახლის დროის ფშაველმა..." (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:19).

საგმირო საქმეს მოკლებული ფშაველი გულს ლექსებით იფხანსო, – გვეუბნება ვაჟა და ჩვენთვის აშკარაა, რომ ხალხი ძველი იდეალების გარეშე დარჩა. ის ტრადიციული ცხოვრება, რომელიც აამებდა ხალხის გულს, შეიცვალა უინტერესო, უიდეალო ყოფით. „ძველს ლექსებში ერთადერთი წადილი, ღაღადისი ისმის: ვაჟკაცობა, გულადობა; როგორც ახალს პოეზიაში სიღარიბეს და სიმდიდრეს უჭირავს ადგილი, – თითქო არც კი არსებულანო, ეკონომიური წუხილი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, არ ისმის. ერის მართლხედვა და მართლ-გრძნობა არც არის მოტყუებული: ძველი დრო იყო დრო ვაჟკაცობისა, ძალისა, მტრობისა, მუშტისა და ხმლისა. მაშინ იყო საჭირო ძალგულოვნება..."(იქვე, 162).

წერილი „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია", რომლიდანაც ეს ამონაწერი მოვიტანეთ, უკვე 1896 წლით თარიღდება. ვაჟა ფშაველას საწუხარი ათი წლის შემდეგაც იგივე ჩანს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პოეტი ხშირად იხსენებს ძველი დროის ამბებს, აიდეალებს წარსულ ყოფას, ხოტბას ასხამს ძველ გმირებს და აუგად ახსენებს ახალ ყოფას. ჯერ კიდევ 1886 წელს დაწერილ პოემაში „მოხუცის ნათქვამი" ვაჟა წერს:

„ეს რა დროებას მოვესწარ?
გამოიცვალა ქვეყანა,
მამალიც ყივის სხვაგვარად,
კაცსა სძულს მისვლა კაცთანა;
ბიჭები გალაჩრებული
ყბედობენ სიყვარულზედა;
უმსგავსო მათი სიცილი
ეკლად მეხვევა გულზედა..."
(ვაჟა ფშაველა, III, 1964:7)

ახალ დროებას ადამიანებისათვის ახალი პრობლემები მოუტანია. სინამდვილეში ეს უპრობლემობა უფროა, რადგან ადამიანებს იდეალები დაჰკარგვიათ და გართობა-დროსტარებაში კლავენ დროს:

„რომ გავიარო ტყის პირად
ჩინჩხვრების მოსაკრებადა,
მთელ ცისმარე დღეს ერთპირად
სხედან დუქნის წინ ერთადა.
მათ სასიმღერო ლექსები
მარტო ღვინო და ქალია...
ამგვარ ვაჟკაცებს ქალებიც
თან სდევს, ვით ყანას კალია.
სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
კაც იყოს, თუნდა ქალია,
რომ მთელი მათი არსება
ფუჭმა საგნებმა დალია!“

ახალი ცხოვრების პოეტისეული დახასიათება სრულ კონტრასტს ქმნის იმ საგმირო ამბავთან, რომელიც პოემაშია ხორცშესხმული. ამ ამბავს მოხუცი იმიტომ იხსენებს, რომ გარდასულ დროთა საქმეებით გაამხნევოს თავისი თანამედროვენი, ძველი დროის გმირთა მომსწრე, მათი საქმეთა მნახველი გაექცეს თავის თანამდევ ყოფას, არ ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში.

ეს საგმირო საქმეები, დანიშნული ქვეყნის ხსნისათვის, აოცებდა თვითმხილველებსაცა და ამბის მსმენელებსაც. გმირი, ბუნებრივია, ყველა ვერ იქნებოდა, ოღონდ ვინც იყო, იმას აუცილებლად ღვთიური ნიშანი ჰქონდა, ზოგს აშკარად ხილული და ზოგსაც უხილავი.

ხალხის წიაღიდან გამოსულ გამორჩეულ ადამიანთა საქმეებში ისევ იგრძნობოდა ერის მაცოცხლებელი ძალა, რომელსაც თაობებში დაგროვილი ენერგია ასაზრდოებდა. ეს ენერგია მთელ საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ისტორიული პირობების გამო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იგი ფიზიკური გაცხადების გარდა, დამატებით პოეტურ სიტყვაშიც გამჟღავნდა და დროთა განმავლობაში გამორჩეული ელვარება შეიძინა.

გარეშე მტერთან ბრძოლასა თუ შინაურ შუღლში, საუკუნეების განმავლობაში რომ მიმდინარეობდა, თანდათან ჩამოყალიბდა თვალსაზრისი იმაზე, როგორი უნდა ყოფილიყო გმირი ვაჟკაცი, რა ზნეობრივი ვალი ჰქონდა მას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ა) „კაი ყმის კოდექსი“ და ვაჟას ლექსი „კაი ყმა“. ვაჟა ფშაველას ეს კოდექსი შემუშავებული დახვდა. პოეტმა ყრმობაშივე შეისისხლხორცა ფშავ-ხევსურული სიბრძნე, რომლის თანახმად:

„ვაჟკაცსა – გული რკინისა,
აბჯარი – თუნდა ხისაო,
თვალნი – ქორებულ მხედავნი,
მუხლები შავარდნისაო“.

(ხალხური პოეზია, III, 1975:79).

მედგარი და შეუდრეკელი უნდა იყოს კაი ყმა. მას ერთი მისწრაფება აქვს – გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჟკაცი ბრძოლის ველზე იპოვის სიკვდილს.

გამორჩეული ვაჟი ის არის, ვინც ომის დაძახილზე უყოყმანოდ ჩაიცვამს აბჯარს, შეკაზმავს ცხენს და ხალისიანად გასწევს ბრძოლის ველისაკენ:

„მაშინ კარგია კაი ყმა,
რო დილა ბინდით დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
„ომს ვიქამ“, ემზადებოდეს“.

გულოვან ვაჟებთან დგომა და ხმლის ტრიალი ასეთი ყმისათვის სახელის მომტანია. ამავე დროს მას არ უნდა დაავიწყდეს, რომ საჭიროა ომში პირველი შევიდეს, იქიდან კი ყველაზე გვიან გამოვიდეს:

„თუ რო სახელის ქნა გინდა,
კაი ვაჟკაცთან დაზდგოდი,
ჩასვლით ჩახვედი წინწინა,
გამოსვლით უკან დასდგოდი!“

ვაჟკაცისათვის გარეგნობას არა აქვს მნიშვნელობა. ვაჟის არწივისებურმა გამოხედვამ და მხარ-ბეჭმა შეიძლება უცებ მოხიბლოს მნახველი, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ მასზე საბოლოო აზრის შესაქმნელად მხოლოდ ბრძოლის ველზე გამართუ-

ლი პაექრობა გამოდგება. ხმლის ტრიალი და ჭექა-ქუხილივით გრგვინვა არის, ხალხის აზრით, ვაჟკაცის შესაფასებლად გამოსადეგი კრიტერიუმი:

„ნეტავი ლაშქარს შეგვყარნა
სამნი ბატონის ყმანიო,
მოგვწივა მძიმე ლაშქარი,
სწორებს გვეცადა თავიო,
მაღლიდამ გადმოაცქირა
ლამაზი ქალის ჯარიო!
ბევრ ქალს კი შესძულდებოდა
თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრ ქალს კი შეჰყვარებოდა
პირად ჯუღური ქმარიო.“

ხალხური კოდექსის თანახმად, ვაჟკაცი არ შეიძლება იყოს უბრალო სისიხლისღვრის მოსურნე. იგი საგანგებოდ ერიდება ამისთანა საქციელს, მაგრამ არც იმის მოთმენა შეუძლია, რომ დასცინონ, გაამწარონ. ასეთ დროს ყმა აფრთხილებს თავის შემწუხებელს:

„ცხენ კარგო, თავადაც კარგო,
ცხენას არ გამალახვინო
ეგ შენი ჭრელი ხანჯარი,
წითლად არ შემაღებინო.
ეგ შენი ცხენის ბალიში
თავქვეშ არ დამაგებინო.“

საროსტანიანი ვაჟი არ უნდა ტკბებოდეს თავისი სილამაზით, როგორც ნარცისი, გულს არ უნდა უღონებდეს მის შემყურე ქალებს:

„ვაჟკაცს რას გამაადგების
სოფელთ შვენება ტანისა,
ბანებზე მიდგომ-მოდგომა,
გამჩვენეობა ქალისა?
ხმალს უნდა აჭრევინებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა“.

კაი ყმა ის არის, ვისაც ზედმეტი სიტყვა არ დასცდება, თავისი სიდინჯით მოხიბლავს ნაცნობსა და უცხოს:

„არც ვარგა ქალთა მიმყოლი,
ჩალად არა ღირს მკვეხარი,
რო გაჭირდება, შედგება
როგორც უღელში მჭლე ხარი“.

იარაღის ხმარებას უკიდურეს შემთხვევაში უწონებს ხალხი ვაჟკაცს. საბრძოლო იარაღისადმი ასეთი დამოკიდებულებით კოლექტიური ავტორი იარაღის უადგილოდ, ცხელ გულზე გამოყენებისადმი პროტესტს გამოხატავს:

„გუდან აგებენ ბეღელსა,
ზღუბლად უდებენ სინასა.
ხკითხევდეს გელდიაურსა
ანდრეზსა წინა-წინასა.
ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა,
არ გამგონისად – რკინასა“.

ვაჟკაცი ვერ ამაღლდება იდეალამდე, თუ გონიერი არ არის. ჭკუა და გონება გმირისათვის ისეთი ძალაა, რომელსაც ცილობას ვერ შეჰკადრებს ღონე ან მგლის მუხლი, ან გული რკინისა. ჭკუა-გონების პრიორიტეტზე ხშირად არის მითითებული საგმირო აფორიზმთა ერთ ციკლში, რომელიც ფრაზით – „როსტომმ თქვა...“ იწყება:

„როსტომმ თქვა: თუ კი შაისმენთ
სიტყვა ეს არის მართალი:
დატევებასა მტრისასა
დაწონა უნდა, გან ძალი?“

ან:

„როსტომმ თქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა,
ვაჟკაცს რო გაუჭირდება
გარჯა უნდა და ცდილობა“.

უმეგობრო, თავკერძი ვაჟი შორს არის გმირის იდეალისგან. ჭირში ჩავარდნილისათვის დამხმარე ვაჟია სანაქებო, მან არ უნდა დაზოგოს თავი, არ დაიშუროს ძალა. მხოლოდ ის არის კაცი, ვინც ხელს გაუწვდის, შეეშველება თანამოძმეს, ხალხი თავდაუზოგავი, ნამდვილი მეგობრისათვის აქებს თავის შვილებს:

„ძმადნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,
მკერდჩანგრეულის სახელი
სამოთხის კარზედ სწერია“.

ნამდვილი გმირი სხვაზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე საკუთარ თავზე და ამ დროს სანაცვლოდ არაფერს თხოულობს, რადგან მატერიალურ კეთილდღეობაზე მეტად მისთვის სახელი ფასობს:

„რაად კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია?
წავალის, მაჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია,
დააძღებს ამხანაგებსა,
თავად მშიერა მგელია“.

ვაჟკაცისთვის სოფელზე ზრუნვა ისევე სავალდებულოა, როგორც საკუთარ ჯალაბზე. იგი უნდა უფრთხილდებოდეს და იცავდეს თავის თანამოძმეთა პიროვნულ ღირსებას, ზრუნავდეს მათ სახელსა და თავისუფლებაზე. ასეთი ვაჟი თავისდაუნებურად ხდება ხოლმე სოფლის გული და სული. მას ხოტბას ასხამენ, უყვართ, მისი იმედი აცოცხლებთ:

„კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი,
იტყვიან: კარგი რად არი?
საქმე რომ გაუჭირდება,
ყველა იბარებს: სად არი?“

მტერი გმირი ვაჟკაცისათვის საძულველია, მაგრამ მას კიდევ უფრო სძულს ის, ვინც მოყვარედ ასაღებს თავს და მტრობას კი არ

იშლის. კაი ყმა ვერ ეგუება ასეთ „მოკეთეს“ და თავად ალალ-მართალი სხვისგანაც ურთიერთობაში გარკვევას მოითხოვს:

„თუ მოყვარე ხარ, – მიმოყვრე:
კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ? – შემატყობინე:
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა“.

პირისპირ შეხვედრა არის გმირის ბუნებითი მისწრაფება. მას სხვაგვარად არ შეუძლია და ვერც წარმოუდგენია ცხოვრება:

„მტერი რას მიზამს პირდაპირ?
მალვით თუ მიზამს ზიანსა,
მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლავს,
ის ქალს ვითა სჯობს თმიანსა?
მტერი ვერ დასწვავს პირდაპირ
მუზარად მახვილიანსა.
პირდაპირ ომი შეჰფერის
ვაჟკაცსა ლაზათიანსა“.

ასეთი ფსიქოლოგიის ადამიანი ამაყიც არის, რადგან მუდამ თავისი იმედითაა. სოფელს არ შეიძლება არ ეამაყებოდეს უბირუას მსგავსი თავდაჯერებული ვაჟი, რომელიც მტერს არაფრად აგდებს:

„მე უბირუას მეძახან,
მტრისა არა მაქ დარდიო,
არ როდის გამოვქცევივარ
მტერსა შეყრილსა გზაშიო,
არც შემიჭამავ სირცხვილი,
არც თავზე მხურავ ფლასიო“.

აქ წარმოდგენილი ლექსები მხოლოდ ნაწილია იმ მრავალფეროვანი პოეზიისა, გმირის იდეალზე რომ შექმნილა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. „კაი ყმობის“ ხალხური კოდექსის განხილვისას ჩვენ მთავარ მომენტებზე გავამახვილეთ ყუ-

რადღება. ხალხისა და დიდი პოეტის იდეალთა ერთგვარობა უფრო ნათლად გამოიკვეთება თუ ვაჟას ლირიკას გადავხედავთ. ხელიხელსაგოგმანებლად უნდა აქციონ შვილიშვილებმა პაპის ანდერძი, რომლის თანახმად:

„ვაჟკაცს არ ჰშვენის ცრემლის ღვრა,
ქვითინი დიაცურადა,
მტერს ხმალი უნდა საფთხულად,
კვალზე მიყოლა მგლურადა...
ნუ დაისვენებ, ებრძოლე
მტერს, მანამა გიდგა სულიო..."

(„პაპაჩემის ანდერძი")

ვაჟასთვის კაი ბიჭობა თავისთავადობაში, სიკეთესა და გულმოწყალებაში მდგომარეობს. კარგი ყმა ძალმომრეობით აღზევებული კაცის მიერ დაჩაგრულის ქომაგია და არა გულგრილი, ეგოისტი ადამიანი:

„...ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
თავისთავადა ჰვარგობდე...
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
რომ სხვის დამრჩვალსა სწამლობდე...
აბა, ბიჭობა ის არი,
დაჩაგრულთათვის სწვალობდე...
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი
მშიერ-მწყურვალიც ჰგალობდე".

(„ის კი არ არი ბიჭობა")

კაი ყმობისთვის ზნეობრივი სიმტკიცე ერთი აუცილებელი პირობაა. აკი მუდამ სამახსოვროდ დაგვიტოვა დიდმა პოეტმა აფორისტული ნათქვამი:

„რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა."

(„დამსეტყვე ცაო")

თავისი ეს პოზიცია ლირიკული პოეზიის მრავალ შედევრში აქვს ვაჟას გამჟღავნებული. კაი ყმისათვის აუცილებელ თვისებებზეც მრავალჯერ მიგვივთითებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1909 წელს შექმნილი ლექსი „კაი ყმა (ხევსურულ ჰანგზე)“, რომელშიც ვაჟა ფშაველამ, შეიძლება ითქვას, გაამთლიანა საკუთარ პოეტურ ნააზრევში სხვადასხვა ადგილას გაბნეული შეხედულებები კარგ ყმაზე. ამ ვრცელ ლექსში, რომელიც მონოლოგის ფორმისაა, მაგრამ თანამოძმეებთან დიალოგს კი გულისხმობს, კაი ყმად ვაჟკაცის აღიარების მრავალი ასპექტია გააზრებული. ვაჟა სვამს კითხვას, ვინ შეიძლება იყოს მიჩნეული კარგ ყმად, კაი ყმობისთვის საკმარისია თუ არა ტანზე ხმლის დამშვენება? პოეტი ვაჟკაცი კაცის მრავალ თვისებაზე აჩერებს ჩვენს ყურადღებას. ყველა ეს ნიშან-თვისება იმსახურებს იმას, რომ გაგვიჩნდეს სურვილი კარგი ყმობისა. კაი ყმისთვის აუცილებელ თვისებათა შორის ვაჟა ფშაველა პირველ რიგში აყენებს მტრის წინაშე შეუპოვრობასა და თავდაუზოგაობას. პოეტი ადიდებს მას, ვისაც შესწევს ძალა „თავზარსა სცემდეს სიკვდილსა“. ამას გარდა, ვაჟა არც წმინდა ადამიანურ, სულიერ ასპექტს ივიწყებს. ვაჟკაცს უნდა შეეძლოს სხვისი ნეგეშისცემა – „სიცხეში სიოდ დაჰბეროს, დაათბოს, როცა ჰყინავდეს“.

დიდად მნიშვნელოვანია ვაჟკაცისათვის ისეთი შემართება, როცა ბოლო დატოვებს ბრძოლის ველს, თუმცა კი პირველმა დაიწყო ხმლის ტრიალი. შეიძლება სხვები ამ დროს ნადავლის გაყოფით იყვნენ დაკავებულნი, ნამდვილი კაი ყმა კი საჭიროა „ისევ მტრის წინა გრგვინავდეს“. კაი ყმა, კარგი ვაჟკაცი მუდამ დარაჯად უნდა ედგეს მძინარე ლაშქარს, ამასთან ყოველთვის შეუმცდრად განსჯიდეს, კეთილი მრჩეველი იყოს თავისი თანამოძმეებისა.

დიდი პოეტისათვის კაი ყმა სიმართლის სამსახურში ჩამდგარი ვაჟკაცია. იგი ხმალამოწვდილი უნდა იდგეს იქ, „საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს“.

იდეალად დასახული გმირის – კაი ყმის – რეალური ცხოვრება რთულია, მაგრამ, სამაგიეროდ, სახელის მოპოვების შემდგომი საიქიო ყოფა ელის ვალის აღსრულების მადლით აღბეჭდილი.

ასეთი გმირი მშიერ-ტიტველი კვდება, კვნესისა და შფოთვის გარეშე. ვაჟას აზრით, იგი ღირსია:

„წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად – სამარი,
საკაცე – თავის ლურჯადა,
ქვა-ღორღი ნაბდად საფარი...“

მამულისათვის შეწირულ გმირს ლაღი არწივი გაუკვალავს გზას სულეთისაკენ, ადრე წასული გმირები ქედს მოიხრიან მის წინაშე, მადლიერი ერეკლე მეფე და თამარ დედოფალი კი თავიანთი ყურადღების ღირსად გახდიან.

გმირობამდე, იდეალამდე ცხოვრებაში ერთეულები მაღლდებიან. უფრო მეტი არიან გმირთა ანტიპოდები. ვაჟას თანამედროვე საზოგადოებას, როგორც ჩანს, ესაჭიროებოდა მამულის წინაშე ვალის შეხსენება. პოეტის სიბრალულს იწვევს ის ხალხი, ვინც:

„არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისთვისა ჰკვდებითა!“

ცნობილია, რომ ვაჟას შემოქმედებაში მრავლად არიან კაი ყმები, გმირები, რომლებიც პოეტს დაუჯილდოვებია გამორჩეული ნიშან-თვისებებით. ვაჟა ფშაველას პოემების ანალიზი უტყუარად ადასტურებს იმას, თუ როგორ მკვიდრადაა დაკავშირებული პოეტი ხალხურ პოეზიასთან, როგორ არის გამრავალფეროვნებული და გაღრმავებული პოეტის მხატვრულ ნააზრევში ის, რაც ხალხში დაბადებულა და გაღვივებულა.

ბ) „გიგლია“ ვაჟა ფშაველას ეს პოემა შეიქმნა მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს, როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამ დიდი სახალხო მოძრაობის ბელადები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი თავიანთ შემოქმედებაში ღაღადებდნენ ქვეყნად სიკეთის დამკვიდრების, თანამოძმისადმი დახმარების, ხელის გაწვდის, მოყვასის სიყვარულის აუცილებ-

ლობას. ვაჟა ფშაველა, როგორც მათი მოწაფე და მიმდევარი, შესანიშნავად ხედავდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა შეუძლებელი იყო გმირის, წინამძღოლის გარეშე. ილია და აკაკი დიდხანს იყვნენ გმირის ძიებაში. არც ვაჟა ჩამორჩენილა მათ. მან რამდენიმე პოემა უძღვნა ზნეობრივი გმირის იდეალური სახის შექმნას. პოეტის წუხილი თანამედროვე ცხოვრებაში გმირის იდეალის დაკნინების გამო „გიგლიას" ფინალში პირდაპირაა მითითებული. გიგლია ლეკებთან ბრძოლას შეეწირა და მისი დატირების დროს:

„გაისმის აქეთ-იქითა:
„ვაჰმე, რა გვეშველებაო,
კარგები იხოცებიან,
ბეჩავი ხელში გვრჩებაო!".
(ვაჟა ფშაველა, III, 1964:27)

ვაჟა ფშაველა პოემის შექმნისას კონკრეტული ამოცანის წინაშე დგას. მისი გიგლია „ფშავის ხევის იმედია". ვაჟა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გიგლიას თავგანწირვა და თანამოძმეთათვის ზრუნვა დიდი ეროვნული საქმისთვის გაღებული ღვაწლია, რამაც აუცილებლად უნდა გამოიღოს ნაყოფი – გიგლიას მიმბაძველები უნდა გამოუჩნდნენ.

„გიგლიაში" მხატვრულად არის გადმოცემული მოთარეშე ლეკების მიერ ფშაველი ქალის მოტაცების ერთი შემთხვევა და ჩარგალში სახელგანთქმული ვაჟის, გიგლიასგან მომხდურთა დევნა. პოემაში გაცოცხლებული ამბავი ისტორიული სინამდვილის ანარეკლია. როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი მთაში.

წერილში „გმირის იდეალი ფშავური პოეზიის გამოხატულებით" ვაჟა ფშაველა ვაჟკაცის გამორჩეულ თვისებებზე ლაპარაკისას იხსენებს ერთ ამბავს: „სოფელ ახადს ესხმიან თავს ქისტები. ციხე აიღეს და წაიყვანეს ტყვედ მშვენიერი ქალი, რომელსაც იმდენი სამკაული აქვს ყელსა და გულ-მკერდზე, რომ ქალს უძნელდება მისი ტარება: „ყელი ჩამააქვს მძივსაო", შეჰხვდებით

ლექსში. ეს ამბავი გმირმა გიგლიამ შეიტყო და გამოუდგა მეკობრეებს. გიგლიას ქალის მამასთან მტრობა აქვს, მაგრამ ამას არ უწევს ანგარიშს. მისთვის მთავარია თემის სიყვარული. ამიტომ აენთო გმირის გული მტრის წინააღმდეგ საომრად, ამიტომ გადაუდგა წინ მომხდურებს:

„შამაჰხვდა თხისტყავიანი (გიგლია),
ამბავი ჰკითხა წარზედა (დინჯად)
– ე ქალ საითღა მოგყავისთ
ცრემლ რო ჩამასდის თვალზედა?
– ე ქალ საითღა მოვყავის
შატილს ჩამოვსომთ ჯარზედა.
შვიდმ ქისტმა, ერთმა ფშაველმა
ხელი გაიკრეს ხმალზედა“.

(ვაჟა ფშაველა, IX, 1964, 84)

გმირი შვიდივეს კლავს, მოსჭრის მარჯვენებს, იარაღს აჰყრის და ქალს საჩუქრად აძლევს შინ წასაღებად:

„შამაურბინა ფშაველმა,
შვიდსავ თავ მასჭრა წამზედა.
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთის ამლათის (წუთი) ხანზედა,
შვიდსავ ფრანგულებ შამაჰხსნა,
სრულ ქალს დაჰკიდა ტანზედა.

ქალ უკვენ გამააბრუნა:
– მშვიდობით, დაო, გზაზედა,
ჩემს ნაქნარს სახელს ნუ იტყვი,
ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა“.

(იქვე)

გიგლია როდი სარგებლობს შემთხვევით, ქალს დობას ეუბნება და იქამდე დიდსულოვანია, რომ არც კი უნდა გააგებინოს ვისმეს, თუ იმან სასახელო საქმე ჰქნა და ვაჟკაცობა გამოიჩინა. გიგლიას შვიდის ქისტის მოკვლა არ უკვირს და არც სხვა უნდა გააკვირვოს ამით. კიდეც რომ დაიწყოს კვეხნა, ამით უფრო და-

ამცირებს თავის თავს, აბრუს გაიტეხს, რადგან გმირს არ შეშვენის კვეხნა და ტრაბახი".

ვაჟა ფშაველა, მართალია, არ ასახელებს თავისი მონათხრობის წყაროს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ იყენებს მრავალ ვარიანტად ცნობილ ლექსს „შატილს გადიდდა ხოხობი," რომელიც პოეტმა უფრო ადრე დაიმოწმა ძველი ლექსის ნიმუშად წერილში „ფშაველები".

ვაჟა „გიგლიაში" არ ცდილობს ეპოქის ან ათწლეულის დაკონკრეტებას. მას ზეპირსიტყვიერი ტექსტიდან უპირატესწილად აინტერესებს ქალის მოტაცების ფაქტი, უფრო ზუსტად მისი შემდგომი პერიოდი, სოფლელთა რეაქცია მომხდარზე, თინიბექაანთ თანამოძმეთა ზნეობრივი სახე.

პოეტი სოფელში მომხდარი ფაქტის მხოლოდ ზოგადი დახასიათებით კმაყოფილდება და ისიც იმიტომ, რომ გაგვაცნოს კონფლიქტის მიზეზი, მოტივირებული გახადოს პერსონაჟთა თავგანწირვა:

„ახადს ტიროდა თმიანი
თინიბექაის რძალიო:
„ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ვაჰმე, დამიდგეს თვალიო!
ავაჰმე, ჩვენო ციხეო,
ნაგებო ქვითკირისაო,
ჩამოშლილ-ჩამონგრეულო,
გადათელილიო მტრისაო!
მამამთილს თოფი დამიკრეს,
დედამთილს ძუძუ მასჭრესო,
თინიბექაანთ ბიჭები
სუ ლუკმა-ლუკმა ასჭრესო".

(ვაჟა ფშაველა, III, 1964, 29)

ლექსს „შატლს გადიდდა ხოხობი" (მ. ჩიქოვანი ამ ლექსის გარდა სხვა ხალხურ ნაწარმოებებთანაც პოულობს პოემის კავშირს) ვაჟა შთაუგონებია ორიგინალური პოემის შესაქმნელად. ხალხურსა და ვაჟას ნაწარმოებებს შორის მსგავსება აღინიშნება მხოლოდ საკონფლიქტო მოტივის დონეზე, კერძოდ, ვაჟა ლექსი-

დან სესხულობს ქალის მოტაცებისა და მის დასახსნელად ვაჟის დადევნების მოტივს. სხვა დანარჩენს, როგორც მოსალოდნელი იყო, პოეტი ცვლის.

ხალხური ლექსის მიხედვით, შვიდი ქისტი დაეცა გოდერძის ციხეს და თან წამოიყვანა ქალი. ქისტებს დაუხვდა ერთი ფშაველი და აჩვენა თავისი ხმლის ძალა (ლექსის შინაარსს უკვე ვიცნობთ ვაჟას წერილიდან!)

პოეტი, როგორც სჩვევია, თავისებურად იაზრებს ხალხური ლექსიდან აღებულ კონფლიქტს. ქისტების ნაცვლად მას ლეკები გამოჰყავს თავდამსხმელებად და, რაც მთავარია, აფართოებს მშვიდობიან მოსახლეობაზე თარეშის მნიშვნელობას, კონკრეტული ფაქტი საერთო-სათემო სატკივარის სიმაღლემდე აჰყავს. ამიტომაა, რომ ლექსისგან განსხვავებით, მოტაცებულთა სიმრავლეზეა პოემაში ლაპარაკი. გაზრდილია დარბეულთა მოსარჩლედ გამოყვანილ მდევართა რიცხვიც. პოეტი უარს ამბობს ხალხური ლექსის ცნობილ დიალოგზე: „ე ქალ საითღა მოგყავისთ...“ და პოემაში ფშაველ გმირებს უნაწილებს საგმირო საქმისთვის ასპარეზს. ხალხური ლექსის შვიდი ქისტის ნაცვლად გიგილია ცხრა ლეკს ჰკლავს, ოთხი გაექცევა. მყვირალი ხუთ ლეკს აჭრის თავს და ტყვეებს უკან აბრუნებს.

ვაჟა ფშაველას ნიჭის წყალობით პოემაში გადმოცემული ამბავი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ხალხის ყოფასთან, მათ მოუშუშებელ ტკივილადაა გააზრებული.

„გიგლია“ რვა თავისგან შედგება. კონფლიქტი პირველივე თავშია დასახული. პოემას დრამატული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი ფორმა აქვს. მოქმედ პირთა – თალალი (დედა), გიგლია (შვილი), თამარი (და), მეზობლის ქალი – სალაპარაკო ტექსტი გამოყოფილია ერთმანეთისგან. პოეტი რემარკებსაც ურთავს დიალოგს ან აღწერს პერსონაჟთა მოქმედებას. პოემის დანარჩენ თავებში თხრობა ეპიკურ სტილში მიმდინარეობს. აქაიქ გამოჩენილ მონოლოგს, როგორც მოსალოდნელი იყო, სჭარბობს ავტორისეული თხრობა.

პოემის მთავარ გმირს, მთაში ცნობილ ვაჟკაცს, გიგლიას, ვაჟა სხვა პერსონაჟის პირით ახასიათებს. მეზობლის ქალი მას „ფშავის ხევის იმედს“ უწოდებს, და ამ ეპითეტით პოეტი ჩვენთვის ცხადს ხდის, ვინ არის გიგლია, რა შეუძლია. მეზობელი ქალის მიმართება გიგლიასადმი, რაშიც უთუოდ მთელი თემის დამოკიდებულება უნდა ვიგულისხმოთ, უფრო კონკრეტდება მომდევნო ფრაზაში:

„წადი, დაღისტნელთ აჩვენე,
როგორ ყმებსა ზრდის ჩარგალი“.

ვაჟა მიგვითითებს, რომ გიგლია ნიმუშად, მაგალითად ჰყავთ მიჩნეული, ეს კი მკითხველისათვის საკმარისი ხდება გიგლიას შეასძლებლობებეზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად.

ფშავს გაუჭირდა, ლეკებმა კაცები მოკლეს, ქალები გაიტაცეს, რომელთა დახსნა მხოლოდ ნამდვილ ვაჟკაცებს შეუძლიათ. სწორედ ამიტომ მიდის გიგლიასთან „მყვირალი“ – მებრძოლი მაცნე. იგი ფშავის შერცხვენისგან გადარჩენას ავალებს გიგლიას.

ვაჟა ფშაველა გმირის გარეგნულ პორტრეტს არ ქმნის. პოემის მესამე თავში მიგვანიშნებს, რომ იგი „მომსხო ტანისაა“, შემდეგ თავში კი აღნიშნავს: „გიგლიამ შამაიარა, შუქი მისდევდა კვალადა“ და უშუალოდ გადადის მისი უნარის დახასიათებაზე:

„ავი შენს დამწყევს მიეცეს,–
ეგ მტერს დაჰხვდება ავადა.
ერთს არ გაუშვებს ცოცხალსა
და არ მოკვდება თავადა.
მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი
და ეყოლება კვალადა.
სუ გაჰსწყვეტს ურჯულოებსა,
მათ სისხლს დაჰმართებს ბარადა...“

ყოველივე ეს წინასწარი ცოდნაა გიგლიას შესახებ. უშუალოდ ლეკებთან შებმისას (თავი მეხუთე) პოეტი ისევ მიგვანიშნებს, რომ მას და მის ხმალს „ნათელი აფენია“, შესაბამისად, „ნა-

წილიანები“ არიან და წმინდაა ის საქმე, რომელსაც გიგლია ემსახურება. პოეტი გმირის პორტრეტის დასასრულებლად გვაუწყებს:

„შუაზე გასჭრა ცხენ-კაცი,
შამბს ჰკოცნის ხმლისა წვერია“.

გიგილია თავისი ხალხისათვის თავგანწირული კაცია. ხალხური ეპიკური ტრადიციის კვალობაზე ვაჟა ფშაველა მიგვანიშნებს, რომ გიგლია წინასწარ გრძნობს რაღაც არასასიამოვნოს, საბედისწეროს. „საწყინარს ეტყვის მხარია“, – გვაუწყებს პოეტი, მაგრამ იქვე დასძენს: „ცუდ ლიშანს არას დაგიდევსო“. ამით კი ნათელს ხდის, რომ გიგლიასთვის უმთავრესია განსაცდელში ჩავარდნილთა ხსნა.

ვაჟა ფშაველას გმირს რაშიც თავისი შესაფერი ჰყავს:

„მიიბრძვის მხედრის ლურჯაი,
მიიბრძვის, მიაქვ თქრიალი,
სუ თან მიაქვის ფეხითა
ტყე-მთა, ნათოსი ტიალი;
არ აბედენებს კლდე-ვაკეს,
არსად სჭირდება ტრიალი.
ოფლს, დახეთქილსა მკერდზეით,

ქვიშაზედ ჩააქვ ჩხრიალი,
უხდება გაირმებულსა
რახტის, უზანგის ძგრიალი“.

გიგილიას ცხენის ხატვისას ვაჟა ფშაველა უთუოდ ითვალისწინებს ქართული ზღაპრისა და ხალხური ლირო-ეპიკური პოეზიის ტრადიციას.

პოეტმა მრავალ ნაწარმოებში დაადასტურა მთის ხალხთა მიერ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული „ზნეობრივი ვალის“ საუკეთესო ცოდნა. „გიგლიაშიც“ არ ივიწყებს იმის გახსენებას, რომ:

„კაცს მიტომ კაცსა ვეძახით,
უნდა წელს ერტყას ხმალია“.

ამ თვალსაზრისზე იყო დაფუძნებული მთიელთა ცხოვრება. ამ ზნეობრივი ვალის გამოხატულებას ვხედავთ პოემის მეექვსე თავში გამოჩენილ ეპიზოდში, რომლის თანახმად, გიგლიას მეგობარ ვაჟს ძმობილის სიკვდილის შემდეგ აღარ სურს სირცხვილიანი სიცოცხლე.

ვაჟა ფშაველას გმირები იცავენ მოკლული მტრისთვის მარჯვენის მოკვეთის ტრადიციულ წესს. მთელი თემის სურვილს გამოხატავს მეზობლის ქალი, როცა გიგლიას უსურვებს:

„მოხვიდე გამარჯვებული,
გეკიდოს მტრისა ხელები,
მხარ-იღლივ გადაგდებული“.

ხალხურ შემოქმედებასთან უშუალო კავშირს ამჟღავნებს პოემის ის ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია დედა-შვილის ურთიერთობა. პოეტს ხალხური მეტყველებიდან გადმოაქვს დალოცვის ფორმულა: „შენ არ მოუკვდე დედასა, შენზედ არ დავჯდე მტირალი“.

პოეტი ითვალისწინებს სიზმრის, როგორც წინასწარმეტყველებისადმი ხალხის დამოკიდებულებას და გიგლიას დის სიზმარს ფოლკლორული პოეზიისათვის ნიშანდობლივი სიმბოლოებით ქმნის. ამ სიმბოლოებიდან, თითოეულ მათგანში და ყველაში ერთად, მინიშნებულია გმირის მოსალოდნელ სიკვდილზე:

„სხივ გამქრალიყვნენ მზისანი,
დალეწილები ეყარნენ
აბჯარნი ჩემის ძმისანი.
ჩვენ სახლ-კარ ჩამოშლილიყო,
იდგა ოხერი, ტიალი,
თავს დაჰბრუნავდნენ ყორნები,–
ჩხაოდნენ, ედგათ გრიალი.
ვტიროდი, ვაჰმეს ვიძახდი,
თმანიც სულ ჩამომდიოდა;
ჩვენი გიგლიას ლურჯაი
ჭალაზე შამოჰხვიოდა“.

ხალხური წესების საფუძველზე დაიტირებენ და გლოვობენ გიგილიას ახლობლები. ტყვედ ჩავარდნილი გოდერძათ ქალი ასე ტირის გიგლიას სიკვდილს:

„ვაჟკაცო, შენი სიკვდილი,
ვაჰმე, რა დიდი ბრალია!
უნდა დაიქცეს სამყარო,
გაწყდეს ცარგვალის ძალია“.

ვაჟასეულ ტექსტში აშკარად იგრძნობა ხალხური „ხმით ნატირლების“ გავლენა.

გიგლიას ლეკებთან ბრძოლის და ბოლოს მტრის ჯავრის შეუჭმელად სიკვდილის სცენა განსაკუთრებული ექსპრესიითაა შესრულებული პოეტის მიერ. სხვაგვარი, მაგრამ წერის მანერის მიხედვით ამასთან ასოციაციის აღმძვრელი ეპიზოდი უფრო გვიან გამოჩნდება „ალუდა ქეთელაურში“ მუცალისა და ალუდას ბრძოლის დროს.

ვაჟა ფშაველა გიგლიას მარტო, უპატრონოდ სიკვდილს არგუნებს. იგი სხვათა საშველად ველად გაჭრილი „ხარია“ და მარტო უნდა მოკვდეს, რათა მხოლოდ ბუნებამ დაიტიროს თავისი შვილი. სიკვდილის ხატვისას პოეტი ხალხური პოეზიიდან სესხულობს სიმბოლო-სახეებს:

„როცა გიგლია კვდებოდა,
მთებ სატირელზედ სხდებოდა;
ერთი ბებერი არწივი
ზეით ჭიუხში წყრებოდა.
საყორნის თავი მაღალი
ზედ შუა გულზედ ტყვრებოდა,
მაღლით მომფრენი მთის წყარო
სიბრალულისგან შრებოდა.
ბეჩავი იმის ლურჯაი
გიგლიას თავით ბნდებოდა,
ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
თვალებში ცრემლი ჰხლებოდა.
სამყარომ შავი ჩაიცვა...“

გიგლია ყორნების საფლეთად გაწირეს ლეკებმა. მთის პოეზიაში ფართოდ გავრცელებული მოტივი ყვავ-ყორნების მკვდრებზე ნადირობის შესახებ ვაჟას გამოყენებული აქვს ფინალისაკენ მიმავალი მოქმედების შესაჯამებლად. ვაჟას ლექსი პოემის ამ ეპიზოდში ეხმიანება ზეპირ პოეტურ ტრადიციას, რომლის მიხედვით ყორნების სისხლით გაძღომა არ თქმულა.

ვაჟა ფშაველა პოემაში იხსენებს ფშავ-ხევსურულ ჩვეულებას, რომლის თანახმად, ნათესავის სიკვდილზე ქალი თმას იჭრის და საკაცეში დებს ნაწნავს. პოემაში მოხსენებულია აგრეთვე ფშაველების ძველი სამართლის ძალით კანონდებული წესი: ვისი იარაღითაც კაცი მოკვდებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეზღო, თუნდ იარაღი სხვას ეხმარა.

გ) „ივანე კოტორაშვილის ამბავი (კარახელის ნაამბობი)". პირველი თავი პოემისა იმავე განწყობილებითაა დაწერილი, როგორსაც პოემა „მოხუცის ნაამბობში" შევხვდით. კარახელი წუხს, რომ ძველებურად აღარ უძგერს გული, მის ნაღარას დაჰკარგვია ხმა, ხოლო სიტყვასა და ჭაღარას – ფასი. ძველი ამბების მომსწრე კარახელს აღარც ხალხში ტრიალი სიამოვნებს, რადგან ახალ დროებაში, თურმე, აღარავინ დაეძებს კაცობასა და სახელს, თანამედროვეთა შორის შუღლი და გაუტანლობა ჩამოვარდნილა, არავინ ფიქრობს სოფლის რგებას:

„კაცს ახლანდელს დროს ქვეყნისთვის
თავი ვერ გაუმეტია.
გულის და გონების კარი
ურდულით დაუკეტია,
და კაცად იმასა სთვლიან,
ვისც ფული მოუხვეტია".

(ვაჟა ფშაველა, III, 1964: 257)

პოეტი ისევ წარსულ დროში გადადის და პარალელების მოხმობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძველი დრო დიდად სჯობდა აწმყოს. იგი მისტირის წარსულში დამკვიდრებულ ურთიერთგატანის ტრადიციას, ვაჟკაცურ სულს, რომელიც ახლა არა მარტო გამქრალია, მისი შემფასებელიც კი აღარ დარჩენილა:

„სად გაჰქრი, ძველო დროებავ,
ძველო ძმობავ და სალამო?!
ძველს დროში თოფი და ხმალი,
გული – კლდე გაუტეხელი,
და ერთმანეთთან სავალად
წყალს ხიდი ჩაუტეხელი –
აი, იმ დროის ელფერი,
მისი მადლი და დიდება!“

ახალგაზრდობასთან პაექრობაში კარახელი ადვილად არ თმობს პოზიციას. იგი ამაყად იხსენებს ძველი დროის რკინის სიმტკიცეს, იმ მჭედლებს, რომელთა ნახელავს ქვეყნის გარეთ ჰქონდა განთქმული სახელი, ბექთარის მკერავებს, კირის გამომწველებს.

კარახელის მიერ ძველი დროის განდიდება ბუნებრივად ბადებს ახალგაზრდებში კითხვას:

„თუ მაგრე კარგნი იყავით
და მტკიცე გქონდათ პირია,
რისთვის დაჰლუპეთ ქვეყანა, –
გამოუთხარეთ ძირია?“

პასუხი ამ კითხვებზეც მოეძიება მოხუც მთხრობელს. პირველ რიგში, იგი ასახელებს შემოსეული მტრის მრავალრიცხოვნებას, შემდეგ ერის უფროსთა მოღალატეობრივ საქმიანობას. ერის წინამძღოლები ბრძოლის ჟინით შეპყრობილ გლეხებს ურჩევდნენ დამორჩილებას. ხალხს მათი სჯეროდა, სინამდვილეში კი ის, თურმე, „ქვეყნის მუხანათს სძმობია“.

პოემაში „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ გაცოცხლებულია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორია, კერძოდ, მეფე ერეკლე II-ის ხანა. პოეტის ყურადღების ცენტრშია ქართველი ხალხის ბრძოლა მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ. ვაჟა განსაკუთრებით გახაზავს ერეკლე მეფის კეთილგანწყობით ურთიერთობას ფშაველებთან.

ძნელია თქმა იმისა, ნამდვილად არსებობდა თუ არა ივანე კოტორაშვილი. ყოველ შემთხვევაში, საისტორიო სიტყვიერება ერეკლე II-ის თანამებრძოლთა შორის ამ გმირს არ ასახელებს. ვაჟა ფშაველას მიერ შექმნილი გმირის სახე უაღრესად რეალუ-

რია. პოეტი სრულიად აცილებს კოტორაშვილის სახეს რაიმე განსაკუთრებულობას და ცდილობს, რაც შეიძლება მიწიერ კაცად წარმოგვიდგინოს იგი. ამის მიუხედავად, კოტორაშვილი თავისი თანამოძმეებისგან გამოირჩევა როგორც ფიზიკური ძალით, ისე ომის ჟინით, სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებით, მისთვის ბრძოლის წყურვილით.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია გადმოცემები იმის შესახებ, თუ როგორი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ დიდ მეფესა და ფშავ-ხევსურთ, როგორ ედგნენ მხარში საქართველოს თავისუფლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს მთიელი ვაჟები, როგორ იმკიდნენ ერთგულებისათვის მეფის სიყვარულს უბრალო მამულიშვილნი.

მეფისა და მთიელთა კეთილგანწყობის შესახებ ვაჟასეული მითითების უტყუარობა დასტურდება როგორც საისტორიო მწერლობის, ისე ზეპირგადმოცემების მიხედვით. კარახელის მოწმობით:

„როცა ომს გავათავებდით,
დაისვენებდა ლაშქარი,
მოვიდის, შუა ჩაგვიჯდის,
როგორ ძმა, როგორც ამქარი.
გვითხრის: „ფშაველებო, მასმინეთ
ის თქვენებური მღერანი".

ამ იდილიური სურათის შექმნის შემდეგ, რომელშიც დახატულია ერთი აზრით შეკრული მეფისა და ხალხის კეთილგანწყობითი დასვენება, პოეტი წუთისოფლის სიმუხთლეზე ლაპარაკობს და ერეკლეს მისამართით ამბობს:

„როგორ გაცუდდა საწყლისა
ფიქრი და გულის ძგერანი!"

გასაგებია, რომ პოეტის ამ გამონათქვამში ერეკლე მეფის აღა-მაჰმად ხანთან დამარცხების შემდეგდროინდელი საწუხარი იგულისხმება, რაც, როგორც ვხედავთ, ერთი საუკუნის შემდეგაც საგრძნობლად მწვავედ დარჩენილა!

ამბები, რომელსაც ვაჟა ფშაველა მოგვითხრობს ივანე კოტორაშვილზე, მხატვრული გამონაგონია, მაგრამ არ სცილდება იმ შესაძლებელ სინამდვილეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გახშირებული ლეკიანობის დროს საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში. ვაჟა ფშაველას მიერ პოემაში წარმოდგენილ მრავალ ეპიზოდსა თუ მოტივს ეძებნება პარალელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხურ პოეზიაში.

ლეკთა თავდასხმების ამსახველ მრავალ ნაწარმოებს შორის ვაჟა ფშაველას პოემის გმირთან ყველაზე ახლოს დგას სახალხო გმირი გელა ნათელაშვილი. ეს სიახლოვე, უპირველეს ყოვლისა, გმირთა ხასიათების, საქმიანობის ერთგვარობით არის გაპირობებული. სახეთა, მით უმეტეს, გმირების თავსგადახდენილ ამბავთა მთლიან იდენტურობას, ბუნებრივია, არც უნდა მოველოდეთ ისეთ შემოქმედთან, როგორიც ვაჟა ფშაველაა.

ცნობილია, რომ ფშაველი გელა ნათელაშვილი რისხვასავით ევლინებოდა ხოლმე ლეკთა რაზმებს, ამარცხებდა მათ, ათავისუფლებდა მოტაცებულ ტყვეებს. იგივე მისია დაუკისრებია პოეტს ივანე კოტორაშვილისთვის.

პოემის მთავარი გმირის გაცნობისას ვაჟა ყურადღებას ამახვილებს ივანეს ფიზიკურ სიძლიერეზე, საუკეთესო საბრძოლო თვისებებზე, ომში გაუტეხელობასა და უაღრეს თავმდაბლობაზე:

„ერთი გვერია ჯარშია,
სწორედ ქარ-ცეცხლი, მეხია.
რამდენჯერ მარტოს მტრის ჯართან
მას ომი აუტეხია,
მაგრამ, ვით ეშმაკს უფალი,
ის ვერვის გაუტეხია.
არასდროს იმას გმირობა
არსად არ დაუკვეხია.“

ხალხურ ლექსში გელა ნათელაშვილზე, ბუნებრივია, უფრო ლაკონური, თუმცა საკმაოდ ტევადი ეპითეტით არის დახასიათებული გმირის ფიზიკური ენერგია და გამძლეობა: „ეს ბაზალელი გიორგი, ნაჭერი არის კლდისაო“, – ამბობს ნათელაშვილზე მელექსე.

გმირის ხასიათის ნათლად გამოსაკვეთად პოეტი ივანე კოტორაშვილის პორტრეტს ქმნის. იგი ვაჟა ფშაველას ჰყავს დანახული თავისებურად, იმ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც სამასლაათოდ შეკრებილი თანასოფლელნი სთხოვენ ივანეს, გაიხსენოს რომელიმე ეპიზოდი თავისი საბრძოლო ბიოგრაფიიდან. ამ დროს ივანე ისე მდუმარებს, „ვით ძროხის ხორცი უმია". პოეტის მიერ შექმნილი გმირის გარეგნული ხატი მჭიდრო კავშირშია მის შინაგან ბუნებასთან, რომელიც მხოლოდ ივანე კოტორაშვილს ეკუთვნის.

„იჯდის ქუდ-ჩამოფხატული,
დინჯად ჩიბუხსა ჰსუტავდის
და ხშირ წარბებს ქვეშ თვალები
ცეცხლის ალივით ჰბჟუტავდის.
შავგვრემანაი ნისლს ჰგვანდის
გაბუტულს, ხევში მძინარეს,
ან კლდისგან შევიწროებულს
აღელვებულსა მდინარეს..."

ივანე ბოროტებისაგან გულდამძიმების გამო არ ცხოვრობდა ღიმილის გარეშე, იგი ბუნებრივად იყო ასეთი გაუცინარი. ივანე ნამდვილი ფშაველია თავისი ნირით, ჩაცმულობით. ასევე გამოიყურებიან სხვებიც, მთაში ჩაცმა-დახურვაზე მეტად გმირის შინაგანი სამყარო ფასობს. ამიტომ მთიელ ვაჟს თხის ტყავი აცვია...

„ვერა ნახავდი ივანეს
მხიარულსა და მცინარეს.
თმა-წვერი ესხა ისეთი,
როგორც ეკალი, ჯაგარი,
ხელს მოჰკიდებდი – უდრეკი,
როგორაც რკინაა, მაგარი.
მუდამ იცვამდა თხის ტყავსა
გარექცევ, ბეწვი ჩნდებოდა.
ხმალს სქელი თასმით იბამდა,
რაც კი წელთ შამოსწვდებოდა.
ხანჯარი წვერ-შემოხრილი,
ფარი იღლიას სწვდებოდა."

(ვაჟა ფშაველა, IX, 1964, 83).

ვაჟა ფშაველა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სცილდება თავისი გმირის იმ პროტოტიპს, რომელიც, ჩვენი აზრით, ეხმარებოდა ივანე კოტორაშვილის მხატვრული სახის შექმნაში. ხალხური ლექსის თანახმად:

გელანა ნათელაშვილი
მაღალია და სქელიო,
ქალივით ლამაზი არი,
ჭკვიანია და ბრძენიო...

(საისტორიო, II, 1964:118)

ასე ახასიათებს გელა ნათელაშვილს ერთი მთქმელი, ასე კონტრასტულად ხატავს მას მელექსე. ვაჟა ფშაველამ, შესაძლებელია, არც კი იცოდა ამ ლექსის შესახებ, მაგრამ რომ სცოდნოდა კიდეც, შეგნებულად აუვლიდა გვერდს მას, რადგან პოეტს თავისი შეხედულება ჰქონდა სახალხო გმირის გარეგნული იერსახის თაობაზე. პოემაში გაზიარებულია ფშაური ტრადიციით ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად, „გმირისთვის გარეგანი სამკაული ფუჭია, საქმე შინაგანი ღირსებაა. გმირი ამიტომ იარაღის საზიკებს – ოქრო-ვერცხლს არ მიჰხედავს ტანზე სატარებლად. ხშირად გმირს ლექსში ვხედავთ, რომ თხის ტყავი აცვია. „თხისტყავიანი" გმირის ეპითეტია, როგორც „ლურჯა" იმისი „ცხენის".

ამიტომაა ივანე კოტორაშვილიც თხისტყავიანი და ჯაგარივით თმა-წვერიანი, როგორც მრავალი ხალხური ლექსის გმირი ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიიდან.

ამით არ ამთავრებს პოეტი ივანეს ხასიათის გაცნობას. პოეტის მითითებები ივანეს სიჩუმის, სიყვარულსა და გაუცინარობაზე, აგრეთვე მისდამი თანასოფლელთა სიყვარულზე დამატებით ცოდნას გვაძლევს გმირზე. პოეტი ივანეს უცნაურობათა მოტივაციასაც არ ივიწყებს. კოტორაშვილი ღარიბია იმიტომ, რომ განუწყვეტლივ მტრის მოგერიებაშია და სახლ-კარისათვის ვერ იცლის. იგი ტანსაცმელს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და არც თავისი სახელის განდიდებაზე ზრუნავს. პოეტის დახასიათებით

ივანე ბედნიერი და გახარებული მხოლოდ მამულის წინაშე ვალის აღსრულების ჟამს იყო:

„როცა ლეკებსა ჰჟუჟავდა,
მარტო მაშინა ხარობდა.“

პოეტის მითითებით ივანე კოტორაშვილს ახლო ნაცნობობა ჰქონდა მეფესთან. მეფე დიდად აფასებდა მის გმირობას და როგორც გამორჩეულს ტანსაცმლითაც აჯილდოებდა: „მეფესგან ჰქონდა ნაძლევი ივანეს სამი ხალათი“, – გვაუწყებს ვაჟა. გელა ნათელაშვილის ციკლის ნაწარმოებებში ასეთ დასაჩუქრებაზე მინიშნებას ვერ ვხვდებით, თუმცა ერეკლეს გელასადმი გამოჩენილ ყურადღებაზე კი მიგვითითებენ. ერთი გადმოცემის მიხედვით, გელას თავად უთვლის მეფე ერეკლე: დაღესტნელთა თავდასხმას ველოდები და აბა შენ იციო.

მეფე ერეკლეს ბოძებული ტანსაცმლის ჩაცმაზე ივანე კოტორაშვილს არასოდეს უფიქრია. იგი ტანსაცმელს ინახავს, როგორც უძვირფასეს განძს, მიძღვნილს სათაყვანებელი ადამიანისა და მეფისგან. ამ ტანსაცმლისთვის ივანეს „ხელმწიფის სამსახურის“ გახსენების ფუნქცია დაუტოვებია და ამიტომ უფრთხილდება:

„მე რა ხალათის ღირსი ვარ
დღე და ღამ ვძვრები ჯაგებში,
შენი ჭირიმე, მეფეო,
შინ მილაგია ბარგებში.
ვინახავ გველის თვალივით,
გავცვითო, რამღა მაგონოს
ხელმწიფის სამსახურია?“–

(ვაჟა ფშაველა, III, 1964: 262)

უპასუხებს ივანე მეფეს.

კარახელი, როგორც მოსალოდნელი იყო, ივანე კოტორაშვილის ცხოვრების ისტორიას თავიდან ბოლომდე კი არ მოგვითხრობს, არამედ საგანგებოდ არჩევს ზოგ ეპიზოდს, რომელთა გახსენებამ მკითხველის თვალწინ უნდა გააცოცხლოს სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის ნათელი სახე და საქმეები.

ერთხელ, თურმე, კახეთის ამკლებ ლეკებს დადევნებულ ფშაველებს:

„დაღლილ-დაქანცულთ გვეძინა,
ნამი ნაბდებზე გვმცვრეოდა,
მარტო ივანეს ეფხიზლა:
ლაშქრობას ძილი სცხვენოდა.
მტრის მოპარება ამ დროსა
ვაჟკაცს ძალიან სწყენოდა.
მანამ ჩვენ გავიმართენით,
იმას ხელთ ხმალი ჰშვენოდა,
ლეკების სისხლი თხის ტყავზე
ჭიაფრად გადაჰფენოდა.
შაეთოთქორა მტრის ჯარი
და შაეჩერა სერზედა“.

ბრძოლის პერიოდში სიფხიზლე დამახასიათებელია გელა ნათელაშვილისთვისაც. მასზე არსებულ ერთ პროზაულ გადმოცემაში ვკითხულობთ: ლეკებთან ბრძოლის წინ „გელას ერთი ირემი შეხვდება არაგვის პირზე. გელა ესვრის თოფს და მოკლავს. დაანთებენ ცეცხლს, ირემს ხეზე ჩამოჰკიდებენ და მეომრები დაიძინებენ. დარჩება გელა მღვიძარე. იგი მოიხსნის იარაღსა და დაუწყებს ირემს ტყავებას. შუაღამე რომ შეიქმნება, ერთბაშად მტერი გარშემო შემოერტყმის ჩუმათ...“

გამარჯვებული ივანე, კმაყოფილი თავისი მძინარე თანამოძმეების გადარჩენით, თურმე „ანგელოზს ჰგავდა“. ამ სახელოვანი გამარჯვებისათვის ივანეს:

„ერეკლემ მაშინ ჩაუდვა
თავის ბეჭედი ხელზედა“.

გელა ნათელაშვილზე არსებული ერთი ლექსის თანახმად, ლეკთა ჯარი მძინარე ქართველებს დასხმია თავს:

„გიორგიმ მოსვენება ჰქნა
ტკბილად აპირებს ძილსაო.
შუა ღამე რომ შესრულდა,
ელვა შეიქნა ცისაო,
ლეკები თავზე დააწვნენ
ვერძეულ გიორგისაო.

გიორგიმ წამოიწია
ლეკი ჩაიგდო ძირსაო,
ხელში ამოჰყვა ხანჯარი. –
ტარი კამბეჩის რქისაო.
ურჯულოს ხანჯარი დასცა,
შაშვივით აღებს პირსაო“.

(საისტორიო, II, 1964:117)

ივანე კოტორაშვილის ლეკებთან ბრძოლის მეორე ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია დაღესტნელი ლეკების მიერ მოტაცებული ტყვეების განთავისუფლებაზე, ისტორიულ სინამდვილეს აცოცხლებს. მთის პოეზიაში შემორჩენილია თემატურად მსგავსი მრავალი ლექსი.

...თურმე ილტომდე შორიახლოს სდია ივანემ ლეკებს და როცა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს, რომ საფრთხე აღარ ელოდათ, ივანე სწორედ მაშინ გამოჩნდა:

„ხმლით დაერია ლეკებსა,
მისთიბდა, როგორც ყანასა.
გაჟლიტა ყველა და ერთიც
აღარ გადურჩა მძლევრადა;
არ დარჩა ერთი წამღები
ამბის დაღისტნის ვალადა:
აღარ ეღირსა არც ერთსა
დაჯდომა თავის კერადა.
ტყვეებს დაუხსნა ხელები,
მისცა ლეკების აბჯარი,
თავისთვის არ გაუწირავს
დანაც კი, გან თუ ხანჯარი.“

(ვაჟა ფშაველა, III, 1964:265)

ლეკებისგან მოტაცებული ტყვეების განთავისუფლება მიეწერება გელა ნათელაშვილსაც, ლეკების ერთ გუნდთან გამარჯვებული გელა ქალაქში მიდის ერეკლესთან. „დიღმის მინდორს რო გამოვლენ, შეხვდებიან ლეკების ჯარს და დიღმის მეცხვარეებს, რომლებიც ტყვედ წაუყვანიათ ლეკებს დიღმიდან საქონლით... გელა ტყვეებს გაათავისუფლებს.“

ივანეს ლეკებთან ურთიერთობას ასახავს პოემის მესამე ეპიზოდიც... იგი ორიგინალური წარმოშობისა ჩანს, გელა ნათელაშვილის ან სხვა რომელიმე გმირის შესახებ არსებულ გადმოცემებთან მსგავსებას არ ავლენს.

...მკათათვის ერთ დღეს, როცა ივანე იორში ბანაობდა, ლეკებმა დაინახეს და მისი დაჭერა განიზრახეს. ერთ-ერთმა ლეკმა თურმე მოახერხა კიდეც უიარაღო ივანესათვის ხელების გაკვრა, მაგრამ ივანე მაინც წამოხტა, ლეკი დაიმაგრა მკლავებით და შინისაკენ გაიქცა. ლეკს კბილებით ეგლიჯა კისერი ივანესათვის, ეგებ გამიშვასო, მაგრამ ივანეს მოეთმინა ტკივილი.

ამ ეპიზოდში, ივანეს ზნეობრივი მრწამსის ახალ ნიშანზე მითითებამდე, პოეტი გადმოგვცემს ტყვედქმნილი ლეკის მდგომარეობას. იგი დარწმუნებულია, რომ კოტორაშვილი ცოცხალს არ დატოვებს. მისი სიკვდილის წადილს ლეკი აშკარად კითხულობს ივანეს თანასოფლელთა სახეებზე, მაგრამ ივანე თავად ამშვიდებს ლეკს, ჰპირდება, რომ ვნებას არ მიაყენებს და თანამოძმეებსაც უკრძალავს მის ცემას ან შეურაცხყოფას. უფრო მეტიც, ივანე კოტორაშვილი გამართლებას უძებნის ლეკის საქციელს:

„მოჰშორდით, თავი ანებეთ,
ავს ფიქრს ნუ გაიძრახებთა!
რა ქნას, თავისას ცდილობდა
სხვა რომ არ ჰქონდა სახსარი,
კბილები იყო მაგის ხელთ, –
მაგის ხმალი და ხანჯარი."

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო აამაღლა ივანე თანასოფლელთა და პოემის მკითხველთა თვალში. იგი ნამდვილ კეთილშობილ გმირად გადაიქცა. ამიტომ გამოვიდნენ მის შესაგებებლად ქალები, რომელთაც „მოელამაზათ პირია".

მთის პოეზიაში მრავლად გვხვდება ლექსები ქალების „მიმყოლი" ვაჟების დაძრახვისა. ვაჟას ივანე კოტორაშვილი ის კაცია, რომელიც „უცოდავი მწირივით" ვერ ამჩნევს ქალებს, გაურბის მათ. ივანე:

„არ დაგიდევდა ქალთ ტრფობას,
ჩალად არ ჩაგიხედავდა;
დიაცთ მიმყოლსა ვაჟებსა
ძლიერ ცუდ თვალზე ჰხედავდა...“

ბევრი უჩიჩინეს საყვარელ თანასოფლელს და როგორც იქნა შერთეს ცოლი. ივანე მალე ვაჟის მამაც შეიქმნა.

პოემის მეშვიდე თავში ახალი ტიპის კონფლიქტს ავითარებს ვაჟა ფშაველა. თუ აქამდე მთელი ყურადღება გადატანილი იყო ივანე კოტორაშვილის საგმირო საქმეებზე, აღმოსავლეთ საქართველოში ლეკთა თარეშისგან შევიწროებული ხალხის დაცვაზე, ახლა პოეტს ყოფა-ცხოვრების სფეროში გადმოვყავართ. ამ კონფლიქტში მონაწილეობენ ივანეს დედა, ერეკლე მეფე და თავად ივანე. სახელმოხვეჭილი გმირის დედას განუზრახავს ერეკლე მეფის მოტყუება და ხელმწიფესთან უჩივლია შვილის უყურადღებობაზე, იმ შიმშილსა და გაჭირვებაზე, რომელშიც ივანეს ჩაუგდია მოხუცი. ამ ქალს ყოველივე იმიტომ „დასტეხია“ თავზე, რომ ივანე სულ გარეთ არის და ოჯახს ვერაფერს არგებს:

„ივანე შენი ნაქები
მამშევს, არა მაქვს პურიო.
ტანთ არ მაცვია და ფეხთა,
ამან მომიკლა გულიო.
განა ეს სამართალია?
რასა სწერს თქვენი რჯულიო?
შენცა გმსახურობს, სოფელსაც,
მე დამწვარ-დადაგულიო
ვზივარ შინ მშიერ-მწყურვალი
მთელ კვირაობით, თვეობით...“

დედა კიდევ ბევრს ამბობს შვილზე, მაგრამ ავტორს შეც-დომაში არ შეჰყავს მკითხველი. „ფლიდობდა ბებერიო“, – ამ-ბობს ვაჟა და ამ უკადრისი საქციელის მოტივაციასაც გვთავაზობს – „შვილის შინ ყოფნა უნდოდა“, რადგან შიშობდა ბევრი მტრის პატრონ სახელდაგდებულ შვილს არაფერი შემთხვეოდა საბედისწერო.

ივანე კოტორაშვილის ხასიათის გასაგებად კარგ მასალას იძლევა ერეკლე-ივანეს დიალოგი. ივანეს ჩვევად არა აქვს იმის დაფარვა, რასაც ფიქრობს და ამიტომ მეფეს პირდაპირ ახსენებს, რომ ვაჟკაცია და არ ეკადრება, დედას ბალღივით თავი ჩაუდვას კალთაში. ივანე არც იმის თქმას ერიდება, რომ თავად ერეკლეც:

„...სამსახურსა თხოულობ,
ქვეყანა უფროც მეტადა.
ლეკებისათვის გამხდარან
ჩვენები მოსახვეტადა.
მაგრამ ჩემ ძმებსა ურჯულოს
ვერ მივსცემ დასაკვნეტედა.“

ივანეს პასუხმა აწყენინა ერეკლეს და მხედარს იარაღი აჰყარეს სასჯელად. დიდი იყო ივანეს განცდა, მეფის სიტყვისა და მოქმედებისგან მიყენებული ტკივილი, მაგრამ ერეკლეს სახელი საგმობლად მაინც ვერ გაიმეტა. ჯავრისგან გულმოკლული ივანე უაზროდ დაეხეტებოდა ტყეში და მხოლოდ იმას ფიქრობდა, რა ეშველებოდა ასეთი შერცხვენის შემდეგ.

მეფისგან იარაღაყრილი ივანე კვლავ გადაეყრება ლეკებს, რომლებიც უამინდობის გამო ეკლესიას შეჰფარებიან. იგი სიპი ქვის გამოყენებით გამოთლის სქელი ხის მოზრდილ კომბალს და იმით დაამარცხებს ლეკების მთელ ჯგუფს.

ივანემ:

„უცხუნა თავში კომბალი
და დააწვინა მკვდარია,
ასწვდა ხმალი და დადგა
სალის კლდის მინაგვარია.
რამდენმაც თავი გამოჰყო
სუყველა ქვიშას გაჰრია.“

შემდეგ უკვე ლეკთათვის იარაღის აყრას შეუდგა კოტორაშვილი, აჰკიდა ისინი ჯორს და მეფის კარზე მივიდა, დაუძახა მეფეს:

„...მეფევ, აბჯარი
წაიღე, მოიხმარია,
მაინც ხომ გიჭირს, მიიღე,
მე ხომ არ შემიწყნარია.“

ვაჟა ფშაველამ, ეტყობა, იცის გელა ნათელაშვილზე არსებული გადმოცემის ეს მოტივი, რომელსაც სახეცვლილებით იყენებს პოემაში. გადმოცემის მიხედვით, გელას რაზმელები „მტერზე გაიმარჯვებენ და გათენებისას ტყვეებითა და ნაშოვნით ქალაქისაკენ დაბრუნდებიან მეფესთან“.

პოემის ფინალში მთხრობელი იმ აზრს ავითარებს, რომ გასაოცარ ფიზიკურ სიძლიერეს, უშიშრობასა და საარაკო მოხერხებულობასთან ერთად ივანე კოტორაშვილს უფალიც სწყალობდა. ამისი დასტური იყო თუნდაც ივანეს ლეკებთან ბოლო ბრძოლა, როდესაც ფშაველმა ვაჟკაცმა, ფაქტობრივად უიარაღომ, დიდი გაჭირვების გარეშე დაამარცხა ლეკები, აჰყარა იარაღი და ტყვეები ისე მიიყვანა მეფის კარზე, რომ თავად მოთარეშეთაგანაც აღარ შეხვედრია დიდი წინააღმდეგობა.

ამრიგად, ივანე კოტორაშვილი იდეალური გმირია. ვაჟა ფშაველა ამ მხატვრული სახის შექმნისას თითქოს საგანგებოდ ითვალისწინებს ხალხური კოდექსის მოთხოვნებს. გმირის იდეალის თაობაზე. ივანე ცნობილია თავისი თავმდაბლობით, სიკეთით, ღირსების შეგრძნებით, პატიოსნებით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით. აღმოსავლეთ საქართველოში გახშირებული ლეკიანობის პერიოდის გაცოცხლებამ პოეტს ხელი შეუწყო ნათლად გამოეკვეთა თავისი თვალსაზრისი გმირის იდეალზე. საყურადღებოა, რომ ერეკლე მეორის მეფობისა და პოეტის თანამედროვე ისტორიული ვითარების განსხვავებულობის მიუხედავად, უცვლელი დარჩა გმირის იდეალის ძირითადი არსი: ახალ დროშიც მძარცველთა თუ დამპყრობთაგან თავისუფალი ქვეყნისათვის მებრძოლ გმირს ეტრფის პოეტი. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედშიც აღარ ჩანს თავგანწირვა მასიურ მოვლენად. ივანე კოტორაშვილი გამორჩეული პირია თავის თანამემამულეთა შორის. დიდი პატრიოტიზმი და პი-

რადი თვისებები აქცევს ამ კაი ყმას იდეალად არა მარტო ვაჟას მოღვაწეობის ეპოქაში, არამედ ჩვენს დროშიც.

დ) „უძმოს-ძმა“. ახალ დროში უძმოს ძმა გარდასულ თაობათა მეხსიერებიდან ვაჟა ფშაველას მიერ გამოხმობილ ხსოვნად მოჩანს. და თუ ახლა ერთადერთად ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოხვედრილია ახალ საზოგადოებაში, რომელსაც სხვა ფასეულობები აქვს. ის წინა, შორეული ცხოვრებიდან მოიყვანა პოეტმა და იმ დროის მოქალაქეთა იდეალებს შეუფარდა, რომლებმაც თავისი ხსოვნა დატოვეს... ის საზრისი ხალხურ პოეზიაშიღა შემორჩა. ის იმდროინდელ სულს განასახიერებს, როცა სხვა ფასი ჰქონდა კაცსაც და მის საქმესაც, როცა სხვისი ნუგეში და სხვისთვის დახმარების ხელის გაწვდა შინაგანი მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი. ის ძველი დროის შვილთა შვილია, ახალ დროში მოვლენილი, რათა მაგალითი მისცეს ახლებს, გარდასულ ფასეულობებზე ხელაღებულებს, რათა თავისი საქმით დააფიქროს ისინი, ვინც ფიქრს გადაჩვეულა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილა და იმას ხედავს, რისი დანახვაც მისთვისაა სასარგებლო, ხელსაყრელი. მან უნდა დაბადოს კითხვა: ნეტავი რატომ?

ეს კითხვა, სამწუხაროდ, არ ჩნდება, თორემ რომ დაბადებულიყო, გაახსენდებოდათ ჭეშმარიტება, რომ „ძმა ძმითაა ძლიერი“, ან ეგებ ის ლექსი ამოტივტივებულიყო გონებაში, რომელიც გვასწავლის:

„ძმაო, ძმითა ხარ მაგარი,
თორ მტერი მოგერეოდა.
აგმტერდებოდა სოფელი,
სალამი დაგელეოდა“.

(ხალხური პოეზია, VIII, 1979: 12)

ის ერთადერთია ვაჟას აღწერილ გარემოში. ადამიანთა შორის ცხოვრობს, მათ ენაზე საუბრობს, მაგრამ არავის ესმის მისი შინაგანი ხმა. მას თან მოუტანია წინაპართა ანდერძივით დასასწავლი ცოდნა, რომ კარგმა კვიცმა კარგი გვარიშვილობა უნდა დაიმშვენოს, დააფასოს, გაუფრთხილდეს და გაამრავლოს:

„ძმაო, ხეი ხარ ალვისი,
ღვინო წითელი მარნისა,
თმა გსხია ბროწეულისა,
ულვაში – ოქროს ფერისა.
ჯილაგი მოგდგამს გვარისა,
უღელი – დედის, მამისა,
ბეჭთა სისქეი – ფარისა,
პირის სიმსუქნე – მთვარისა".

(იქვე, 11)

მისი ყოველი ნაბიჯი, რომელსაც სარჩულად უანგარო დახმარება, საკუთარი ინტერესის დავიწყება და სხვისი ტკივილის თავისად ქცევა უდევს, თანასოფლელებს აკვირვებთ, მას კი ახირებულად, მოსულელოდ, ცხოვრების წესისა და რიგის უცოდინრად თვლიან. არავის უჩნდება კითხვა, მეტეორივით საიდან ჩამოვარდა მათ სოფელში, ვინ მოავლინა ან რატომ? მისი მიბაძვა აზრად არავის მოსვლია, ქილიკს კი არ აკლებენ და არც წინაპრების შეგონება ახსენდებათ: „ძმაო, რაი სჯობს ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა!"

ის ძველებურად თანასოფლელთა დახმარებაში, ჩაგრულის გამოსარჩლებაში ხედავს თავის დანიშნულებას, თითქოს სამართლიანობის ღმერთს დაენიშნოს თავის საქმეთა აღმსრულებლად.

ვაჟა ფშაველა თავის გმირს სახელად ჩალხიას არქმევს და გვიჩვენებს, რომ არსთა გამრიგეს იგი თანასოფლელთაგან გამორჩეული აზროვნებით დაუჯილდოებია და ამიტომაც იქცევა ყველასაგან განსხვავებულად, რასაც აკეთებს, იმის გაგება ახლომყოფთაგან არავის ძალუძს, რადგან თავად არ შეუძლიათ იმავეს ქმნა.

მწერალი, პირველ რიგში, მის გარეგნობაზე გვაჩერებინებს ყურადღებას. ჩალხია გამორჩეული კაცია, უპირველესად იმით, რომ „მუხის ჯირკვსა ჰგავდა, ჩასხმული, ჩაკირული.. წვივები ისეთი სქელი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივის ადამიანის თითოში სამი გამოიჭრებოდა" (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:111). ეს ფშაველი კაცი თავის თავს უძმოს-ძმას და წვივ-ტაგანს ეძახდა. ჩალხიას სიარულიც თავისებური ჰქონდა: „ისე მაგრა ადგამდა ფეხებს,

რომ ხმელს დედამიწას იმისი კვალი, როგორც ბეჭედი ქაღალდს, ისე ცხადად ზედ აჩნდებოდა... განივრად ამოჭრილ შალის პერანგიდან, როგორც კაკლის ნუჟრები, ხშირი ბალნით დაფარული მოსჩანდა მისი გაუტეხელი გულ-მკერდი".

ჩალხია „დაშიბული ტარიელის მათრახით" დადიოდა და ფიზიკური ძალის გამო ყველას მორიდებასა და შიშს იწვევდა: „ვისაც იმისი ცარიელი მუშტი მოჰხვედრია, ყველა იძახოდა: „ქვა დამკრა მაგ ოჯახდაქცეულმა, ნამდვილად ქვა დამკრაო!"

ჩალხიას განსაკუთრებულობის უპირველესი მიზეზი ვაჟასთვის ის არის, რომ ფშაველი უძმო კაცებს უწევდა ძმობას, მუდამ სხვას ესარჩლებოდა, სხვათა დასაცავად ჩხუბობდა. ადამიანებს, თავად დედისერთებს, ჩვეულებრივ, სანატრელი ჰყავთ ბევრი დედმამიშვილი. აბა შემთხვევით ხომ არ იფიქრებდა ჩვენი წინაპარი მარტომყოფობის ამ ტკივილიან პრობლემაზე:

„ნეტავი ძმათა მრავალთა,
ცხარე მზე ამოუხდება,
ვერც ვინ წაართომს დიაცსა,
ვერც ვინ შინ შამაუხდება".

(ფშაური პოეზია, 1953:119)

„უკეთურია, უჭკუოა, ბეჩავია, ეჩრება, საცა არავინ რასა ჰკითხავს, ძალად ჭირსა და ხათაბალას იცვამს თავზეო", – გაიძახოდნენ განმქიქებლები მასზე. ამის ხმამაღლა მთქმელები ისინი იყვნენ, ვისაც ყოველი ქმედებიდან თავის სარგებელზე ფიქრი გაეხადა ცხოვრების მთავარ საგნად, მაგრამ, როგორც ვაჟა გვიჩვენებს, იმ დროსა და იმ გარემოში ადამიანთა უმეტესობა სხვისადმი ასეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ჩალხიას თანასოფლელები მხოლოდ იმას ხედავდნენ, რაც თვალით იხილვებოდა, ჩალხიას შინაგანი მდგომარეობისა კი არა იცოდნენ რა. მათი გული და გონება ვერ ხვდებოდა, რომ ჩალხო ჩხუბს ჩხუბისთვის კი არ მართავდა, არამედ უსამართლოდ ჩაგრულთა, ძალმეტობითა და კაცმრავლობით დამარცხებულთა გა-

მოსასარჩლებლად. მის არსებაში სხვათა დახმარების სურვილი უნებურად იბადებოდა ტვინსა და გულიდან, თავად ისინი კი ზემოდან იმართებოდნენ: „მათრახები რო დატყვრება, ჩხუბად რო გახდება, გული ამიღებს, ტანში ურუანტელი დამიდის, კანკალს მომკიდებს. არ ვიცი ზოგს რის გული უძე, ან რის სისხლი უდგა, რომ მეჩხუბრებისაკე არც კი მიიხედავს, ჩაჰხედავს დინჯად არყიანს ყანწს და ციცასავით ენით ტუჩებს ილოკს. აბა რა კაცია ესეთი კაცი? არაფერი, კაცუნაა. მაშ მეც კაცუნა უნდა ვიყო? ტყუილია, სულ ტყუილი!“ (იქვე, 116).

ჩალხიას მსგავსი შეუპოვარი და გაუტეხელი გულისთქმის კაცები იშვიათად იბადებიან. მთავარი მაინც ის არის, რომ ჩალხიას მოსწონს თავისი ცხოვრების წესი. ეს ფშაველი კაცი ვაჟა ფშაველასაც მოსწონს, რადგან ბევრი აღარ დადის ამ დედამიწაზე მსგავსი ღირსებით შემკული. ჩალხიაში მწერალი ახალი დროის გმირის იდეალს ხედავს, რომლისთვისაც სხვათა გამოსარჩლება სიამოვნებაა, კაცური ვალია დამბადებლის წინაშე მოსახდელი. ერთხელ, ცაბაურთობას, ჩალხია უსიამოვნო ამბავს შეესწრო: ფშაველ ახალგაზრდებს დაებრიყვებინათ უცნობი მწყემსი და ჩაგრავდნენ. მან შესანიშნავად იცოდა ბრძნული შეგონება:

„ძმადნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,
მკერდჩანგრეულის სახელი
სამოთხის კარზე სწერია“.

(ხალხური პოეზია, III, 1974:99)

მაგრამ შინაგანი ხმა ჰკარნახობდა, რომ უფრო ღირსეული საქმე იყო უპატრონოს გამოსარჩლება და ასეც მოიქცა. ატყდა ცემა-ტყეპა, ფშაველმა ბიჭებმა ჩალხიას „დაუშინეს, მაგრამ ვერ შედრიკეს. ჩალხომ დაირეკა ისინი მათრახით, რამდენსაც დაჰკრავდა, იმდენჯერ თან დააყოლებდა: „ემაგას დაგკრავსთ ყლარტიაული ფურის ბოჩოლა, უძმოს-ძმას რო ეძახიანო“. დიახ, სახელი „უძმოს-ძმა“ თავადაც მოსწონდა, ჩანს, მასში ძველი დროის გამოძახილს, სასიქადულო შინაარსით სავსე ღირსებას ხედავდა.

ჩალხია ჩხუბში მრავალჯერ იყო დაშავებული: „ბევრი ჰხვდებოდა მუშტი, ჯოხი თუ საცერული, რის გამოც თავი სულ გადაკორტნილი ჰქონდა. ჭრილობაზე არავითარს წამალს არ მიიკარებდა“ და რაკი ახალ დროში რუსული კანონით ხმლით სახეტანს აღარ უკეჭნიდნენ ვაჟები ერთმანეთს და ნაჭდევებით ვეღარ იწონებდნენ თავს, ჩხუბში დადენილ სისხლს ორ-სამ დღეობით არ იბანდა ჩალხია: „ბიჭს ნაომრობა უნდა ეტყობოდესო!“ – ამბობდა.

ვაჟა გვაუწყებს, რომ როცა ჩალხია სიკეთეს იქმოდა, კმაყოფილს ცეკვა-სიმღერა უნდებოდა. ცეკვა თავისავით ფიცხი სცოდნია: „დაიწყებდა რა თამაშობას, მიწა იძვროდა, ფეხებს ისე მაგრა სცემდა დაბლა, რომ მის ნაფეხურზე ბალახი აღარ ამოვიდოდა მისდღეში; როგორც ურო, მოკუმშული მუშტი, ვიდრე თამაშობას გაათავებდა, სულ მაღლა ეჭირა აშვერილი და ატრიალებდა წალმა-უკუღმა“ (იქვე, 112).

დევივით ძლიერი იყო ჩალხია, მაგრამ გულჩვილი, სიკეთით სავსე, ბოლმის გულში არ შემნახავი. თავისგანვე ნაცემებთან თავად მიდიოდა ბოდიშის მოსახდელად და პატიების სათხოვნელად. როცა შემოირიგებდა თანასოფლელს სიმღერას იწყებდა, წინაპართა ნათქვამ საზნეობო და საგმირო ლექსებს მღეროდა:

„ხანდახან შასმა ღვინოსა,
ხანდახან შამღერებაო.
ხან ომი უნდა ძლიერი,
ხანდახან შასვენებაო.
ყმა უმღერელი არ ვარგა,
ვაჟკაცი უხელებელი;
ვაჟკაცსა უხელებელსა
ქალი სჯობს უხსენებელი“.

საქართველოს მთაში „კაი ყმობის“ სახელით ცნობილი ხალხური მორალური კოდექსი და ლექსები (ხალხური პოეზია, III, 1974) წერა-კითხვის უცოდინართ სულიერ საზრდოსა და ქცევის წესებს უნერგავდა. ვაჟკაცობის თემაზე შექმნილი ხალხური

ლექსები აღაგზნებდა ჩალხიას ტვინსა და გონებას, თავადაც სულით და გულით სწყუროდა დამსგავსებოდა იმ სახელოვან ბიჭებს, რომლებსაც იდეალად უსახავდნენ წინაპრები.

ჩალხია ასე, ღმერთმა იცოდა, იმიტომ არ იქცეოდა, რომ ვინმეს შეექო. მწერალმა იგი გამჩენისაგან ერთგულების ისეთი ნიჭით დააჯილდოვა, ისეთი სული ჩაუდგა, თითქოს სახალხო მთქმელის ცნობილი ლექსი გაითვალისწინაო:

„ძმობილო, ძმობილის მზესა,
სხვას ნუ ვის ეძმობილები,
შენსა მამკლავსა, ძმობილო,
შვიდ წელს არ დავეზავები.
გზაში ჩავუსხამ მალულთა,
ირმებულ ჩავეპარები,
თუ იქაც ვერსა გამავშჩი,
კერაში შავეტანები.

თუ გინდა ჯარად დამიხვდან,
ვერ დაიფარან ფარები,
შაგწირავ ოროლ-სამსამთა,
ხმალმა დახკუწას ძვალები“.
(ოჩიაური, 1980:34)

ჩალხია არასოდეს უშვებდა ხელიდან ჩაგრულის გამოსარჩლების, უკაცო ოჯახის ყანაში მუშაობის შემთხვევას. ჩხუბში ფეხმოტეხილი, საწოლს რომ იყო მიჯაჭვული, ბრაზით ივსებოდა, სხვების ყანები იმკებოდა: ბევრი მუშა ადგა თავს, ხოლო მის ყანაში მარტო მოხუცი დედა, მზევინარი, მოჩანდა. სხვათა მოსარჩლე და პატრონი ჩალხია, ახლა სხვებისგან უყურადღებოდ დატოვებული, „ამოიოხრებდა მხოლოდ, არაფერს იტყოდა“.

კეთილ ჩალხიას ის სიკეთე მაინც ეწია, რომ კარგი დედის შვილს ცოლიც კარგი შეხვდა. მარწყვივით გოგო ისეთივე იდეალებს იყო მინდობილი, რომლებზეც ფშაველთა ოჯახები ზრდიდნენ თაობებს:

„კარგს ყმას შაჰყვარდი, ქალოო,
ნუ სახსა ცხვარბევრისასა,
კარგი ყოფნა და ქონება
მუხს მააქვ კარგის ყმისასა“.

ჩალხიას ბევრს არიგებდნენ სხვის ქომაგობასა და ჩხუბზე ხელი აეღო, მაგრამ ტყუილად – არ შეეძლო და არ სურდა თავისი მრწამსის ღალატი.

სამოცი წლის ჩალხიამ გამიხარდისთან ზიარი წისქვილი გამართა. გამიხარდი პრაგმატული, ანგარიშიანი კაცია და ვერ ეგუება ჩალხიას არაპრაქტიკულ ბუნებას. წისქვილით ვერაფერი სარგებელი ნახეს პატრონებმა, მაგრამ ჩალხია დიდიდ არ წუხდა ამაზე. რაკი მუშტით აღარ შეეძლო სხვათა მიხმარება, ახლა დახმარების ახალი ფორმა გამონახა – უქონლებს უსასყიდლოდ აფქვევინებდა. ისევ საყვედურობდნენ: „შენს სიცოცხლეში სუ უკლო როგორ უნდა იყო, შე ბეჩავო? რაზე აშლევინებ და ანგრევინებ მა წისქვილს ქვეყანას? – ეტყოდა ხშირად გამიხარდი, – ასკარტუნე ეხლა, მართე, შაძვერ და გამოძვერ საღორეში“ (იქვე, 117).

რა შეცვლიდა ჩალხიას, როცა უძმოს-ძმად იყო დაბადებული? მასზე არც დარიგება მოქმედებდა, არც გაწყრომა. „რა ვქნა, გული არ იშლის, ოხერი-და! – ამბობდა იგი. – ბევრჯელ მინდა თავი მოვარიდო, მაგრამ დაჩაგრულს რომ ვნახავ, ჩემი გული იწვერნებს, მეზიდება, მიმათრევს, აღარ მახსოვს მაშინ აღარც თავი, აღარც სახლი, აღარც ცხოვრება“ (იქვე, 115).

ასაკის მატებასთან ერთად ჩალხიაც იცვლებოდა. ისე ეხმარებოდა ადამიანებს, როგორც შეეძლო. სიბერეში ჩალხია ამ სოფლიდან გასულებს თავისი გამოხდილი არყით სულის მოსახსენებელს არ აკლებდა. თუ სადმე მოსარიდებელი ჭირით მიცვალებული გაჩნდებოდა, ის იყო პირველი მოზარე მკვდრისა და მანუგეშებელი ოჯახისა. მოხუცებულობისას ჩალხიამ კიდევ ერთი გმირობის მაგალითი უჩვენა თანასოფლელებს: დიყელიდან ყელჭირვებით დახოცილი იმედა და იმისი ქალი ჩამოიტანა სოფელში... მერე კი, გათავხედებულ ჩაფარს მათრახის დარტყმა არ აპატია და ბოქაულის წინაშე გულაღმა გაშხლართა. „არ დაბერებულხარ, არა, ოი, შენი ჭირიმე, ჩემო ბიძი!“ – ეუბნებოდნენ ჩალხიას ახალგაზრდები, მწერალი კი თვითგამეორებას არ ერიდება და კონტექსტის შესაბამისად „გველის მჭამელში“ (თავი X) მოტანილი მცირედ გარდაქმნილი ლექსით გამოხატავს თავის ემოციას:

ვაჟა ფშაველას უყვარს ჩალხიას შემართება და მრწამსი. მართალია, მოხუცებულობამდე მიიყვანა თავისი გმირი, მართალია, ძველებურად ველარ შეამართვინებს ხოლმე „დაშიბულ ტარიელის მათრახს“, მაგრამ მაინც საქმიანობს ფშაველი ვაჟკაცი, აკეთებს იმას, რისი ძალაც შესწევს. მხოლოდ ის არის, რომ ვერავინ დაიმსგავსა ჩალხიამ, ვერავის გადასდო თავისი „სენი“ სხვისთვის მწედ ქცევისა, თუმცა თავისი ერთი ცხოვრების მანძილზე ის მაინც მოახერხა, რომ შეამჩნევინა თანასოფლელებს თავისი მისწრაფება, და იქნებ დააფიქრა კიდეც...

სხვების ქომაგის ჭეშმარიტად არაორდინალური ხასიათის გამოძერწვის შემდეგ მწერალი კმაყოფილებით გვამცნობს, რომ ჩალხია ისევ ცოცხალია, ისევ უძმოს ძმაა და ისევ უცვლელად ერთგულებს თავის მრწამსს. ამით მწერალი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ჩალხია უკვდავი სულია, წარსულიდან იმ ადამიანებისგან მოვლენილი, ვინც ცოცხალი უანგაროდ ემსახურა თანამოძმეებს, იმ ქვეყნად კი თან გაიყოლა სააქაოში დარჩენილთა კეთილშობილებაზე ფიქრი, გამოგზავნა ეს სული, რათა ეცადა ადამიანთა ხედვისა და ფიქრის მიმართულების შეცვლა. უეჭველია, ჩალხიასა და მის საქმიანობას აიდეალებდა მწერალი, ხოლო ჩალხიასთანა კაცების ქვეყნად მოვლინებას მუდმივ, განმეორებად პროცესად მოიაზრებდა.

ე) „სისხლის ძიება“ თარიღდება 1897 წლით. ქვესათაურში პოეტი გვაუწყებს, რომ მოგვითხრობს ამბავს ჩერქეზთა ცხოვრებიდან. ეს ცნობა, თითქოს, გარკვეულ ჩარჩოში უნდა აქცევდეს პოემას, მაგრამ მასში დაყენებული პრობლემა იმდენად ზოგადია, რომ გეოგრაფიულ-ეთნიკური არე ვერ ზღუდავს სათქმელის მნიშვნელობას. თავად ამბავი, მხატვრულად ხორცშესხმული პოემაში, შეიძლებოდა მომხდარიყო მთის ნებისმიერ კუთხეში. პოემის თემის არჩევის ფაქტიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვაჟა ფშაველა გადმოსაცემ ამბავში ქართველ მთიელთა წინაშე მწვა-

ვედ მდგარ პრობლემებსაც ხედავდა, რომელთა შესახებ თავისი სიტყვის თქმა აუცილებლად მიაჩნდა.

დაღესტნური საისტორიო სიტყვიერების შესანიშნავი ნიმუში, ლეგენდა (არსებობს მისი პოეტური ტექსტიც) უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით გამორჩეული სახალხო გმირის ხ ო ჩ ბ ა რ ი ს (ხოლჩვარის) შესახებ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩენილა რუსულენოვან პერიოდიკაში, რომელიც თბილისში გამოდიოდა. ეს ტექსტი ქართულადაც არის თარგმნილი (კავკასიური, 1959:72). სარწმუნოა ლევან ჭრელაშვილის ვარაუდი, რომ ვაჟა ფშაველამ სწორედ ბეჭდური გადმოცემით გაიცნო ლეგენდა (ჭრელაშვილი, 1974:3-25). მართალია, ვაჟას პოემის ძირითადი წყარო დაღესტნური ლეგენდაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დიდი პოეტი ორიგინალური თხზულების ავტორად რჩება.

ლეგენდის დარიგიული ვარიანტის მიხედვით (იგი ბ. დალგათს გამოუქვეყნებია), ხოჩბარი ხუნზახელმა თავადმა მიიწვია, უიარაღოს ხელები შეუკრა და კოცონზე დაწვა დაუპირა. გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში ხოჩბარმა სიმღერით გაახსენა ხუნზახელებს თავისი გმირობის ამბები, შემდეგ კი ხელში აიტაცა თავადის ორი ბავშვი და მათთან ერთად მიეცა ცეცხლს.

ლეგენდის ავარიული ვარიანტი (პ. უსლარის ტექსტი) გარკვეულად განსხვავდება დარგიულისაგან, თუმცა ეს სხვაობა დეტალების (ნიუანსების) დონეზე რჩება.

ვაჟა ფშაველამ თავის პოემაში, პირველ ყოვლისა, სხვა იდეური მიმართულება მისცა დაღესტნური ლეგენდის ვიწრო, თემობრივი შუღლის გამომხატველ ამბავს, შეცვალა კონფლიქტის საგანი და თავისი თანამედროვე იდეოლოგიის სიმაღლიდან გააანალიზა იგი. ამიტომ უნდა ვაღიაროთ პოემა ხალხური ლეგენდისგან განსხვავებულად იდეურ პლანში. რასაკვირველია, კომპოზიციურ-პოეტური პლანის განსხვავებულობა თავისთავად იგულისხმება.

ვაჟას პოემაში ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული ორი ტრადიცია. ერთი მხრივ, სისხლის აღებისა, რომელსაც იცავენ პოე-

მის გმირები, და, მეორე მხრივ, დაზავებისა, რომელსაც მტრისგან სამშობლოს დაცვის სარჩული უდევს და პოემის დადებითი გმირის მოქმედების საფუძველს წარმოადგენს.

პოემა „სისხლის ძიებაში" კონფლიქტს ქმნის თავისუფლების მოტრფიალე ქიჩირბესა და ჩერქეზთა ზვიადი მთავრის, ასლან-ბეგის ინტერესთა შეჯახება. პოემის მთავარ გმირთა დარისპირება კეთილისა და ბოროტის განუწყვეტელი ბრძოლის ასპექტშია გადაწყვეტილი და არ სცილდება ამ ბრძოლის საზოგადოდ ცნობილი ფინალის ტრადიციას.

როგორც აღვნიშნეთ, დაღესტნურ ლეგენდაში თემური შუღლია წარმმართველი. ეს არის მიზეზი სიკვდილის წინ ხოჩბარის (ერთი თემის გმირის) მიერ მეორეთა მიმართ ჩადენილი ბოროტების სიამაყით ჩამოთვლისა: მე ვიტაცებდი თქვენს რემას, მე დავაქვრივე თქვენი დედაკაცები, მე დავაობლე მათი ბალღები, მე შეურაცხვყავ თქვენი ქალწულები... ყოველივე ეს უდავო ავკაცობაა, თუმცა თემური იდეოლოგია ამართლებს ამისთანა ბოროტებას.

ვაჟა ფშაველას გმირი თავისი არსით განსხვავდება დაღესტნური სიტყვიერების სახელოვანი გმირისგან, მიუხედავად იმისა, რომ პოეტმა ზოგი რამ გაიმეორა არა მარტო ხოჩბარის მოქმედებიდან, არამედ საერთოდ ამ ფოლკლორული სიუჟეტიდან. ვაჟას მიერ დაღესტნური ლეგენდით სარგებლობა სიუჟეტურშინაარსობრივ დონეზე უნდა შეფასდეს. პოემის იდეურ და აზრობრივ განსხვავებულობას ხალხური ლეგენდისგან ხელს უწყობს მთავარი პერსონაჟის მოქმედებათა საგანგებო მოტივაციები, ამბის თავისებური გააზრება.

ვაჟას პოემის მიხედვით, სამშობლოს გამყიდველ, დიდი ქონების პატრონ ასლან-ბეგს დაუმონებია ჩერქეზები და ძრწოლაში ჰყავს. მხოლოდ ერთი ვაჟკაცი, „ვეფხვის ჯიშის" ქიჩირბე არ ემონება და, მიუხედავად იმისა, რომ ქიჩირბეს ასლანის ბევრი

კაცი დასდევს მოსაკლავად, იგი მაინც მოუწოდებს თანამოძმეებს, განთავისუფლდნენ მონობისგან:

„რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
უღელს რად იდგამთ კისრადა,
სხვისა ნაყმევი, ნალახი
გამოადგება ვის რადა?!
უბატონობა რით არ სჯობ,
ნეტავ, ბატონის ყოლასა?
რით არ სჯობია რაინდი
ღამის სალაღობ ცოლასა?
ომში მოკლული ვაჟკაცი–
მეჩეთში მყვირალ მოლასა?"

(ვაჟა ფშაველა, III, 1964: 280)

ვაჟა პოემის კონფლიქტს ამ ეპიზოდით უდებს საფუძველს და ხალხური ლეგენდისგან განსხვავებულად იაზრებს მომავალი ბრძოლის პერსპექტივას.

პოეტი ქმნის ძირითადი კონფლიქტის შემავსებელ დამხმარე კონფლიქტთა რიგს. ერთ-ერთი მათგანია ასლანთან დაახლოებული პირის – დემურის დაპირისპირება ქიჩირბესთან (პოემის მიხედვით, დემური და ქიჩირბე ძმადნაფიცები არიან. მის შესახებ ქიჩრიბე ამბობს: „ჩემთანა ფიც-ვერცხლ ნაჭამიო!"). ასლან-ბეგის დავალებით დემური შეიპარა ქიჩირბეს სახლში და შეცდომით მოკლა ოჯახის მძინარე სტუმარი, რომელიც თავისივე ცოლის ძმა აღმოჩნდა. ქიჩირბემ შეურაცხყოფა სისხლით გამოისყიდა.

ვაჟა ფშაველა ქმნის ადრე „ფიც-ვერცხლ ნაჭამთა", ახლა კი მტრების, შეხვედრის ეპიზოდს, რომელშიც ყურადსაღებია გმირთა დახასიათების ვაჟასეული მეთოდი. თუ დემურმა ქურდულად სცადა ძმობილის მოკვლა, ქიჩირბეი პირისპირ შეხვედრას ეძებს მტერთან და როცა იპოვის დემურს, ეუბნება:

„მე მკვდარი მქვიან, ძმობილო,
ჩემის მარჯვენის მზირალო!
დიაღაც მკვდარი, მაგრამა
ხმალს კი ვიხმარებ კიდევა,

ეცადე თავის დაცვასა,
შენი დღეები იელვა.–
და ხმალმა ქიჩირისამა
დემურის თავზე ილევა.
თავი გაგორდა მიწაზე
ზანტად ტუჩების ღებითა,
ხმალსა ტანიც კი ჩაეჭრა
დაღერებულსა კეფითა;
სისხლი ჩამოსდის დემურსა
ტანზე ჭიაფრად, ჩქეფითა...“

ამის შემდეგ ქიჩირბეი:

„მირბის ასლანის ეზოში
ხელში დემურის თავითა.
ასლანის კარების წინა
თავს არჭობს ხისა ტარითა.“

ვაჟა ფშაველა ამ ეპიზოდის შემდეგ იწყებს დაღესტნური ლეგენდის მოტივებით სარგებლობას. ლეგენდისა და პოემის მიხედვით, გმირს თავისთან იხმობს თავადი ასლან-ბეგი. ლეგენდაში არ არის დასახელებული ხოჩბარის თავადთან ხლების მიზეზი, ვაჟა ფშაველა კი ქმნის ასეთ მიზეზს, რითაც, ერთი მხრივ, ქიჩბარის პიროვნების დახასიათებას ახერხებს, ხოლო, მეორე მხრივ, იცავს ლიტერატურული თხზულების პოეტიკის კანონს.

ასლან-ბეგმა ხერხს მიმართა და, რაკი სხვა გზით ვერ დაიმორჩილა ქიჩირი, სამშობლოს მტერთან გაერთიანებული ძალით ბრძოლის საბაბით ზავი მოსთხოვა ჩერქეზ ვაჟკაცს. შუაკაცი – „ჭაღარაშერთული მაჰმადა“ – არწმუნებს ქიჩირს, თითქოს ასლანი შვილებს იფიცებდეს, რომ არაფერს ავნებს მას, ოღონდ კი დაუზავდეს, რადგან მტერი:

„მოზღვავებულა ურიცხვი,
გამოჩენილა ხვარიგლოს.
ჩერქეზეთს ახლა სჭირია,
ვისაც გული აქვს გმირული,
თავზედა ქუდი ჰხურია,
წელზე ჰრტყავ ხმალი მისრული,–

გასწიროს მკერდსისხლიანი
მტერი კარებზე მოსული.“

სამშობლოს გასაჭირზე მითითებამ ქიჩირი განაიარაღა, თუმცა არ სჯერა არც ასლანისა და არც მისი მაცნესი.

ისევ გმირის ბუნების წარმოჩენას ემსახურება ვაჟასეული ნათქვამი:

„დიაღ, წამოვალ, თუნდა თქვან:
ქიჩირი რასა შვრებისა?!
მე კი ჩვენს ჩერქეზთ რჯულზედა
სახლში მიუვალ ძმურადა!
თუ არ დაირცხვენს თითონა.
დაე, მომექცეს მტრულადა.“

ლეგენდასა და პოემაში მთავარი პერსონაჟი დედას ეთათბირება გამგზავრების წინ. ლეგენდაში დედა შვილს ურჩევს არ წავიდეს ზემო ხუნზახში, რადგან იქ ბევრი მტერი ჰყავს. ვაჟა ფშაველა ასლან-ბეგს ახასიათებს ქიჩირის დედის პირით და ლეგენდისეულ პოზიციას იცავს:

„– რას ამბობ? როგორ ენდობი,
გონება გამოშრეტილო!
ბალღი ხარ, ახლაც მოსტყუვდე,
რომ მგელს ეძლევი პირშია.
ვინ მისცემს, სად გაგონილა,
ბიჭო, ბედაურს ვირშია?!
ზავისა იმან რა იცის,
გველ-ბაყაყების ბუდემა,
ჩერქეზთა ქვეყნის გამცემმა
და ჯოჯოხეთის ზღუდემა?“

დედისადმი ქიჩირის პასუხში ისმის მთაში კოდექსად ქცეული თვალსაზრისი სახელოვანი სიცოცხლის ფასსა და სამშობლოსათვის გამოდგომის შესახებ:

„რაც ციხე აქამდის ვაგე,
ახლა დავშალო, კარგია?

სხვას ყველას ვპოებთ, სახელს ვერ,
თუ ერთხელ დაგვიკარგია,
მტერი რომ მოდის, მაშ რა ვქნა,
შინ დავიმალო, კარგია?
რას ეგვანება ქიჩირი,
რომ არ ერიოს ჯარშია?..
სიკვდილი ბევრად სჯობია
ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია.
რა სიცოცხლეა, რომა თქვან
ჩემი ლაჩრობა მთაშია!"

ვაჟა ფშაველას „ვეფხვის ჯიშის" ქიჩირბეს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღარ აინტერესებს დაღესტნურ ლეგენდაში წარმოდგენილი მოტივები: ზემო ხუნზახში შესული ხოჩბარის სალამზე ახალგაზრდების ზურგის შექცევისა; ხუნზახელი თავადების მიერ გამოჩენილი ხაზგასმული სტუმართმოყვარეობისა, ვიდრე ხოჩბარი ხმალს შემოიხსნის და უიარაღო დარჩება.

პოეტი აღარ აყოვნებს მოქმედების შემდგომ განვითარებას და ასლანის ეზოში გამოჩენილ ქიჩირს საგანგებოდ ჩასაფრებულ მებრძოლებს შეაპყრობინებს.

სახელოვანი ვაჟკაცის დატყვევების ამბავმა მთელი სოფელი თავადის ეზოში შეყარა. ასლანი, ლეგენდის გმირის მსგავსად, ყველას ავალებს თითო კონა ფიჩხის მოტანას კოცონისთვის.

დაწვის წინ ვაჟა ფშაველა დიალოგს მართავს ქიჩირბესა და ასლან-ბეგს შორის. ასლანთან პაექრობისას ქიჩირის პათოსი ძალზე წააგავს ქისტების მიერ შეპყრობილი ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვისას ხევსურის გაუტეხელობას!

ლეგენდის გმირის მსგავსად, ვაჟა ფშაველას ქიჩირბესაც სიმღერას სთხოვენ დაწვის წინ. ქიჩირბე ჩონგურს მოითხოვს (ხოჩბარი – დოლს) და მღერის. ვაჟა ფშაველა თავისი მიზანდასახულების კვალობაზე ცვლის ლეგენდისეულ ფინალურ ეპიზოდში ხოჩბარის უკანასკნელი სათქმელის აზრს (ხოჩბარი უკანონოდ შობილებს უწოდებს ხუნზახელებს, ახსენებს ცხენების მოტაცებას, ვაჟთა კვლას, ქალთა შეურაცხყოფას) და ქმნის თემატურად განსხვავებულ ოთხ ლექსს, რომლებშიც გადმოცემულია პოეტის

თვალსაზრისი წუთისოფელზე, კეთილის დროებით ხელმოცარულობაზე, სამშობლოსა და თანამოძმეთა მოღალატის დაგმობაზე, მამულის სიყვარულსა და მამა-პაპათა ანდერძის შესრულების გარდუვალობაზე, ბოროტთა და ფლიდთა მოსპობაზე.

შემდგომ სიტუაციებს პოეტი ისევ დაღესტნური ლეგენდის კვალობაზე ავითარებს. ქიჩირბეი თავადის შვილებთან ერთად დაიწვავს თავს ცეცხლში, რადგან პოეტისა და ქიჩირის მტკიცებით:

„ფლიდთა, სულ-მდაბალთ ჯილაგი
რომ გასწყდეს ისა სჯობია.
გველის წიწილა გველია,
ხოლო ვირისა – ვირია.

კუნელზე ყურძენს არ ჰკრეფენ
არცა-რა გასაკვირია,
უმსგავსთა, ფლიდთა მომსპობად
გახმეს ფოჩი და ძირია".

ლეგენდა ხოჩბარისა და თავადის შვილების ცეცხლში დაწვით მთავრდება, ვაჟა ფშაველა კი განაგრძობს მოქმედებას. ქიჩირბეს მაგალითს დემურის ცოლმა მიბაძა და ცეცხლს მისცა თავი.

მეორე დილით იპოვეს ქიჩირბეს დედის უსულო სხეული. ბებერმა, რაკი ფერფლში ვერ იპოვა შვილის ნიშანი, დანა დაიცა გულში.

ასლანი ჭკუაზე შეცდა და შემხვედრთა მისალმებაზე უპასუხებს: „მე როდი გამიყიდიაო".

ქვეყნად ბევრი რამ ხდება, ბუნება კი მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობს, – გვაუწყებს ბოლოს ვაჟა ფშაველა.

თავის უმთავრეს სათქმელთან მისვლამდე ვაჟა ფშაველა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას ავითარებს. როგორც ვიცით, ეს იდეა პოეტის შემოქმედებისათვის ყოველთვის იყო ნიშანდობლივი. „სისხლის ძიებაში" ვაჟა ეხმიანება გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის

პოზიციას თანამედროვეთათვის წარსულის ღირებულების საკითხში და აიდეალებს სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებს. ამ იდეის აქცენტირებას ემსახურება ლეგენდის მოტანა პოემაში, რომლის თანახმად, თავისუფლებისათვის ბრძოლის ადგილი, სადაც მრავალმა ჩერქეზმა დაღვარა სისხლი, ყვავილების საუფლოდ ქცეულა. თავად ჩერქეზებსაც კარგად ესმით თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლის ფასი და ბრძოლის ველზე აღარ თესენ ყანას:

„...მას აქეთ მუდამ ყვავილნი
ამკობენ ამა მხარესა.
ყვავილნი სანთლად ნათობენ,
გმირთ სულებს გაახარებსა.
მოხუცნი მოწიწებითა
დასთელიან გმირთა გვარებსა,
ყრმანი უსმენენ გულს ჟრჟოლით,
თან ჰბღუჯვენ ხანჯრის ტარებსა.“

პოემაში „სისხლის ძიება“ ძირითადი პრობლემის გვერდით ვაჟა აყენებს ზნეობის პრობლემასაც. თავისი შემოქმედების ამ პერიოდში პოეტი თითქმის ყველა ეპიკურ ნაწარმოებში აყენებს ამ პრობლემას და ფიქრობს ერის გადარჩენის, ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლების საჭიროებაზე. ვაჟა ფშაველა თავის პოემებში მხატვრული სიტყვით გვიჩვენებს გზებს, რომელთა არჩევამ უნდა გაუადვილოს ქართველ ხალხს მამა-პაპათა ნაანდერძევის შენარჩუნება და მათი შემდგომი თაობებისთვის გადაცემა. პოეტი თავისი შემოქმედებით ჩაგვაგონებს, რომ ერის ზნეობრივი გადარჩენისათვის ზრუნვა თითოეული ადამიანის მოვალეობაა.

ამ ზრუნვის გამოვლინებად გვესახება ვაჟა ფშაველას მიერ საქართველოში საუკუნეობრივი ტრადიციის მქონე „დაზავების“ ჩვეულების აქცენტირება და პოემაში მისთვის განსაკუთრებული ფუნქციის მინიჭება. „დაზავების“ ტრადიციას ვაჟა სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობასთან აკავშირებს, რითაც აძლიერებს მისი დამრღვევებისადმი საზოგადოებრივ რის-

ხვას. ვაჟა ფშაველა პოემის მე-14 თავში ასლან-ბეგისგან განბილებულ ქიჩირბეს ათქმევინებს:

„–ერთს გეხვეწები დიდადა,–
ნუ გააგონებ ქვეყანას,
თავს ნუ აჩვენებ ფლიდადა.
ნუ გააგონებ ჩერქეზთა,
რომ მომატყუე ზავითა,
ნუ წარჰყვნი მოძმეთ ბუნებას
შხამ-საწამლავით ავითა.
ეს ჩვეულება მტკიცედ გვაქვს:
წმინდად შენახვა კერისა,
პირობის დაურღვევლობა,
ძმად შინ შენახვა მტერისა."

ვაჟა ფშაველა პოემის ძირითადი იდეის განხორციელებას ორ პერსონაჟს აკისრებს. ერთია პოემის ცენტრალური გმირი ქიჩირბე, მეორე – მოღალატე დემურის ცოლი. ვაჟამ შესანიშნავად იცის, რომ ხალხი მხოლოდ განსაკუთრებულ ადამიანებს მისდევს დიდ საქმეთა განსახორციელებლად და ამიტომ გამორჩეული თვისებებით აჯილდოებს ქიჩირბეს. ჩერქეზი გმირი სთხოვს ასლან-ბეგს ნუ აჩვენებს ხალხს თავის სიმუხთლეს, ნუ გარყვნის მათ. ქიჩირბეს ვედრების ზემოთ მოტანილი ტექსტი პოემაში განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველია. თავად ვედრების წარმომთქმელი ის კაცია, ვისაც ცხოვრებაში ერთერთ მთავარ საზრუნავად თავისუფლება გადაჰქცევია და თუ თავისუფალი ვერ იქნება, იმის იმედი მაინც ურყევად აქვს, რომ მკვდარს მხოლოდ „მიწა ექნება ბატონად".

პოეტი აქვე გვიჩვენებს, რომ სამშობლოსათვის თავგანწირულნი თავიანთი სიკვდილით მაგალითს აძლევენ სხვებს. ამ მაგალითის საფუძველზე თუ დღეს ერთი მოახერხებს თავგადადებას, ხვალ უკვე სხვები გაჩნდებიან უთუოდ.

ვაჟა ფშაველა პოემის მთავარი გმირის გარეგნული პორტრეტის შექმნის ნაცვლად მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ ქიჩირი „ვეფხვის ჯიშისაა" და დანარჩენს ჩვენს წარმოდგენას

ანდობს. ამით იგი ისევ ხალხურ ტრადიციას უწევს ანგარიშს. პოეტი არც ქიჩირის საქმიანობაზე მიგვითითებს, არამედ სხვა პერსონაჟებს ალაპარაკებს მასზე და სხვათა ნათქვამით გვიქმნის მის შესახებ წარმოდგენას. აი, როგორ ლაპარაკობენ ქიჩირზე თანასოფლელნი:

„ლაშქარს ქიჩირი ერთია
და ჩვენ ათასნი სწორადა,
ქიჩირის ხმლითა ნაცემი
გაიკვეთება ორადა.
რაზეც ქიჩირი გაიელის,
მტრის თავებია გორადა,
სხვა არვინა ჰყავ ჩერქეზეთს
ქიჩირთან ასაწონადა.“

ქიჩირის პიროვნული ღირსებების წარმოსაჩენად კი თავად მისივე სიტყვები გამოდგება, როცა იგი თანასოფლელებს არწმუნებს, რომ სამარცხვინოა უღლის დადგმა, სხვისი ნაყმევი და დაბეჩავებული კაცი არაფრად ვარგა. ქიჩირბეს მიაჩნია, რომ ადამიანი თავისუფლებისათვის არის დაბადებული და თუ ვინმე შეიძლება გაიბატონოს, ის ერთადერთი ღმერთი უნდა იყოს.

ბოროტთან დაპირისპირებული კეთილის გამოსარჩლებისა და მისთვის მიმხრობის, მისადმი ქედის მოხრის აუცილებლობაში მჟღავნდება ვაჟას პოზიცია. ეს დამოკიდებულება მკითხველისათვის ცნაურდება დემურის ცოლის მხატვრული სახის საშუალებით. პოეტი ამ პერსონაჟსაც გამოარჩევს დანარჩენებისგან. ვაჟა ფშაველა ერთადერთხელ ქმნის ნაწარმოებში პორტრეტს და ისიც ამ ქალისას:

„ქალი გამოდგა ქოხიდან,
შუქი გამოჰყვა პირითა.
ქალი ვამსგავსე ამ დროსა
ნამს, ვარდზე მბრწყინავს დილითა.
თუ შურთხი არი ლამაზი,
მსტვინავი მაღალ მთაზედა?
ან თუ შავარდნის წიწილა,
მწოლარე დედის ფრთაზედა?

ან თუ ვარსკვლავთა კრებული
უხვ-სხივიანი ცაზედა?
ან თუ ალმასი ფრანგული,
დაღირებული მკლავზედა?
ან თუ ზღვა არი მშფოთვარე,
აყვირებული ზღვაზედა?!
იქნება სამოთხე იყოს,
ქვეყნად მოსული ციდანა?
– ვაჟკაცის გულის ჭირია,
გადამგდებელი ჭკვიდანა."

პოემის ფინალში ვაჟა ფშაველა ამავე პერსონაჟს ავალებს თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას და მისი გმირული საქციელით გვხიბლავს. ქიჩირბესაგან, რომლის ვაჟკაცობა და პოზიცია ჩერქეზთათვის თავიდანვე გამჟღავნებული იყო, ხალხი სხვაგვარ მოქმედებას არც ელოდა. ქიჩირბეს მოქმედებით პოეტი გვიჩვენებს, რომ ბოლო მოეღო ასლანისა და მის ნაშიერთა ბატონობას, მაგრამ ვაჟა ფშაველა ამაზე არ ჩერდება. საჭიროა ხალხმა შეიგნოს თავისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გონივრულად გაარჩიოს ერთმანეთისგან ბოროტი და კეთილი, განჭვრიტოს თავისი მთავარი საქმის არსი, იბრძოლოს. პოეტი მიიჩნევს, რომ ქიჩირბეს თავგანწირული სიკვდილი უნდა ამაღლდეს ჩვეულებრივ მოქმედებაზე, იგი ისეთ ქმედებად უნდა იქცეს, რომელიც გამოაფხიზლებს, შეანჯღრევს ამ აქტის მაყურებელს, ისეთ სულიერ მდგომარეობას შეუქმნის მას, რომ ქიჩირბემდე ამაღლების სურვილი გაუჩნდეთ. ეს კი, თავის მხრივ, იმ მიზანს ემსახურება, რომ ქიჩირბეს გვერდით დაუდგეს ვინმე, რათა გამრავლდეს გმირთა რიცხვი, რომ ზნეობის ამაღლების ამისთანა მაგალითმა ხალხს ბრძოლისკენ მოუხმოს. და აი, გამოჩნდება ასეთი ძლიერი პიროვნება. ქიჩირბეს გმირობით აღტაცებული ცოლი მოღალატე დემურისა, ცეცხლში შევარდება და თავს დაიწვავს. ამ საქციელით ქალმა დაგმო თავისი ქმარი არა მარტო იმისთვის, რომ ძმა მოუკლა, არამედ უფრო იმიტომ, რომ „გველ-ბაყაყების ბუდეს", ასლან-ბეგს ემსახურებოდა. იგი გან-

ერიდა ბოროტს, თავისუფლება მოიპოვა და ამ ნაბიჯით სამუდამოდ შეუერთდა კეთილს.

ვაჟა ფშაველას სწამს, რომ თავის პერსონაჟთა გმირული საქციელით წარმოქმნილი ემოცია უკვალოდ არ გაქრება, რომ კიდევ გამოჩნდებიან ქალ-ვაჟნი, რომელნიც პროგრესული ტრადიციების მტკიცედ დაცვით ხელს შეუწყობენ ერის ზნეობრივ შენახვას.

ვ) „უიღბლო იღბლიანს" ვაჟა ფშაველა ზღაპარს უწოდებს. ტერმინ ზღაპარში პოეტი გამოგონილ ამბავს უნდა გულისხმობდეს ან, როგორც თავად აღნიშნავს ნაწარმოების პირველ თავში, „სიცრუვ-სიმართლეს", თორემ ეს ტერმინი პოემის თემას და იდეას, სიუჟეტის ხასიათს და მისი რეალიზაციის საშუალებებს სცილდება იმ კლასიკური გაგებით, როგორც მას ვხმარობთ ხალხური მოთხრობის მიმართ. ის კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოემას ვაჟა ფშაველა ჯადოსნური ზღაპრის კვალობაზე აგებს. იყენებს საზღაპრო ეპოსში ფართოდ გავრცელებულ სამმაგობის კომპოზიციურ ხერხს და, რაც მთავარია, იცავს გმირის „წინასწარი" და „ძირითადი" გამოცდების ყველა ზღაპრისათვის აუცილებელ პრინციპს (ორივე რიგის გამოცდა ვაჟა ფშაველასთან ზნეობის სფეროდანაა, განსხვავებით ზღაპრისგან, სადაც ძალა და მოხერხებაა ხოლმე აქცენტირებული).

პოემის მთავარი გმირის „ძირითადი გამოცდისთვის" შექმნილი ეპიზოდები (უცხოეთში გადახვეწილ ქართველ ქალთან შეხვედრა, ჩაგრულის გამოსარჩლება, მწირთან შეხვედრა) ვაჟას საშუალებას აძლევს რთულ სიტუაციებში მოხვედრილი გმირის სიმტკიცის ჩვენებით გაამყაროს ჩვენი შეხედულება მის მაღალზნეობრიობაზე, იდეალურად დასახოს გმირი.

პოემა „უიღბლო იღბლიანის" შექმნისას ვაჟა ფშაველა სარგებლობს საზღაპრო ეპოსის, კერძოდ, ქართული ჯადოსნური ზღაპრის „მზის ქალის" მოტივებით, მაგრამ სცილდება როგორც ამ კონკრეტული ზღაპრის, ისე საზღაპრო ეპოსის პრობლემატიკას და ორიგინალურ ნაწარმოებებს ქმნის.

„უიღბლო იღბლიანი" რთული, მრავალპლანიანი პოემაა. მისი მოქმედება გმირის ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილების წყალობით არ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე გეოგრაფიული არით. როგორც ჩანს, ნაწარმოების თემამ და იდეამ უბიძგა პოეტს მიემართა სათავგადასავლო ჟანრის თხზულებაში ძალზე პოპულარული კომპოზიციური ხერხისათვის, რომლებშიც ფაბულის ჩამოყალიბება, ძირითადად, მთავარი პერსონაჟის საშუალებით ხორციელდება. ამ გარემოებითვე ჩანს გაპირობებული პოემის მოქმედ პირთა მრავალრიცხოვნება, რომელთა კავშირი მთავარ პერსონაჟთან ახალი თემის, ახალი იდეის წარმოჩენას ემსახურება.

პოემის მთავარი გმირის მოგზაურობა „ბედის საძიებლად", მისი ურთიერთობა განსხვავებული ბუნებისა და მდგომარეობის ადამიანებთან, პოეტს შესაძლებლობას უქმნის აჩვენოს გმირის რთული ცხოვრება, უსამართლო ჩაგვრა, ტანჯვა, რაც, თავის მხრივ, ეხმარება საბრალოს ხასიათის სრულად გახსნაში. ეს მრავალფეროვნება სიუჟეტისა, გარკვეულად აცოცხლებს მკითხველის ინტერესს, მაგრამ ამავე დროს ართულებს პოემის აღქმას.

ვაჟა ფშაველას, როგორც თავად აცხადებს, აინტერესებს: „უსამართლობა სიმართლეს რისთვისა სჯობნის ძალათი?" ან რატომ ხდება, რომ „ზოგს ამოჰშხამდა თვის ლუკმა, ალალის ოფლით ნაღვარი, სხვას შეჰრჩა, კიდეც შეარგო სარჩო ნაქურდალნაპარი".

პოეტის მიერ დასმული კითხვა ახალიც არის და ძველიც. ეს, შეიძლება ითქვას, მარადიული საკითხია, ზოგადად გამოხატული კეთილისა (სიმართლე) და ბოროტის (უსამართლობა) დაპირისპირებით, და იგი მუდამ იდგა კაცობრიობის წინაშე. ახალია იგი ვაჟა ფშაველასათვის, როგორც გარკვეული ეპოქისა და ქვეყნის შვილისათვის. პოემაში „უიღბლო იღბლიანი" ვაჟა ფშაველამ ძველი ცხოვრების ასახვისას თავისი თანამედროვეობის პრობლემათა ანალიზიც სცადა და, შესაბამისად, ახალი საუკუნის დასაწყისისთვის ნიშანდობლივ ტკივილებსაც გამოეხმაურა.

ვაჟა ფშაველას პოემაში შემოაქვს ბედისწერის თემა და ცხოვრების ავ-კარგისადმი თავისი დამოკიდებულების სრულად გამჟღავნების, ამბების მხატვრული ხორცშესხმისათვის ნაწარმოების გმირებად ირჩევს სამ ძმას. საზღაპრო ეპოსიდან პოეტი ანგარიშს უწევს უმცროსი ძმის იდეალიზაციის ფართოდ გავრცელებულ ტრადიციას, უპირისპირებს უმცროსს უფროსებს, გმობს უფროსი ძმების ცხოვრების წესსა და ბუნებას და თვალს გვადევნებინებს საბრალოს (უმცროსი ძმის) რთული ბედისათვის.

პოეტი ძმათა ბუნების დაპირისპირებისათვის შექმნილ სტრიქონებში უნდა ეყრდნობოდეს ცნობილ ქრისტიანულ ლეგენდას (მისი საზღაპრო ეპოსში ასახვის მაგალითად უნდა დავასახელოთ ზღაპარი „მოხუცი სტუმარი", – სიბრძნე, II, 1964:75), რომლის მიხედვით, გლახის ტანსაცმელში გადაცმული ღმერთი უქონელ, სტუმართმოყვარე უმცროს ძმას ასაჩუქრებს, ხოლო უფროსებს, სტუმარი რომ სძულთ, სჯის.

ვაჟას საბრალო, ძმებისგან განსხვავებით, კეთილი და სხვათა შემწეა:

„გლახაკიც მრავალი მოსდით,
ერთხელ გაძღომის მთხოვნელი.
ორი ძმა ბევრს ყურს არ უგდებს
გლახაკებს, იმათ ხახებსა,
მხოლოდ საბრალო ჰმასპინძლობს
პურით და ღვინით საწყლებსა.
ეს უმცროსია, გუდაშიც
ყველას ჩაუდებს საგძლებსა".

(ვაჟა ფშაველა, IV, 1964:49)

რაკი სამი ძმის მაგალითზე სურს ცხოვრების უკუღმართობისა და ბედის ტრიალის ამბავი მოგვითხროს, ვაჟა ხალხური ზღაპრიდან „მზის ქალი" სესხულობს დასაწყის ეპიზოდს:

„მზის ქალი"	„უიღბლო იღბლიანი"
„...იყო სამი ძმა კაცი. მოხნეს სამი დღის მინა და დათესეს. ერთმა იქით,	„...სამი დღის უდგათ ფეტვია... „გაიყვეს თუ რამ ებადათ, სამად გაიყვეს

ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზე. მოვიდა მშვენიერი ჯეჯილი... ერთ მშვენიერ დღეს მოიქურუშა ცამ პირი, დაუშვა სეტყვა და შუალა ყანა სულ მიწაში ჩაიტანა. ის ორი ნაპირისა კი გადარჩა. მოვიდა პატრონი, დახედა ყანას და ჩასწყდა გული. მაინც აღარაფერი თქვა, აიღო ნამგალი, გადაიდო მხარზედ და გაუდგა გზას ბედის საძებნელად."

ფეტვია... ფეტვის მომკასაც თავის წილს ყველა აპირებს დილითა.
მაგრამ იმ ღამეს გაავდრდა თან სეტყვაც ნამოურია, ცა ჯავრობს, წყრება ფრიადა, ქვეყნის დაღუპვა სწყურია.
თქვენს მტერს, რომ მეორე დილას უმცროსს უკვდება გულია:
ფეტვი – ნაწილი იმისა, გაგლილი, დაკარგულია. სდგას თავ-დახრილი, დასცქერის, გულ-ხელებ დაკრეფილია.
მაინც ღმერთს მადლობას სწირავს მართალი, მართლის შვილია... ადგა, წავიდა იქიდან, დასტოვა სახლი, ძმებია, მიენდო ბედისწერასა, გადაიარა მთებია".

ბედის საძებნელად წასული საბრალო, ზღაპრისა და პოემის მიხედვით, მეცხვარესთან დადგება მწყემსად, მაგრამ ვერ შეძლებს პირობის შესრულებას და აქედანაც წასული ახლა მიწად-მოქმედ მოხუცს შეეკვრება პირობით – მზის ჩასვლამდე მომკას და ძნებად შეკონოს ვრცელი ყანა.

ზღაპრისგან განსხვევებით, სადაც ზედმიწევნით ლაკონიურად არის მოთხრობილი ორივე ეს ეპიზოდი, ვაჟა ფშაველა პოემაში ვრცელ პასაჟებს ქმნის, თუმცა ზღაპრის ზემოხსენებულ მოტივთა დედააზრს უცვლელად ტოვებს. ამ მოტივთა ლოგიკით, საბრალომ, დიდი ცდის მიუხედავად, ვერ უნდა შეასრულოს პირობა: ოთხი წლის უდანაკარგო მონაგრის გაყოფის დროს მგელმა ცხვარი უნდა მოსტაცოს, შემდეგ კი მზემ ჩასვლა უნდა დააასწროს, ვიდრე უკანასკნელ ძნას შეკონავს.

ფარის პატრონიცა და მიწათმოქმედი მოხუციც საბრალოს პირობას შესრულებულად უთვლიან, ევედრებიან კიდეც, მიიღოს თავისი კუთვნილი, მაგრამ უმცროსი ძმა ბუნების ძალებისგან (მგელი, მზე) თავს დამარცხებულად თვლის და უარს ამბობს თავის წილზე.

ვაჟა ფშაველა არ ღალატობს იმ პრინციპს, რომელიც თავიდან დაუდო საფუძვლად საბრალოს ხასიათს. გმირი პატიოსნად და სიტყვის კაცად რჩება ყველა სიტუაციაში. მას ცხოვრებაზე საკუთარი თვალსაზრისი შეუმუშავებია, რომელსაც პოეტი ასე აყალიბებს:

„მართალს ნუგეშად ესა აქვს
გულში შეუდრკელ ბურჯადა,
რომ ღმერთი კაი კაცობას
მას არ ჩაუთვლის ფუჭადა.
შემდეგისთვისაც მას ფიქრობს,
არ უღალატოს სიმართლეს;
ერიდოს მწიკვლსა ყოველსა,
დაუმეგობრდეს სინათლეს.
რაც უნდა ავი შაემთხვას,
თუნდა გააკრან ჯვარზედა,
არ უღალატოს სიმართლეს,
ერთგულად იდგეს მაზედა.
მოჰყვეს ბოლომდე კეთილსა,
იაროს კეთილ გზაზედა“.

აღსანიშნავია, რომ ვაჟა გმირის ამ თვალსაზრისის ჩამოყალიბებისას ორიგინალური არ არის. მართალია, ხალხურ ზღაპარში არაა და არც იყო მოსალოდნელი, რომ ასე იქნებოდა გაფორმებული გმირის მრწამსი, მაგრამ უმცროსი ძმის მოქმედება მთელი ზღაპრის მანძილზე გვარწმუნებს მის პრინციპულობაში, პატიოსნებასა და სიმართლის სამსახურში.

გმირის ახალი კუთხით წარმოჩენის მიზნით ვაჟა საბრალოს სათათრეთში მოახვედრებს. გმირის თვალწინ გადაშლილი წითელი ტბის ხილვა ხდება საბაბი ტბის გაჩენის შესახებ თქმულების გახსენებისა. ვაჟას მიერ მოტანილი პოეტური გადმოცემის მიხედვით, საქართველოდან სპარსეთში განდევნილ, ქრისტეს რჯულზე მტკიცედ დგომის გამო დახოცილ ქართველთა სისხლმა წარმოქმნა ტბა –„ივერიის კარგ ძეთა გრძნობის და ფიქრის მტვირთველი“. სისხლის ტბაში, გადმოცემით, „ღვთიურის ხელით ქსოვილი“ ყვავილები ცოცხლობენ. ისინი მხოლოდ მაშინ

ჩნდებიან, როცა დაინახავენ ქართველს –„მართალს, სიმართლით მკობილსა“ – და ტკბილ ქართულით ესაუბრებიან. ყვავილთა ხილვით შეძრული საბრალო, რომელმაც ტბასთან იპოვა „სამოთხე – ნავთსაყუდარი სულისა“, აქ მოისურვებს სამუდამოდ დარჩენას. რაც შეუძლებელი აღმოჩნდება. საბრალო გაეცნობა ოდესღაც საქართველოდან მოტაცებულ, სამშობლოს დანატრებულ ქალს, რომელსაც, მართალია, საქვეყნოდ მაჰმადი უღიარებია, მაგრამ ქრისტეს ლოცულობს „ჩუმადა, და დედა ღვთისა ისევაც ჩასახული მაქვს გულადა“. რჯულშეცვლილ ქალთან საბრალოს შეხვედრის ვაჟასეული პოზიცია მჟღავნდება გმირი ქალისადმი მიმართულ სიტყვებში:

„დიდად შემცდარხარ, დედილო,
რო რჯული გადაგიგდია.
დღეს შენ სულს აქა ვნახავდი,
სისხლის ტბა რომ დგა დიდია,
და თავის ნეტარებასა
იქიდან დამითვლიდია.
ყოილად ამოხვიდოდი
ტურფა, ნაზი და მშვიდია.“

ქართველთან შეხვედრით ბედნიერი ქალი საბრალოს სტუმრად მიიწვევს, თავის შვილებს გააცნობს. საბრალო ქალისგან ღვთის შესავედრებლად „საწირავს“ წამოიღებს თან და ცოდვის შენდობის იმედით დატოვებს უცხოობაში ყოფაგამწარებულ დედაკაცს.

თავად საბრალო ზღვის პირას გამოვა. აქ იგი შეხვდება სამ კაცს, რომელთაც ერთი უბედური ჩაუგდიათ ხელში და სცემენ. საბრალო გამოესარჩლება კაცს, მაგრამ ცემითვე დაისჯება, შემდეგ კი ზღვაში გადააგდებენ. ზღვასთან ბრძოლით ქანცგამოცლილ საბრალოს ტალღა ისევ ნაპირზე გამორიყავს და იგი ახლა მღვიმეს მიადგება, მაგრამ მღვიმის ბინადარი მწირი ეშმაკად მიიჩნევს და სენაკში არ მისცემს ბინას.

ორივე ეპიზოდს, ბუნებრივია, საგანგებო მისიას აკისრებს ვაჟა ფშაველა. ჩაგრულის გამოსარჩლების ამბავი მოთხრობილია

ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრის ფაქტის აღსანუსხავად (პოეტი განზრახ უგულებელყოფს კაცის ცემის მოტივაციას). ვაჟა ცდილობს განაზოგადოს ამგვარ შემთხვევათა ბუნებრიობა თავის თანამედროვე საზოგადოებაში. ისევ თანამედროვეობა და ქვეყნად გამეფებული უნდობლობის კრიტიკა უნდა იგულისხმებოდეს საბრალოს მწირთან გამართულ დიალოგში, როცა ავტორი გახაზავს თვალსაზრისს, რომ ღვთის მსახურთაც კი აღარ დარჩენიათ სათნოება. ვაჟა ურწმუნო ღვთის მსახურისთვის თავისი ტრადიციული მოვალეობის გრძნობის გასაღვიძებლად საბრალოს ათქმევინებს:

„სცდები, ღვთის კაცო, ძალიან,
ღმერთს ვფიცავ, არ ვარ ეშმაკი,
დაე, თუნდ ბელზეულიც ვარ,
გთხოვ, რომ მისტუმრო ეხლა-კი.
რა ეშმაკობის თავი მაქვს,
კარგად მიცქირე, კარგადა,
თუ მართლა წმინდა კაცი ხარ,
გთხოვ ამიკიდო ბარგადა,
თუნდ ჩემი გადაკიდება
კიდეც გადგექცეს შხამადა.“

ვაჟა ფშაველა შემდგომ ეპიზოდში ხელახლა უბრუნდება „მზის ქალის“ ზღაპარს და მის კვალობაზე ქმნის გმირის მოწინააღმდეგე ბუნების ძალთა დასჯის სცენებს. პოემის დასაწყისში გმირის ვედრება არ შეისმინა მზემ, ხოლო ელიამ და მგელმა პირობა დაარღვევინეს საბრალოს. ეს ტკივილი ისევ ცოცხლობს უმცროს ძმაში და რაკი რეალურ ცხოვრებაში ვერ გადაუხადა მათ სამაგიერო, სიზმარში დასაჯა.

პოეტი გარკვეულად ცვლის ამ ეპიზოდის ზღაპრისეულ მონაცემებს. ზღაპარში ელიას და მგელს მზის სიძე თავისი სიმამრის ბაღში შეხვდება და კომბლით სცემს. პოემაში, როგორც სიზმარს შეეფერება, საბრალო ელიას დასეტყვილ ყანასთან ხედავს, ხოლო მგელს ცხვრის სისხლით თავ-პირგასისხლიანებულს... მზეც თავის ბაღში კი არ არის, არამედ „დაბლა მინდორზე... მოდის, მოექანება“. ზღაპარში მზე ისჯება თავისი მშვენიერი ბაღის

დამტვრევა-აკლებით. პოემაში საბრალომ მზეს „ჰკრა ჯოხი, ნამოაქცია. სცემს, თანაც შედგა წიხლითა...“

სიზმრისეულ ანგარიშსწორებას ვაჟა ფშაველა შეგნებულად მიმართავს. თავისი იდეალური გმირის ხასიათის ჩამოყალიბებისას პოეტი არ დაუშვებს რაიმე არავაჟკაცურ საქციელს, მათ შორის, შურისძიებას, სამაგიეროს გადახდას. ამიტომ ქმნის პოეტი იმ ეპიზოდს, სადაც სიზმრიდან გამოღვიძებულ საბრალოს ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოცემა ავალია და წარმოაჩენს გმირის ნამდვილ ბუნებას:

„...ღმერთსა სთხოვს, სიზმრების მური
არ ჩაუთვალოს ცოდვადა.
ხელები აპყრობილი აქვს,
ისევ დამდგარა ლოცვადა.
ღვთის სახეს ეძებს ჰაერში,
ელამუნება კოცნადა.“

მწერალი მიგვანიშნებს, რომ საბრალოს დახმარება მიწიერ ადამიანს ვერ ხელეწიფება და ამისათვის ზეციური არსება უნდა გამოჩნდეს. ამიტომ ეძებს ცისკენ მიპყრობილი საბრალო ღვთის სახეს. ვაჟა არწივს მოატაცებინებს ვაჟს და თავის მშობლიურ სოფელში დააბრუნებინებს. საბრალოს გამოჩენით უკმაყოფილო ძმები საგვარეულო საფლავსაც არ აღირსებენ მას და მწირ სერზე დამარხავენ.

პოემის მეცამეტე თავში ვაჟა ფშაველა ხალხში დარჩენილ ამბავს ჰყვება იმის შესახებ, რომ საბრალოს საფლავთან გამოხეთქა წყარომ, რომელიც ყველა სენს კურნავს. უფროსი ძმების საფლავი კი, თურმე ჭაობად ქცეულა.

საბრალოს მომტაცებელი ფრინველი თავისი მისიის შესრულების შემდეგ ისევ იალბუზზე ასულა და ისევ მისტანებია ამირანის გულ-ღვიძლს საჯიჯგნად.

„უიღბლო იღბლიანში“ არჩეული პრობლემატიკა ვაჟა ფშაველასთვის სისხლხორცეულია. 900-იანი წლების საქართველოს მძიმე ყოფა, ქვეყნად გამეფებული ძალმომრეობა, ადამიანთა

უმართებულო ჩაგვრა, უდავოა, გულგრილს ვერ დატოვებდა დიდ მამულიშვილს.

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ახსნას პოულობს პოეტის მიერ შექმნილი ეპიზოდები სამშობლოდან ძალით მოტაცებულ და გამაჰმადიანებულ ქართველ ქალთან გმირის შეხვედრა-ურთიერთობისა. პოეტი ქალის თავგადასავლის გადმოცემით აცოცხლებს ქართული ცხოვრების უკვე გარდასულ, მაგრამ ტკივილგაუყუჩებელ ისტორიას. პოემის ამ ეპიზოდში, ვფიქრობთ, ფაქტის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებაზე უფრო არსებითია პოეტის მიერ შექმნილი ალეგორია. ვაჟასთვის აქ მთავარია აქცენტირება ფიზიკური ძალის მიერ სულიერი საწყისის დათრგუნვისა. ამიტომ საგანგებოდ ჩანს შექებული ის გაუტეხელი ნება, რამაც განადგურებას გადაარჩინა ერი.

საგულისხმოა არწივის თემა. ვაჟა ფშაველა არწივს ორ ასპექტში წარმოგვიდგენს. ერთი მხრივ, იგი ამირანის მითის ცნობილი ფუნქციით წარმოგვიდგება, მეორე მხრივ, ვაჟა ჯადოსნური ზღაპრის ტრადიციას ითვალისწინებს და არწივს ზღაპრულ-მითური ფასკუნჯის მოვალეობას აკისრებს (გავიხსენოთ, რომ ფასკუნჯი საერთოდ იშვიათად ავლენს ბოროტ ბუნებას და უმთავრესად გმირის დამხმარედ გვევლინება). საინტერესოა თვით პოეტის პოზიცია. არწივის გამომგზავნის მოულოდნელი არჩევანით ვაჟას, ჩანს, ოპტიმისტური მოლოდინის განწყობა სურს დაამკვიდროს ნაწარმოებში. საბრალოს თავის მხარეში ჩამოსაყვანად არწივი ამირანის, თავად ტანჯული გმირის, თხოვნით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ არწივი ამირანის

„გულ-მკერდსა სწიწკნის შმაგადა.
ვერც ის გატეხა, არც თითონ
მოსწყინდა ქცევა ავადა.
ვერ გაუთავა გულ-ღვიძლი,
ვერც ხორცში სისხლი გაუშრო“.

არწივს, პოემასა და მითში ბოროტი ძალის, სასიკეთოდ მოქცევაში ვაჟა ფშაველა მომავალს ჭვრეტს. პოეტს ეჩვენება, რომ უმალ არწივის ნება დაიმსხვრევა, ვიდრე გატყდება ამირანი – სიკეთე.

არწივს

„რამდენიც სიშმაგე მოსდის
სისხლის სმის, ხორცის გლეჯისა,
იმდნად საბრაზოდ უხდება
სალი კლდე გმირის თმენისა.
ვერ გაუგია, საიდან
ნაჭამი ლეში ივსება,
ან სისხლი რისიღა უდგა
მისგან რამდენი ისმება?“

„მზის ქალის“ ზღაპრიდან ვაჟას არ აინტერესებს მრავალი მოტივი, მაგრამ ერთი გარემოება მაინც საყურადღებოა. ვაჟა უგულებელყოფს რეალურ ცხოვრებაში ხელმოცარული გმირის ზღაპრისეული ჯადოსნური საშუალებებით (ერთი მხრივ, მზის ასული თავისი არაჩვეულებრივი გარეგნობით, მეორე მხრივ, სასწაულმომქმედი ბეჭდით) წარმატების მიღწევის თემას, რაც ზღაპრისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და, ფაქტობრივად, ერთადერთი გზაა გმირის ცხოვრების შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის. პოეტს მიზნად დაუსახავს სიკვდილამდე ტანჯული დატოვოს თავისი გმირი, არც ერთ საქმეში არ გაუმართლოს მას, აწამოს და, როგორც ღვთისმეტყველება გვასწავლის, ამ ტანჯვაში მოუპოვოს ბედნიერება, რარიგ მძიმედ მისაღწევიც არ უნდა იყოს ის.

ვაჟა ფშაველა პოემაში მთავარი გმირის მხატვრულ სახეს ქრისტეს მოთმინებასა და ზნეობრივ სისპეტაკეს ანიჭებს. ნაწარმოების ყველა ეპიზოდში მოქმედება იმ ლოგიკით არის წარმართული, რომ ცხოვრებასთან ჭიდილში გმირი მუდამ მარცხდება, თუმცა უაღრესად გაწბილებულიც კი ერიდება შემოქმედის გმობას და ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას, სიწმინდეს, რადგან, როგორც ვაჟამ პოემის დასაწყისში გვითხრა საბრალომ

„...გადაწყვიტა, რომ თავი
მას ჩაებარა ღვთისადა“.

აღსანიშნავია, რომ პოეტი ამ მოტივს კიდევ დაუბრუნდება, რათა ახლა სხვას გამოათქმევინოს აზრი უმცროს ძმაზე. საბრალოს სიმარდით გაოცებული ყანის პატრონი

„სამთითად შეწებებულსა
შუბლზე მიიტანს მაჯასა,
იწერს პირჯვარსა და თანაც
აჟინებული იძახის:
„ეს თვით შენა ხარ, უფალო,
სხვა შენი მსგავსი ვინ არის?“

საბრალოს არაჩვეულებრივი სიმტკიცე და საოცარი კეთილშობილება პოემის მრავალი ეპიზოდის მიხედვით ირკვევა. ამ მხრივ საინტერესოა საკუთარი ფეტვის ყანის სეტყვისაგან განადგურების, ოთხი წლის უნაკლო სამსახურის შემდეგ მგლისაგან ცხვრის მოტაცების, მწირის მიერ მღვიმიდან გამოგდების ეპიზოდები. პოეტი ყველგან შეუცდომელი ტაქტით ძერწავს გმირის ხასიათს.

პირველი მარცხისას:

„სდგას თავ-დახრილი, დასცქერის
გულ-ხელებ დაკრეფილია.
მაინც ღმერთს მადლობას სწირავს
მართალი, მართლის შვილია“.

მეცხვარისათვის პირობის შეუსრულებლობისას:

„მუხლთ მოეკვეთა საბრალოს,
ამოიკვნესა მძიმედა.
ჩამოჯდა, თავი დაჰკიდა,
მიეყრდნო სახლის დირესა.
– მადლობა ღმერთსა, – იძახის“...

მზის ჩასვლით გამოწვეული მწუხარების გამო საბრალო მოთქვამს:

„ვაი, შენ ჩემო სიცოცხლევ,
დღეო, ნაქცევო ღამედა!
მოჰხეთქა ცრემლმა თვალთაგან,
ბავშვებრ დაიწყო ტირილი...
მადლობა შენთვის, უფალო,
მაინც მადლობა შენთვინა.
ჭირი-ვაება მარგუნე,
ვკისრულობ, იყოს ჩემთვინა,

ვერ დავგმობ შენსა სამართალს,
ჭირს რომ მაჩვენებ დღემდინა!..
ამაზე მეტი მადინე,
რაც დღემდის ცრემლი მედინა!"

ვაჟა ფშაველა თავისი მრწამსის გამოსახატავად პოემის ფინალში ქმნის სურათს, რომელშიც აბსოლუტურად ცვლის საბრალოს ბედს. რეალური ცხოვრების ნარეკლიანი გზის გავლისას ზნეობრივი პრინციპების მტკიცედ დამცველი საბრალო უნდა დაჯილდოვდეს. პოეტი ცნობილ მოდელს იყენებს და სააქაო ცხოვრებაში ტანჯული გმირის აღზევებას შესაძლებლად სიკვდილის შემდეგ მიიჩნევს. ისევ უპირისპირდება ერთმანეთს ორი საწყისი – კეთილი და ბოროტი, რეალური და ირეალური. ტანჯვის გზაზე გავლა, ცნობილი მოდელის მიხედვით, აუცილებელია სულიერად ასამაღლებლად, სხვათათვის სიკეთის მოსატანად.

პოემის თანახმად, ძმებისგან უარყოფილი საბრალო „ერთს მწირს და ხრიოკ სერზედ" დამარხეს, როგორც „გათათრებული". აქ ბოროტი ჯერ კიდევ გამარჯვებულია, მაგრამ გამოხდება ხანი და შეიცვლება რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრებული მდგომარეობა. დაპირისპირებულმა ძალებმა უთუოდ უნდა გაცვალონ როლები. ამას მოითხოვს ბოროტისა და კეთილის ორთაბრძოლის საყოველთაოდ ცნობილი შედეგი. მართლაც:

„თურმე მის საფლავის თავით
ერთი წყაროა მომდენი,
და ხშირად საფლავის სტუმრად
ღამ-ღამ ცით მთვარის ოდენი
სხივი ჩამოდის და ადის,
ქვეყნად სინათლის მომფენი.
ვინაც კი დაჰლევს იმ წყალსა,
რაც უნდა ჭირით პყრობილი
იყოს, მორჩება იმ წამსვე,
წყარო ისეა ცნობილი."

მაგრამ ამით არ მთავრდება სიკეთის დამკვიდრების გზა. ვაჟა უფრო შორს მიდის, ზრდის თავის ოპტიმიზმის საზღვრებს, როცა გვეუბნება:

„რასაც საბრალოს საფლავი
ჰხედავს მთებსა და ჭალებსა,
ყველგან რომ მადლი ტრიალებს
მადლით ჰრწყავს არე-მარესა.
მწყემსმა თუნდ თავის სამწყემსო
მთელს წელს გაუშვას ოხრადა,
ვერაფერს ავნებს ნადირი
საქონელს ბეწვის ოდნადა.
ნეტარებს მხვნელი, მთესველი,
მიწის გულ-მკერდის მპობელი:
რასაც დასთესავს, თვით კვირობს,
ზღვა მოდის დაუშრობელი.
არც სეტყვა ავნებს, არც გვალვა,
არც თაგვი, პურის მტერია,
საბრალოს სამარის მადლი
ცხოველ-მცენარეთ მცველია.“

ვაჟა ფშაველა აქ ისევ უბრუნდება ზღაპრისა და პოემის თემას და ისევ ზღაპრის ტრადიციის გათვალისწინებით ამკვიდრებს სიკეთეს, სჯის ბოროტებას (საბრალოს ძმების საფლავებზე ჭაობი, „უცხოვლო წყალი“ დამდგარა).

პოემა „უიღბლო იღბლიანში“ ვაჟა ფშაველას დამოკიდებულება ფოლკლორული მასალისადმი შემოქმედებითია. პოეტი გარდაქმნის ზეპირსიტყვიერ მოტივებს, ტრადიციულ თემებს ახლებურ ინტერპრეტაციას აძლევს და ორიგინალურ გააზრებამდე ამაღლებს.

თავი VI

მამულის მარადიული გრძნობა

პოემა **„ბახტრიონის“** წყაროს, პერსონაჟთა წარმომავლობისა და სხვა საკითხების თაობაზე ბევრი დაწერილა. ვაჟამაც ორჯერ გამოთქვა აზრი პოემისა და ფოლკლორული გადმოცემების ურთიერთობის შესახებ. პოეტის ეს წერილები მთლად იდენტური არ არის, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე პასუხი ორივეგან გვხვდება. ვაჟა მიუთითებდა იმაზე, რომ ხალხურ მასალაში დაწვრილებითი ცნობები არ შემონახულა, თვით გმირთა სახელებიც დაკარგული იყო, გარდა თუში ზეზვასი. პოეტი კმაყოფილებით ახსენებს ამ გამარჯვების ნიშნად ფშავლებისათვის პანკისისა და ალვანის ჩუქების ფაქტს. ხალხური პოეზიიდან ვაჟა ახსენებს ლექსებს: „ბიჭი ვარ გოგოლაური“, „პანკისს იყრება ლაშქარი“, „დალივეს თათრის ლაშქარი“. პოეტი შენიშნავს: „ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა, მომცა იმ შემთხვევამ, თუმც მაშინვე ეს ზემორე მოყვანილი ლექსებიც ვიცოდი და ხალხური მშრალი თქმულებაც ბახტრიონის აღებისა, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“... წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოანე ხელაშვილი შეჰხვდება ლალისყურისაკე მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯლუგუნი ნაჰკრა ჩემ ფანტაზიას, გამათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი“ (ვაჟა ფშაველა IX, 1964:321). ვაჟას აქ სხვა ცნობებიც მოაქვს, რომლებსაც პერსონაჟებთან დაკავშირებით გავიცნობთ.

მიხეილ ჩიქოვანმა ბახტრიონის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებში რამდენიმე ჯგუფის ლექსები მოიძია:

1. ბრძოლის სამზადისის პერიოდის ლექსები („ბახტრიონს სხედან თათრები“, „ოსმალში ერთი თათარი“, „ეს რომ გაიგო

ზეზვამა", „ზეზვაო, გაფრინდაულო", „ცხენს გაბანს გაფრინდაული");

2. უშუალოდ ბახტრიონის ლაშქრობის ხანაში შექმნილი ლექსები („შველაო, შველაიძეო", „მეტი ვარ საღირიშვილი", „მოვიდოდ თუში ზეზვაი", „იყრების თათრის ლაშქარი", „არ ქმნილა თენების ხანი").

3. სპარსელების მიერ ლაშქრობის მონაწილეთა დევნის პერიოდში შექმნილი ლექსები („ხმალს ზვერავს გაფრინდაული", „თორღვასა გაფრინდაული ამაგრებს ქვითკირსავითა", „თათრებს ნუ ენდობ, თორღვაო", „თოფ დაჰკრეს გაფრინდაულსა");

4. ისტორიული გადმოცემების მიხედვით შექმნილი გვიანი პერიოდის ლექსები („დაგაგდებინეს ალვანი", „ზეზვას" (მთებს იქით ილესებოდა), „მეგონა – ზეზვას ხმალს ვიქნევ") (ჩიქოვანი 1956: 34).

მიხეილ ჩიქოვანი მიუთითებს, რომ არც ერთი ზემოჩამოთვლილი ჯგუფის ლექსი არ შემონახულა სრული სახით.

ეს საყურადღებო ცნობაა. ჩანს, ბახტრიონის ციხის აღების ისტორიული ფაქტი, არსებული მონაცემების მიხედვით, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო მხოლოდ საგმირო-საისტორიო პოეზიის ასახვის საგანი.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ვაჟა ფშაველას პოეტური ნიჭი სრულიად განსაკუთრებული იყო და მას რაიმე ფასეულის შესაქმნელად არ ესაჭიროებოდა მთლიანი ხალხური ნაწარმოები. პოეტისათვის მცირე ბიძგიც კმაროდა ჯერ ფიქრისა და შემდეგ უკვე განზოგადებისათვის. ისიც ცნობილია, რომ ვაჟა ფშაველა ხალხურიდან აღებული ხასიათის, სახის, ამბისა თუ გადმოცემის მიმართ ორგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. იგი ფოლკლორულ მასალას უმეტესად თავისებურად გარდაქმნიდა, მაგრამ თუ რაიმე მიზნით არ ცვლიდა მას შინაარსობრივად, აუცილებლად უქვემდებარებდა მაინც თავის კონცეფციას, კონკრეტულ მხატვრულ-ესთეტიკურ ამოცანას.

„ბახტრიონს" თავიდან ბოლომდე გასდევს ქართველ მთიელთა და ვაჟა ფშაველას თვალსაზრისი მამულის გრძნობასა და,

შესაბამისად, მის დამცველ გმირთა იდეალზე. თავად ამბავი, პოემის ისტორიული ფონი, ავტორისა თუ პოემის პერსონაჟების განწყობილება იდეალისაკენ სწრაფვაზე მიგვანიშნებს. XIX საუკუნის 90-იან წლებში XVII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული ფაქტის გახსენება და მხატვრული გააზრება საგანგებო მისიას ასრულებდა.

პოემის ახალგაზრდა გმირების შესახებ ვაჟა წერდა: „კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი, იმათი ხსენება არც ხალხურ ლექსებში და არც ზეპირგადმოცემებში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა“ (ვაჟა ფშაველა IX, 1964:323).

თავად სახელები კვირია და ლელა საქართველოს მთიანეთში ხშირად გვხვდება. არსებობს ლექსებიც ამ სახელების მატარებელ ქალ-ვაჟთა შესახებ, მაგრამ ვაჟას პერსონაჟები სხვანი არიან თავიანთი არსით და ხალხურ პოეზიაში მათი მსგავსი მხატვრული სახეების დამუშავების პრაქტიკა არ არის ცნობილი.

კ ვ ი რ ი ა თავისებური საღებავებით დახატული ძალზე ორიგინალური გმირია. მას გამორჩეულ მასშტაბს ანიჭებს პოეტი. თუ კვირია რაიმეთი წააგავს ხალხურ პოეზიაში ცნობილ პერსონაჟებს, ეს, ალბათ, ჩაცმულობა და საზოგადო იდეალისადმი თავგამოდებული სამსახურია. „ბახტრიონის“ კვირია გმირის იდეალის სრულიად გამორჩეული ნიმუშია არა მარტო ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ პატრიოტულ მწერლობაში.

კვირიას გარეგნული პორტრეტის შექმნისას ვაჟა ყველაზე ნაკლებ ორიგინალურია. გმირის გარეგნობის პოეტისეული აღწერა უაღრესად დაახლოებულია ხალხურთან. ვაჟას მიერ მოტანილი თითქმის ყველა დეტალი, განსაკუთრებით, ჩამოგლეჯილი ტანსაცმელი, გაბურდული წვერი და ხმლის წნელით დამაგრება, ნაცნობია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფისა და ხალხური პოეზიისათვის.

მთაში დამკვიდრებული ტრადიციის ძალით, ნამდვილი გმირი ვაჟკაცი კოხტად ჩაცმული მხოლოდ დღეობასა და ხატობაში შეიძლება ნახოს კაცმა. საყურადღებოა, რომ ვაჟა მარტო კვირიას არ ხატავს ასე. ცოტა მოგვიანებით ივანე კოტორაშვილის პორტრეტის შესაქმნელადაც იმავე საღებავებით სარგებლობს, რაც ნიშნავს, რომ ტრადიციულად ასე გამოიყურებოდა ფშაველი ვაჟკაცი. კვირია არის:

„ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი, უშნო რამ...
მხარზე თოფ-გადაგდებული,
გაბუდებულის წვერითა,
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა“.

(ვაჟა ფშაველა, III, 1964:142)

ასეთი გარეგნობის კაცი, მკითხველის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დიდი კეთილშობილებით აღმოჩნდება სავსე. შესაძლოა, ამ ეპიზოდში ვაჟა ფშაველა მოულოდნელობის ეფექტისათვის ქმნიდეს საგანგებო კონტრასტს პიროვნების ფორმასა და შინაარსს შორის. პოეტი ცდილობს, მკითხველის ყურადღება მიაპყროს მთლიანი პიროვნებისათვის დამახასიათებელ შინაგან ჰარმონიას, სურს დაგვარწმუნოს, რომ გარეგნობა მაცდურია. საყურადღებოა, რომ გმირის ხატვის ასეთი მანერა საზღაპრო ეპოსშია ძალზე პოპულარული და იგი ლიტერატურაში ფოლკლორიდან უნდა იყოს გადმოსული. ვაჟა ბუნებრივად სარგებლობს ამ ხერხით, რადგან მისი ჩანაფიქრი დასაწყისიდანვე კი არ უნდა გახდეს საცნაური, არამედ ფინალში უნდა გამჟღავნდეს.

კვირიას ამგვარად წარმოდგენას საფუძვლად უნდა ედოს თვალსაზრისი – დიდი გაჭირვებისა და ტანჯვის გამოვლის შემდეგ ადამიანი უკეთ იგებს ყველაფრის ფასს. ამიტომაა, რომ გაველანებული ფშავის მნახველი კვირიას ცრემლი და ოჯახამოწყვეტილი სანათასადმი მისი თანადგომაც სრულიად ბუნებრივად აღიქმება.

ვაჟა მათურელთა თემის შვილს, კვირიას, განსაკუთრებულ ბიოგრაფიას უქმნის. ობოლი ფშაველი ვაჟი ოცი წელია სხვის შვილად ითვლება და იწოდება, რადგან ფშავი მიუტოვებია და თუშეთში დგას მოჯამაგირედ, საკუთარი არაფერი გააჩნია:

„ოც წელს მიწა მაქვ ლოგინად,
ცა მახურია საბნადა;
ავდარში შავი ნისლები
ტანზე მეხვევა ნაბდადა“.

მაგრამ ცხოვრების ამ სიმძიმეს ვერ ჩაუკლავს მასში სული ჭეშმარიტი მამულიშვილისა. თუშეთში მყოფი კვირია ისევ ფშავზე ოცნებობს, ბარისკენ მიმავალ წეროებს ეკითხება თავისი მხარის ამბავს და მთვარის ხილვაც იმიტომ უხარია, რომ იგი ფშავის ხევშია სტუმრად ნამყოფი.

მძიმე წარსულისა და აწმყოს მქონე კაცს, დასაცავი და საპატრონო რომ არაფერი გააჩნია ამ ქვეყნად, ვაჟა „ჩიქილა მოხდილ ქალად“ ქცეული მთელი კახეთის, შესაბამისად, მთელი საქართველოს, დახსნას აკისრებს ვალად. პოემის ამ ეპიზოდში არაჩვეულებრივი სიმძაფრით არის ნაგრძნობი ადამიანის მოვალეობისა და შეგნების თემა. სამშობლოსა და პირადი ღირსების დაცვაზე ზოგადადამიანური, შეიძლება ითქვას, ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისი უდევს საფუძვლად კვირიას წარმოდგენას სიცოცხლისა და სახელის შესახებ:

„მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.
როცა დრო მოვა... დე, გაქრეს
ბედის ვარსკვლავი ცაზედა!
ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა.
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება
ჩემი ცოლი და შვილები, –

თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები“.

ზოგადადამიანური კონკრეტულში ვლინდება და ვაჟა, ქართველ მთიელთა შეხედულებებზე აღზრდილი და მათი მქადაგებელი, კვირიას თვალსაზრისის ჩამოყალიბებისას, ფაქტობრივად, გამოხატავს ხალხის აზრს, მრავალგზის გამოთქმულს სხვადასხვა ლექსში: „მტერსა რომ მტრობას უწევდეს, ვაჟკაცის შესაფერია...“ „უნდა გაზარდოს დედამა ვაჟი მტრის გამჯავრებელი... არ აშინებდეს სიკვდილი, სიცოცხლის გამმწარებელი“ და სხვ. პოეტი აქვე ემყარება ხალხურ რწმენას ადამიანის სიკვდილისას ციდან მისი ვარსკვლავის ჩამოვარდნის შესახებ. კვირიასნაირი თვალსაზრისი მხოლოდ ჭეშმარიტ პატრიოტს შეიძლება ჰქონდეს. ასეთმა კაცმა იცის არა მარტო სამშობლოს, არამედ საკუთარი ღირსების ფასიც. ვაჟას კვირია მარტო სიტყვასა და დაპირებაზე არ ჩერდება. იგი მოქმედების კაცია, გული ერჩის. მთავარი საგმირო საქმის ჩადენამდე ვაჟა კვირიას ამცნობს ბედისწერის განაჩენს. გმირი ნახავს სიზმარს, გაწყობილს ტრადიციული სიმბოლოებით: აყვავებული ტრიალი მინდორი, ცეცხლის მფრქვეველ ვეშაპთან ბრძოლა, მკვდრის თეთრ ლოგინზე წოლა, ბერი ქედანის ღუღუნი, უკან გაბრუნებული წითელი მზე. პოეტის მოხმობილი ყოველი სიმბოლო უცილობელი სიკვდილის მოახლოების ნიშანია და რა შემზარავიც არ უნდა იყოს კვირიასათვის მისი მოლოდინი, ახალგაზრდა მაინც მიდის მასთან შესახვედრად, რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი დიდი მისიის შესრულება – თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქრისთვის ციხის კარის შიგნიდან გაღება.

კვირია სიკვდილით უკვდავებაში გადავიდა მასავით გამორჩეულ ლელასთან ერთად.

ლ ე ლ ა თავად მშვენიერების განსახიერებაა. მას პოეტი დიდი აღმაფრენით შეთხზულ სტრიქონებს უძღვნის:

„ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს,
ნარწყავსა უკვდავებითა;

ხორცშესხმულს სიყვარულსა პგავს,
აუწყველს უწყავებითა“.

ასეთი გარეგნობის ქალი იქნებ ცოტა არ იყო ფშავ-ხევსურეთში, მაგრამ „ბახტრიონის ციკლის“ ლექსებსა და გადმოცემებში, როგორც პოეტი აღნიშნავს, არ იხსენიება არავინ ლელასთანა. სხვათა შორის, ლელას ოჯახის ისტორია არაფრით არ არის გაცილებული შესაძლებელ სინამდვილეს. ვაჟას მიერ შეთხზული ამბები (დედის ტყვედ ყოფნა, ძმის სიკვდილი, მამის დავრდომილობა...) თურქმან-თათართა ბატონობის ხანაში სრულიად ბუნებრივად მოჩანს. ლელას გამორჩეულობის მთავარი მახასიათებელი არის მისი სულისკვეთება. თათართა თარეშით შეწუხებული ქალი მთაში, ბუნებრივია, მრავალი იყო მაგრამ ლელა ერთადერთია, ქცეული „დარდ-ბოღმის ბუდედა“. მას „მტრის ჯავრი გულში“ ედგა „შავს ალაზანის გუბედა“ და მომხდურთან შებმულს სამშობლოს თავისუფლებისათვის სიკვდილი ეწადა. ამ წადილით იგი დიდმა პოეტმა შეაიარაღა და ამით ხარკი გადაუხადა იმ დიდებულ მანდილოსნებს, ვისაც თავი არ დაუზოგავს მამულისათვის. ლელა იმედით ცოცხლობდა, რომ ქალის კვალობაზე „იმოდენს როგორ არ შევძლებ, რო დამკლან დედის კალთაზე...“

ბედნიერებისათვის გამზადებული ლელა ნებით ეგებება სიკვდილს, ოღონდ შური იძიოს იმათზე, ვინც გადაქცელა თავისუფალი მთა და მთიელთა ღირსება.

შურისძიებითაა ანთებული ს ა ნ ა თ ა ც .

ვაჟა ფშაველას მოწმობით, ხალხურ პოეზიაში შექებული გმირები „სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელ დროს, როცა ფშავლები და თუშები ერთიმეორესა ჰლაშქრავდნენ. არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა. თოფი მაშინ ხმარებაში არ ყოფილა, არამედ მშვილდ-ისარი და ბოძალდი. ხალხური თქმულება და ლექსი ასე განმარტავენ, რომ თილისძის ბელადობით მოსული თუშის ლაშქარი მთლად გასწყვიტეს ფშავლებმა, მხოლოდ სარდალიღა გადურჩათ ცოცხალი და შინ როცა მივიდა, დედას უამბობს თუშების დამარცხების ამბავს ფშავლების

მიერ..." ლექსში დასახელებული – სუმელჯი და სანათა – მე შევურიე „ბახტრიონის" გმირებში; სანათა, როგორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმელჯი კი, როგორც თავისი ქვეყნისთვის მებრძოლი ვაჟკაცი".

ვაჟას ჩანაწერისა და „ბახტრიონის" შედარება ნათელს ხდის, რომ პოეტი ხალხური ლექსიდან მხოლოდ სახელს და ხალხის სიტყვით გამხნევების ფუნქციას სესხულობს, დანარჩენს კი თავად ქმნის.

ვაჟას შექმნილი ბიოგრაფიის თანახმად, სანათა წარსულში ქმარ-შვილით გალაღებული ყოფილა, მაგრამ ახლა აღარავინ გააჩნია:

„შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია,
შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია".

თითქოს უძვირფასეს ადამიანთა სიკვდილთან ერთად სანათას ცხოვრებაც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გაუძლო ქალმა ჭირს. დახოცილთა ცხედრების გაპატიოსნების, მიწისთვის მიბარების მოვალეობამ საზრუნავი და მიზანი გაუჩინა და გადაარჩინა. ორი კვირის შემდეგ, რაკი ცოცხალი დარჩა, ახლა მათ სულზე ზრუნვა, სანთლის დანთება და საკლავის შეწირვა გაუხდა საქმედ. ვაჟა იხსენებს: „გამიგონია... ვითომ ფშავში თათრებთან ბრძოლაში თითქოს სულ გაულეტილიყვნენ მამაკაცები და ხატში, სალოცავში დედაკაცებს მოენთოთ სანთელი". პოეტმა მშვენიერი ფუნქცია მოუძებნა ამ ხალხურ თქმულებას, რითაც ახალი შტრიხებით გაამდიდრა ბერდედის სახე და მეტი სიმძაფრე მიანიჭა სპარსელების თარეშით გამოწვეულ ტრაგედიას.

კვირიას ფშავში მაცნედ გამოჩენა ნამდვილი ხსნა იყო მოხუცი სანათასი. სამშობლოს თავისუფლების პერსპექტივამ ისე აანთო ეს გრძნობათაგან დაცლილი ქალი, რომ ათქმევინა:

„ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა:

იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“...

სანათა იმასაც ამბობს: „თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა, შვილთ აღარ მოვიგონებდიო“ და ეს ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს, თავად კისრულობს ფშავის დავლას და ხალხის შესახელების ორგანიზაციას.

გმირობის იდეალად სახავს პოეტი თუშ ზეზვას და ფშაველ ლუხუმს. შემთხვევით არ ამბობს ზეზვა: „სრულ ლაშქარში ვარ, რაც კია ძუძუს მამსხლიტა დედამა“. ქართველ მთიელთა ცხოვრების წესი, ისტორიული ბედი განაპირობებდა ასეთი გმირის იდეალის დამკვიდრებას. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო ამ იდეალის საძირკველი, რომელზედაც ან გმირული გამარჯვება შენდებოდა, ან სიკვდილით სრულდებოდა სიცოცხლე.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში ზეზვა გაფრინდაული ერთ-ერთი პოპულარული გმირია. ზეპირგადმოცემებმა შემოინახეს მისი გმირული ცხოვრების ამბები. ხალხური მელექსე ყურადღებას მის განუმეორებელ ბრძოლაზე აჩერებს:

„ჭირსაც მავხპარავ ზეზვასა,
გაფრინდაულის შვილსაო!
საც ომი დაეტანების,
მარცხენ-მარჯვენა ჭრისაო.
სადაც არ სტანავ ზეზვაი,
ლაშქარი ცუდად დისაო“.
(შანიძე, 1931:327)

პოემის წერის დროს ვაჟამ იცოდა „ბახტრიონის ციკლის“ როგორც თუშური, ასევე ფშაური წარმოშობის ლექსები, იცოდა ამ კუთხეების წარმომადგენელთა ქიშპობის ამბავიც, რომლებიც გამარჯვების მოპოვებაში ცალ-ცალკე იჩემებდნენ პირველობას. პოეტს დიდი ანგარიში არ გაუწევია ზეპირსიტყვიერებაში დაცული მიკერძოებისათვის, განსაკუთრებით იმ ლექსებისათვის, რომლებშიც ზეზვა იყო გამოყვანილი, როგორც ბრძოლაში ფშავ-ხევ-

სურთა მონაწილეობის წინააღმდეგი. ბახტრიონის ციხის აღების ამსახველი ერთი ლექსი აქებს ზეზვას („ხმალს ჰზვერავს (სინჯავს, ათვალიერებს) გაფრინდაული (თუში ზეზვა) თათრები ვხოცე ამითა...") (ხალხური პოეზია, XI, 1984:246); მეორე ლექსი თათრებისადმი მიმართვაა და მასში სინანულით არის გახსენებული წარსული, როცა ზეზვა არბევდა მტერს („ზეზვა რა სანახავია (თათრებო) მოკლული თქვენის ხელითა...") (იქვე, 247); მესამე ლექსში გადმოცემულია დაჭრილი ტყვე ზეზვას ქალაქში წაყვანა („...წამაიყვანეს ზეზვაი, ბაგეს მაიხრავს კბილითა, გადმოავლიეს გომბორი ნაღარაითა, სტვირითა..."). [საისტორიო, I, 1961:324].

ვაჟა ფშაველა ცვლის ხალხური გადმოცემის ცნობას თათრების მიერ მისი დატყვევების თაობაზე და ბრძოლის ველზე კლავს მას გმირულად. ბახტრიონისათვის დიდ ბრძოლასა და გამარჯვებას მსხვერპლიც შესაფერისი სჭირდებოდა! გაუტეხელი და ფერშეუცვლელი ვაჟკაცი თუშეთის მიწას მიაბარეს „თავით დაურჭეს დროშაი მისივე შუბის ტარითა".

თავისი პერსონაჟების სულისკვეთება ვაჟამ სრულად გაიზიარა, როცა პოემის მეოთხე თავში დახატა ლაშქრის თავშეყრის სურათი:

„მოდის ხმა ჟრიამულისა
მარჯვნივ და მარცხნივ გორითა,
თან გამოისმა ზარის ხმა
ლაშარის ჯვარის გორითა.
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა..."

პოეტმა დაახასიათა სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები, რათა მათი წარმოსახული ხილვით აღტაცებულს ეთქვა: „რა საამური დრო არის, რა საამური წამია!" ეს გულიდან წამოსული სიტყვა თავისკენ იზიდავს სხვას და ვაჟაც უფრო შორს მიდის, ახლა ქადაგსაც უნდა დაადასტურებინოს ეს საერთო სიხარული, გამოწვეული ერთ პირზე შემდგარი მებრძოლების ნახვით:

„უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რომ შავიყარენით...
წინ მომეგება სიცილით,
ბელღის კარს მოდგა მზებურა,

ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,
თავზე ჩაჩქანი ეხურა...
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეეწურა.
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა".

ქადაგის ეპიზოდის გამართვისას პოეტი უყურადღებოდ არ ტოვებს ხალხური ლექსის განწყობილებას. ვაჟა წერს: „ჩემთვის მარტო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემი, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდნენ, არ ინდობდნენ, ამჟამად შაერთდნენ, ერთსულოვნება გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაჭირვების დღეს. განახორციელეს თხოვნა-მუდარა იმავე ხალხური ლექსისა: „თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო, ლაშქარი გავაზიაროთ; ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ, მტერი კი დავაზიანოთო".

ამავე განწყობილებითაა შექმნილი პოემის იმედით განათებული ფინალური ამბავი ლუხუმის გადარჩენისა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ბახტრიონი" მამულისათვის სიცოცხლის მიძღვნის გაიდეალების დამკვიდრებას ემსახურება.

მთის პოეტურ ფოლკლორში ცნობილია გმირი ლუხუმი. ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილი ლექსების მიხედვით, ბრძოლის ველზე თანამებრძოლებისაგან მიტოვებულ სახელოვან ვაჟკაცს მუხლი მოსტეხია. წაქცეულისა და დაუძლურებულისთვის „ფრანგულიც" ადვილად წაურთმევიათ და თოფიც, შემდეგ კი ცოცხლისთვის მარჯვენაც მოუჭრიათ, რითაც მტრებმა ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯეს და ვაჟკაცობა შეირცხვინეს. ადამიანებისაგან განწირული ლუხუმი მარტო ბუნებას არ გაუმეტებია:

„ლუხუმს გველ შამეეჩვია
მუხლს ულოკს, უკურნისაო.
ორი კვირა რო წავიდა,
ლუხუმს მუხლ ექნა მგლისაო".
(შანიძე, 1931:35)

გაჭირვებაში ჩავარდნილი გმირის შესაჭმელად მოსულ დათვს წყალი მოიტაცებს, თავად დაჭრილი მხნეობას მოიკრეფს და მარცხენა ხელით წევს ჭაპანს.

„ბახტრიონის" ლუხუმსა და ფოლკლორული თქმულების ლუხუმს შორის საერთო, როგორც თავის დროზე მიუთითეს აკ. შანიძემ (შანიძე, 1931:394), შემდეგ კი მ. ჩიქოვანმა (ჩიქოვანი, 1956:51), არის სახელი და მოტივი გველის მიერ მკურნალობისა.

პოემის და ხალხური ლექსისათვის ძალზე მნიშვნელოვანია შედეგი გველის მიერ ადამიანის მკურნალობისა. ლექსისაგან განსხვავებით, ვაჟა ფშაველას პოემაში შემოაქვს მოტივი გველის მიერ „ორი ძმის" ზღაპრის მოთხრობისა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „ორი ძმის" ზღაპარი ცნობილია დიმიტრი ღუდუშაურის გადმოცემით. ობოლი ძმების ისტორია ქალის სიყვარულსა და გველებთან არის დაკავშირებული და ავლენს ერთ-ერთი ძმის სულიერ სიმდაბლეს (ძმას გულს გაუგმირავს). სულმოკლე ძმას გველი უხდის სამაგიეროს, ყელზე შემოეხვევა და ახრჩობს მას, შემდეგ კი მკურნალობს გულგანგმირულს. ზღაპრის იდეა ბოროტზე კეთილის გამარჯვებას ქადაგებს, თავად გველი სიკეთის სამსახურში დგას. ვაჟამ ეს ზღაპარი მშვენივრად მიუსადაგა გმირი ლუხუმის თავგადასავალს. პოემაში ლუხუმის გამოჯანმრთელებისა და ლაშარის გორზე შედგომის იმედი ნაწარმოებს გამორჩეულ ჟღერადობას სძენს და ამავე დროს გახაზავს დიდი პოეტის ოპტიმიზმს.

„ბახტრიონის" პერსონაჟების მისწრაფებების იდეალად დასახვა XIX საუკუნის მიწურულში მიგვანიშნებს ეპოქათა შორის არსებულ გადაძახილზე, ერთმანეთთან ასე დაშორებულ ეპოქებში იდეალთა ერთგვაროვნებაზე. ვაჟა აცოცხლებს ძველ ისტორიას, რათა მომავლის იმედი ჩაუსახოს უსასოდ მყოფ ადამიანებს. პოემის სულისკვეთების მიხედვით ადვილი საგრძნობია, რომ კვირიას, ლელას, სანათას, ზეზვასა და ლუხუმის მსგავსი ადამიანების ხილვა თავის თანამედროვეთა შორის გააბედნიერებდა დიდ პოეტს.

მობუბუნე ხმლის მითოლოგემა. საქართველოს ისტორია თავდაცვითი ბრძოლების ისტორიაა. ქართველები, შესაძლოა,

მცირერიცხოვნობის გამო არ ავლენდნენ სხვაზე თავდასხმის ინტერესს, იქნებ მათი ბუნება იყო მშვიდობიანი და საკუთარ მიწაზე წყნარი ცხოვრება მოსწონდათ? ბრძოლა მაინც უწევდათ და არა მარტო მომხდურ მტერთან. ფეოდალური საქართველო ძმათა სისხლისმღვრელ ომებსაც იცნობს, როგორც სამარცხვინო რეალობას.

საქართველოს მთაში ამ მიმართებით თავი გამოუჩენია ზურაბ ერისთავს, რომლის სახელი ხევსურეთის დამორჩილება-დახარკვის წადილს უკავშირდება (აღარაფერს ვამბობთ მეზობლად მცხოვრებ მაჰმადიან ტომებზე, ძარცვის მიზნით რომ არბევდნენ ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთს). ზურაბ ერისთავს სამჯერ დაულაშქრავს ხევსურეთი „მეშვიდ-მეშვიდე წელს და ვერ გაუტეხავ", – ირწმუნება ხალხური გადმოცემა (შანიძე 1931:298). ამ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ლექსები ასახელებს ჭრელა ნადირაშვილს, ელუმი თუღუმიშვილს, მარტია მისურაულს, მამუკა ქალანდაურს (სიხარულიძე 1968:204).

თავისუფლების სახელით მებრძოლ ამ გამორჩეულ გმირთათვის არსებითი იმის რწმენაა, რომ სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა თავად ხარ თავის უფალი. ეტყობა, ამ რწმენის გაძლიერება იყო წარმმართველი, როცა იქმნებოდა „კაი ყმობის" იდეალი და ნაწარმოებთა მთელი წყება, რომლებშიც მამულზე ზრუნვაა სიცოცხლის მიზანი და გამართლება, ლექსები, რომლებშიც შეუფარავად არის საუბარი სიკვდილთან შესახვედრად უშიშრად წასვლაზე, სიკვდილის პირისპირ დგომასა და მაინც სულის გაუტეხელობაზე. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ ჰიპერბოლიზებულად გავიაზროთ ხევსურთა ამტანობა. ბუნებრივია, მათაც ჰქონდათ შიში, მაგრამ იცოდნენ, რომ შიშის დათრგუნვა ამაღლებდათ. ასეთი დამოკიდებულების მშვენიერ მაგალითს ვხედავთ ლექსში „ღალატით დახოცვა ხევსურებისა" (ხალხური პოეზია, IV, 1975:141). მასში მთქმელი ქმნის ხევსურ ვაჟკაცთა იდეალურ კოლექტიურ სახეს. ზურაბ ერისთავს პურობა გაუმართავს ხევსურთათვის, რათა სამოცი ვაჟისთვის მოტყუებით მოეკვეთა თავები. ხევსურებმა იცოდნენ, რომ სადილი სატყუარა

იყო, მაგრამ ლაჩრობად მიიჩნიეს უარის თქმა, გაფრთხილების მიუხედავად, პურობისას ვაჟკაცობის შერცხვენად ჩათვალეს ხმლების მოუხსნელობაც.

ცხოვრების რთული პირობები, არსებობისთვის გამუდმებული ბრძოლა, მოითხოვდა მომავლის იმედის არსებობას. ხალხს რწმენა სჭირდებოდა იმისა, რომ თემს, სოფელს მშველელი ჰყავდა. მითური წარმოდგენებიდან სწორედ ამ მოთხოვნილების საფუძველზე უნდა შექმნილიყო პოეტური გადმოცემები „ნაწილიანობის" თემაზე. მორიგე ღმერთს დაქვემდებარებულ ღვთისშვილთა გარდა, ფშავ-ხევსურები „ნაწილიანობას" მიაწერდნენ ზოგიერთ გამორჩეულ გმირს ან იარაღს. ნაწილიანობა იმაში ვლინდებოდა, რომ ზოგს ვარსკვლავი სდევდა თან, ზოგი გმირისგან სხივი გამოკრთოდა, სხვას სანთელი ენთებოდა მარჯვენა მხარზე (ბარდაველიძემ 1957:111-112).

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს მთაში შემორჩენილი მამულის მოვლის განცდა კერიის ცეცხლივით იყო ადამიანური რუდუნების საგანი. ვაჟა ფშაველას მოღვაწეობის დროს საქართველოს წართმეულ თავისუფლებას ახალი ასპექტები დაემატა. ვაჟასთვის სამშობლოს გრძნობის მემკვიდრეობითობა მარადიული მუხტის შემცველია და სიმბოლურად ხმალში ცხადდება, რომელიც სკივრში დასვენებულიც კი ბუბუნებს, ქარქაშიდან ამოსვლას ლამობს, „ამოდის და ქარქაშიანი სწუხს". ეს განსაკუთრებული ხმალი უფრო მეტ ფასს მაშინ იძენს, როცა პატრონიც თავისი სადარი ჰყავს.

„მობუბუნე ხმლის" მითოლოგემა მთაში ხევსურ მამუკა ქალანდაურთან არის დაკავშირებული. მამუკა ზურაბ ერისთავის თავგასულობას ეპაექრებოდა და მას, როგორც თავად „ნაწილიანს", თავისი სასწაულებრივი ხმალი ქარქაშიდან ამოწვდით ატყობინებდა, რომ ბრძოლა და გამარჯვება ელოდა. ხევსურეთზე ზურაბის ერთ-ერთი ლაშქრობის დროსაც დაუფლებია მამუკას ეს გრძნობა, გაქცეულა შინ „შეუხედავს ბოძზე დაკიდებული ხმლისათვის და ნახევრამდე ამოწეული უნახავს" (სიბრძნე, III, 1964:143) ამის მნახველ მამუკას ბორბალოს მთისკენ აუღია გე-

ზი, დაუნახავს ზურაბის ლაშქარი. გადმოფრენილა სანისაკენ... წინ ვარსკვლავივით მიუძღვოდა თურმე სვეტი შუქისა... სვეტი რომ შეუნიშნავს, აუყრია ზურაბს ლაშქარი და გაქცეულა... ქალანდაური მალე მისწევია და, მართალია, ზურაბი ვეღარ ჩაუგდია ხელში, „იმის ლაშქარს კი სცემია ხმლით. მოუკლავს ერთი, მერე მეორე, მესამე, ასე რომ თორმეტი ერთბაშად მოუკლავს. მეთორმეტესათვის რომ შემოუკრავს ხმალი... კაცი წყალში ფეხაღმა ჩაყუდებულა (მთქმელი სარგებლობს აკრძალვის ცნობილი კლიშეთი, რომლის მიხედვით, თორმეტი მოკლული ზედა ზღვარია ერთი მეომრისთვის!). შესწვდა ღმერთს იმდენი ხალხის ცოდვა და ჩაეგო ხმალი მამუკა ქალანდაურს“ (იქვე, 144).

ვაჟა მიიჩნევს, რომ მინავლებას არ იმსახურებს თავისუფლებისათვის ბრძოლის თემა. „მობუბუნე ხმლის“ თემასა და მასში ჩადებულ მუხტს განსაკუთრებული რუდუნებით ეპყრობა, მით უმეტეს, რომ თავისუფლებაწართმეული ქვეყანა და უცხო ბატონის მიერ მართული დრო ყოველ ნაბიჯზე ახსენებდნენ თავს. მწერალი ახალგაზრდებში თავისუფლების მიმართ პატივისცემის გაღვივების მიზნით რამდენჯერმე აჩერებს თვალს ამ თემაზე. სასწაულებრივი ხმლის თემა და მასთან მიბმული თავისუფლების წყურვილი მწერალს მართლაც მარადიულ საფიქრალად აქვს ქცეული. ამის დასტურია 1902 წელს დაწერილი „ამირანის ხმალი“, რომელშიც გვარწმუნებს, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებ მთიელთა სული გაუტეხელი რჩება. ამ სიმტკიცის მაგალითს იძლევა თმაგათეთრებული, წელში მოხრილი ქალი, რომელმაც, ჭიანჭველის მსგავსად, უზარმაზარი შეშის კონა მოიტანა და კერის პირას დაყარა. თუმცა ცხოვრებისაგან ძალიან დაღლილია თინათინი, მაგრამ თავისდა გასაოცრად რამდენჯერაც ახალი წელი დგება, იმდენჯერ თითქოს ისიც განახლებასა გრძნობს (ვაჟა ფშაველა, VII, 1964:49). ეს ის თინათინია, რომელსაც შვილი მოფერებით ეუბნება: „ვენაცვალე შენს მკრთალს სახეს, დედაჩემო, შენს დაფლეთილ, დაგლეჯილს კაბას“.

თინათინს ლეჩაქი სითბოს გულისთვის კი არ ჰხურავს, არამედ ნამუსისათვის, როგორც კაცს – ქუდი ან ულვაში.

თინათინი ვაჟასთვის ერის ხსოვნას განასახიერებს. იგი უკვდავი მეხსიერებაა და ეს მეხსიერება თავისი ფესვების გასახსენებლად მიუმართავს მწერალს, რათა იმედი ჩაუსახოს ადამიანებს.

ძნელია, ვინმე შეედავოს თინათინს, რომ გამოგონილ ამბავზე საუბრობს. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ თვითმხილველია იმისა, როგორ შებოჭეს მტრებმა ამირანი, „შებოჭეს და დიდ მღვიმეში დიდის ჯაჭვით დააბეს: „ნუ ხარ კერპი, ურჩი, გაუტეხელიო..." თინათინი იმასაც ამტკიცებს, რომ ამირანმა დაავალა ყველასთვის გაეგებინებინა, „მტარვალნი მართალს ადამიანს როგორ მტანჯავენო!"

ვაჟას გმირი ჭკუანაკლული ქალი კი არ არის, იმ რწმენითაა შეჭურვილი, რომელმაც კაცობრიობას დღემდე გააძლებინა. თინათინი ურყევად ამტკიცებს: „გუშინაც ვნახე, სახე გაჰბრწყინვოდა. „კარგი ნიშნები ჩნდება, თინათინ, ღმერთი მოწყალეაო", – სთქვა მან, – „გვეშველება, უსათუოდ გვეშველება", – და მიმითითა თავის ხმალზე, – „აგერ ჩემმა ხმალმა ფერი მოიწმინდაო..." მეტად სულგრძელია ის კურთხეული ადამიანი" (იქვე, 50).

ამ საუბრამდე, რომელშიც აშკარად ჩანს ამირანთან დაკავშირებული XIX საუკუნის სააზროვნო ტენდენციები, მწერალი რეალური ყოფის სურათს ხატავდა. იგი შემდეგაც რეალურ ყოფას დაუბრუნდა. ადამიანთა საცხოვრისში ყორანი შემოიყვანა გაბატონებული ბოროტი ძალის სიმბოლოდ. ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა „ჩვენს დარბაზში შემოაფლაშუნა მხრები... ჩამოჯდა არხეინად კიდობანზე, დაიმწყაზრა მხრები... დაგვაცქერდა, წამოძაბა ჩვენკენ კისერი და დედა-შვილს ორივეს თავზე დაგვყრანტალა..."

ვაჟა მოძალადე სტუმრის მოკვლას გვამცნობს და ამით სიმბოლურად სასურველს შესაძლებელად წარმოგვიდგენს. შემდეგ მწერალი ისევ რეალურ ყოფას უბრუნდება და ოჯახისათვის ახალი წლის მოსალოცად შემოჰყავს მეკვლე ბუთლა, რომლის დალოცვა იმედს ითვალისწინებს, ისევე, როგორც გაუტეხელი ამირანის რემინისცენცია: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა! დიდი გიმატებიათ, დიდი გმატოსთ ღმერთმა, ახალმა წელმა, ახალის წლის გამოცვლამა!"

რაკი ქვეყნის ვითარება უცლელია, მწერალი საჭიროდ თვლის გამუდმებით შეახსენოს თანამემამულეებს ვალი სამ-შობლოს წინაშე. „ცრუპენტელა აღმზრდელში“ (1908) ვაჟა მემკვიდრეობითობის პოზიციიდან უყურებს პრობლემას. ისევ გვ-არწმუნებს, რომ მამულზე ზრუნვის მისია სამარადისოა და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დაკავშირებულია გარდასულ გმირ უძილაურთან, ვიგებთ, რომ ეს კაცი „დიდხანს ებრძოლა, დიდხანს ეომა საქართველოს მტრებს“. როგორც თავად ამბობს: „მაჯობა მტერმა, ლაშქარიც გამიწყდა და მე ცოცხალი დამმარხეს“ (იქვე, 153).

უძილაურს მწერალი განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. გარდაცვალებიდან დროის გასვლის შემდეგაც ვაჟამ ის შთამბეჭდავად შემოიყვანა თხრობაში: მიწამ „ფამფალი, ზანზარი დაიწყო და წამოდგა საფლავიდან უზარმაზარი ტანის კაცი, მშვენიერის სახისა, მხარ-ბეჭი ორი ადლი ექნებოდა, თავით ფეხამდე იარაღში იყო ჩამჯდარი, ტანზე ჯაჭვი ეცვა, მუხლებზე ოქროთი დაზარნიშული საჩერნეები, საგანგებოდ მოვარაყული სამკლავეები, თავზე მუზარადი ედგა, წელზე დიდრონი ხმალი ერტყა, ფარი მხარ-იღლივ ჰქონდა გადაგდებული და ხელში ლახტი ეჭირა. მეტისმეტად ლამაზი, საამო სანახავი იყო“.

გმირი იმიტომ წამოდგა, რომ ანდერძი გაახსენოს და საბრძოლო იარაღი დაუტოვოს ახლებს: „აიღე, წაიღე და მოიხმარე იმის წინააღმდეგ, ვინც საქართველოს ებრძვის და სჩაგრავსო“.

უძილაურის ისტორიის მთხრობელის, ციხელის, „უძლური ტანი“ აღარ იყო მზად ამისთანა გამოწვევისათვის, მაგრამ, ის კი შეეძლო, რომ სიტყვით გაეძლიერებინა ქართველთათვის ასე ფასეული მარადიული ანდერძის სიცოცხლისუნარიანობა. ვაჟასა და ციხელისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იდეა უძილაურის მარადიული სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილისა. არსებითია ისიც, რომ ციხელი უძილაურის იარაღს ისე ინახავს და უფრთხილდება, როგორც ნატვრისთვალს და, რაც ყველაზე მთავარია, მოხუცი წარსულის ამ ისტორიას ყმაწვილ ბიჭებს გადასცემს და აძლიერებს ქართველთათვის ასე სისხლხორცეულად ფასეული მარადიული ანდერძის სიცოცხლისუნარიანობას.

ისევ ხმალია ვაჟას ყურადღების ცენტრში მოთხრობაში „ბათურის ხმალი“ (იქვე, 114). მწერალი განსაკუთრებულ გმირად წარმოადგენს ბათურს, რათა გახაზოს ხმლისა და მისი პატრონის ღირსეული პარტნიორობა. ვაჟა ბათურის სიკვდილით იწყებს თავის თხრობას. ბათური ბრძოლის ველიდან საკაცით მოიტანეს. „მოზარეთა ზარი დედამიწასა სძრავდა, მთებს ქედს ახრევინებდა და ცრემლს ადენდა, ბევრმა ლამაზმა ქალმა და რძალმა მოიჭრა ხშირ ყორნის ბოლოსავით შავი თმა, თორმეტ ნაწნავად დაწნული, ნიშნად ღრმა მწუხარებისა. საკაცეს თან მოაყოლებდნენ ბაკურის ცხენს, – რახტში ჩამჯდარს; ცხენსაც კი ჯავშანი ეცვა, ზედ არავინ არ იჯდა. უნაგირის ტახტებზე იყო დაკიდებული გმირის რკინის სამოსელი: პერანგი, ჩაჩქანი, საფუხრეები, სამკლავე-საჩერნეები, ხანჯალი, მშვილდი რქისა და საისრეები... ხმალი მოწიწებით გულზე დაასვენეს... ცხენი თავით იყო დაყუდებული...“

ვაჟა ფშაველა აცოცხლებს ფშავში (საერთოდ მთაში) გმირი ვაჟკაცის დატირების ძველ რიტუალს. ტრადიციული წესის აღსრულების შესაფერისი სიკვდილის მიზეზი დაასახელა მწერალმა: „გააფთრებულ ბრძოლაში, ხმლის ქნევის დროს, ისარი დაჰკრეს იღლიის ძირში, რადგან იმას არ უფარავდა ჯაჭვი“. ვაჟამ საერთაშორისო გავრცელების ეს მოტივი შემთხვევით არ აირჩია: ის ხომ დიდ ვახტანგ გორგასალთან იყო დაკავშირებული! მწერალი ამ პარალელით მთიელთათვის ბათურის მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს, თუმცა მისი ინტერესის საგანი მაინც ბათურის სასწაულებრივი ხმალი – ბრძოლის მარადიული სიმბოლო არის. ბათურს ხმალი ზედ დაასვენეს. ამბობდნენ: „ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის მკერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდისო“... თითქოს კვნესის, სულს იქცევსო“.

გლოვაში მონაწილეობს ბათურის ძმობილი ხეტე. მისი შესახედაობა მოწმობს, მებრძოლი ჭაბუკობიდან დროის სვლასთან ერთად როგორ ივსებოდა ვაჟობის ნიშნებით, როგორ აირეკლავდა ჩვენი სამშობლოს მრავალგზის დაჭრილი და დამწვარი მიწის სახეს. ხეტეს ლაპარაკიც, დგომაც, შეგრძნებებიცა და განცდაც თავისი შესაფერისი აქვს: იგი „დანჯღრეულის, მაგარის ხმით

ლაპარაკობდა, ცოტა თავდახრით იდგა, მარჯვენა ხელი სრულიად ჩამოშვებული ჰქონდა, ხოლო მარცხენით ხმლის ვადასა ჰბღუჯავდა. თავს როდი სძრავდა საუბრის დროს, კისერიც მგელივით გაშეშებული ეჭირა, მხოლოდ თვალებს აგელებდა, აძვრენდა აქეთ-იქეთ. საშინელი, საზარელი იყო ხეტეს თვალები: ცეცხლივით ენთებოდა და ამ თვალების მნახველი ყველა სხვა თვალები უნდა დამწვარიყო, ჩამქრალიყო. ძალაუნებურად მის წინაშე უნდა თავი მოგეხარა. უსიტყვოდ დაგიმონებდა, გაგტეხდა, დაგალაჩრებდა ხეტეს მარტო ერთი შეხედვა" (იქვე, 116).

ვაჟა ფშაველას სურს დაგვარწმუნოს, რომ ბათურის სიკვდილი დიდ სირთულეს შეუქმნის სამშობლოს დამცველებს და ამას ხეტეს ტირილის აღწერით ახერხებს: „ხეტე დასტიროდა თავის ძმობილს... გმირის ტირილი გამწარებული ვეფხვის რუხრუხსა ჰგვანდა, რომლისთვისაც ვიღაც თავხედ მონადირეს ლეკვები მოუპარავ. შვილების მაძებარი აწყდება აქეთ-იქით, ადუღებული სისხლი ყელში ებჯინება; რომ ნამდვილი მტერი ვერ უპოვნია, ხეს და ქვასღა ჰლრღნის, მიწას ჰლადრავს კლანჭითა. ეს ტირილი უფრო წყევლა-კრულვა იყო მტრის, ბრაზში და ნაღველში ამოვლებული, ცრემლით გაბანილი. მაგრამ ეს ცოტაა ხეტეს გლოვის დასასურათებლად; ეს ვეფხვი უნდა იქცეს ცრემლის მფრქვეველ სალ კლდედ თავის სიმტკიცით და შეუდრეკელობით, მხოლოდ მას შერჩეს მსგავსება ვეფხვისა".

ეს შედარება ბრწყინვალე კონტექსტს ქმნის და აღწერილი სურათიც შთამბეჭდავ გამომსახველობას იძენს. ვაჟას, ჩანს, მოსწონს მსგავს ერთგულებაზე მინიშნება, რადგან ეს ფოლკლორული ისტორია 1909 წელსაც გამოიყენა მოთხრობაში „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?".

მწერალი გვაუწყებს, რომ ბათურის ხმალს მრავალ ომში უსახელებია თავი: „რამდენჯერ უნახავთ, რომ მის პატრონს თავის ძლიერის მკლავით შემოექნიოს მტრისათვის და ცხენი თავის მხედრიანად გაეწყვიტნოს, შუა გაეპოს და თანაც ხმლის წვერი მიწიდან ამოეწვადოს. რამდენჯერ ჰქონიათ შემთხვევა, გზაკვალდაბნეულს მტერს დაჰრეოდენ და, როგორც ანწლი, ისე ეკა-

ფოსთ. ყველას ხმალს ადამიანის სისხლის და ქონისაგან, როგორც ადამიანს თვალებზე, ლიბრი გადაჰკვრია. ხმლები ჯოხებადღა ქცეულა, მხოლოდ ერთი ბათურის ხმალი დარჩენილა ფხაზე სისხლმიუკარებელი".

ბათურის ხმალთან დაკავშირებით ვაჟა ერთმანეთს უპირისპირებს ორ მოსაზრებას. ერთნი, ადამიანის საიქიო ცხოვრებაში დარწმუნებულნი, საფლავში ხმლის ჩატანებას უჭერენ მხარს, მეორენი, მათ ბათურის თანამებრძოლი ხეტე ახმოვანებს, ეწინააღმდეგებიან პირველებს. რაკი ვაჟა ფშაველასათვის ძალზე მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითობის პრობლემა, ბათურისათვის ხმლის საფლავში ჩაუტანლობის მთავარი არგუმენტი ხეტესთვის სწორედ ბათურის საქმიანობის გამგრძელებელთა ასპარეზზე გამოსვლის იმედია. შვილებს მამის საქმიანობის გაგრძელება არ ძალუძთ. ამიტომ ხმალი პატივით უნდა შეინახონ, უმოქმედობისთვის განირონ.

„ბათურის ხმალი დაღონებული იყო, მოუსვენრობდა, ჰგლოვობდა თავის ერთგულს პატრონს, ტიროდა", – გვაუწყებს ვაჟა და მთავარ სათქმელთან მიდის: ბათურის სიკვდილმა ვერ მოკლა მარადიული მუხტი. ხმალი ისევ ამოდის ქარქაშიდან, ჰაერში ნავარდობს, შემდეგ ისევ ეგება ქარქაშში. უფრო მეტიც, კიდობანში დასვენებული ხმალი ბორგავდა. ღამღამობით იქიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ჟღარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარებისა, ცოდვათა მიტევებისა...

ხმლის ტანჯვით შეწუხებულ ხალხში სწრაფად გავრცელდა ხმა: ლაშარისჯვარი ბრძანებს, ხმალს მე ვუპატრონებო.

ისევ აენთო ხალხის გონება და წარმოსახვა, გაჩნდა იმედი. დადიოდა ხმა: ლაშარისჯვრის მიდამოებში უნახავთ ჯაჭვ- ჩაჩქანიანი ბათური თავისი ხმლით, სალაშქროდ იხმობს ბიჭებსო.

მწერალი ამაზე არ ჩერდება და ფრთას ასხამს იმედს. სწორედ ეს იმედი უნდა ასაზრდოებდეს ხალხის წარმოსახვას, სასურველის შესაძლებლად წარმოდგენას: უნახავთ, ბათურს „შუაღამის დროს ათასწლოვან მუხა-იფნების ქვეშ შემოეკრიბოს თავის ლაშქარი, ჰქონდეს თათბირი გალაშქრებაზე, ხელში ეპყრას

თავისი ხმალი და მასზე რაღაცას ფიცულობდეს. – ხოლო იფნების, მუხის, არყის ტოტები, კენწეროები ციდან ჩამოსული კელაპტრებით ყოფილიყოს განათებული".

ეს შესანიშნავი მაჟორული ფინალი, სამწუხაროდ, მხატვრული შემოქმედების სფეროში რჩება. რეალობა მწერლისთვის ისევ გაუსაძლისია, იგი ვერ ეგუება იდეალთა გაქრობას, მიყუჩებულ-მოდუნებულ სინამდვილეს. ამ ვითარებაში ვაჟასთვის ისევ საოცნებოდ რჩება მარადიული მუხტის უკვდავება და მისი სიმბოლო – ხმალი.

ოპოზიცია: ადამიანი – ბუნება

ვაჟა ფშაველას ბუნებისადმი მიმართების პრობლემა საკითხთა მთელი წყებისაგან შედგება. პრობლემით დაინტერესება კარგა ხნის წინ დაიწყო (კ. აბაშიძე, 1912:105; ს. დანელია, 1927:65-66; ალ. ქუთელია, 1947:98; გ. ქიქოძე, 1946:91-92; იპ. ვართაგავა, 1958: 47; ბ. დობორჯგინიძე 1962: 3-58; დ. რამიშვილი 1968:6-65 და სხვ.). ორიგინალური პოეტური აზროვნების გარდა, ქართველი მკითხველისა და ლიტერატურის კრიტიკოსთა ინტერესს ვაჟა ფშაველასადმი განაპირობებდა ისიც, რომ პოეტი ბუნებას პერსონიფიცირებულად წარმოადგენდა. ბუნების გასულიერება ლიტერატურაში, რასაკვირველია, ახალი არ იყო, მაგრამ ვაჟას მიერ დამუშავებული მითოლოგიური და ფოლკლორული მასალა და მისდამი მიმართება განაპირობებდა შეფასებათა თავისებურებებს. როგორც შემდგომ გაარკვია ვაჟა ფშაველას შემოქმედების გამოჩენილმა მკვლევარმა გრიგოლ კიკნაძემ, „ეს შეხედულებები უფრო შთაბეჭდილების ნიადაგზე აღმოცენდნენ, ვიდრე გულდასმით და ყოველმხრივი ანალიზის შედეგად" (კიკნაძე, 1957:124).

გარესამყაროს გასულიერებულად წარმოდგენა პოეტისათვის მხატვრული ხერხი იყო, რომელსაც იგი უდიდესი ოსტატობით ფლობდა. უტყვი ბუნებისთვის ადამიანური განცდების მიწერით ვაჟას თავისი მსოფლმხედველობრივი მრწამსის წარმოსაჩენად გადაეშალა ასპარეზი. მან მხატვრულ ასპექტში თავის შექმნილ პოეტურ სახეთა განსაკუთრებულობას მიაღწია და, რაც მთავარია, მკითხველზე წარუშლელი ემოციური ზემოქმედება მოახდინა.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართება ერთგვაროვანი არ არის. რაც შეეხება ადამია-

ნისა და ბუნების ოპოზიციას, იგი ბუნებრივ პროცესად არის აღქმული (დობორჯგინიძე 1962:12-53; რამიშვილი 1968: 3-66). ვაჟა ფშაველა ამას ისე აფასებს, როგორც ადამიანთა შორის არსებულ დაპირისპირებას ან თვით ბუნების შიგნით მიმდინარე ბრძოლას. ოპოზიცია: ადამიანი – ბუნება ვაჟასთან, როგორც წესი, ზნეობის ფონზე ვითარდება. ადამიანის ზნეობის სიგრძესიგანის საკითხი მწერალს სრულიად სხვადასხვა მასალაზე აქვს დამუშავებული, თუმცა ზოგადად იგი უპირატესად მოაზრებულია, როგორც ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება, ანუ ოპოზიცია ზნეობრივისა და არაზნეობრივისა.

ვაჟა თვლის, რომ ბოროტება და სიკეთე თანაარსებობენ, ცხოვრება მათ განუწყვეტელ ჭიდილს წარმოადგენს. ვაჟას მთელი კოსმოსი კეთილისა და ბოროტის არენად აქვს წარმოდგენილი (კვესელავა, II, 1961:91-96). ვაჟას აზრით, ბუნებას, ისევე, როგორც ადამიანს, ბოროტება და სიკეთე მეტ-ნაკლებად ახასიათებს. ბუნება

„ერთფერად მტვირთველი არი
საქმის თეთრის და შავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა“.

ადამიანიც ასევეა: კაცის კვლაც ძალუძს და დიდი სიყვარულით შენებაც.

ეს რაც შეეხება შესაძლებლობათა სპექტრს, მაგრამ არსებობს კიდევ ამ და მსგავს ქმედებათა შეფასების კრიტერიუმები.

ვაჟა გვიჩვენებს, რომ ბუნების სტიქიას (ზვავი, ქარიშხალი, მეხთა ტეხა, წყალდიდობა და სხვ,) შეუძლია ავნოს, ფიზიკურად მოსპოს როგორც ადამიანი, ასევე ბუნება. თავის მხრივ, ადამიანსაც შესწევს ძალა შეუფერხებლივ გაანადგუროს ბუნება – მცენარეული საფარი თუ ცხოველთა სამყარო.

ამ ორ შესაძლებელ მოქმედებათა შორის აუცილებლად უნდა დაიდოს ზღვარი. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები, რომ ბუნების მიერ ჩადენილი სიავე სტიქიური უბედურების რანგში განიხილება, ე. ი. შეუგნებელი, არაგანზრახვითი ქმედებაა. ჩვეუ-

ლებრივ, სტიქიური უბედურების შედეგად ადამიანთა დაზარალება უპირატესად ახსნილია ხოლმე, როგორც ადამიანთა მიერ ქრისტიანული მორალის დარღვევისათვის მიზღული სასჯელი. რაც შეეხება ბუნების დაზარალებას, იგი შეიძლება გამართლდეს განახლების განუწყვეტელი პროცესით, როცა ერთი კვდება და მის ნაცვლად მეორე ახარებს თავის სიცოცხლეს. ეს ძირითადად გაზაფხულზე ხდება, როცა ბებერი ბუნება ახალგაზრდავდება, ცხოველი მზე ათბობს დედამიწის გულს, რათა იქაც გააღვიძოს სიცოცხლე და ააყვავოს ის. „დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა“, – წერს ვაჟა. გაზაფხული ასწორებს ბუნების „შეცდომას", დაშვებულს სტიქიური უბედურების მოვლინებით.

ბუნების მოვლენათაგან განსხვავებით, ადამიანთა მოქმედება უმეტეს შემთხვევაში გააზრებულია, ე. ი. განზრახვით ქმედებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ. ადამიანი გონიერი არსებაა და, შესაბამისად, მისი ყოველგვარი მოქმედება საზოგადოების მიერ ფასდება ეთიკურის პოზიციიდან. გავიხსენოთ, ეთიკურ-ზნეობრივი კრიტერიუმები ადამიანთა მიერაა მოგონილი რეალური ცხოვრების ასე თუ ისე მოსაწესრიგებლად. ბუნება კი ამ კრიტერიუმების გარეშეც არსებობს და აწესრიგებს კიდეც თავის ცხოვრებას. ბუნებაში გასაოცარი წესრიგი მეფობს: „როცა თოვლი მოვა, ზამთარი დადგება, იმას გაზაფხული მოჰყვება, დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – დღე, თავის წესზე, თქვენს ნებაზე ვერც დააღამებთ, ვერც გაათენებთ“.

ვაჟა ფშაველა ბუნებისა და ადამიანთა ურთიერთმიმართების ჩვენების მიზნით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საგანგებოდ ქმნის რეალურთან მიახლოებულ გამოგონილ სივრცეს – მოქმედების გარემოს. ეს გარემო ბუნების წიაღია, რომელშიც ხარობენ ხე-მცენარეები და ბინადრობენ ცხოველები, ოღონდ ისინი გაპიროვნების ძალით გონება-გრძნობითა და აზროვნებით არიან დაჯილდოებულნი. ამ გამოგონილ გარემოში გათამაშებული დაპირისპირებით პოეტი გამოხატავს თავის თვალსაზრისს: „რაც არ უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვაღებინებ, ენას

ვერ ჩავუდგამ... ამიტომ იმათ მაგივრად მე მოვყვები ყბედობას, ვითომ ისინი ლაპარაკობენ" (ვაჟა ფშაველა IX, 1964: 193).

ადამიანი გონიერი არსებაა, ბუნება კი „თვალხილულიც არის და ბრმაც ერთსა და იმავე დროს. ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება..." (იქვე, 395-6). ბუნება იმით არის ადამიანებზე უპირატესი, რომ კაცივით არ არის ძუნწი ან ლაჩარი, არ არის აღვსილი შურითა და ბოღმით, არ სურს სხვისი დამცირება-დაჩაგვრა და ამით გახარება.

ვაჟას აზრით, საზოგადოება, ბუნების საპირისპიროდ, იმიტომ არ არის ჰარმონიული, რომ მას ადამიანური გონი მართავს, რომელიც არასტაბილურობით, მანკიერებისადმი მისწრაფებით ხასიათდება. ადამიანები „ერთმანეთს სჭამთ, ერთმანეთს ჰულეტთ", – ეუბნება კლდე ადამიანს და იმასაც უწუნებს, რომ კაცნი „ერთმანეთს სულ მუდამ გამარჯვებას ეუბნებით ენით, ხოლო საქმით ერთურთის დაღუპვაზე სდგეხართ. კლდე იმით არის კლდე, რომ ენას არ ალაკლაკებს წაღმა-უკუღმა" (ვაჟა ფშაველა, VI, 1964 : 25).

ბუნებაში გამეფებული მოვლენათა ციკლური ცვლა (ზამთარი-ზაფხული, დღე-ღამე...) წესრიგს არის დაქვემდებარებული, რაც არ ახასიათებს ადამიანთა საზოგადოებას.

ამ ცოდნით შეიარაღებული ვაჟა თავის მოთხრობებში გვიყვება ისტორიებს: ერთგან უმშვენიერეს იას გადაქელავს ადამიანი, მეორეგან – ხეს მოჭრის ან ჩიტს ესვრის თოფს, სხვაგან – კეთილშობილ ან მტაცებელ ცხოველებს ხოცავს. მწერლის მიზანდასახულობის კვალობაზე იცვლებიან ოპოზიციის მთავარი წევრები. ბუნებასა და ადამიანს შორის არსებული ოპოზიციის ფორმათაგან პოეტი ყველაზე ხშირად ჩერდება იმ თემაზე, როცა ადამიანი მხოლოდ ბუნების გამოყენებაზე ფიქრობს და შეუბრალებლად ექცევა უტყვ და უმწეო ცხოველებს.

მწერლის მიერ ადამიანის ფსიქოლოგიის ნაკლად არის ჩათვლილი ასეთი დაპირისპირება მოთხრობაში **„ტყე ტიროდა"** (ვა-

ჟა ფშაველა, VII, 1964:68). კონფლიქტი დაფუძნებულია ადამიანთა საზოგადოებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისზე, რომ უწყინარი ცხოველის მოკვლა არც დანაშაულია და არც ცოდვა. ეს ცოდნა ტრადიციულია. მწერალი განზრახ ამძაფრებს ამ ქმედების მნიშვნელობას და დანაშაულის ხარისხში აჰყავს იგი. პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს მკვლელთა (მწვადის მჭამელთა) და „უენ-პირო" ბუნების განცდებს. მოკლული ხარ-ირმის გარშემო შეკრებილთა სახეებს „სიამოვნების და ბედნიერების ალმური ასდიოდა, ყველას ბაგეზე ღიმილი ციმციმებდა". მწერალი მოთხრობას დაპირისპირების ხერხზე აგებს: „მონადირის ცხენებმა რომ ნახეს მკვდარი ირემი, ფრუტუნ-ხრუტუნით გაშორდნენ, ზურგი აქციეს, არ უნდოდათ მკვდარი ირმისთვის ეცქირნათ..." „ბალღებმა ირემს ჯერ ვერ მისწონეს და ახლა კი რქის ტოტებზე ებღაუჭებოდნენ"... „ჩქარა გაატყავეთ, ჩქარაო! – ინიჟებდნენ ქალები, ვნახოთ, რა გემო ექნება ირმის მწვადსა!"

სანამ ერთნი ირემს ატყავებდნენ, სხვებმა ცეკვა-თამაში გამართეს. მათ მხიარულებას აათკეცებდა ირმის მოკვლა. „აუსრულდა ყველას ნანატრი; მოჰკლეს ირემი, იმიტომ არ გამოიქცა ველად ეს ამოდენა ხალხი, რომ ირემი ან შველი უნდა მოეკლათ, და მოჰკლეს კიდევაც. გულის წადილი აუსრულდათ; დღეს ბედნიერები იყვნენ ყველა იქ მყოფნი. მხოლოდ ტყე, გარემო ბუნება არ იყო ბედნიერი; ტყე ტიროდა, ტიროდა დიდი ფერდა, კალთა მთისა, რომელიც მდელოს, საცა ირემს ატყავებდნენ, თავს დაჰყურებდა. შავის ტყით დაფარული სერები ოხვრა-კვნესას, ნიავის მიერ მოტაცებულს, იმ მდელოს აფარებდნენ, სადაც ხარ-ირემი ესვენა.

მხცოვანი ხეები – ცაცხვები, მუხები, თელები, ბოკვები, ვერხვები, წიფლები, არყები, იფნები და სხვა და სხვანი ვიშვიშებდნენ, ყველამ ერთად გაიგო, თუმცა კარგა დაშორებით იდგნენ ერთიმეორეზე, თავიანთი საყვარელი შვილის სიკვდილი. ტყე არის ირმის დედა, ძუძუს ტყე აწოვებდა, აკვანს ტყე ურწევდა, საბნადაც ტყე ეხურებოდა. ტყე შეჰხაროდა და შეჰფოფინებდა ხარ-ირემს, თავი მოსწონდა ტყესა, რომ ისეთი ახოვანი, მშვენიერი შვილი გაზარდა".

ვაჟა უღრმავდება ტყის, როგორც აღმზრდელი დედისა და ირმის, როგორც შვილის ურთიერთობას: „ირმის მშვენებაში თვით ტყისავე მშვენება იყო ჩაქსოვილი. სიტურფე ირმისა დამადასტურებელია ტყის მშვენიერებისა“.

ტყე ტიროდა, მუხის ჩრდილში კი გრძლად გაშლილ სუფრას ქალები და კაცები უსხდნენ და თავდავიწყებით ილხენდნენ. მონადირეთა ყოველი „მიმოხვრა უსიტყვოდ შემდეგს გამოსთქვამდა: „ჩვენ ნადირის მკვლელები ვართ, ძალიან მარჯვედ თოფის მსროლელნი და იმიტომ კაი ბიჭებიო!“

ბუნებასა და ადამიანს შორის დაპირისპირება უფრო რომ გამოკვეთოს, ვაჟა უტყვი ბუნების შვილებს ნატვრას გამოათქმევინებს. მათ კიდევ სხვა ნიჭი სჭირდებათ, რომ სურვილი აუსრულდეთ და რაიმე სარგებლობა მოუტანონ ქვეყანას, ადამიანებს. პარალელურად, პოეტი გონებით შეჭურვილ კაცებს ეგოისტ არსებებად ხატავს, რომლებიც სხვისთვის წართმევის, საზოგადოდ, მოხვეჭის, ან უმწეოს დაჩაგვრისასაც კი სინდისის ქენჯნის გარეშე, მშვენივრად გრძნობენ თავს.

კაცის ნამდვილი ბუნება შეიძლება უგუნურ ქმედებაში გამჟღავნდეს. – ასეთია მოთხრობის **„ქუდოვანი“** დედააზრი. თანამდებობა ცვლის ადამიანს, მით უმეტეს უჭკუოს. ასე დაემართა სარდიონს, რომელსაც დალხინებული ცხოვრება ბუნებით ტკბობის საშუალებას აძლევდა. მწერალი ირონიულად გვიყვება ამბავს იმის შესახებ, რა დღე დაიწია დიამბეგმა სარდიონმა ერთ დილას, როცა კაჭკაჭმა ბარტყებისათვის ყველის ნაჭერი მოსტაცა. სხვა, ალბათ, გაიღიმებდა, დიამბეგმა კი შეურაცხყოფად მიიღო ჩიტის საქციელი, „ეს როგორ გამიბედაო!“ – დაიყვირა, ჯერ კენჭები ესროლა კაჭკაჭს, მერე ხეზე აბობღდა, მაგრამ ჩამოვარდა და კინაღამ თავპირი დაიმტვრია, ბოლოს მოჯამაგირე ბიჭებს უბრძანა, ბუდე დაეშალათ, კაჭკაჭი ბარტყებიანად შეეპყროთ და მასთან მიეყვანათ.

დედა კაჭკაჭის ბრძოლა მოჯამაგირეებთან მარცხით დამთავრდა – ორი ბარტყი წაართვეს, ერთი თოფით მოუკლეს. დიამბეგმა დედამიწას დააწყვიტა ბარტყები და შური ასე იძია.

კაჭკაჭი ფრინველთ მეფესთან წავიდა დახმარების სათხოვნელად. გზად ყველას უყვებოდა თავის ამბავს და თანაგრძნობასაც პოულობდა.

მწერალი მოგვითხრობს ერთ პირზე შემდგარი ბუნების შვილების დიამბეგის სახლ-კარზე ერთიანი ძალით შეტევაზე. ჯერ ადიდებულმა მდინარემ წალეკა სარდიონის მარანი და ბეღელი, მერე თაგვები შეესივნენ და ყველაფერი დახრეს, დილით კი „უზარმაზარ შავ ღრუბელსავით" მოიწევდა წინ ფრინველთა გუნდი. „თითქოს ზღვა გადმოვარდნილა თავის ნაპირებიდანაო, ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი". სარდიონი მიხვდა, რაც ხდებოდა და თოფის მოტანა უბრძანა ბიჭს". „თითქო სეტყვა მოდისო, ჭექა-ქუხილი ისმოდა. შეუპოვრად მოცვივდნენ და დაესხნენ ეზოში ბატების, ინდოურების, ქათმების გუნდს: ბდღვირს ადენდენ ყველას".

თავისი უგუნურობა დიამბეგმა სიცოცხლით ზღო. მწერალი ჩაგვაგონებს, რომ ყველანაირი ავკაცობა ადრე თუ გვიან ისჯება და, კიდევ, ბუნების შვილებში ისევ ცოცხლობს ის ნიჭი, რაც ადამიანებს დაკარგული აქვთ.

ვაჟა ფშაველას თვალსაზრისი ადამიანის შეუბრალებლობაზე არ შემუშავებულა შემოქმედების მოგვიანო ეტაპზე, ასაკში შესვლის დროს, როცა, ჩვეულებრივ, ფასეულობათა გადაფასების დრო დგება ხოლმე. 1883 წლით თარიღდება პოეტის ერთ-ერთი ადრეული მოთხრობა **„შვლის ნუკრის ნაამბობი"**, რომელშიც მწერალი უკვე სავსებით ნათლად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ერთი კატეგორიის ადამიანთა მიმართ. თავის ბედზე შვლის ნუკრის ნაამბობი აღსავსეა წუხილით, რასაც ადამიანის შეუბრალებლობა იწვევს. დაობლებული შვლის ნუკრის ჩივილში ისმის ბრალდება იმ ძალადობაზე, რომელიც მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში შეიძლება იქცეს ნორმად და დარჩეს დაუსჯელი. ადამიანის შიშით „ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე, – მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეულად უნდა დავდნე" (ვაჟა ფშაველა, V, 1964:13).

შვლის ნუკრის მდგომარეობის თვითდახასიათების შემდეგ მწერალი ცვლის თხრობის ტონალობას ადამიანისადმი მიმართული კითხვებით, რომელთა შინაარსიც არა მარტო ამძაფრებს ოპოზიციას, არამედ აშიშვლებს ადამიანთა ეგოიზმსა და უგრძნობელობას: „რას გიშავებ, ადამაინო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენ ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა“...

მწერალი კონტრასტის ხერხის გამოყენებით აყალიბებს მკითხველის შთაბეჭდილებას. ჩვენ წინაშეა, ერთი მხრივ, კეთილშობილი, უმწეო ცხოველი და, მეორე მხრივ, ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ განცდას, გარდა ველური სიხარულისა: „ოჰ, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული, გაცოფებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...“

მოთხრობის პირველ თავებში ნუკრის ჩივილი უდედობის გამო მძიმე მოსასმენია, მაგრამ ეს განცდა ფერმკრთალდება მოთხრობის მეხუთე თავში წარმოდგენილი სურათის გაცნობისას. აქ მწერალი კეთილშობილად დაბადებული შვლის უმწეობას უპირისპირებს მონადირის ველურ აღტყინებას. ვაჟა განსაკუთრებული გულისყურით არჩევს ზმნებს შვლის მოკვლის ეპიზოდში და დიდ ექსპრესიასაც აღწევს თხრობისას: „უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა, იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები. ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი კი ამოიკვნესა და ნაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკ-

ვალთა. „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან... მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსვა დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე!... აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა...“

რეალიზებულია მწერლის ჩანაფიქრი. გაძლიერებულია შვლისა და მისი ნუკრისადმი თანაგრძნობის ხარისხი. ასევე გამძაფრებულია მონადირისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გრძნობა, რომელსაც ასაზრდოებს ქრისტიანული ზნეობის მთავარი მცნების დამრღვევი ადამიანის საქციელი – მკვლელობა (განსაკუთრებით უმწეო, უტყვი არსებისა). მაგრამ ეს შეგრძნება მომენტურია. წარმოიშვება იგი მოთხრობის კითხვის დროს და შემდეგ იკარგება. რეალურ ცხოვრებაში ადამიანი არ გრძნობს თავის ამ საქციელზე დაფიქრების საჭიროებას, რადგან მის ცნობიერებაში არ დევს ცოდნა, რომელიც ნადირობას ცოდვად მიიჩნევდა. კაცობრიობამ თავისი განვითარების გარიჟრაჟიდან ნადირობით დაირჩინა თავი და, ბუნებრივია, ადამიანისათვის ეს ჩვევა სისხლხორცეულია. ადამიანი მომხმარებლის თვალით უყურებს ბუნებას და ეს არა მარტო პრიმიტიული საზოგადოებისათვის არის ნორმა, არამედ განვითარებულისთვისაც. „შვლის ნუკრის ნაამბობში“ ვაჟას მიერ წარმოსახული მხატვრული სიმართლე (აღსანიშნავია, რომ ვაჟამ ეს კონფლიქტი, უკვე გამრავალფეროვნებული და სხვა ხარისხში აყვანილი 1901 წელს „გველის მჭამელშიც“ გაიმეორა) განსაკუთრებული, საგანგებო სიმართლეა, პერსონაჟებს შორის დაპირისპირების შეფასება კი – უტრირებული.

ადამიანისაგან ბუნების შვილებისადმი გულგრილი დამოკიდებულების დაგმობას ეძღვნება მოთხრობა „ია“. ვაჟა აქაც კონტრასტის ხერხს მიმართავს: ხატავს ბუნების შვილთა ერთ-მანეთისადმი გამოჩენილ კეთილგანწყობას, მათ ჰარმონიაში ცხოვრებას, სიკეთით გაფუფუნებას. ვაჟა მოგვითხრობს, რომ ია ტყის

ყველა ბინადარს უყვარს, ყველა დაჰხარის, ხეები წვიმისაგან იცავენ და ზრუნავენ მის სიცოცხლეზე.

ამ იდილიურ ყოფაში შემოიჭრება ადამიანი, როგორც დამთრგუნველი და სიცოცხლის მიმტაცებელი ძალა და... ვაჟას პოზიცია იის ნათქვამში მჟღავნდება: „რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს“. შემდეგ ვაჟა ასახელებს მაგალითებს იმისას, როგორ წააქცევს კაცი „მშვენიერს ტოტგადართხმულს წიფელს“, მოკლავს ნაცნობი ადგილების ხილვით ამღერებულ ქედანს... (იქვე, 35).

როგორც ვხედავთ, ვაჟას მოთხრობების ადამიანი-პერსონაჟები ვერ ახერხებენ ბუნების მშვენიერებით დატკბობას, რადგან მათი პრაგმატიზმი მრავალჯერ აჭარბებს სამყაროს ესთეტიკური აღქმის ღვთით მონიჭებულ უნარს. მწერალი აქ საგანგებოდ აკეთებს აქცენტს ამ დაპირისპირებაზე. ბუნებაში, გვეუბნება ვაჟა, მეტი ჰარმონია შეიმჩნევა, აქ უფრო მეტად ზრუნავენ ერთმანეთზე, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენება იას.

სიკეთე სხვადასხვაგვარად ვლინდება. იას მხოლოდ გარშემო დამათრობელი სურნელის მოფრქვევით შეუძლია სიკეთის ქმნა, თუმცა მეტის სურვილიც გასჩენია, სიმღერის ნიჭზე ოცნებობს...

ვაჟა ვერ ურიგდება ბუნებასა და ადამიანს შორის კავშირის გაწყვეტას. იგი წუხს, რომ ადამიანებში სიხარბე და უგუნურობაა მომძლავრებული. რა თქმა უნდა, ვაჟასთვის უმაღლესი ოცნება ადამიანის ბუნებასთან ჰარმონიაში შესვლა იყო, თუმცა...

მოთხრობაში **„კურდღელი“** ვაჟა ჰყვება კურდღლის თავგადასავალს, რათა გვიჩვენოს ადამიანის მზაკვრობის კიდევ ერთი მაგალითი. მწერალი გადმოგვცემს სარიყლაპიას ნაამბობს და თან დასძენს: „ღორის ღრუტუნსა ჰგავდა იმისი ხმაო“. პერსონაჟის ზედმეტი სახელითა და მისი ხმის დამამცირებელი ეპითეტით შემკობით ვაჟა გვიმუღავნებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას კაცისადმი, რომელმაც მონადირეებისგან გამოქცეული კურდღელი თავის სახლში შეუშვა. „შეშინებული კურდღელი ტახტქვეშ შემძვრალიყო და კუთხეში მიკუნჭულიყო... რომ დამინახა, – მოგვითხრობს სარიყლაპია, – ამობრუნდა გულაღმა, ფეფებს დაუწყო თამაში, შიშისაგან აკანკალდა და თითქოს მეხვე-

წებოდა, ნუ მომკლავ, თუ ღმერთი გწამს, ვითომ შენი სტუმარი ვყოფილვარ, შემიბრალეო... მეც ისე ვაჩვენე თავი, როგორც მოკეთემა: ავიყვანე ხელში, გადავუსვი ზურგზე ხელი... გადავეცი მაშინვე მზარეულს..." (იქვე, 60).

არც ყველა მონადირეა ერთნაირად ხარბი და შეუბრალებელი, – გვარწმუნებს ვაჟა, როცა მოგვითხრობს ამბავს **„ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება"** (ვაჟა ფშაველა, VI, 1964: 134). ცნობილი მონადირე, გამიხარდი, თვითმხილველია მგლისა და ირმის ორთაბრძოლისა, იმისა, როგორ იმარჯვა ირემმა, არაგვში შეცურა და გადაირჩინა თავი.მგელი დაუოკებელი მდევარი გამოდგა, რამდენჯერმე მიეტანა ირემს მდინარეში, მაგრამ ნადირი ფეხებს ვერ უწვდენდა დედამიწას და ჩქარი არაგვის წყალი იტაცებდა, გონიერი ირემი კი თავს შველიდა... მგელი როცა ისევ შევიდა საიერიშოდ მდინარეში, გამიხარდიმ ესროლა და სამუდამოდ ჩააჩუმა მისი ჟინი. „ირემი კი იქვე იდგა გაჩერებული, ვერ გაეგო, რა მოხდა; იდგა წყალში გაყუჩებული და თვალი იქით ეჭირა, საიდანაც მგელს მოელოდა", მერე გაიქცა.

თავისი საქციელით კმაყოფილმა გამიხარდიმ უკან დაადევნა გაქცეულ ირემს: „არ მოგკლავ, წადი მშვიდობით, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!"

ვაჟას რეალობის შეგრძნება არ ღალატობს და გამიხარდიზე გვამცნობს: გამიხარდი კი დარწმუნებულია, რომ სწორად მოიქცა, იმიტომ არ გააგდებინა მგელს ირემი, რომ თავად მოეკლა და ისედაც ცოდვილი სული უფრო დაემძიმებინა.

ვაჟა ფშაველასათვის სისხლხორცეულია ცოდნა იმის შესახებ, რომ ქვეყნიერების არსებობისა და განვითარების საფუძველს დაპირისპირება ქმნის, რომ ოპოზიციის გარეშე ცხოვრება ჩაკვდებოდა, სიცოცხლის გაგრძელების საშუალება მოისპობოდა. მწერლის მოთხრობებში დაყენებული პრობლემა მარტო ბუნებისა და ადამიანის ოპოზიციით არ შემოიფარგლება. ვაჟა განიხილავს ადამიანებს შორის მძაფრი დაპირისპირების მაგალითებსაც, რაც საბოლოო ჯამში, კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართების პრობლემას წარმოადგენს.

თავი VIII

ახალი დრო: პიროვნება და ტრადიციული საზოგადოება

„ალუდა ქეთელაური" ვაჟას ზეპირსიტყვიერებასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად არის აღიარებული. ამის დასაწერად ბიძგი სრულიად უმნიშვნელო ამბავს მიუცია. „ალუდა ქეთელაურს, – წერს ვაჟა, – ქისტებმა ცხენი მოჰპარეს, ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს, ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება ალუდასი, მაგრამ მოჰკლავს მას თავის ვაჟკაცობით და როცა ჩამოვარდება საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰლევს ალუდა ქისტისას – ლუდს ან არაყს. მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირი გადმოცემა არაფერს გვეუბნება. ხალხური თქმულებისა მთელი თავი და ბოლო ეს არი (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:365).

ვაჟა ფშაველას მიერ დასახელებული „უბრალო შემთხვევა" ორი კონფლიქტის შემცველი ამბავია. პირველი მათგანი ბრძოლას ასახავს, მეორე – ხევსურისაგან „მოუნათლავი შვილის" შესანდობარში მოხსენიებას, რაც ქრისტიანულ საზოგადოებაში დაიგმობა. სწორედ ეს მეორე საკონფლიქტო მოტივი ხდება პოეტის ყურადღების წყარო, რომლის გაღრმავება-გამრავალფეროვნებამ მოგვცა ასეთი წარმატებული შედეგი.

„ალუდა ქეთელაური" კონტრასტებზე აგებული პოემაა. მთისთვის, კერძოდ ხევსურული თემისათვის, ჩვეული წესებით ცხოვრობს ალუდა ქისტ მუცალთან შეხვედრამდე, მაგრამ, როგორც კი დარწმუნდება, რომ „...მუცალსა რკინა სდებიყო გულადა!" (ეს ერთ-ერთი მოტივია ალუდას ქისტით მოხიბვლისა) ბზა-

რი ჩნდება მის ადრინდელ ტრადიციულ მსოფლგაგებაში. თუ აქამდე დავლათიანი ალუდა „საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი, ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი", ახლა, მუცალის მოკვლის შემდეგ, აღარც საფიხვნოს თავს იხილავს და ველარც ძველებურად გარჯის თავის ხმალს. მთავარი ამ აქტში ის არის, რომ თავად ალუდა ახდენს წინათ მნიშვნელოვნად მიჩნეულ ღირებულებათა გადაფასებას.

ვაჟა ფშაველა მკითხველს ალუდას გარდაქმნის პროცესის მონაწილედ ხდის და დიდი ემოციური ზეგავლენით „აიძულებს" გმირის მხარეზე დადგეს. თავად გარდაქმნის პროცესი ჯერ მუცალთან ბრძოლისა და შემდეგ მიცვალებულთან მარტო დარჩენილი ალუდას ფიქრთა მდინარებით არის გაფორმებული და გამოირჩევა ღრმა და დახვეწილი ფსიქოლოგიზმით.

პოეტის ოსტატობა ამ ეპიზოდში შეუდარებელი ძალით გამჟღავნდა. ალუდას მუცალისა მოეწონა ჯერ ბრძოლის დროს გამოჩენილი მედგარი წინააღმდეგობა, შემდეგ ქისტის სიკვდილთან ჭიდილი (წყლულში მწვანე ბალახის ჩატენა) და ბოლოს, საკუთარი თოფის ჩუქება ალუდას მუცალისეული შეფასება-აღიარებით:

„ეხლა შენ იყოს, რჯულძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა".

(ვაჟა ფშაველა, III, 1964:60)

ეს ერთი მოქმედების სამი ნაწილია, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი, „ეფექტის ზრდის" პრინციპით აგებული. პოეტი საგანგებოდ ზრუნავს მოქმედებათა ამ ჯაჭვით ემოციურად დატვირთოს მკითხველი და ისიც ფსიქოლოგიურად სრულიად შეუმზადებელი ხვდება ვაჟა – ალუდას ნათქვამსა და მოქმედებას:

„ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა, როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
თავით დაუდვა ხანჯარი...
გულზედ ძეგლიგი დაადვა,

მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
მარჯვენას არ სჭრის...“

ალუდას საქციელს აგვირგვინებს მისი მიმართვა მუცალისადმი:

„ვაუკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
მკლავზედავ გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო...“

აქ მკითხველის გაკვირვებას ის უწყობს ხელს, რომ აქამდე, უფრო სწორად ახლაც, ალუდას სხვა მისწრაფებების კაცად ვიცნობდით. სულ ცოტა ხნის წინ აკი მან გაძარცვა და მარჯვენაც მოაჭრა მუცალის ძმას! აკი ქისტების დადევნებამდე მისი ქავის კარზე „ხელებ ჯღრდესავით“ ეკიდა! მაშ ალუდას ახლა რად „არ ეწონება თავია, პირს დასწოლია ნისლები, გულით ნადები, შავია?“ ეს ჯერ კიდევ არ იცის თავად ალუდამ. ჯერ ყველაფერი არ გაუანალიზებია, ჯერ ვერ გარკვეულა თავის გულისთქმაში, რომელიც ეძალება ხევსურს და სჯაბნის კიდეც. ამ ეპიზოდში წარმმართველია ალუდას შეგრძნება, გაუცნობიერებელი საქციელი. ალუდა ხევსურთა თემში ერთადერთია, ვისაც ასეთი გრძნობა დაეუფლა მტერთან ჭიდილისა და, რაც მთავარია, მასზე გამარჯვების დროს. მაგრამ ეს მხოლოდ შეგრძნებად, ფიქრად არ რჩება, ალუდა პირველად თავის სიცოცხლეში უარს ამბობს ჩვეულ საქციელზე – დამარცხებულისთვის მკლავის მოკვეთასა და მის გაძარცვაზე. უფრო მეტიც, ალუდა მინდორში ყვავ-ყორანთა საჯიჯგნად კი არ აგდებს მუცალს, არამედ აპატიოსნებს მის ცხე- დარს.

ძველი, ტრადიციული რწმენა-ჩვევების პიროვნებისაგან ახალი, პროგრესული გმირის ჩამოყალიბების, პირველი ეტაპი დაგვირგვინდა ალუდას რწმენის შერყევით – თურმე მარტო ხევსურნი (ქრისტიანნი) არ ყოფილან თავი და თავი ადამიანთა მოდგმისა, თურმე მარტო მათ არ ზრდიან დედანი!

ალუდას ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნის მეორე ეტაპი გაცილებით რთული და მტანჯველი გამოდგა. „ალუდა ქვესკნელშია და ეს ქვესკნელი სიზმრის მეშვეობით განხმული მისი-

ვე ქვეცნობიერებაა, სადაც ქეთელაურის ადამიანური თვით-დადგინების მისტერია სრულდება" (ჩხენკელი, 1989:122). ალუდას სიზმარს მითური პირველყოფილებით იმიტომ ამძიმებს ვაჟა ფშაველა (ზანდუკელი, 1966:138; კალანდარიშვილი, 1969:92), რომ უფრო გაამძაფროს გმირის განცდა. საღი განსჯის უნარით დაჯილდოებულ ალუდას, გარდაქმნის გზაზე შემდგარს, მაგრამ ჯერ კიდევ შებოჭილს ტრადიციებით („გუმანი მქონდა სალაშქროდ") ამ სიზმარმა საბოლოოდ უნდა აუხილოს თვალი თავისი და თანამოძმეთა ცხოვრების წესზე. სიზმარში ალუდა კონკრეტული შინაარსის „ფაქტებს" ხედავს, ადარებს მათ ერთმანეთს და განსჯის.

სალაშქროდ გამზადებულ ალუდას, რომელიღაც გარდაცვლილი ხევსურის ქელეხში მყოფს, ჭრილობამოუშუშებელი მუცალი ხანჯლის ტარს ჩაუდებს ხელში და ევედრება მოკლას („მინდა სიკვდილი, არ ვკვდები, მამკალო, მითხრა ხვეწნითა..."). სიზმრის ამ მონაკვეთში პოეტის მიერ ისეა მოტანილი ამბავი, რომ გამოჩნდეს სინანული მუცალის მოკვლის გამო, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს თვით ქისტის მოწოდება („დაძეღით, ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა"). სიზმრის მეორე ნაწილიც მძაფრი ემოციებით არის აღბეჭდილი. ქელეხში ალუდას:

„...ჯამ ვინამ დამიდგა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცაღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო – რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული".

ადამიანის ხორცის ჭამის გამო ალუდა ჯავრობს, თავის თავს უმსგავსს, შეჩვენებულს უწოდებს, მაგრამ ალუდას წინააღმდეგობის უნარი აქვს წართმეული, ვერაფერს უხერხებს დამძალებელს.

მტანჯველ სიზმრისეულ ხილვათა ამ ჭიდილში უნდა გაარკვიოს ალუდამ საგანთა რაობა, ავი და კარგი, უნდა გადააფასოს თავისი ცხოვრების წესი, მიიღოს ან დაგმოს ის ახალი, რომელიც ძლიერ იზიდავს თავისკენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუცვნია ბოლომდე. ალუდამ არჩევანი უნდა გააკეთოს, რომ ახლა, ამ ასაკში, მიგნებული პიროვნულის, ინდივიდუალურის, ჰუმანურის შენარჩუნება შეძლოს.

ვაჟა ფშაველას მიერ შექმნილი სიზმრის კონტრასტები შედარებისა და არჩევანის საშუალებას იძლევა გონდაწინაურებული ყმისათვის. სწორედ ერთმანეთთან შეპირისპირების გზით უნდა მივიდეს ალუდა ახალ სინათლემდე.

პოემის მესამე თავში, რომელიც სიზმრისეული შთაბეჭდილებების გადმოცემით მთავრდება, ალუდას არჩევანზე ვაჟა გარკვევით არაფერს გვეუბნება, ოღონდ ანგარიშგაუწევლად ვერ დავტოვებთ იმას, რომ სიზმრებმა ალუდა დ ა ტ ა ნ ჯ ა, აღარც ჭამა შეუძლია გ უ ლ შ ე კ რ უ ლ ს, რადგან კაციჭამიობის აქტის საშინელებას ეზიარა, შეიგნო მისი უმსგავსოება.

ახალი ცოდნით აღჭურვის საფუძველზე ალუდას გარდაქმნა ტრაგიკული შეიქმნა თავად ხევსურისათვის, რადგან იგი იმავე საზოგადოებაში განაგრძობს ცხოვრებას, რომელშიც ადრე იყო, თემს კი არ ესმის მისი. ისინი უკვე სხვადასხვაგვარად აზროვნებენ და, შესაბამისად, ერთმანეთის ნათქვამსაც ვეღარ იგებენ.

მინდიას მიერ მუცალის მარჯვენის მოტანის დროს ალუდა შატილიონის წინააღმდეგობას იმით აღუდგა წინ, რომ საჯაროდ განაცხადა უარი მარჯვენის მოკვეთაზე, როგორც მოკლულის ღირსეულ სამკაულზე, ხოლო მკვლელისთვის უსარგებლო საგანზე:

„რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა“.

მაგრამ თემის გონი ყრუა. ხევსურები ნათქვამში ჩაწვდომას ვერ ახერხებენ. ამიტომაა, რომ ალუდას ნათქვამზე:

„მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა“ –

თემის პასუხი სტანდარტულია.

თემთან სხვა რწმენითი პოზიციიდან გამართულ პაექრობას ალუდასათვის ჯერ კიდევ არ მოუტანია ვნება. ალუდას „ცოდობრალით“ მინათლულად მიაჩნია ხევსურთა თემის ბობოქარი ხმა: „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.

ახალი შეგრძნებებით სავსე და ამავე დროს განცდებით დატანჯული ალუდა ახალი, კულმინაციური ნაბიჯის გადადგმას „საუფლო ჟამის“ დღეს აპირებს. ხატობაზე თემის სახელით მოქმედი ხევისბერისა და ალუდას ინტერესთა შეჯახება ზღვრულ დაძაბულობას აღწევს: ალუდამ თემისთვის გაუგონარი რამ ჩაიდინა – მოზვერი მოიყვანა მოუნათლავი მუცალის სულისთვის შესაწირად. მან იცის, რასაც სჩადის, ამიტომ მორიდებით უსახელებს ბერდიას თავისი სამხვეწროს სახელს, შემდეგ იმის თხოვნაც არ ავიწყდება: „ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ... ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისაო“, მაგრამ შეუვალია ბერდია და მის უარს თავისი ლოგიკა აქვს.

გაჯავრებული ალუდას მგლის ფერის დადება და მოზვრის საკუთარი ხელით დაკვლა თემისთვის ყოვლად შეუწყნარებელი ქმედებაა. ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებივით არიან დაშორებული ერთმანეთს თემისა და ალუდას შეხედულებები. მათი თანაარსებობა ისევე შეუძლებელია, როგორც მოპირდაპირე მთათა შეხვედრა. თემს თავისი სამართალი აქვს, ალუდას – თავისი.

ვაჟას ცდით „ალუდა ეზიარა იმ უნივერსალური ღმერთის ჭეშმარიტებას, რომლისთვისაც არ არსებობს მტრად და მოყვრად, რჯულიანად და ურჯულოდ, ცოდვილად და უცოდველად გათიშული კაცობრიობა. ყოველივე ერთი და იგივეა, და ყოველი ერთიანია ღმერთის საუფლოში (ჩხენკელი, 1989:130-131). ალუდა ბნელით მოცულმა თემმა მოიკვეთა და ეს განაჩენი ხევსურს არ გაჰკვირვებია. ალუდას მაინც ახალი სამყოფი უნდა მოეძია, რადგან მსოფლმხედველობრივად აღარაფერი აკავშირებდა თავის მოძმეებთან, ძველებურად ცხოვრება კი აღარ შეეძლო.

ალუდა ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ახალი ტიპის გმირია და განასახიერებს ახალი დროის იდეალს.

„სტუმარ-მასპინძლის“ წყაროს საკითხზე ვაჟა ფშაველამ ორჯერ დაწერა – 1911 და 1914 წლებში. მეორედ, იპ. ვართაგავა-სადმი გაცემულ პასუხში პოეტი უფრო დაწვრილებით საუბრობს: „სტუმარ-მასპინძელი“, – წერს ვაჟა, – არის აშენებული შემდეგ ამბავზე: ზვიადაური ხევსური შემთხვევით ჩაუვარდა ქისტებს ხელში, რა შემთხვევით, ეს მე არ გამიგონია, მაშასადამე, ჯოყოლას შეხვედრა და მის მიერ ზვიადაურის შინ მიპატიჟება და შეპყრობა, ეს ავტორის საკუთრებაა. ქისტებს, მოგვითხრობს ძველი ამბავი, ჰყავთ ახალი მკვდარი, ვიღაცა ხევსურისაგან მოკლული. თანახმად ჩვეულებისა, საჭიროა სისხლის აღება. თვით მიცვალებული თხოულობს ამას და რათა დააკმაყოფილონ იგი, დააშოშმინონ გარდაცვალებული თანამოძმის აღტყინებული გრძნობა შურისძიებისა, ქისტები ჰკლავენ ზვიადაურს დარლას (ამბით ქისტის სახელი არ გამიგონია) საფლავზე. ამ დაკვლის დროს დიდი ვაჟკაცობა და გულადობა გამოიჩინა ხევსურ ზვიადაურმა. რაში გამოიხატება ეს ვაჟკაცობა? ვაჟკაცობა ხევსურისა იქიდანა სჩანს, რომ ის არ დალაჩრდა, თუმც ხანჯლის წვერით ყელში სჩხვლეტენ ქისტის საფლავზე ხარივით წამოქცეულს სამსხვერპლო ზვიადაურს და როცა ქისტები იტყოდნენ: – იყავ საიქიოს მონა-მოსამსახურე დარლასი, უზიდე წყალი, გაუბანდე ჯღანი, რაც სამსახური მოითხოვოს შენგან თავგამოდებით, ერთგულად აუსრულო, – ეს უკანასკნელი ვიდრე სულს დაჰლევდა ხრიალებდა ყელში: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო“. რომ შეშინებულიყო ზვიადაური, ამ სიტყვებს ვეღარ იტყოდა და მაშინ შეწირული იქნებოდა, გახდებოდა ქისტის მონა საიქიოს, მაგრამ რადგან იგი უკანასკნელ ამოქშენამდე არ შედრკა, არ გატყდა, არ მოიხარა ქედი წინაშე მტრებისა და სიკვდილისა, იგი დარჩა თავისუფალ ხევსურად, ვაჟკაცად, ხოლო დარლა გაწბილებული, დაუკმაყოფილებელი. აი, მთელი ამბავი, რომელზედაც მე ავაშენე „სტუმარ-მასპინძელი“. მაშასადამე, ჯოყოლა, აღაზა და ამ უკანასკნელის გლოვა ზვიადაურისა, აგრეთვე გალაშქრება ხევ-

სურებისა ზვიადაურის ნეშტის გადმოსასვენებლად და სხვა, ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაცოდვილარი (ვაჟა ფშაველა, IX, 1964: 363-364).

დადგენილია, რომ პოემა „სტუმარ-მასპინძლის" ფოლკლორული წყაროა გავრცელებული ლექსი ლუის ლუხუმზე, რომელიც ლეკებმა მსხვერპლად შესწირეს მკვდარს. მ. ჩიქოვანი ასახელებს ლექსის რვა ვარიანტს. ისინი ჩაუწერიათ ბაჩანას (1898 წ.), დავით როსტომაშვილს (1897 წ.), ივანე ბუქურაულს (სამი ვარიანტი), თ. რაზიკაშვილს, გ. ლომთათიძეს, გ. ზვიადაურს. ხალხურ ტექსტებში მოქმედება ხდება თუშეთში, გვიან შემოდგომაზე (ჩიქოვანი 1961: 41).

„უმაღლესი ხარისხი შურისძიებისა, – წერს თედო რაზიკაშვილი თავისი ჩანაწერისათვის დართულ კომენტარში, – ან უკეთ, სისხლის აღებისა ეს იყო, რომ თუ მკვლელს ჩაიგდებდნენ ხელში, ცოცხალი მოკლულის საფლავზე უნდა დაეკლათ და თან იტყოდნენ: „შენი მსახურიმც იქნება, მაატანინე წყალიო!" ასე იქცეოდნენ ყველა მთიელები, როგორც ქრისტიანები, ისე მაჰმადიანები. ლუხუმიც ლეკის საფლავზედ დააყენეს, უნდა დაეკლათ ზედა".

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გამოჩნდეს, რა შექმნა ვაჟამ, მოვიტანთ ხალხური ლექსის ერთ ვარიანტს:

„...მთით ლეკის მონადირემა ლუხუმს მოჰკიდა თვალია,
შეუღეს შუაღამის ხანს ლუხუმსა ბოსლის კარია.
გამაიძიეს ბოსელი, ლუხუმ მოხელეს ვაჟია.
„ვაი დედას ლუხუმისასა! თოფმ დამიმტვრია ტალია,
აღარც გადმომყვა ხანჯალი, მედინა სისხლის ღვარია".
გამაიყვანეს ლუხუმი, ვიწროდ შეუკრეს მხარია,
გამართეს სალეკეთოდა, წინ დაუყენეს ცხვარია,
ჩამაიყვანეს ლეკეთში, შამაეხვევა ჯარია.
„ეს თუ იყო ლუის ლუხუმი, ეს ჩვენი ნიავ-ღვარია?"
იყიდა ჭირის პატრონმან, სულ გაიტანა (რვალია).
საფლავზედ შემაახდინეს, როგორც ნაკურთხი ხარია.
შეხდა, შეშუპრდა ლუხუმი, „წელთამც შემარტყა ხმალია!"

(შანიძე, 1931: 143 გ)

აი, ის ამბავი, რომელიც ვაჟას უნდა სცოდნოდა პოემის წერისას. ამ ფრაგმენტს აკლია ის ნაწილი, რომელშიც თუშეთიდან მოტაცებული ქალი ლუხუმს თანაუგრძნობს, ეხვეწება ლეკებს, არ მოკლან ვაჟკაცი. თავად ლუხუმის პასუხში ქედმოუხრელობაა გამოხატული:

„ქალმა შეხედა, ატირდა,–„ლუხუმს ნუ მოჰკლამთ, ბრალია!"
„– ქალო, შენც თუში, მეც თუში, ჩემ სიკვდილ არა ყამია.
კიდენ დარჩება თუშეთში, მაღლ შემოირტყას ხმალია,
შორად წაიღოს საგძალი, მტრისა არ ჭამოს ჯავრია".

(იქვე)

ვაჟა ფშაველა ხალხური ლექსის ყველა ამ მონაცემით სარგებლობს, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ორიგინალური ნააზრევით ამდიდრებს საერთოდ პოემას და იმ ადგილებსაც კი, რომლებსაც ხალხურიდან სესხულობს.

რაც შეეხება ვაჟას პოემის სათაურში გამოტანილ თემას, სტუმარმასპინძლობას, ფოლკლორში ამ თემაზე მრავალი ნაწარმოებია შექმნილი. ა. შანიძეს და მ. ჩიქოვანს დაძებნილი აქვთ ხალხური თქმულებები ამ თემაზე. მაგალითად, ბალადა „შიოლა და მთრეხელი", რომლის ერთი მოტივი გარკვეულად ეხმიანება პოემის მოტივს სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობიდან. გადმოცემის მიხედვით, შიოლა ღუდუშაურის მკვლელი მთრეხელი, რომელსაც შურისმაძიებლები მისდევდნენ, შეეცდება ეკლესიას შეაფაროს თავი, მაგრამ სამლოცველო დაკეტილი დაუხვდება. შეშინებული მთრეხელი შიოლას დას მიადგება კარზე და იმას სთხოვს შემწეობას:

„...მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი დისასა:
„დაო, ვერ შემინახავდი? ცხონებას შენის ძმისასა!"
„ – წამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა"

(იქვე, 42)

და შიოლასი, რომელმაც მოსისხლე შეიფარა, შეევედრა თანამოძმეებს, არ მოეკლათ მთრეხელი:

„ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო, ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა!"
კარისას არ გაუტივნა, საკვმით დაუკვრენ ისარსა.

(იქვე)

ა. შანიძის მიერ ძირითად ტექსტად გამოქვეყნებულ ვარიანტს დართული აქვს განსჯა სტუმრის დაუცველობაზე:

„ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა,
თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბელელაის ძისასა, –
ვერ შეინახა სტუმარი, ვაი ვა დედას მტრისასა!"

(იქვე)

მეორე ხევსურული გადმოცემის მიხედვით, ქისტებსა და ხევსურებს შორის სტუმარმასპინძლობის ადათი სასახელოდ არის დაცული. ხევსური ადუა მიადგება კარზე ქისტ ასმათს, რომელსაც ბევრი სისხლი ჰმართებია არხოტოვნებისა („ისრ ქისტებ არხოტოვნებს არ მახკვლენ, რომ ეს ასმათ არ ეტანას", – გვაუწყებს ბესარიონ გაბური). ასმათს უცვნია სტუმარი, „მაგრამ კარზე მისულს სტუმარს როგორ მახკლებდ?!" ხიფათი რომ გაუგია, ასმათს მაშინვე შეუყვანია ადუა თავის სახლში, გაუთბია, თვითონ გამოსულა და მეზობელ ქისტებისათვის შეუტყობინებია ამბავი, შეუყრია ექვსი კაცი და გამართულან ადუას წინამძღოლობით გიგიასკენ (ეს ის ხევსური მონადირეა, რომელიც შემთხვევით დაჭრა ადუამ). რადგან ამასობაში საღამო ხანსაც მოუტანებია და არხოტს ველარ მიაღწევდნენ, ასმათს ურჩევია: ამაღამ ჩემთან წამოდით, კარგად მოგივლით და ხვალ კი არხოტს გაგაცილებთო. ესენიც დათანხმებულან... მეორე დღეს ასმათს მიუცია თავისი ცხენი და წამოუყვანია გიგია არხოტში (იქვე, 557-8).

ჩვენ წინაშეა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ამბავი. ერთგან ურთიერთობას წარმართავს მტრობა ქისტებსა და ხევსურებს შორის, მეორეგან – კეთილმეგობრული დახმარება, მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა დროს მათ შორის ძალაში რჩება მტრობა. უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და, საერთოდ, კავკასიისათვის ორივე ეს ამბავი ნორმის ფარგლებში რჩება. ჩვენს ყოფასა და ზეპირსიტყ-

ვიერებაში მრავალი შემთხვევაა დადასტურებული სხვადასხვა რელიგიური რწმენისა და ეროვნული კუთვნილების ადამიანთა (უფრო ხშირია ქისტისა და ხევსურის, თუშისა და ლეკის) მეგობრობისა. ასეთი ურთიერთობები მუდამ იყო საგანგებო ყურადღებისა და შექების ღირსი.

ვაჟა ფშაველამ, ჩანს, ორივე შემთხვევის შესახებ იცოდა, მაგრამ პირველი ისტორიით დაინტერესდა, რადგან მხოლოდ მტრობის საკონფლიქტო მოტივის შემცველი ამბავი გამოადგებოდა შემოქმედებითი დამუშავებისათვის. რაც შეეხება ამბის მხატვრულ გააზრება-გადაწყვეტას, გმირთა ხასიათების ხატვას, აქ პოეტის ორიგინალური თვალთახედვა და ოსტატობა იყო წარმმართველი და შედეგიც მასზე დამოკიდებული.

„სტუმარ-მასპინძელში" ვაჟა ფშაველა სამივე მთავარ გმირში ხედავს იდეალს, ოღონდ ზვიადაური და ჯოყოლა ერის შენახვისთვის აუცილებელ ტრადიციულ ფასეულობებს (შეუდრეკელობა--გაუტეხელობა, ძმობა-დანდობა) განასახიერებენ, აღაზა კი ახალი დროის პირმშოა, თავისუფალი განსჯისა და მოქმედების უნარით შეჭურვილი. თუ ალუდა ქეთელაურის სახით დიდმა პოეტმა მეამბოხე სულის კაცი დახატა, რომელიც რეალურმა შემთხვევამ დააპირისპირა კარგი ვაჟკაცისთვის მარჯვენის მოკვეთის მისგან უკვე ფუნქციადაკარგულად გამოცხადებულ წესს, ჯოყოლას უხდება საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული კეთილი ადათის დაცვა.

ვაჟა ფშაველას უყვარს თავისი რჩეული გმირები და ისე წარმართავს პოემის მოქმედებას, ისეთ ასპექტებში წარმოაჩენს მათ ბუნებას, რომ მკითხველს გადასდოს თავისი გრძნობა და განცდა.

პოემაში მოქმედება ღამის წყვდიადში იწყება და ასევე წყვდიადით მთავრდება. უკუნი ღამის წყვდიადი ალბათ უნდა გავიგოთ უპერსპექტივობის, უმეცრების, გონებრივი სიბნელის სიმბოლოდ. ვაჟა ჩაკეტილ წრეში მოქცეულ სამყაროზე მოგვითხრობს. ამ გაურღვეველ წრეში ცოტა ხნით შეაღწია მზის სხივმა, სიკეთის იმედი გააჩინა, მაგრამ სწრაფად გაქრა. ამ სხივით წყვდიადი, მართალია, ვერ განათდა, მაგრამ კვალი ყოფილი სინათლისა მაინც დარჩა.

წყვდიადში ჩაფლული გამტკნარებული სახის მიდამო მრავლისმთქმელი მეტაფორაა. აქ ადამიანებს უჭირთ ცხოვრება, უსულგულობის ატმოსფეროა დამკვიდრებული, ძალმომრეობა მეფობს. ამიტომაა, რომ პირველივე აქაური კაცი სულიერებისაკენ მიისწრაფვის და უცნობ შემხვდურს დიდ სითბოს აძლევს. პოეტს ამბავი ფსიქოლოგიური სიღრმით გაუაზრებია. იგი თხზავს სევდიან მოთხრობას სულის მიერ სულის ცნობისა და მომავალი ურთიერთგაგება-მეგობრობისას, რომელსაც შესაშური პერსპექტივა ჰქონდა, მაგრამ ვერ შედგა. ყრუ გონებამ სიკეთე, რომელიც თავისთავად, ძალდაუტანებლად გაჩნდა, ფეხქვეშ გაქელა, მაგრამ კვალი, განგების ძალით, მაინც დარჩა, რათა კვარივით მუდამ ებურტყა.

ჩვეულებრივ, ყოფით გარემოში იწყებს ვაჟა პოემის მოქმედებას ტრადიციული ცხოვრებით მცხოვრები ქისტების თემში, სადაც ჯგუფი ადამიანებისა ერთპიროვნულად განაგებს ყოველივეს და შეუვალია მაშინაც კი, როცა ცდება. ვაჟა პირველი შესაძლებლობისთანავე გვაცნობს ჯარეგაში დამკვიდრებულ ზნეობრივ კლიმატს: მოხუცი კაცი ჩონგურზე მღერის წინაპართა გმირობის ამბებს იმაზე, თუ:

„... როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა“.

(ვაჟა ფშაველა, III, 1964:211)

ეს არის ქისტთა თემის ცხოვრების მამოძრავებელი ძალა. ამას იქით არ მიდის თემური საზოგადოების თვალთახედვა.

პოემის პირველივე სტრიქონებში ამჟღავნებს ვაჟა თავის მიზანს – უარყოფითი ემოცია უნდა აღუძრას მკითხველს:

„ღამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებულის სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.
ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე,
გულამღვრეული ჯავრითა“.

მკითხველისთვის პირობითად უარყოფითია შემდგომი ინფორმაციაც, რომელიც მთავარ გმირს შეეხება: „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,/ კაცი რომ მოდის გზაზედა“. თავად გმირისა და მისი გარემოსათვის ეს სურვილი, ბუნებრივია, არ შეიცავს არავითარ დასაძრახისს. ამ გამონათქვამის შემდეგ ვაჟა სისხლის მაძიებელ კაცს სულ სხვა ასპექტში წარმოგვიდგენს და ამ კონტრასტის შექმნით დაგვაფიქრებს თავისი გმირის ბუნებაზე. ქისტი ჯოყოლა უხვი და გულგახსნილი კაცი გამოდგება, გზააბნეულ უცნობს (მიუხედავად იმისა, რომ მასში ქისტების ტრადიციული მტერი – ხევსური შეიცნო) ისე მოექცა, როგორც კარგ ნაცნობს ან თუ მეგობარს: ახლადგაცნობილს ჯერ ნანადირევის გაყოფა შესთავაზა, შემდეგ შინაც მიიპატიჟა.

ჯოყოლას ნათქვამსა და მოქმედებაში ნაძალადევი, ზრდილობისმიერი ან ყალბი არაფერია. ქისტის ხალასი ბუნება ამას ვერ შეეგუებოდა ალაჰის დიდი რიდის გამო. გულგახსნილ ჯოყოლას თითქოს სიფრთხილე არ აკლია: „არ მოგვიხდება ერთურთში, /სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა“, – ეუბნება იგი სტუმარს, თუმცა ეს ნათქვამი ზვიადაურისადმი უნდობლობას კი არ გამოხატავს, უფრო ჯოყოლას ალალმართლობას ახასიათებს. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი კაცისთვის ხელის გაწვდა ჯოყოლას მხრივ მარტო მოვალეობის მოხდა არ არის. მას ხევსურთან დაახლოების, სამომავლო მეგობრობის საძირკვლის ჩაყრის პერსპექტივაც აქვს. ჯოყოლა ამას თავად აღნიშნავს: „მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან,/ ნათლიმამასთან – ნათლია“.

ჯოყოლას თანამოძმენი უსაყვედურებენ გონების თვალის სიბრმავეს. დროული ქისტი ამაზე მართებულად მიუთითებს. ხევსურის შინ მიპატიჟებისა და მასპინძლობის დროს ჯოყოლას მოქმედების წარმმართველი უფრო მეტად გრძნობაა, ვიდრე ცივი გონება. საერთოდაც, ემოციური ადამიანია ჯოყოლა. მას ისიც ეამაყება, რომ ცოლად ჰყავს „ვარსკვლავი, ციდამ მოცლილი“ და ზვიადაურიც გულით მოსწონს. ქისტი თავისი მასპინძლობითაც კმაყოფილია, მაგრამ ყველაზე მეტად სხვა რამ ახარებს:

„ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
ერთად შევთვისდეთ სულითა...“

ამრიგად, ჯოყოლაში ტრადიციის ძალით ძლიერად არის გამჯდარი რწმენა სისხლის აღების აუცილებლობისა, მაგრამ ამავე დროს კარგადაა გამოხატული სულიერი კონტაქტის მოთხოვნილება. ვაჟა ისე წარმართავს გმირის სახის განვითარებას, რომ მისი ეს მეორე თვისება უფრო ნათლად შევიგრძნოთ, ანუ ჯოყოლა სულიერ ადამიანად წარმოჩნდეს. მისი ნამდვილი ბუნების გასამჟღავნებლად ვაჟას ასპარეზი პოემის მეხუთე თავიდან ეშლება, როცა ალხასტაისძემ თანასოფლელების წინაშე უნდა განაცხადოს თავისი აზრი სტუმარმასპინძლობის შესახებ.

„საუფლო წესის“ თანახმად, სტუმარი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ხელშეუხებელია (აღაზასთვის ხევსურის წარმოდგენის დროს ჯოყოლა ამბობს: „აი, სტუმარი მოგგვარე, – ღვთის წყალობაა ჩვენზედა...“). გუშინ თემი ალბათ თავად მოითხოვდა თავისი წევრისაგან სტუმრის ხელშეუხებლობის ადათის მკაცრად დაცვას, დასჯიდა კიდეც პიროვნებას მისი დარღვევისათვის, მაგრამ დღეს არ სურს ანგარიში გაუწიოს მამა-პაპიდან მომდინარე ტრადიციას. ამ ეპიზოდში ვაჟა, ბუნებრივია, არ ივიწყებს მოტივირებებს, რომლებმაც გასაგები უნდა გახადონ თემის ასეთი მოქმედება.

დაპირისპირებულ ძალთა მოქმედების ლოგიკური საყრდენები ასე გამოიყურება პოემაში:

ჯოყოლა:
– რას სჩადით! – შემოუძახა: –
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?

თემი:
მთელის ქისტეთის ამომგდე
სტუმრად რადა გყავ სახლშია?
ზვიადაურის სახელი
ბავშვმაც კი იცის მთაშია.
ეს იყო მუდამ, ჭკვათხელო,
ჩვენის გაჟლეტის ცდაშია,
მგლურად რო გვეტევებოდა,
რო გვიჯდებოდა გზაშია.

ჯოყოლას არ ეგონა, რომ ამისთანა შეცდომა დაუშვა. ამიტომ თემის პრეტენზია მიიღო, უფრო მეტიც: „პირს სინანული წაესო, თითქოს ნატყორცნი ისარი ზედ გულის კოვზზე დაესო“. ამით ისარგებლა თემმა და ახალი ინფორმაციისათვის ისეთი სათქმელი აირჩია, რომელსაც, მათი აზრით, მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიეყენებინა ჯოყოლასთვის, რათა უმალ დაეთმო თავისი პოზიცია:

„თვით ამან მოკლა შენი ძმა
არყიანებში თოფითა!“

ცოტა ხნის წინ ძმის მკვლელის სისხლმოწყურებული ჯოყოლასათვის არ გამოდგა ეს ინფორმაცია უფრო ძლიერმოქმედი იმ ცოდნასთან შედარებით, რომლის თანახმად:

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა.
მითაც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა“.

ამ პასუხით ჯოყოლა სტუმარმასპინძლობის ადათის ჩარჩოებში რჩება და მეხის გავარდნასავით ჩაესმით ეს სიტყვები ქისტებს. საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: საზოგადოდ, ჯოყოლა, რა თქმა უნდა, ჯერ არ ამაღლებულა იქამდე, რომ უარი თქვას ძმის მკვლელის სისხლის აღებაზე. ის კი აშკარაა, რომ ახლა უკვე გაუჭირდება კონკრეტულად ზვიადაურისათვის სისხლის ზღვევინება. პოემაში ვაჟა ამ საკითხებს ოსტატურად უხვევს გვერდს. ჯოყოლას ამ სიტუაციაში უპირველესად თავისი, როგორც მასპინძლის პიროვნული ღირსებებისა და ოჯახის შეურაცხყოფა ვერ გადაუტანია! თავის თანამოძმეებთან შედარებით ჯოყოლა გამორჩეული ჰუმანისტია. „უიარაღოს აწვალებთ, გული რასა ჰგრძნობს თავადა?“ – ეკითხება იგი ქისტებს. ამ ჰუმანურობასთან ერთად, ჯოყოლა ტრადიციებისადმი მიჯაჭვულ პიროვნებად რჩება და ვაჟა ამის შესახებ გვაუწყებს:

„მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა,

როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?"

ვაჟა ფშაველა მუსას მოკვლის ეპიზოდშიც ჯოყოლას პირად შეურაცხყოფაზე ამახვილებს ყურადღებას: „ჩემის კაცობის დამქცევნო, ლანძღვასაც მემართლებითა?" – კითხულობს ჯოყოლა, რომლის შესახებაც ქისტები ამბობენ: „გაგიჟდა, ჭკვაზე მცდარიაო". ჯოყოლას გიჟად აცხადებენ არა მარტო მუსას მოკვლისათვის. ქისტებს საერთოდ უკვირთ, რომ ასეთ სიტუაციაში ჯოყოლამ თემის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. ჯოყოლას ბრალს სდებენ თემის უპატივცემლობაში, ქისტთა გამოწვევაში. მიუხედავად თავისი ტრადიციული აზროვნებისა, ჯოყოლა განსხვავდება თანამოძმეთაგან, რადგან მასში გრძნობა და გონება მშვიდობიანად თანაარსებობენ.

თემი, გონდაკარგული ზვიადაურის ხელში ჩაგდებით, განუკითხავად ბატონობს. მას შესაბამისი თვალსაზრისიც შეუმუშავებია თავისი მოქმედების თავისუფლებაზე: „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა". თემის სურვილის წინააღმდეგ ამხედრებამ და საკუთარი პოზიციის გამჟღავნება-დაცვამ ჯოყოლა ჩვეულებრივი ქისტიდან პიროვნებად ჩამოაყალიბა.

ჯოყოლას სხვა ასპექტშიც ახასიათებს ვაჟა. ზემოთ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ჯოყოლა ამაყობდა თავისი მშვენიერი ცოლით. იმ შეჭირვების ჟამს, როცა ზვიადაურს ქისტის საფლავზე ყელს სჭრიდნენ, აღაზას არც კი გახსენებია დერეფანში დაგდებული ხელფეხშეკრული ქმარი. სასაფლაოდან გვიან მობრუნებულ „სულშეხუთულ" აღაზას ჯოყოლა გულისხმიერად ექცევა, თუმცა ქისტებისგან უარყოფილი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. როცა ჯოყოლა ცოლს „დევის" გამოდევნების ამბავს არ დაუჯერებს და აღაზა მოუყვება ზვიადაურის დატირების ამბავს, თანაც თავის მოქმედებას ღმრთისა და ქმრის წინაშე შეცოდებად მოიხსენიებს, ჯოყოლა არა თუ არ სჯის ცოლს, არამედ უწონებს კიდეც საქციელს:

„იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

ამ ნათქვამით ვაჟას ჯოყოლას პიროვნული ღირსება კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აჰყავს.

ვაჟა ჯოყოლას ქისტების მოღალატედ არ თვლის, შესაბამისად, მკითხველიც არ ფიქრობს ასე. ქისტები მას თემის პირის გამტეხს, ძმათადმი მტრულად მომპყრობს რომ უწოდებენ უსამართლოდ, ეს არა მარტო სწყინს ჯოყოლას, თრგუნავს კიდეც. ამიტომ არ იღებს ყურად ალაზას მოწოდებას, გაერიოს ხევსურების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულ ქისტთა ჯარში. ჯოყოლა, დარწმუნებული თავის უცოდველობაში, მარტო აპირებს გასვლას ბრძოლის ველზე. მას ისევ სურს ქისტებისადმი თავისი ერთგულება დაამტკიცოს. თანამოძმენი გააკვირვა ხევსურებთან მებრძოლმა ჯოყოლამ თავისი გულოვნებით, „მტრის ჯარის მოგერიებით“. ისინი ჯოყოლას „გაოცებულნი უცქერენ, როგორ არ უფრთხის გროვასა, თუმცა ხმალ-ხანჯრებს უღერენ“. მაგრამ ეს გაოცება უფრო ბრაზთან, შეურაცხყოფასთან არის შეერთებული, რადგან, რაც არ უნდა გააკეთოს ალხასტაისძემ, ყველაფერი ცუდად ეჩვენებათ ქისტებს. ჯოყოლასთვის ხევსურებთან ბრძოლაში თავგანწირვა უკანასკნელი შანსია იმისა, რომ ისევ შეძლოს ცხოვრება ჯარეგაში, სადაც აქამდე კაცად ითვლებოდა.

„მოღალატე“ ჯოყოლას მკვდარსაც არ სცემენ პატივს და თუ უპატრონო მკვდრისთვის თვით ზვიადაურის შეწირვა მოინდომეს, მას, როგორც მოკვეთილს, საერთო სამარხსაც არ აძლევენ.

ჯოყოლა ალხასტაისძის გაწირვა თანამოძმეთა მიერ ვაჟას კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია (ამიტომ აქვს თემისა და პიროვნების ორთაბრძოლას ასეთი ფინალი). ვაჟა გვიხატავს უკვე დარღვეულ თემს. ამიტომაა იგი განსაკუთრებით აგრესიული და ძალმომრე, თავად არღვევს თავის დაკანონებულ ადათს, სხვაგვარად არ შეუძლია საკუთარი პიროვნული ღირსების დამცველი ადამიანის დამორჩილება, თუ კანონიდან გამონაკლისს არ დაუშვებს თავის სასარგებლოდ.

ვაჟა, როგორც დიდი ოსტატი, ნიუანსებამდე იაზრებს ყველაფერს. ზვიადაურის თვალს არ შეიძლებოდა გამოჰპარვოდა ჯოყოლას სახლში დახვედრილი დროული ქისტის რეაქცია მის გამოჩენაზე (ბრაზიანი სახე, ხანჯლისკენ ხელის გაპარება, დანის შემოწმება). ამას არ დაუფრთხია ხევსური, ძილის წინ კი უარი თქვა მასპინძლის საწოლსა და ლეიბ-საბანზე. ეს უარი სიფრთხილით უნდა აიხსნას. იგი კარგად გრძნობდა, რომ მტრულ გარემოცვაში იყო და მოერიდა ჩაკეტილ სივრცეში დარჩენას.

ხალხურ გადმოცემასა და ვაჟა ფშაველას პოემაში ზვიადაური ვაჟკაცისათვის ძალზე მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული. ვაჟა ისევ ზრუნავს ზვიადაურის ხასიათის მთლიანობაზე. ქისტების სასაფლაოს გზას გაყენებულ ხევსურს მხოლოდ სახე „აქვს მტკნარია". მას სიდინჯე არც ახლა დაჰკარგვია და მხოლოდ სინანული კლავს, რომ მტერს ჩაუვარდა ხელში. ზვიადაურმა იცის, ქისტებმა „უნდა თავის მკვდარს შესწირონ, რომ იქ უზიდოს წყალია, მსახურად ჰყავდეს, მორჩილად, და გაუბანდოს ჯღანია", მაგრამ შიში მას ვერ გაეკარება.

მოგვიანებით ვაჟა იტყვის ზვიადაურის საკადრის სიტყვას, ხელის ერთი მოსმით დახატავს მის დაუვიწყარ პორტრეტს და, რაც მთავარია, გამოხატავს ხევსურით თავის აღტაცებას:

– ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა! –
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი – თმასაო,
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულის-თქმასაო.
რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლულსა,
ქედ-ჩაჟანგებულს მთასაო!

ზვიადაურის გმირულმა სულმა გააოგნა ქისტები, „დაკლულმა დაჰკლა მათ გული და გაუცრუა ქადილი". „ცოდვააო" – დასცდათ მოსისხლეებს ზვიადაურზე, უფრო მეტიც, ქისტების „გული და გონება სასინანულოდ მიჰქონდა", რათა შემდგომ

ალაჰის დაფიცებით დაედასტურებინათ თავისთვის „კარგი ვაჟკაცი ყოფილაო“.

ზვიადაურის, როგორც გმირის, იდეალი ვაჟასთვის სახიერდება ძლიერ, გაუტეხელ ვაჟკაცურ სულში, სამშობლოს სიყვარულსა და სამსახურში. ზვიადაურის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ვაჟა რამდენჯერმე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იგი იყო:

„ცით ჩამოსული სვეტადა,
ფშავ-ხევსურეთის ფარ-ხმალი,
გამოსადეგი მეტადა!“
. . . . .
„ფშავ-ხევსურეთის იმედი,
ქავ-ციხე, რკინის კარია“.

აღაზას მშვენიერ სხეულში მეამბოხე სულია ჩაბუდებული. მან გაბედა დაერღვია საუკუნეების მანძილზე მოქმედი, კანონადქცეული წესი და გულით დაიტირა ქისტების მოსისხლე ზვიადაური.

ქისტების სასაფლაოზე ზვიადაურის დაკვლის დროს აღაზა ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც არ აჰყოლია ბრბოს ცხოველურ ინსტინქტს:

„ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულიო.
ფიქრობდა ბრაზმორეული:
ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფრთხობინო სულიო“.

აღაზა ამ წუთებში ღალატობდა ქისტებს, მაგრამ ეს ბარბაროსული მოქმედების ზეგავლენით მიღებული უარყოფითი ემოციის დაძლევის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა მისი ამ აზრების ჩამოყალიბებისას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს

ზვიადაურის ფენომენსაც, რომლის ვაჟკაცობამ, შეუდრეკელობამ ქალს გულში **მეგობრული** (კიკნაძე, 1966:163; ჩხენკელი, 1971:300-312) თანაგრძნობა ჩაუსახა.

აღაზამ თავისი პროტესტის გრძნობა ქისტებისადმი იმით გამოხატა, რომ სასაფლაოზე უპატრონოდ დაგდებული ყელგამოჭრილი ზვიადაურის გვამის საჯიჯგნად გამზადებული ფრინველები დააფრთხო. ვაჟა აღაზას ღრმა ადამიანურ განცდას დიდი თანაგრძნობით ხატავს. ტირილით ძალაგამოცლილი ქალი დროგამოშვებით გონებას კარგავს, გულს წყლით იბრუნებს. იგი ახერხებს უცხო კაცის დატირებას, მაგრამ თავისუფალი არ არის ამ ქმედებაში. ჩაესმის ხმაური, საფლავებიდან მკვდრები ამოსძახიან წყრომით, თან ჯოყოლას წინაშე დანაშაული არ ასვენებს, ღმერთისაც ეშინია, მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, ამ წუთებში მისი გრძნობა აშკარად ჩაგრავს გონებას. დატირების შემდეგ:

„ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
სამი ბალანი პირითა,
ჩიქილის ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა“.

ჯოყოლა და აღაზა ერთმანეთს უგებენ და თანაუგრძნობენ, ისინი ერთმანეთის შესაფერისნი არიან. ჯოყოლამ ყველაფერი თან გაიყოლა, მისმა სიკვდილმა ქალს კიდევ უფრო გაუმძაფრა ყოფა, მაგრამ აღაზას მწუხარე მშვენიერებას ახალი ფერი შესძინა. აღაზას მიმართ არაგულგრილი ვაჟა ამას საგანგებოდ გახაზავს:

„ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირადა,
არჩვი ყელ-გადაგდებული,
თმა-ხშირი, მთვარე პირადა,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა“.

აღაზამ ქმარი იმ ადგილას დამარხა, სადაც მოკლეს. მერე კი უსაგნოდ და სულიერი მეგობრის გარეშე დარჩენილმა აქაფებულ, საზარლად „ლაშდაღრენილ“ მდინარეს მისცა თავი.

ჯოყოლას, ზვიადაურსა და აღაზაში განსახიერებული გმირის იდეალი შესანიშნავად წარმოაჩენს თავად პოეტის სულის-

კვეთებას. ვაჟას მოღვაწეობის ხანაში ქართველებში გამქრალი თუ არა, მინავლებული იყო გამორჩეული თვისებები, რაც ახასიათებდათ ზვიადაურსა და ჯოყოლას, იშვიათი თუ არა, ძალზე ცოტანი იყვნენ აღაზას მსგავსი თავისუფალი ნების ქალები. გასაგებია, რომ ვაჟას შემოქმედებაში ყოველივე საგანგებოდ ამაღლებული იმიტომაა, რომ ხალხში გაღვივდეს მიბაძვის სურვილი [ქურდოვანიძე, 1991:176].

ვაჟა ფშაველას იდეალის გასაგებად მშვენიერ მასალას იძლევა პოემის ფინალში დახატული იდილიური სურათი სამი გმირის მეგობრული ყოფისა. ჯოყოლა და ზვიადაური „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და და-ძმობისასა“. ეს სანახაობა სასიამოვნო პერსპექტივას გულისხმობს, რადგან: „როცა მათ ჰხედავს ერთადა კაცი, ვერ ძღება ცქერითა“. ასეთი სურათი არ შეიქმნებოდა იმ რწმენის გარეშე, რომ მეგობრობის ძალა ოდესმე უთუოდ გააქრობს წყვდიადსა და ჯანღს.

პოემაში კი ჯოყოლა-ზვიადაური-აღაზას ურთიერთდამოკიდებულებამ ვერც შეკრული წრე გაარღვია და ვერც წყვდიადი გაფანტა, თუმცა ამ ჩაკეტილ წრეში ცოტა ხნით გამოჩენილი სინათლის კვალი წარუშლელი დატოვა. ერთი კია, ამ უსიამოვნო გარემოში, სადაც სიკვდილი, გაუტანლობა და წყვდიადი დარჩა გამეფებული, ერთი სიკეთე მაინც აღმოაჩინა დიდმა ჰუმანისტმა, როცა იმედიანად გვაუწყა: „და უფსკრულს დასცქერს პირიმზე მოღერებულის ყელითა“.

ვაჟა ფშაველას, როგორც შემოქმედს, ამ პოემებში აინტერესებს პიროვნების თვალსაზრისის ჩამოყალიბება-განვითარების პ რ ო ც ე ს ი , ნაბიჯ-ნაბიჯ, თვალის გადევნებით გავლა იმ გზისა, რომელმაც ადამიანი ახალ პიროვნებად უნდა ჩამოაყალიბოს. ეს გზა საძირკველმორღვეულ ტრადიციულ საზოგადოებაზე გადის. ამიტომ იბრძვის თემი გააფთრებით, მაგრამ ახალი დროის სვლა ითვალისწინებს ახალი ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებას, ახალი მორალით ცხოვრებას. ისინი, ვისაც დაევალა ახლის დამკვიდრება ტანჯვის გზებს გადიან, მაგრამ ისეთი ძლიერები არიან, რომ ძველთან ორთაბრძოლაში ზნეობრივად გამარჯვებულები რჩებიან.

სიყვარულის სახელით ცოდვით დაცემის თემა

პოემა **„ეთერის“** შექმნამდე, ჯერ კიდევ 1889 წელს, წერილში „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“ (ვაჟა ფშაველა, IX,1064:98) ვაჟამ ფშავლის თვალით დანახული ქალის გარეგნობის აღწერის ნიმუშად ორი ფრაგმენტი მოიტანა „ეთერიანიდან“. პოეტს არ მიუთითებია, რომ ლექსები ეპიკური ნაწარმოების ნაწყვეტები იყო. ცნობილია, რომ თქმულების ფრაგმენტები დამოუკიდებლად იმღერებოდა. აზრს, რომლის დასასაბუთებლად მოიხმო ვაჟამ ხალხური სტრიქონები, სავსებით მიესადაგებოდა საილუსტრაციო მასალა. აი, რას წერს პოეტი: ფშაველი „აცქერდება ქალის „პირ-კბილს“, თვალ-წარბს, შუბლ-საფეთქელს, ყელს, ყველაფრის სურათს გულში იბეჭდავს და ადარებს დილის მზესთან:

„ვინა თქვა ეთერ მოვიდა,
დილის მზე – გორსა მავალი“.
. . . . . .
„...შიგა ზის ქალი ეთერი
ყელი მოუღერებია,
წარბი წვრილი, შუბლი ბრტყელი,
საფეთქელი მწყაზარია,
პირი – სტვირი, კბილი – მძივი,
ბაგე – ხახვის ფურცელია“.

ერთი წლის შემდეგ ვაჟა ისევ შეეხო „ეთერიანს“. ამჯერად პოეტი ედავებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარს, ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელიც ფიქრობდა, რომ რუსთაველმა ხალხში მოარული „ტარიელის ამბავი“ გამოიყენა თავისი პოემის შესაქმნელად. ვაჟა წერს: „ჩვენ ხალხს არ

უყვარს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ლექსად ზღაპრები და ვერც იპოვნით ქართულს ეროვნულს ზღაპარს გალექსილს. რაც გალექსილებია, ისინიც უცხო ნათესავისანი არიან – ბეჟანიანი, ეთერიანი და სხვ." (იქვე, 116).

ამ პერიოდის მეცნიერებაში ეპიკური ჟანრის ნაწარმოებები ცალკე ერთეულად არ იყო გამოყოფილი და ვაჟაც „აბესალომ და ეთერის" თქმულებას ზღაპარს უწოდებს (ასევე იქცევა ზეპირსიტყვიერების ცნობილი შემკრები თედო რაზიკაშვილიც). ახლა თქმულებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში (ჩიქოვანი, 1954; ქურდოვანიძე, 1974; ჩხეიძე 1995; კიკნაძე, 2001) გასწორებულია ეს უზუსტობა, რომლის მიზეზი ადგილობრივი („ამირანიანი", „ტარიელიანი") თუ შემოსული („ბეჟანიანი") ეპიკური ფორმისათვის (ლექსნარევი პროზა) ანგარიშის გაუწევლობაში მდგომარეობდა.

ვაჟას მიერ ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ვხვდებით ორ ფრაგმენტს „ეთერიანიდან". პირველი მათგანი მურმანთან არის დაკავშირებული:

„ჩასვლა უნდა ჩაუვალთა,
ჩანაყეფთა ყორნისასა.
ციხით გადმაჰყრიან ქვებსა,
ნატეხებსა ლოდისასა.
ჩაგვიხოცენ ყმაწვილებსა,
უჩვეველებსა ომისასა".

მეორე ფრაგმენტში მთქმელი ეთერის ნაცვლად ყამარს ახსენებს, აბესალომს ამირანით ცვლის, თუმცა ტექსტი აშარად „ეთერიანისაა" (ვაჟა ფშაველა, X, 1064: 236, 239).

პოემა „ეთერს" (1890 წელი) საფუძვლად უდევს ხალხური თქმულება, თუმცა, როგორც გარკვეულია (სიხარულიძე, 1966:215; მ. ჩიქოვანი, 1971:176), ვაჟას თავისებურად გაუაზრებია იგი, რათა ხალხური მასალიდან ორიგინალური პოეტური ქმნილება შეექმნა.

ვაჟას ცვლილებები პერსონაჟთათვის სახელების შეცვლით დაუწყია. აბესალომს გოდერძი ჰქვია, ხელმწიფის პიროვნული

სახელი თქმულებაში არ გვხვდება, ვაჟასთან მეფეს გურგენი ჰქვია. მურმანს თქმულების ფშაური ვარიანტისათვის ცნობილ სახელს – შერეს ურჩევს და პოემის ტექსტში ამ სპარსული სიტყვის ქართულ შესატყვისსაც – ლომს ხმარობს.

ვაჟა პოემას იწყებს ეთერის საცხოვრებლისა და მოსაქმეობის გარემოს ხატვით. ეს გარემო ხალხური თქმულებისთვის უცნობია. პოეტი უდაბურ, კაცის ხელმიუკარებელ მიდამოს წარმოადგენს, სადაც ნადირები უფლობენ და ადამიანთა სამყოფი არ უნდა იყოს:

„კაცის ხმით არა ხმიანობს:
ჭალა, ველები, მთანია.
მთათა და ნადირთ ჟრიამულს
ეს მხარე შაუჭამია“.

(ვაჟა ფშაველა, III, 1964: 85)

აქ დგას ეთერის ქოხი, რომელსაც „ოთხსავ მხარეს არტყია დიდი ბარდები ბურჯადა, ზედ ყვავილები ჰყვავიან წითლად, ყვითლად და ლურჯადა“. ობოლი ეთერი დედინაცვალთან ერთად ცხოვრობს. მთებით გარშემორტყმულ უდაბურ ჭალაში მდებარე ქოხს ტყესავით აკრავს „დიყი და შეპყა მწვანეა“. პოეტის მიერ დახატული გარემო არ არის ტიპობრივი. ეთერის დასახლება ველურ ბუნებაში, ნადირებით გარშემორტყმულ სივრცეში, შეიძლება პოეტს ეთერის უმძიმეს პირობებში ცხოვრების საჩვენებლად დასჭირდა, შესაძლოა, იმ კონტრასტის შესაქმნელად, რომელიც უნდა გამოჩნდეს ედემის ყვავილის მსგავსი ქალის, მეოცნებე ეთერისა და ამ პირველქმნილი ბუნებასავით მოუხეშავი, ბოროტი დედინაცვლის დაპირისპირებისას.

ვაჟა ფშაველა ეთერის პოეტურ ბუნებას უსვამს ხაზს, როცა ბულბულთან მისი ბაასის ეპიზოდს ქმნის. ეთერს ოცნებად გადაჰქცევია ბულბულის ენის ცოდნა. გერის პირით პოეტი მიგვანიშნებს კაცობრიობის უძველეს ნატვრაზე – ფრენაზე: „ნეტავ ბულბულად მაქცია, შენთან ვიფრინო ველადა...“. ამ ნატვრას კონკრეტული საფუძველიც აქვს – დედინაცვლისაგან გათავისუფლება.

ამაღლებული ოცნების შემდგომ პოეტი უკვე ყოფით საზრუნავზე ამახვილებს ყურადღებას:

„ტიტველი აღარ ვივლიდი,
დაღონებული ყველადა,
და მოვრჩებოდი ამ ბებერს,
ჩემთვის გაჩენილს გველადა“.

პოემა „ეთერის“ ექსპოზიციური მონაკვეთი ორიგინალურია, ისევე, როგორც პოემის დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველი თავიდან ბოლომდე გრძნობს ხალხური თქმულების სურნელს.

ვაჟა დედინაცვლის სახის ახლებურად გააზრებას არ ცდილობს, ტრადიციის ფარგლებში რჩება. თქმულება მოგვითხრობს: „დედინაცვალი საწყალ ეთერს სულ სცემდა და ატირებდა. პურს მაძღრისად არ აჭმევდა და შიშველ-ტიტველს ატარებდა“ (ეთერიანი, 1954: 26); „დედინაცვალი მეტად ასპიტი რამ იყო, ისეთი, რომ საღამოს რომ მოვიდოდა სახლში, სიკვდილში ფეხს ადგმევინებდა...“ (იქვე, 21). პოეტი ისეთ სიტყვიერ ტექსტს (ფრაზა, წყევლა) უქმნის დედინაცვალს, რომ მკითხველზე ზემოქმედებაც შეძლოს და მის მიმართ თავისი დამოკიდებულებაც გაამჟღავნოს:

„...რა ეშმაკს დაუჭერიხარ,
გამაგებინა ნეტარა?..
გასწყდა ცხვარ-ძროხა სიმშილსა,
შე მეხ-დაკრულო, მედგარა!..
თან-თან ეშმაკად მაიქეც,
გაგიწყრეს ჩემი გამჩენი“!

საზღაპრო ეპოსისა და ეპიკური ციკლის ნაწარმოებებისათვის არ არის ნიშანდობლივი გმირის პორტრეტის შექმნა. ზღაპრისეული ტერმინი „მზეთუნახავი“ აღარ მოითხოვს კონკრეტულ გამოხატულებას, ტერმინში ჩადებულ აზრს წარმოსახვის ინდივიდუალური უნარის მიხედვით ასხეულებს მსმენელი (მკითხველი). „ეთერიანში“ დარღვეულია ეს წესი, კოლექტიური ავტორი ქმნის ეთერის პორტრეტს, თუმცა მკაცრად

იცავს პორტრეტის ხატვის ლირიკული ლექსის ფოლკლორულ ტრადიციას.

„...შიგა ზის ქალი ეთერი
ყელი მოუღერებია;
წელი წვრილი, ბეჭი ფართე,
თეძოს თავი დაბალია,
შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი,
საფეთქელი მწყაზარია.
ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია..."

(ეთერიანი, 1954, =3)

ვაჟა ფშაველა არსად არ იხსენიებს ეთერს მზეთუნახავად, რადგან იცის, რომ მზეთუნახაობა ხელმწიფის შვილობასა და კოშკში ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ იგრძნობა, რომ პოეტი ეთერს ისეთ ქალად წარმოიდგენს, რომელიც ხალხური გამოთქმით: „მზეს უდრის", რომელზე „მშვენიერიც ქვეყანაზე არაფერი იქნებოდა". ვაჟასეული პორტრეტი ეთერისა, როგორც ნაყოფი ინდივიდუალური შემოქმედებისა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალზე განსხვავებულია ფოლკლორულისაგან, თუმცა იგრძნობა ხალხური გადმოცემისგან მიღებული შთაგონების კვალი:

„წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა;
თავით ბალიშად ქვა ედვა,
ლეიბად – შამბი ძირზედა.
თვალებში ჩაჰქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თავის ხატ-ღმერთიანადა.
გვირგვინად ტრფობა დასდგმოდა,
სხივს გვფენს წამწმების ხიდითა,
ცასა და მიწას მადლს ჰფენდა
უხვებით კიდის-კიდითა;
ყელი მიუგავს ჯერანსა,
გამომალებულს მინდვრითა".

ეთერის გარეგნობის ხატვას ვაჟა თმებზე საუბრით ამთავრებს. მთაში ქალის თმის მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, პოეტი აქ უნდა ითვალისწინებდეს თქმულების იმ დეტალს, რომლის თანახმად, მურმანის დედა ეთერის „გიშრის დალალის მწვნელია“. პოემის მეორე თავს ვაჟა ამთავრებს მშვენიერი ელეგიური სურათით: ეთერი „თავდახრით მიჰქსოვს წინდასა, თან დაღიღინებს ნელადა“. მსგავსი საყოფაცხოვრებო სურათი, როგორც მთის ყოფის განუყოფელი ნაწილი, სხვა ხალხურ ლექსებშიც არის დახატული.

პოეტის მიერ შექმნილი სურათი სამეფო ნადირობისა ხალხურ თქმულებაში ასეთი სისრულით არ გვხვდება, მაგრამ ხეთა გარემოცვაში ეთერის დანახვისა და მისი მშვენიერებით გაოცების სცენა ცნობილია. „აბესალომმა ეთერს შორიდან თვალი მოჰკრა და, რა დაინახა ეთერის სიტურფე და სილამაზე, ჩაუვარდა სიყვარული...“ (ეთერიანი, 1954:14).

ვაჟას მიერ დახატული სურათი ეთერის ნახვისა ძალიან წააგავს „მზის ქალის“ (ჩიქოვანი, I, 1938:47) ზღაპრის ერთ ადგილს:

ვ ა ჟ ა	მ ზ ი ს ქ ა ლ ი
„თვალი შეასწრო უცნობმა, შედგა, უცქერდა შტერადა; ხელი მიეპყრო შუბლზედა, თავი გადეგდო ცერადა; ირემი დაჰვიწყებოდა, ხედ ქცეულიყო ხმელადა. ბალახით გამოსხლეტილი ცეცხლი თუ მოჰხვდა მწველადა“.	„სწვავს ხოხობს ბიჭი, თვალი მზის ქალზედა აქვს. ისე მო- სტაცა გონება ქალმა, რომ სრულებით დაავიწყა, თუ ხო- ხობს სწვავდა. ნახევარი ხო- ხობი სულ ჩაებუგა... – ერთი ქალი იყო... ქოხში, ისე მომტაცა გონება, რომ ვეღარაფერი გავიგეო“.

ეთერის წარმომავლობის გააზრების თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ობლის პასუხი გოდერძისადმი ცოლად გაყოლის წინადადების მიღების შემდეგ. გოდერძისა და ეთერის სოციალური განსხვავებულობა პოემაშიც აქცენტირებულია. ეთერის ჩაცმუ-

ლობის, მოქმედების ადგილისა და მოსაქმეობის დეტალიზაცია ნათლად წარმოაჩენს ამ ორ პირს შორის არსებულ სოციალურ შეუსაბამობას:

ვაჟა	ხალხური
„ღირსი არა ვარ, ხელს გბანდე, განაღამც გყვანდე ცოლადა. მეფე ხარ, რატომ არ ჰფიქრობ? საქმეს რად იჭერ ყროლადა?.. ხომ გაწყრა შენი დედ-მამა და დაგემდურნენ ყმანია“.	„შენ დიდი ხარ, დიდებული, დედმამითა ხარ ქებული, მე ღარიბი გლეხის შვილი, ობლობით ვარ დაჩაგრული“.

როგორც ვხედავთ, აზრი ორივეგან ერთნაირია. პოეტი ცდილობს, რომ პერსონაჟის მეტყველების სტილი დაიცვას. ვაჟას დამატებით შემოაქვს აღთქმის მოტივი, რომლის თანახმად, ეთერი არ უნდა გათხოვდეს. პოეტი არ ასაბუთებს ამ მოტივის გამოჩენას. თქმულების ქართლური ვარიანტი გვაუწყებს: ეთერს მშობლები ადრე დაეხოცა, დარჩა ობლად. დედ-მამის სულების ჯოჯოხეთში მოხვედრის შიშმა გამოიწვია აღთქმის დადების სურვილი. შემდეგ კი შარაზე დაჯდა და გამვლელ-გამომვლელს თავს უხილავდა (ეთერიანი, 1954: 9).

ხალხურ თქმულებასთან კავშირი დასტურდება პოემის იმ მონაკვეთში, სადაც ლაპარაკია ეთერის ხესთან კავშირზე, მის სიშიშვლეზე. ხეზე დამალვით იფარავს დედიშობილა გერი ტანს. ვაჟას ეთერი ამბობს: „სახლად და დასაფარადა ხეები ტოტებს მიხრისა“. თქმულების რამდენიმე ვარიანტში ხე ეთერის მფარველადაც არის გამოყვანილი, რაც იმ დროის რწმენის გადმონაშთად მოჩანს, როცა ადამიანს ხესთან ნათესაური კავშირისა სჯეროდა. თქმულების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ ვარიანტებში ხესთან დაკავშირებულია არწივი (ორბი), რომელიც ამავე დროს ეთერის მფარველად (გამზრდელად) არის მიჩნეული. ერთი კახური ვარიანტის თანახმად, მზეთუნახავი ეთერი „ხის კენწეროზე არწივის ბუდეში... ზის და მატყლს ართავს. გვერდზე

კი არწივი უზის". აბესალომის ფიცს როცა დაუჯერა ეთერმა „ამ ხის წვერმა დაიხარა ნელ-ნელა და დაეწოდა დედამიწაზე. ქალი რომ გადმოიყვანა, ისევ გასწორდა, გაიმართა ბუდე და არწივი თავის ადგილას დაჯდა" [იქვე, 19].

ვაჟა ფშაველა ეთერის ცხოვრების მძიმე პირობებზე მითითების გარდა, გვაუწყებს ეთერის პირით: „ჩემი ძმები და დედ-მამა მსხვერპლი გამხდარან ომისა". ეს ცნობა ხალხური თქმულებისთვის უცნობია.

ვაჟას ეთერიც, ხალხური თქმულების გმირის მსგავსად, თვითნაბადი ძვირფასი თვალივით ანათებს. ვაჟა ეთერის გამორჩეულობის ხაზგასასმელად ზღაპრიდან „მარგალიტის ცრემლი" (რაზიკაშვილი, ქართლი, 1909: 6) სესხულობს მოტივს მზეთუნახავის ცრემლის სასწაულმოქმედებაზე:

„თვალთაგან ცრემლიც ჩამოჰსხლტა,
ვით მარგალიტი თლილია.
ცამ ჩამოხარა ღრუბლები,
წვიმამ დაალბო თხრილია.
თითო წვეთს თითო ყვავილი
ამოჰყვა, როგორც ღილია;
ეთერი ჰქვია სახელად
თვითეულს ყვავილთაგანსა,
იმათზე ტურფას ქვეყნადა
ვეღარა ჰნახავთ საგანსა...
ნეტავი ქვასა და ქვიშას,
ეთერის ცრემლით ნაბანსა"!

აბესალომს ეთერი „ცათასწორს" უწოდებს. ვაჟა უთუოდ უწევს ანგარიშს ამ ეპითეტს, როდესაც ეთერს ათქმევინებს:

„კარგი ხარ, ძმაო, ლამაზი,
მზე, შემომჯდარი მთაზედა,
მიწაზე ცალი არა გყავს,
როგორც მზეს მაღლა ცაზედა".

გოდერძისთვის თავის შეუფერებლობაზე ადრე ნათქვამ სიტყვას ეთერი ისევ უბრუნდება, ოღონდ ახლა უკვე ეჭვს გა-

მოთქვამს უფლისწულის ერთგულებაზე. ვაჟა თქმულებაში გატარებულ ამ აზრს პოემაში შემდეგნაირად ავითარებს:

ხალხური	ვაჟა
„შენ შენი ჰქმნა და წახვიდე, დამაგდო წყალწაღებული“.	„ვაი, თუ მალე მოგწყინდე, მალევ გამცვალო სხვაზედა; ღვთის ფიცი გამატეხინო, ჭირი მომიგდო კარზედა... შენი საფერი არა ვარ, შენთან ვით დავჯდე ჯარზედა?!“

გოდერძის ერთგულების ფიცი, უფრო კი ღალატის შემთხვევაში საკუთარი თავის წყევლა, აზრობრივად აბესალომის ფიცის დარია:

ვაჟა	ხალხური
„ღმერი გამიწყრეს, ეთერო, ცოცხლად დამმარხონ მიწასა, თუ შენს გარეით საყელოს მე მოვეხვიო სხვისასა! მიწა გამისქდეს, ჩამყლაპოს, ტანზე მომედოს გენია, თუკი დაკარგოს გოდერძიმ გულით ტრფიალი შენია! ღმერთი მრისხავდეს მაღალი მეფედ გამჩენი ჩემია, თუკი შენ სხვაზე გაგცვალო, სხვასაც მოვჭიდო ხელია“.	„ზევიდამ ღმერთი ცეცხლსა ჰყრის, ქვეშ აბესალომ უდგება, ეთერო, შენსა ამ ღალატს ღვთის მეტი ვინ შეუდგება. ომში ხმალ ამოღებულსა აბჟარიც ჩამომიწყდება. წყალი უწყლოსა ალაგსა, ზღვა იყოს ამომიშრება, შვიდის წლის გზასა მავალსა საგძალი წამამიწყდება. მუხლებზე ნადები თოფი უბეშიმც დამიბრუნდება“.

გოდერძი ეთერისაგან საპასუხო სიყვარულს ითხოვს, სუ-რს მათ ცოლქმრულ კავშირს საფუძვლად ნამდვილი სიყვარული ედოს:

„ჩემს გულს ის უნდა, რომ შენი
გულიც აძლევდეს ბანსაო;
ჩემს ალერსს, ჩემს სიყვარულსა
არ გაურბოდე განსაო“.

ხალხურ თქმულებაში აბესალომის ამ სურვილის შესახებ მითითებას ვერ ვხვდებით, მაგრამ დავით ხიზანიშვილისეულ ფშაურ ვარიანტში გამოსჭვივის ქორწინების არა სასახლის კარისმიერი, არამედ საკუთარი ნებით მოწყობის იდეა: „ის ბატონი ელურსამელი იყო, დიდი ხანი უცოლოდ დადიოდა, უნდა ცოლად შეირთოს ის გლეხის ქალი, რომელიც იმას თვალში მოუვა“ (ეთერიანი 1954: 28).

შუა საუკუნეების ხალხური თქმულებისათვის ქორწინების პრობლემის ასე დაყენება (ფაქტობრივად, იგი ქმნის თქმულების თემისა და იდეის, მისი მიმართულების სიახლეს) დიდად მნიშვნელოვანი აზრის შემცველია და, ჩანს, ვაჟა საგანგებოდ ამიტომ გახაზავს მთავარი გმირის ამ მიზანსწრაფვას. გოდერძი თავის დედასთან საუბარში იცავს არჩევანის პიროვნულ უფლებას, ლაპარაკობს თავის მეობაზე და ამით პოეტის ეპოქის თანამედროვედ იქცევა, როცა ასე აქტიურად იდგა პიროვნების თავისუფლების პრობლემა:

„ჩემს გულსა მხოლოდ საწილო
თავისი ავაღებინე,
ჩემს მშობლებს გულის წადილი
უკანვე ჩავაგებინე...
გაჩენის ნება თქვენ გქონდათ,
გავჩნდი და მე ვარ, მეობით.
წადილი სხვა მაქვს და გრძნობა
გეკუთვნით მხოლოდ ძეობით,
რად გიკვირსთ, მე დავიწუნო,
რაც თქვენ გსურთ, ანარჩეობით?“

ვაჟას ეთერი გულგრილია გოდერძის სასახლის კეთილდღეობის („...სიმდიდრე, სიდიდე ფუჭია ჩემთვის ყველაო“) მიმართ. ქალი მოხიბლულია გოდერძით, მაგრამ მაინც ტირის, რადგან მისი შინაგანი ხმა ეწინააღმდეგება მისსავე გონს („გული ქალისა გონებას რადღაც არ აძლევს ზავსაო“). ამიტომ პოეტი ეთერის თანხმობის საკითხს ღიად ტოვებს, შესაბამისად, ჩავარდნილია თქმულებისეული ფიცი ეთერისა, რომელიც ყველა ვა-

რიანტში არ გვხვდება. საერთოდ, ცოლობაზე თანხმობის საკითხში ერთსულოვნება თქმულებაში არ დასტურდება.

ვაჟა ფშაველას ისეთივე ვითარებაში და იმგვარივე განწყობილებით შემოჰყავს პოემაში შერე, როგორც მურმანი გამოჩნდა თქმულებაში:

ხალხური	ვაჟა
„მურმანი...კანკალებდა, ევედრებოდა ღმერთსა, რომა ამისთანა ქალი მაღირსეო" *(მესხეთი).* „მურმანმა რო ეთერი დაინახა, გულში ცეცხლი მოეკიდა, გაგიჟებული გავარდა გარეთ... *(კახეთი).* „ვეზირი მურმანი ჩამოხმა დარდით და ფიქრით" *(კახეთი).* მურმანს „შეჰყრია ეთერის სიყვარული და ჰკლავს..." *(კახეთი).*	„ვეზირი უცქერს ეთერსა, ფერი ფერადად სდიოდა, ვერ ისვენებდა ერთ ადგილს, აქათ-იქითა დიოდა. დამნახველს ეთერისასა ეხლავე გული სტკიოდა. ვეღარ ჰბედავდა შეხედვას, თუმც შეხედნება ჰშიოდა. ქალის სიტურფემ დააბა, მუხლის ძარღვები სცვიოდა. შეჰხვდა უწამლო ჭირადა ქალი მკლავ-კალათიანი. შური და სიყვარული ჰკლავს, ცეცხლი სწვავს ალ-ათიანი"

თქმულებაში აბესალომს წაჰყვა თუ არა ეთერი, მაშინვე დაივიწყა თავისი გერული ცხოვრება. ვაჟა განაგრძობს ადრე ნახსენებ თემას და გამოხატავს ეთერის წუხილს უპატრონოდ დაყრილ საქონელზე, ღვთისთვის მიცემული აღთქმის დარღვევაზე, ანუ პოემაში შემოდის თქმულებისათვის უცნობი პერსონაჟთა „ფსიქოლოგიური ენა", ძირითადი განმასხვავებელი თვისება ხალხური შემოქმედებისა ინდივიდუალურისაგან (კიკნაძე, 1989:173-174).

ამავე ეპიზოდში პოეტი ხატავს ნადირისაგან დაგლეჯილი, უპატრონოდ მიტოვებული საქონლის ხილვით შეძრწუნებულ დედინაცვალს, რათა დაასრულოს ამ საძულველი ქალის ჰორტრეტი:

„ღმეჭილს პირს უფრო იღმეჭდა,
ეთერს ახსენებს წყევითა.

თავგადაგლეჯით დარბოდა,
მალი-მალ შედგის გორზედა
და გადაჰკივლის მაღლიდამ
დაბლა ჭალაზე სწორზედა“.

თქმულების ვარიანტთა ერთ ნაწილში არ არის გამოხატული ხელმწიფის კარის თვალსაზრისი ეთერის სასახლეში მიყვანის თაობაზე. ვარიანტთა მეორე რიგის მიხედვით, აბესალომი მარეხთან აგზავნის მურმანს პატარძლის ტანსაცმლისათვის. არც ამ რიგის ვარიანტებში ჩანს წინააღმდეგობა. ცხოვრებისეული სინამდვილის ზეპირსიტყვიერებაში ასახვის თვალსაზრისით, საინტერესო სურათს გადაგვიშლის თქმულების კახური ვარიანტი. მურმანი მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: შენმა შვილმა ვიღაც ციგნის შვილი შეირთო და ეს დამაბარაო... თუ მამაჩემი თანახმა იქნება, რომ მე ცოლი შევირთო, გუთანი ჩამოდგას კარზედაო, თუ არა და შავი ბაირაღიო... ხელმწიფემ თქვა: არ დამენახოს თვალითაო, და კარზე გაიტანა შავი ბაირაღი... აბესალომმა ეთერი სხვა გზით წაიყვანა თავისი დედის სახლში (ეთერიანი, 1954:16).

აბესალომის მამის წინააღმდეგობის მოტივი, ჩვენი აზრით, ჯადოსნური ზღაპრის თქმულებად გადამუშავების პროცესის პირველივე ეტაპზე უნდა გაჩენილიყო, როგორც გმირთა სოციალურ განსხვავებულობაზე აქცენტის გამოძახილი და თქმულებაში რეალისტური ნაკადის დამკვიდრების გამოხატულება.

პოეტი საგანგებოდ უსვამს ხაზს მეფე გურგენის სასახლეში გამეფებულ კეთილდღეობასა და ჰარმონიას. გურგენ მეფეს ეკალივით ჩაესობა გულს სპასპეტის მიერ მოხსენებული ამბავი. როგორც დიპლომატ ადამიანებს სჩვევიათ, სპასპეტი ჯერ ეთერის მშვენიერების აღწერით ახერხებს მეფის მოხიბვლას:

„თქვენმა ძემ ცოლი ითხოვა,
მთვარეს მიუგავ პირია.
თქვენის ძის ბედად მოსულა,
სამოთხე გაუწირია.
თვით ღმერთსა სასძლოდ თქვენთვისა
ეთერი შაუწირია.

ისეთი არის, მეფეო,
მაღალს ღმერთს ვფიცავ ცისასა,
რომ ცილობასა გაუწევს
სიმშვენიერეს მზისასა".

ეს პრეამბულა სპასპეტს იმისთვის სჭირდება, რომ ვერ შეამჩნიონ მისი სიმუხთლე, როცა შემდეგ მეფეს შხამად ჩააწვეთებს მთავარ სათქმელს. იგი ბედისწერის გარდუვალობით ახსნის უფლისწულის ამ ნაბიჯს, თითქოს უნდაო გლეხის ქალისაგან გათავისუფლების იმედი გადაუწუროს გურგენ ხელმწიფეს, სინამდვილეში კი, უფრო აღაგზნებს მის ენერგიას საბრძოლველად.

შერეს შენიღბული მოქმედება პოემაში და მურმანის პირდაპირობა თქმულებაში საუკეთესო მასალაა პერსონაჟთა მხატვრული სახეების ხატვის გათვალისწინებისათვის. ნათლად ჩანს გამოხატვის ხერხთა განსხვავებულობა ინდივიდუალურ შემოქმედებასა და ფოლკლორში.

თქმულების საპირისპიროდ, აბესალომის მამა ვაჟას პოემაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. გურგენ მეფისთვის სოციალურ სტატუსს განსაკუთრებული ღირებულება აქვს მინიჭებული. პოეტი გურგენ მეფის ბუნებაში დებს მძვინვარე ეგოიზმისა და შეუბრალებლობის მარცვალს. მამას ორი არსებითი მიზეზი აღმოაჩნდა გოდერძიზე განრისხებისათვის: უფლისწულმა მდაბიო შეირთო, მიუხედავად იმისა, რომ აკვანში იყო დაწინდული ვინმე ლევან მეფის ასულზე. ამ ნაბიჯით გოდერძიმ რეალური საფრთხე შეუქმნა თავის ქვეყანას როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ასპექტში.

ვაჟა ფშაველა დედოფალს გულმოწყალე პიროვნებად ხატავს, ანუ მისდევს თქმულებისეულ გააზრებას.

თქმულებისაგან განსხვავებით, ვაჟა ფშაველა გურგენ მეფეს აკისრებს ეთერისა და გოდერძის უბედურებას. განზრახვის თანახმად, მეფემ შვილს მიჯნური უნდა შეაძულოს, გაუნელოს მისდამი ტრფობა. შერე გურგენ მეფის ნების აღმსრულებლად ჩანს. სინამდვილეში ერთად არიან, რადგან შერეს ჩაფიქრებული აქვს, მოიპოვოს ეთერი, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

ვაჟა მისდევს მურმანის სახის ხალხურ გაგებას და შერესაც მასავით უაღრესად მიზანსწრაფულ პიროვნებად ხატავს. „ძვირად თუ ისარს დავაცდენ, რაც ამოვიღე მიზნადა“, – ამბობს შერე. პოეტი მას დამატებით თავისებურებათა მთელ რიგს მიაწერს. როგორც ცნობილია, ზეპირსიტყვიერი შემოქმედებისათვის არ არის ტიპობრივი დიალოგში მეორე, დაფარული პლანის არსებობა. ლიტერატურაში, განსაკუთრებით ვაჟასთან, ფარული პლანი მხატვრული აზროვნების აუცილებელი კომპონენტია. შერესა და მურმანთან მიმართებაში ეს აშკარადაა გამოკვეთილი და მას ისეთივე ახსნა აქვს, როგორიც „ვეფხისტყაოსნში“. პოემის ვაჟი პერსონაჟები, ავთანდილი და ტარიელი, ისევე, როგორც შერე და მურმანი, უმაღლესი პატრონის ყმები არიან და არ გააჩნიათ უფლებამოსილება, მეფეთა წინაშე გაამჟღავნონ თავისი სურვილი. ეს აიძულებს გმირებს შენიღბონ თავისი თავი, შეფარვით თქვან სათქმელი. როცა აბესალომი საჯაროდ გამოიყვანს მურმანისგანვე დაავადებულ ეთერს, რათა გაასხვისოს, ქალის ხელის სათხოვნელად ვეზირი წარდგება:

„მურმანს უბოძე, ბატონო,
შენი ერთგული ყმა არის,
ისევ შენად მიიჩნიე,
ის განუყრელი ძმა არის“.

შერე არწმუნებს გურგენ მეფეს, რომ სასიკვდილოდ გასამეტებლად ებრალება ეთერი და სთხოვს მას გადასცეს:

„...გახსოვდეს, როცა თქვენს ძესა
და ეთერს გაუხდებოდეს,
ქალს ნურას ავნებთ, თქვენს მადლსა...
თუნდა მე მომე, ნუ მოჰკლავ,
ცოდვაა, შეიწყალია.“

თქმულებაში მურმანთან პირშეკრული ეშმაკის საცხოვრებელი ადგილი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. ზოგჯერ იგი იქვე, სოფელში, სახლობს ან მურმანი სხვა ქვეყანაში მიდის მის მოსაძებნად. ჩანს, თქმულების სხვა ქვეყანა იგივეა, რაც

ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით მდებარე ადგილი, სადაც ცხოვრობდა ქაჯი დედაბერი „დევთა და ალთა შორისა ზემოთა თავში ჩართული“. ვაჟას ამ დედაბრის შესახებ ნათქვამი არ სცილდება ქაჯების შესახებ ხალხში გავრცელებულ წარმოდგენას. ქაჯების ყველა უნარი, რომელზედაც ვაჟა აჩერებს ყურადღებას, ცნობილია ხალხური ცრურწმენებისათვის:

„ქარს ის აჩენდა და ღვარსა,
სეტყვას და დელგმას მეხითა,
თუკი ერთს დაიწივლებდა,
ან მიწას სცემდა ფეხითა,
ხმელს მოხრილს ზურგზე დადგმულის
ეშმაკთ-ცხენაის კეხითა.“

ვაჟას ქაჯთ-დედაბერი ჯადოსნური ზღაპრის მითური დედაბრის გარეგნულ ნიშნებს ატარებს, ოღონდ მისი პორტრეტი მაინც დიდი პოეტის ნახელავია:

„თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰქონდა მინისა,
ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა;
ფეხები ჰქონდა კაცისა,
ხელებად ბჯღლები ციცისა,
და, თმის მაგივრად, სულძაღლსა,
მოკლე ფაფარი კვიცისა“.

თქმულებაშიც და ვაჟასთანაც ბებრებმა, გულთმისანთა წესის კვალობაზე, იციან მის საუფლოში მოხვედრილთა გაჭირვების მიზეზი. შერე თავად სთავაზობს ბებერს თავის სულს, თქმულებაში კი ეშმაკი მოითხოვს მურმანის (დედამისის) სულს. ეთერისთვის მძიმე სენის შეყრის სასწაულებრივი საშუალება თქმულებაშიც და ვაჟასთანაც ფეტვია, ოღონდ პოეტი საზარელი წამლის შედგენილობას საგანგებოდ გახაზავს, რათა წინასწარ მიგვანიშნოს, რა განსაცდელს უმზადებს შერე თავს, ვის გადასცემს თავის სულს. მითური ბებრის ფეტვი: დევების ნათესია კაცთა სისხლით მორწყულ ჭალაში. შიგ ურევია სულგაყიდულ ადამიან-

თა ფერფლი, ქრისტეს გამცემის სულის ლაფი და საფასურად მიღებული ვერცხლის ანაფხეკი.

პოემის ამ მონაკვეთიდან ვაჟა ცდილობს მეტი დამოუკიდებლობა შესძინოს თავის თხზულებას. ეს სურვილი, პირველ რიგში, იმაში ვლინდება, რომ ეთერისათვის სენის შეყრა თქმულებისაგან განსხვავებული მოქმედებით ხდება, საგანგებოდაა კონკრეტიზებული შემზარავი ავადმყოფობის პროცესი: „...მატლი დაედვას ბროლს ყელზე ათასობითა, თვალ-წარბს ჭიები უჭამდენ, დასხმულნი კაპასობითა, მკერდზე გველები გადერტყას, ძუძუზე ჰლოკდენ ენითა...“, განსხვავებულია სენისგან გათავისუფლების წესიც.

სულის გაყიდვით შერე, მურმანის მსგავსად, სამუდამოდ დაემონა მითური სამყაროს – ქაჯეთის, ქვესკნელის (ბაქრაძე, 1968:163; ჩხენკელი, 1989:243-251) ბინადართ. ქაჯები სულის აღთქმულ დროს (ხუთი წლის შემდეგ) ხელში ჩაგდების მოლოდინში ზრუნავენ თავიანთ „ძმაზე“ („ჩოღროს გზას მოუნათებდენ ქაჯნი კბილების ალითა“) და ამასთანავე არ მალავენ თავიანთ დამოკიდებულებას „ტვინთხელისადმი“.

პოეტი ამ ეპიზოდში შერეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ცრემლები ჩამოსდიოდა
სვინიდის ნამძინარევსა,
ერთი მხრით გული უხარის
შერესა ნამტირალევსა“.

ვაჟას გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა რთულია – ტირის და თან სიხარულითაა აღსავსე. შერეს გული უხარის, რადგან ცხოვრების უმთავრესი მიზანი შეისრულა – ეთერის მოპოვების საშუალებას დაეუფლა და თუ მაინც ტირის, ატირებს სულის გაყიდვის სიმძიმე. მართალია, მის სინდისს სძინავს, როგორც პოეტი ამბობს, მაგრამ დანაშაულის შეგრძნებამ თავისი საქმე უკვე გააკეთა. შერეს ცნობიერი უბიძგებს, ჩავიდეს ქვესკნელში (ჯოჯოხეთში), რათა მოიპოვოს სასურველი საგანი. ქვესკნელში შერეს მოგზაურობა მინდიასავით „ახალი ცოდნის“ დაუფლებითა და განწმენდით კი არ დამთავრდა, არამედ სულის

გაყიდვითა და სამუდამოდ დამძიმებით. პოემა „ეთერში“, „გველის მჭამელის“ მსგავსად, ქვესკნელი ისევ განსაკუთრებულ მოვლენათა სამყაროდ რჩება, სადაც სხვადასხვაგვარი საოცარი ამბები ხდება. აქ ყველაფერია შესაძლებელი – ახალი ცოდნის მიღება და მისი სიკეთის სამსახურში ჩაყენებაც და სულის გაყიდვით დამდაბლება და ბოროტების თესვა, ცოდვით დაცემაც.

ჯადო-წამლის მოპოვების შემდეგ შერეში იღვიძებს ქვეცნობიერი. ეს უნდა ატირებდეს ამ წარმატებულ კაცს. პოეტმა სწორედ ამ პლანში სცადა გმირის ხასიათის გახსნა, ამ გზით მოისურვა ეჩვენებინა მისი ტრაგედია. დანაშაულის სიმძიმემ უნდა განსაზღვროს შერეს მომავალი, მისი სასჯელის ზომა.

პოეტი გვახსენებს, რომ შერემ უცხოეთში იარა „დიდხანს მრავალის ტანჯვითა“ და ის, ბუნებრივია, შემთხვევით არ ტირის. ჩანს, მას აშკარად დაუძაბუნდა ფსიქიკა. ტირილი გამოხატავს მის სულიერ ტანჯვას, შედეგს მისივე საქციელისას. მომდევნო ეპიზოდში პოეტი უფრო მეტად აღრმავებს თავისი გმირის სულში წარმოქმნილ კონფლიქტს. შერე ხედავს ლაშქარს, მაგრამ თავი „ურიცხად“ მიაჩნია მათ შორის გასარევად. ამიტომ გაიპარება ქურდულად. სულის გამყიდველი პირისთვის ეს ბუნებრივი მდგომარეობაა.

პირობის უნებლიე დამრღვევ გურგენ მეფესთან დამარც-ხდა დაწუნებული მეფე ლევანი, ვერ აღადგინა მან თავისი შელახული პრესტიჟი, მაგრამ ვერც ამ გამარჯვებამ შექმნა გურგენ მეფისთვის სიხარულის საფუძველი, რადგან წამალმა გაჭრა, ეთერი წარმოუდგენლად დაიტანჯა, გოდერძის კი „სული ამოსდიოდა“.

გოდერძიმ უარი თქვა ეთერის გასხვისებაზე!

ამით პოეტმა გოდერძის ხასიათს მეტი ვაჟკაცური სიმტკიცე შესძინა და განასხვავა იგი აბესალომისაგან. მოსიყვარულე აბესალომის მიერ ეთერის სხვისთვის მიცემა, მართალია, ეთერის სიბრალულითა და სხვის ხელში მისი სენისაგან განთავისუფლების იმედით იყო მოტივირებული, მაგრამ აბესალომის ეს საქციელი უთუოდ მისსავე საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს (გამორიცხული არ არის, რომ აქ საერთოდ უმაღლესი სოციალური

ფენისათვის ნიშანდობლივი პირუმტკიცობაც იყოს აქცენტირებული კოლექტიური ავტორის მიერ). ვაჟას გოდერძის პიროვნული მთლიანობა იმაშიც ჩანს, რომ აბესალომის მდგომარეობაში მყოფმა უარი თქვა ეთერთან განშორებაზე და ამით ეთერისადმი სხვა ხარისხის სიყვარული გაამჟღავნა.

გურგენ მეფემ და შერემ უნდა ზღონ. ერთმა ბოროტი ცოდვისა და მეორემ – სულის გაყიდვისათვის.

ეთერი გოდერძის შინიდან გაშვებას სთხოვს, რადგან თავის თავს თვლის ამ უბედურების მიზეზად:

ვ ა ჟ ა	ხ ა ლ ხ უ რ ი
„მაშინვე გითხარ, მე და შენ ჭალას რომ შავიყარენით, და ეხლაც იმასვე გეტყვი, ეხლა, როს გავიყარენით: არა ვარ შენი საფერი..."	„მოდი, გამიშვი, ნუღარ მაცდევინებო, მე არ გითხარი, მე შენ ცოლად არ შეგფერიო".

სიკვდილის წინ გოდერძი დედას ევედრება, ერთხელ კიდევ შეახედოს ეთერს. პოეტი თქმულების ფშაური ვარიანტის კვალობაზე ავითარებს ამბავს პოემის ამ ეპიზოდში:

ვ ა ჟ ა	ხ ა ლ ხ უ რ ი
„მანამ რასმე ვგრძნობ კიდევა, მანამ თვალითა ვხედაო, მინდა რომ ვნახო ეთერი, მისი ტანი და პირია, როგორ მინდარის... მის ნახვა ჩემთვის რა ძვირად ჰღირია!"	„ადეგ, უშტარო, დედაო, ეთერსა კარსა უარე, ჯერ კი ატირდი ბრალადა, მერმე თავ შაამპუარე".

მართალია, გურგენ მეფეს ეთერისადმი დამოკიდებულება არ შეუცვლია, მას ისევ „ღვთისგან წყეულ გოგოდ" მოიხსენიებს, მაგრამ არ კი უნდა, თვითონ გახდეს მიზეზი „დამლევად შვილის სულისა", თუმც ყველაფერი გააკეთა ამისათვის. გურგენი სთხოვს შერეს, განკურნოს ეთერი. თქმულებისათვის ეს უცნობი სიუჟეტური სვლაა! გურგენ მეფის თხოვნას მოსდევს ფსიქოლო-

გიურად დატვირთული ეპიზოდი შერეს შინაგანი ხმის გაღვიძებისა. მეფის თხოვნის საპასუხოდ შერეს ესმის ავსულის ჩაგონება: არ დაივიწყოს მიცემული ფიცი, ციხესავით გამაგრდეს! ეს ხომ შერეს სურვილიცაა! აკი ეთერის ხელში ჩაგდებისათვის გაწირა მან სული! ეთერის მშვენიერებას იმ შემთხვევაში დაუბრუნებს, თუ მას მისცემენ, მაგრამ გოდერძი რომ ვერ ელევა საყვარელ ქალს! რა გზას დაადგეს სულგაყიდული შერე, რა გადაწყვიტოს? ვიდრე იგი აწონ-დაწონის თავის მომავალ მოქმედებას, გოდერძი კვდება და ეთერი თავს იკლავს.

ვაჟა ფშაველა თქმულებას უსადაგებს პოემის ამ ეპიზოდის შინაარსს:

ვ ა ჟ ა

„ეთერი გამოვიყვანეთ
თქვენის ძის სანახავადა,
მოკვდავმა ნამოიწია
მის გულში ჩასაკრავადა.
ხელი მოჰხვია კიდევა
ცხოველის პირის კანითა,
სიცოცხლე ვეღარ დაიძგნო
გამოლეულის ჯანითა
და, ჩვენს უცნობლად, ეთერმაც
თავი დააკლა დანითა.
ჯერაც გულშივე ურჭვია
დანა შავის რქის ტარითა“.

ხ ა ლ ხ უ რ ი

„ეთერი „აბესალომს გულზე
დაეცა და ტირილი დაიწყო...
აბესალომმაც ერთი აკოცა,
გადაბრუნდა და მოკვდა.
ეთერს ელდა ეცა,
ამის მერე მე რაღათ ვიცოცხლოვო
და თვითონაც თავი მოიკლა
აბესალომის დანით“.
„ეთერი მივიდა და დაეკონა:
აბესალომის დანაო,
ჯიბეს მიდევხარ განაო,
ამოვიღებ და დავიცემ
მარჯვენას ძუძუსთანაო“.

ამ ამბის მომსწრე ქვეყანა „თვალებით მოტირალით“ უცქერის მზეს. ძაძებით გლოვობს მიჯნურთა დაღუპვას გურგენის სასახლე. გოდერძის ანდერძის თანახმად, მიცვალებულებს მოუძებნეს „ერთი ადგილი უდაბნო, განაპირა... ტყიანი მთისა ცხვირია“. მეფის ბრძანებით, „დამარხეს ერთად, ცოტასკი ერთურთზე მოშორებითა“. გოდერძი „ძვირფასად შეხამებულ“ კუბოში ესვენა, ეთერი – ხისაში. სასახლის კარის მეთაურს ამ უბედურების ჟამსაც არ დაავიწყდა თავის ღირსებაზე ფიქრი!

თუმცა ვაჟა ფშაველა ამ ეპიზოდშიცა და ფინალშიც მისდევს თქმულების დედააზრს: მიჯნურთა საფლავებზე ყვავილები ამოდის; ისინი ეხვევიან ერთმანეთს; ფეხებში წყარო მოჩუხჩუხებს; დილა-საღამოს აქ ბულბული გალობს; ვინც წყაროს წყალს იგემებს, შენდობას უთვლის აბესალომს და ეთერს, თან არც ბერდება და არც კვდება.

ხალხურ თქმულებაში სულგაყიდულ მურმანს სიკვდილი ელირსა. სიძულვილის მიუხედავად, ხალხმა მას აბესალომისა და ეთერის საფლავებს შორის დაამარხვინა თავი დროებით, ვიდრე ამოძირკვავდნენ სოფლელები. თქმულების მიხედვით, ეს თავად მურმანის სურვილი იყო – ეთერის გარეშე მისთვის სიცოცხლეს აზრი არ გააჩნდა! მაგრამ იგი, უკვე ნარის ეკალში განსხეულებული, მაინც გადააგდეს, როგორც უსარგებლო რამ, უღირსი ადამიანური სასუფევლისა. ხალხის ღრმა რწმენით, მიჯნურთა ტრფიალი იმ ქვეყანაზედაც უნდა გაგრძელებულიყო, თუნდაც ყვავილთა სიცოცხლესა და ერთურთის ალერსში.

ვაჟა ფშაველა შეუწყნარებელია შერეს ცოდვის, შესაბამისად, ბოროტების მიმართ. პოეტი შერეს ტრაგიზმს იმითაც ამძაფრებს, რომ ცოცხალს ტოვებს, თუმცა მხოლოდ ფიზიკურია ეს სიცოცხლე. ცოდვამ შერე ჭკუაზე შეშალა. ადამის ძეთა მტრებთან დაკავშირებამ ადამიანებთან ძველებური კონტაქტის უნარი მოუსპო და ცხოველურ ინსტინქტებს აზიარა. შერე „სიბილწის მქნელი" ახალი ცოდნის შესაძენად უდაბურ და ბნელ სამყაროში იყო და გაითავისა იგი. ეს სამყარო მუდამ მასთან დარჩება, ვერასოდეს დაიხსნის თავს მისგან, რადგან ბნელეთთან კავშირის პირობა უაღრესად მტკიცეა.

ცოდვათა მოსანანიებლად და გაყიდული სულის განსაწმენდად შერეს მეუდაბნოეობაც უცდია, მაგრამ ერთი წლის მარხულობას ვერ მოუგვრია მისთვის სულიერი სიმშვიდე. წარსული ისევ ანათებს მის „დაშინებულ" თვალებში. ეს სინათლე გამუდმებით ახსენებს თავის ცოდვას, გამოუსყიდველსა და უმძიმესს. ახლა, ამ ყოფაში, ხსნის მხოლოდ ერთი გზა დარჩენია შერეს და მას თვალების დათხრამდე მიჰყავს, ეს კი სულიერ სიკვდილს გულისხმობს (ჩხენკელი, 1989:73).

ვაჟა ფშაველას, მართალია, გამორჩეული პოეტური შინაარსისა და ფორმის მასალა ჰქონდა პოემის წერისას, მაგრამ როგორც სჩვეოდა, ახლებურად გაიაზრა აბესალომ და ეთერის ტრაგიკული შეუღლების ამბავი. განსაკუთრებული ცვლილებები განიცადეს მურმანისა და აბესალომის მხატვრულმა სახეებმა. აბესალომის მამის ეპიზოდური სახე პოემაში საგულისხმო ფიგურად იქცა. ვაჟა არ ცვლის ხელმწიფის თქმულებისეულ აზრს ეთერზე, მაგრამ გურგენ მეფეს მძვინვარებით აღსავსე კაცად ხატავს, რაც მას თავადვე აზარალებს.

გოდერძი აბესალომისაგან განსხვავებული გამოკვეთილი პიროვნული თვისებით იქცევს ყურადღებას. თავისთავად, თქმულების აბესალომის ხასიათი ახალი ეტაპია საზღაპრო ეპოსის შესაბამისი პერსონაჟის ხასიათთან შედარებით. ჯადოსნურ ზღაპარში იგი უპიროვნო გმირია. თქმულების, როგორც დროში შედარებით გვიანდელი ჟანრის, სპეციფიკის გამო, აბესალომი უკვე ინდივიდამდე მაღლდება, თუმცა მაინც ძალზეა დამოკიდებული თავისი მამის ნებაზე. ვაჟას გოდერძი ამ მხრივ არის ხასიათის განვითარების მესამე, დამამთავრებელი საფეხური. იგი თავის პიროვნულ ღირსებას მრავალგზის იცავს, ხასიათის გამორჩეულობა კი იმ ეპიზოდში გვირგვინდება, როდესაც სენშეყრილ ეთერს არ ასხვისებს. სწორედ ამან განასხვავა გოდერძი აბესალომის, როგორც შუასაუკუნეების ზნეობრივ ეტიკეტში ჩაკეტილი მიჯნურისაგან.

ვაჟა ფშაველას პოეტურ ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევდა თქმულების ერთ-ერთი უბრწყინვალესი მონაპოვარი – მურმანის ტიპი – ხასიათი. მიჯნურთა ცხოვრების ტრაგედიად მქცეველი კაცის ხატვისას ვაჟამ ბევრი რამ ახალი შეთხზა. მართალია, შერე მურმანივით მიზანსწრაფულია, მაგრამ მათი შესაძლებლობები აშკარად ვერ უტოლდება ერთმანეთს. ხალხური გმირის მოქმედება ფოლკლორული ტრადიციის ჩარჩოში ზის და გარკვეულად სწორხაზოვანია, ლიტერატურული ხასიათი კი მრავალპლანიანია და უფრო ტრაგიკულიც. გოდერძიმ შერეს მოუსპო ოცნების აღსრულების უკანასკნელი იმედი და ამით უმძიმეს სულიერ მდგომარეობაში ჩააგდო. თავის მხრივ, ვაჟამ შერეს, როგორც სულგაყიდულს, ცოდვით დაცემულს წაართვა ფიზიკური სიკვდილის უფლება და თავისი პოზიცია პერსონაჟისადმი ამით გამოხატა.

თავი X

ლიტერატურული ზღაპრები

1914 წელს კრიტიკოს იპოლიტე ვართაგავასადმი გაცემულ პასუხში ვაჟა ფშაველა წერს: „ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველისძველი ამბავიო", „ზღაპარიო", „თქმულებაო", იმ მოსაზრებით, დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არ ჰქონიყო..." (ვაჟა ფშაველა, IX, 1964:362). მართლაც, გვხვდება ვაჟას პროზაში ისეთი მოთხრობები („დათვი", „წისქვილი" და სხვ.), რომელთაც ასეთი ქვესათაურის მიუხედავად, ზღაპრის ჟანრს ვერ მიაკუთვნებ. არის პირიქითაც, ვაჟა მოთხრობას არქმევს ნაწარმოებს, რომელიც თავისუფლად ჯდება ლიტერატურული ზღაპრის პარამეტრებში.

ლიტერატურული ზღაპრის ტრადიცია ფოლკლორივით ძველი ვერ არის, მაგრამ კარგა ხნის ისტორია აქვს. მის სათავეებთან იდგა ბევრი ცნობილი მწერალი, რომელთა ღვაწლი დაუფასებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი საქმიანობა, ვინც ზღაპარს, ზეპირი შესრულებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებს, წასაკითხ ღირებულებად აქცევს. ასეთი საქმიანობა ჯერ ევროპაში დამკვიდრდა, მოგვიანებით კი – ჩვენშიც. XIX საუკუნის ქართველმა მოღვაწეებმა, თედო რაზიკაშვილმა და პეტრე უმიკაშვილმა დაგვიტოვეს ზღაპართა შესანიშნავი კრებულები, რომელთა ფოლკლორული ტექსტები მხოლოდ ენობრივად არის შეცვლილი და შენარჩუნებულია ხალხური ზღაპრის ჟანრული ბუნება, ფოლკლორულ ტრადიციასთან კავშირი.

მწერლობის ისტორიისათვის ცნობილია ლიტერატურული ზღაპრის ისეთი ტიპი, როცა ტრადიციული ხალხური ზღაპრის ბაზაზე (ან მის მოტივზე) იქმნება ახალი ინდივიდუალური შემოქ-

მედებითი იდეის დამამკვიდრებელი ზღაპრები. ასეთი ზღაპრები ახლოსაც არიან და უპირისპირდებიან კიდეც ტრადიციული ზღაპრის ესთეტიკას. მათ შორის განსხვავებას უფრო ხელშესახებს ხდის მწერლის მიერ თხრობაში თავისი დროის მაჯისცემის შემოტანა, ფსიქოლოგიზმის აქტუალიზაცია, პერსონაჟთა ფიქრისა და განწყობილების დაფიქსირება, დიალოგის ენის თავისებურებები და ა.შ. ეს ელემენტები, ჩვეულებრივ, უცხოა ტრადიციული ზღაპრისათვის.

ლიტერატურული ზღაპრის შექმნამ მწერლობის ისტორიაში ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. ინდივიდუალურ შემოქმედთა წყალობით ზღაპრის ამ ნაირსახეობამ გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა. რაკი „ზღაპარს", ანუ გამოგონილს, არარეალურს არქმევდნენ პროზაული ფორმით გაცხადებულ ამბავს, მასში შეიძლებოდა გელაპარაკა ისეთ მანკიერებებზე, რომელზეც სხვა შემთხვევაში აშკარად ვერაფერს იტყოდი.

ლიტერატურული ზღაპრები უნივერსალური ნიშნებით ხასიათდება – დიდებისთვისაც არიან განკუთვნილნი და ბავშვებისთვისაც. წარმოსახული ფანტასტიკური სამყარო მათშიც ბრწყინავს და ფაბულის ჩამოყალიბებას „სასწაულებრიობის" ფენომენი უზრუნველყოფს. ტრადიციული ზღაპრისაგან მათ ის განასხვავებს, რომ მომხიბვლელი უბრალოების საპირისპიროდ, ლიტერატურულ ზღაპარში ავტორის ნიჭიერების შესატყვისად ღრმად და მრავალმხრივად არის ხოლმე დამუშავებული თემა და საგანგებოდაა დახვეწილი ნაწარმოების ენა.

ასეთი ლიტერატურული ზღაპრები ყველაზე შემოქმედებითია და, შესაბამისად, გავრცელებულიც. მათში ავტორისეული ხედვა შესაგრძნობია თხრობაში, რეალობისა და გამონაგონის შეთავსებაში. მწერლები მასალად იყენებენ თქმულებებს, ლეგენდებს, გადმოცემებს, ანდაზებსა და სხვ. ძველისაგან ახლის შექმნისას მწერლის იდეა წარმართავს პროცესს. ასე ქმნიდნენ ჰანს ქრისტიან ანდერსენი, საკარიას ტოპელიუსი, ალექსანდრ პუშკინი, ვასილი ჟუკოვსკი, ლევ ტოლსტოი, შელმა ლაგერლიო-

ფი, ალექსეი ტოლსტოი, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა და მრავალი სხვ.

მწერლობის ისტორია ისეთ ლიტერატურულ ზღაპრებსაც იცნობს, რომლებიც მაინც და მაინც არ არიან დაკავშირებული ტრადიციულ საზღაპრო სიუჟეტთან, თუმცა, რაღაც ელემენტებს მაინც სესხულობენ მისგან. მწერლები ასეთ ნაწარმოებებს ზღაპარს იმიტომ უწოდებენ, რომ მათში გამოგონილი (შესაძლოა, ფანტასტიკური) ამბებია მოთხრობილი. ამ ტიპის ნაწარმოებებისათვის ჯადოსნური ზღაპრის არსენალიდან გამოყენებულია ხოლმე მაგიური საგნები ან მათი უნარი. მწერალს სასწაულებრივი გარდაქმნების ესთეტიკა ეხმარება ხორცი შეასხას თავის სათქმელს. ასეთი ზღაპრების შემქმნელები ყოველთვის არ იცავენ ტრადიციული ზღაპრის კომპოზიციის აწყობის კანონებს, თავისუფლად ავითარებენ სიუჟეტს, საკუთარ ნება-სურვილს უმორჩილებენ ყველაფერს. დიდი ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი მხოლოდ ტერმინ „ზღაპარს“ სესხულობს ხალხისგან. ეს გარეგნული ფორმა მას ბურჟუაზიული მორალის კრიტიკის შესანიღბად სჭირდება. ვაჟა ფშაველას სატირა იკითხება ზღაპარში „მუცელა“. არა მხილებას, არამედ ყმაწვილების გაოცებას (ცხოვრების გაცნობას) ისახავს მიზნად ვაჟას „ცრუპენტელა აღმზრდელი“, რომელშიც სინამდვილესთან ძნელად შესათვისებელი სხვადასხვა ჟანრის ამბებია გადმოცემული. წმინდა გასართობი ფუნქცია აქვთ ცხოველთა შესახებ ზღაპრების ბაზაზე შექმნილ ნაწარმოებებს.

ვაჟა ფშაველა თავის ორნაწილიან, რვა თავისაგან შემდგარ მოთხრობას **„ცრუპენტელა აღმზრდელი“** ზღაპარს არ უწოდებს, თუმცა ნაწარმოები ლიტერატურული ზღაპრის იმ ტიპს განეკუთვნება, რომლის სიუჟეტი აგებულია ფოლკლორული წარმოშობის ფანტასტიკურ ამბებზე. მართალია, ეს ამბები სხვადასხვა შედგენილობისაა, მაგრამ ერთი გმირის გარშემო ვითარდება, მისი საშუალებით არიან გაერთიანებული და დროისა და ადგილის ერთიანობის პრინციპს ექვემდებარებიან.

„ცრუპენტელა აღმზრდელის“ გმირი 80 წლის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური მოხუცია, რომლის ეპითეტი „ცრუპენტელა“ მისდამი უფრო სიყვარულს გამოხატავს, ვიდრე მისი ობიექტური შეფასების შედეგს.

მონადირე ციხელს უკვე აღარ შეუძლია თოფის მიზანში სროლა, თავი დაუნებებია მონადირეობისთვის, საკუთარ თხებსა და ცხვრებს მწყემსავს და ცხოვრებას მდორედ მიათრევს ყოველდღიურობასთან ჭიდილში. მის გარშემო პირადული უკვე აღარაფერი ხდება, მოგონებებით ცხოვრობს, თუმცა ფანტაზიის უნარი ისევ აქტიური შერჩენია. ვაჟა ციხელს ისეთი მგზნებარე წარმოსახვის ადამიანად ხატავს, რომელსაც უყვარს და შეუძლია თხზვა და, რაც მთავარია, მოსწონს საზოგადოებაში ტრიალი, ადამიანების შექცევა.

ციხელის გონება ყველგან შეუფერხებლად თხზავს ამბებს და ეს საქმე განსაკუთრებულად ყმაწვილებთან ეადვილება, რადგან უფროსი ასაკის ადამიანებს ისე ადვილად ვერ მოატყუებს, როგორც პატარებს. ციხელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პასიურ მსმენელთა ჯგუფის წინ თხრობა, არამედ მათთან დიალოგში შესვლა. კომუნიკაციის ამგვარ პროცესში მისი გამომგონებლობის უნარი უფრო აქტიურდება და ერთ ამბავს ისე მოხერხებულად აბამს მეორეს, თვალსაც არ ახამხამებს.

ციხელის მოთხრობების მოსმენისა და მისი მოქმედებების გაცნობა გიქმნით შთაბეჭდილებას, რომ საქმე გაქვთ ნამდვილ მეზღაპრესთან, ან, შესაძლოა, ერთ მსახიობთან (მათი საქმე ხომ ძალიან წააგავს ერთმანეთს), რომელიც თავისი თეატრის მაყურებლად გხდით. მოხუც ციხელს, ისევე როგორც მეზღაპრეს, ასეთი სპექტაკლის გამართვა ყველგან შეუძლია, სპეციალური ფიცარნაგი არ სჭირდება, რადგან მისი მთავარი იარაღი მასთანვეა. იგი შესანიშნავად ფლობს მსმენელის დაპყრობის ხელოვნებას. თამაშობს გულგრილი და გულწრფელი, მრავლისმნახველი კაცის როლს და, როგორც ყველა არტისტი, ისიც ყოველ ღონეს ხმარობს, მალემრწმენი მწყემსი ბიჭების ინტერესი არ დაკარგოს, თუმცა ამას არ ამჟღავნებს.

ვაჟა ფშაველა თავისი გმირის გარეგნობაზეც ზრუნავს, არ სურს დაარღვიოს ფშაური ტრადიცია, რაკი ამბებს იქაურს მოგვითხრობს, ორგანულად უნდა ჩაწეროს გარემოში ფშაველი მწყემსი. ციხელს „ტანზე თხის ტყავი ეცვა, თავზე წონლოკანა თხისავე ტყავი ეხურა, სახე მოღუშული ჰქონდა, არასდროს არ გაიცინებდა... მოდიოდა და თან მოლაპარაკობდა თავისთვის“ (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:143). ციხელს მოღუშული კაცის ნიღაბი იმისთვის მოურგია, რომ მაშინვე არ გაუმჟღავნონ განზრახვა. სინამდვილეში ცრუპენტელას, საპირისპირო როლი აქვს შესასრულებელი – უნდა მოიტყუოს, ითვალთმაქცოს, მოზრდილი ასაკის უცხო თვალისა და ყურის ადამიანზე (მკითხველი მყავს მხედველობაში) მოსულელოს შთაბეჭდილება უნდა დატოვოს. ასეთი დამოკიდებულების საბაბს იძლევა მისი პირველივე მტკიცება, რომ გაამჟღავნა კურდღლისა და კაკბის შეთქმულება და დასაჯა ისინი: კურდღელი ჯაჭვით დააბა, კაკაბი კი ჩასვა კალათაში, რომელსაც წნელი გადაწნა.

ციხელის მონათხრობში ამბავზე მეტად საგულისხმო ამბის მონაწილეთა მეტყველებაა, სიტყვიერი ტექსტებია, ამბავთა გმირებსა და ვითარებასთან შესაბამისობაზე მწერალს მონდომებით უზრუნია. პირველ ეპიზოდში ეს არის თხოვნა-ვედრება, რომელთა წარმოთქმისას ციხელი ხმასა და ინტონაციას უნდა იცვლიდეს, რათა მეტი ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე. ვაჟას ლექსითი ჩანართის შემოტანით კი განახლება შემოაქვს თხრობაში. ნადავლი კურდღელი, – მოგვითხრობს ციხელი, – „წუხელისაც იჯდა კერის პირს დაყუნთებული და მოსთქვამდა, მწარედ ტიროდა:

„სად ხართ, შვილებო,
კარგო, ტკბილებო,
პაწაწკინტელა, ფუნჩულეებო?!
ვაი თქვენს დედას
თქვენ ვერა გხედავს,
ჯერ უმეცარნო, ყურცქვიტეებო,
ძუძუს ჰკითხულობთ,
უცქერთ ჩემს გზასა“ და ა.შ.

მსგავსია კაკბის ტექსტიც: „გამიშვი, ჩემი წიწილები ვნახო, ვინ იცის, გადამიჭამა ალალმა; ვინ იცის, სადა წივიან და ტირიანო“.

მწერალი პერსონაჟთა მეტყველების ინდივიდუალიზაციას საგანგებო ყურადღებას აქცევს, რადგან მოთხრობა ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. ციხელს თავად თავისი სალაპარაკო ტექსტი ახასიათებს: „არ გავუშვებ, რადა და მადა, რომ ავაზაკები არიან: გაპარვა უნდათ. წუხელის იცით რასა ლაპარაკობდენ? მე ნისკარტით თოკს გავწყვეტო... შენ კიდე კალათას... ფეხებით ფლასი გააგდებინე და გავკურცხლოთო“.

ვაჟას მთავარი გმირის პროფესიად მონადირეობა იმიტომ აურჩევია, რომ მოტივირებული გახადოს ციხელის გადამეტებული გამომგონებლობა. საერთოდ, მონადირეები ფანტაზიას აყოლილი ხალხია, პროფესია კი უფრო აძლიერებს მათ წარმოსახვას, ხოლო „ბაქიაობა“ მათი ჩვეულებრივი მდგომარეობაა. ციხელიც ისე ყვება ამბებს, ველარ გაარჩევ ტყუილ-მართალს. ეს ამბები უცხო წარმოშობისა კი არ არის, ფშაური ზეპირსიტყვიერებიდან და ყოფიდანაა აღებული. მსგავსი ამბები მწყემს ბიჭებს, შესაძლოა, ადრეც ჰქონდათ გაგონილი, მაგრამ რაკი ციხელი ნამდვილი ქოსატყუილაა და ყმაწვილების „გაოცების“ ეფექტზე „მუშაობს“, ამბებში ისე ხლართავს რეალურსა და გამონაგონს, რომ ზოგჯერ თავადაც ებნევა კვალი. მთავარი კი ის არის, რომ ციხელი ყოველ ამბავს თავის თავგადასავლად აცხადებს. იგი ისეთი დამაჯერებლობით ყვება, რომ ამბის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა უჭირთ გამოუცდელ ყმაწვილებს, ხოლო როცა ასეთი განცდა მაინც ეუფლებათ, ციხელი სიტუაციიდან თავის დაძვრენას დაპირებით (აუცილებლად გაჩვენებთ) ახერხებს, ან უცებ ცვლის საუბრის თემას.

სიუჟეტის გამრავალფეროვნების მიზნით ვაჟას სხვადასხვა ტიპის ამბები შეურჩევია. პირველ რიგში, ეს არის ყოფითი ხასიათის ისტორიები მონადირეთა ცხოვრებიდან, რომლებშიც ციხელი შეუდარებელი სიმარდით, მოხერხებით და გამორჩეული მონადირის სხვა თვისებებით არის დახატული. ციხელის „ბაქიაობა“ ყოველ ეპიზოდში ერთტიპობრივია. აი, ერთი ნიმუში: „ხარ-

ირემს თოფი ვესროლე, დაჭრილი წამივიდა, გამოვუდექი, იმის დევნაში ერთ დათვს წავაწყდი. დაიწყო ბურტყუნი, შესდგა ყალხზე, უნდა მცემოდა, მაგრამ ყოჩაღად დავუხვდი, დავეცი გულში თოფი: დაიღრიალა საშინლად, უზარმაზარი იყო, ადგა და დაეცა... დათვს თავი გავანებე, ან კი სად გამექცეოდა? ირემს გამოვეკიდე. ცოტა აღაჯი გავიარე. ახლა უზარმაზარი გარეული ღორი, ტახი იყო, არ შემეხეჩა! ეშვები მტკაველის სიგრძედ ეტყობოდა გარეთ და ისე ანათებდნენ, როგორც ბნელ ღამეში კელაპტრები. კბილებს ილესავდა, პირიდან მუშტის სიმსხო ქაფს ქაფზე ისროდა, ეტყობოდა, გაჯავრებული იყო. მე რას შემაშინებდა, ისე ვიდეგ, როგორც კლდე... ტახს თოფი ვესროლე, დაიჭრა და როგორც შურდულის ქვა, გამოქანდა ჩემკენ და გაიმრუდა კისერი, უნდოდა შემოესვა ჩემთვის ეშვი, მე ხანჯარი დავუსვი და ორივე ყბები ეშვებიანად ჩავასხიპე" (იქვე, 146). ვაჟა ჰიპერბოლით იმიტომ აწყობს ეპიზოდს, რომ მკითხველმა იგრძნოს მისი, როგორც მწერლის (გვერდიდან მაყურებლის) პოზიცია. რაც შეეხება ყმაწვილებს, ისინი, მოხიბლულნი ციხელის გამორჩეულობით, მხოლოდ აღტაცებულები რჩებიან.

ვაჟა ფშაველას „ცრუპენტელა აღმზრდელში" სხვადასხვა კონტექსტში შემოაქვს ცხოველთა შესახებ ზღაპრები, ჯადოსნური ზღაპრის სასწაულებრივ საგნებთან – მანათობელ ფრთასა და ნატვრისთვალთან დაკავშირებული მოტივები, პატრიოტული მიმართულების თემები საისტორიო სიტყვიერებიდან – სახელოვანი წინაპრის მიერ ვაჟისთვის თავისი აბჯრის გადაცემისა და მტერთან ომს მოწყურებული ხმლის ქარქაშიდან ამოწვდის მოტივები და სხვ. ზემოჩამოთვლილი თემები მოთხრობაში კომპოზიციურად დიდი გემოვნებით არის გაფანტული, რისი წყალობითაც არ სუსტდება ნაამბობისადმი ინტერესი.

ყმაწვილი მწყემსების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ალის შესახებ მოთხრობა. როგორც თავად მწყემსები აღნიშნავენ, ციხელის მოყოლილი განსხვავდებოდა იმისგან, რაც ალზე მშობლებისაგან ჰქონდათ გაგონილი.

„ცრუპენტელა აღმზრდელის“ ალი საქართველოს მთაში ცნობილ ალებს არ ჰგავს. რაკი მწერალს გადაწყვეტილი აქვს ამ პერსონაჟის სხვა თარგზე გამოჭრა, თავისი ალის განსხვავებულობის მოტივაციასაც ქმნის. ალი მწერალს შემოჰყავს, როგორც პატარა სამი წლის გოგონა. მან და ციხელმა მამაშვილობა დაუთქვეს ერთმანეთს. ალი ამბობს, რომ იგი ალებმა თავისი წრიდან გამოდევნეს, რადგან „ცუდ საქმეებს ბევრსა სჩადიოდნენ და მე ვუშლიდიო“. ეს ფრაზა იმაზე მიგვანიშნებს, რომ დემონოლოგიაში ცნობილისაგან (მასზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ) განსხვავებულზე უნდა მოგვითხროს მწერალმა. მას ყვავილებისა და ფოთლების კაბა აცვია და ისეთი მშვენიერია, იმაზე კარგს ადამიანის თვალი ვერაფერს ნახავს. გრძელი, ხშირი ოქროსფერი თმა კოჭებამდე სცემდა (პორტრეტის ეს დეტალები ცნობილია!), მსხვილი ლურჯი თვალები ვარსკვლავებივით უნათებდა (იქვე, 146).

ამ ეპიზოდში ვაჟა ხატავს ნაწილობრივ მინდორთ დედოფალს, რომელსაც ხალხური გადმოცემებიც იცნობს და ზღაპარიც (იხ. თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი „ზღაპარი მინდორთ ქალისა“), ნაწილობრივ კი ნადირთ ღვთაება დალის გარეგნულ ნიშნებს, იყენებს (დალის გარეგნობა შეერწყა ალს). ციხელთან შეჩვეულ ალს ტრადიციულად მაქციაობის უნარი აქვს, რასაც წარმატებით იყენებს. ციხელი გვარწმუნებს, რომ ალმა იგი გაამდიდრა: „ჩემი ცხვარი და ძროხა დედამიწას ამძიმებდა; ფულით – ოქრო და ვერცხლით სავსე ქვევრები მქონდა“. ყმაწვილი მწყემსები კარგად იცნობენ თავის სოფელს, იციან ვის რა ავლადიდება აქვს, ხვდებიან, რომ ციხელის მონათხრობი შეუსაბამობაშია რეალურთან, რომ ახლა სიმდიდრის კვალიც არ იძიება მის უბადრუკ ქოხში, რომელიც აყოტებულ შამბში, ანწლსა და ჭინჭარში იყო ჩამალული. „სახლში, როგორც მწერალი ამბობს, საცოდაობის სუნი ტრიალებდა“. ეშმაკი ციხელი ყმაწვილების თვალებში ხედავს უნდობლობას და ამიტომ თავისი ნათქვამის სარწმუნოების ხარისხის გასაზრდელად იშველიებს ხალხში გავრცელებულ რწმენას, რომლის თანახმად, „თუ ალს დაუზავდებოდა ადამიანი, იმის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა“. ამ ცრურწმენაზე უნდა შევნიშნოთ, რომ ის და-

ლისთან იყო დაკავშირებული (მონადირეებს დალი სიყვარულის ნილ ხელბარაქიანობაში ეხმარებოდა) და რაკი დალი ქრისტიანულ საზოგადოებაში დაკნინდა, როგორც ღვთაება, შესაძლოა, მისი ეს თვისება დემონოლოგიამ ალს მიაწერა.

ციხელის ალის მაქციაობის უნარი ცხადდება ჯადოქრობაში. მას შეუძლია ადამიანს მოაჩვენოს ფანტასტიკური სილამაზისა და სიმდიდრის სასახლეები ბაღებით და როგორც გააჩენს მათ, ასევე გააქროს. ამ ეპიზოდის გამართვისას მწერალი ჯადოსნური ზღაპრის სასწაულებრივთან მიმართების უნარით სარგებლობს, ჩვენ კი ასოციაციურად გვახსენდება ზღაპრისეული მავნებლისგან გმირისათვის მიცემული რთული დავალება, მეორე დილას გაშენებული დაახვედროს სასახლეები და ქალაქი.

ვაჟა „მოსახილებელ სურათებს" უწოდებს იმას, რასაც ალი ჯადოსნობის საშუალებით გადაშლის ციხელის თვალწინ. ესაა: ტურფა ბაღი, რომელშიც ხარობს ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი. ბაღში ხეივნები იყო გამართული, დაბრაწული მტევნები ეკიდა ისეთი მსხვილი, თითო მტევნის ტარება ადამიანს გაუჭირდებოდა. ვაჟა ამ სურათს ხატავს და იქვე ხალხური ზღაპრიდან სესხულობს რეალობასთან შეუთავსებელ ფრაზას: „რიგი მწიფდა ხილი, რიგი ჰყვაოდა". ნაირნაირი ფრინველები დაფრთხიალებდნენ და გალობდენ ბაღში. შვლები დაკუნტრუშობდენ. მე გაშტერებული შავცქეროდი და მიხაროდა, რომ ამისთანა ბაღის პატრონი გავხდი მოულოდნელად... – ჰყვება ციხელი.

ზღაპრის მსგავსად, ვაჟა დიდხანს არ აჩერებს მკითხველის ყურადღებას ერთ საგანზე, მით უმეტეს, რომ სასწაულებრივ სანახაობას აღწერს. მართალია, ციხელს სანახაობით ტკბობის მძაფრი სურვილი უჩნდება, მაგრამ ილუზორული ბაღი ქრება, უფრო სწორად, სხვა სურათით იცვლება. ეს სურათი შექმნილია ციხელის პატივმოყვარეობის აღვსებისათვის. მის თვალწინ გადაიშლება დიდი მინდორი, „ზედ მოდიოდა მძიმე ცხვრის ფარები. ორასზე მეტი მწყემსი მოსდევდა, მე წინ მოვუძღვოდი, ლურჯს, ბედაურს ცხენზე ვიჯე, ოქროსა და ვერცხლში ჩამჯდარი... ვინც წინა მხვდებოდენ, ქუდებს მიხდიდენ, მეფის საკადრისს სალამს

მაძლევდნენ... გამოჩნდა დიდი სასახლე, ოქროთი შაღებულის სვეტ-კედლებით... გამომეგება ოცამდე მსახური... მომეგებნენ ნაზირ-ვეზირნი, ცივ-ცივად ამწიეს და დამსვეს სამეფო ტახტზე, თავს მიკრავდენ, ჩემს ბრძანებას ელოდენ: „დიდებულო, ჩვენო მეფევ, რას გვიბრძანებო?“.

წარმოსახვა გრძელდება, თუმცა ციხელია გაორებული. იგი უცხო გარემოშია, მეფედ გრძნობს თავს, ბრძანებების გაცემა სიამოვნებს, მაგრამ ამით მისი აზროვნება არ იცვლება. ციხელის მოთხოვნები კვლავ გლეხურ-მწყემსურია – ხედავს ცხვრის ფარას, ღვინო-არაყი უნდა, ხინკლის მოხარშვას თხოულობს. ციხელი მეჯლისზე ხედავს თავის თავს, სადაც „ვკმეჭდი წვნიან ხინკალს და თან არაყს ვაყოლებდი... სამი წიწანი არაყი გადავკარ წინწანაქარი“. არყით მთვრალ ციხელს ოქროს ტახტზე აწვენენ, ბუმბულის ქვეშაგებსა და ფარჩა-ატლასის საბნებში გახვეულს აძინებენ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავის მჭვარტლიან სახლში გაიღვიძა.

ციხელი რეალობას გაურბის, თუმცა სინამდვილე არსად უშვებს და თავისი მსმენელების „დასაჭერად“ ახლა ალის დანატოვარი ლოგინის ამბავს იგონებს და ყმაწვილებს ჰპირდება, რომ ყველაფრის ნახვის დრო დაუდგებათ და თან ახალი ისტორიის თხრობას იწყებს.

ეს ახალი ამბავიც ძველია, ჯადოსნური ზღაპრიდან ვიცით. ათასფრად აყვავებული ფანტასტიკური ფრინველი, რომელიც იმით არის გამორჩეული, რომ სასწაულებრივი პერსონაჟია, გმირის საძიებო ობიექტია და ძნელად უვარდება მას ხელში. ზღაპარში ასეთი ფრინველის გამოჩენა სრულიად ცვლის გმირის ცხოვრებას და ზღაპარიც საინტერესო ხდება, რადგან მოქმედება უჩვეულოდ ვითარდება. ჩიტი გაფრინდება, მაგრამ სამაგიეროდ ბუმბულს უტოვებს გმირს. ბუმბული კი, როგორც ნაწილი მთელისა, იმავე ფუნქციის მატარებელია, ანუ უფრო აცხოველებს გმირის ინტერესს მისდამი.

ზღაპრის სასწაულებრივი უცხო ფრინველი ვაჟასთან შეცვლილია კაკბით. ამ ცვლილებაზე მწერალი განზრახ მიდის.

მართალია, ვაჟას ზღაპარში ერთმანეთთან არის შერწყმული რეალური და ფანტასტიკური, მაგრამ ციხელი არაფრით არ ჰგავს ჯადოსნური ზღაპრის მაძიებელ გმირს და ვაჟაც ამიტომ აცლის ამ მოტივს პირველდაწყებით ფუნქციას – ციხელს კაკბის ბუმბული მხოლოდ უნათებს.

ისევ ჯადოსნურ ზღაპარს მიმართავს ვაჟა ფშაველა, როცა ალს მიაწერს ფანტასტიკური უნარის სალამურთან დაკავშირებულ ისტორიას. ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტური ტიპისათვის (საერთაშორისო ნომერი 592) ცნობილია ისეთი სალამური, რომელზე დაკვრისასაც ცხოველები შეუჩერებლივ ცეკვავენ. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ვაჟას გაუმრავალფეროვნებია ბუნების შვილებზე ჯადოსნური სალამურის ზემოქმედების უნარი: ალმა „ამოიღო უბიდან სალამური, დააწკრიალა, დაუკრა და რა დაუკრა, ცაში წავედი... თავბრუ დამესხა. ვხედავ... დააიწყო ცეკვა მთა-ბარმა, თამაშობდნენ ბალახი, ხეები – დიდრონი მუხები, გორის ფხაზე ჩამწკრივებული არყები, ვერხვები... ცაზე მომფრინავი სვავები, ძერები, მთის ქორები ჩამოსხდნენ დაბლა, ჰროკავდნენ ისინიც. სვავები ბობღავდნენ. კაკბებს, გნოლებს, როჭოებს ხომ რაღა თქმა უნდა. გამოჩნდა საითღაც მელია – კუდაფშეკილი ხტოდა, ცეკვავდა" (იქვე, 149).

ვაჟა ალის სხვა თვისებებსაც აზვიადებს. ციხელის თქმით, რასაც თავად ორ კვირაში ძლივს გათიბავდა, ალმა ერთ წუთში გათიბა. საყურადღებოა, რომ მონადირის სამეურნეო საქმიანობაში დახმარება დალსაც მიეწერებოდა. ალის სახელთან დაკავშირებული გადმოცემებიდან ცნობილია, რომ ადამიანს შეუძლია ალი დაატყვევოს და მანამ იმსახუროს, სანამ ვინმე კალთიდან ნემსს არ გამოაცლის (ჩლაიძე, 2006:46-47). ციხელი თევზაობის ამბავსაც იხსენებს: არაგვის პირას ალმა დაუკრა სალამური და მდინარიდან გამოვიდნენ ორაგულები, კალმახები, ჭანრები, კაპუეტები... მოდის თევზის ქარავანი რიყეზე... ალის წყალობაა, რომ ტყეში ფიჩხის წამოსაღებად წასულ ციხელს დევ-გმირის ძალით აჯილდოებს ალი: „ამოვწიე და ძირფოჩვიანად ამოვწვადე

[უზარმაზარი] წიფელი; გავიდე მხარზე, ისე მსუბუქად, მეგონა სახრე მქონდა გადებული მხარზე...“ – მოგვითხრობს ციხელი.

ციხელი ისე ხილულად ჰყვება ალის მშვენიერებისა და ყოვლისშემძლეობაზე, რომ ერთ-ერთი ყმაწვილი აღიარებს: „ციხელის ნაუბარი მე ღრმად ჩამეჭედა გულში. ალი შემიყვარდა“. ვნატრობდი: „ნეტავი მაჩვენა თვალით!.. ნეტავი ჩვენსა მოიყვანა, მამაჩემს აპოვნინა“. ყმაწვილის ოცნებას ამაზე არ აჩერებს პოეტი და სოციალური მოტივი შემოაქვს მოთხრობაში: ალი რომ გვყოლოდა, „მაშინ ხომ ვეღარც გზირი შეგვაწუხებდა, ვერც ნაცვალი, ვერც მამასახლისი და ჩაფარი?“ ოცნება სიზმარში გაუცხადდა ყმაწვილ მწყემსს – მათმა ალმა ისე შეცვალა ძველი სახლი, ვეღარ იცნობდით, საქონელი გაუმრავლა და დედამისი ჭრელ-ჭრელ ტანსაცმელში გამოაწყო.

საზღვარი ძნელად ედება ციხელის ფანტაზიას, შესაბამისად, გაოცებულნი უსმენენ მონადირეყოფილის მონათხრობს ყმაწვილები. თავისი წარმატებით ფრთაშესხმული ციხელი ახალ თამაშს იწყებს, ყმაწვილებს ეუბნება, რომ ალმა კი მიატოვა, მაგრამ ჯადოსნური სალამური დაუტოვა, შინ აქვს შენახული, თუმცა ვერ ახერხებს მასზე დაკვრას.

ამ სასწაულებრივი ნივთის ციხელის საკუთრებაში ყოფნის თემა კიდევ ერთი საშუალებაა ინტერესის შესანარჩუნებლად, მაგრამ მწერალი მხოლოდ ამ გამოგონილ სამყაროში არ ამყოფებს ციხელსა და მისგან თავბრუდახვეულ ყმაწვილებს. მწერალი, ცნობილი თავისი ზომიერებით, ფანტასტიკურს ყოფით სინამდვილეს უნაცვლებს. ყმაწვილების რეალურ ცხოვრებაში დაბრუნება იმედგაცრუებით მთავრდება: საოცნებო ნივთების სანახავად ყმაწვილების ციხელის სახლში სტუმრობა ცივი წყლის გადასხმას უდრიდა. „კაცს აეტირებოდა, სახლში ისეთი საცოდაობის სუნი ტრიალებდა. როგორც იტყვიან, სახლში ეკლის ჯაგი რომ გექნია მთელი დღე, არაფერს მოედებოდა, არსად იძიებოდა გველის ნატვრისთვალი და ალის სალამური, ცხოვრებაულის აბჯარ-ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი და ფრთასანთელი...“

ციხელის მონოსპექტაკლის რეკვიზიტები (ნატვრისთვალი, სალამური, ბუმბული) მხოლოდ მოხუცი მონადირის წარმოსახვაში არსებობდა და სწორედ ეს გამოგონილი იზიდავდა ყმაწვილ მწყემსებს ციხელისკენ. გამოგონილი სამყარო რეალურს სჯობდა და ყველანი, დიდიც და პატარაც, ილამაზებდნენ თავიანთ უბადრუკ ყოფას.

ციხელი მაშინ გრძნობს სიცოცხლის ძალას, როცა თხზავს. როგორც კი გამოვა ამ სტიქიიდან, იგი საბრალო ხდება, სწორედ ამ დროს ჩნდება მის სახეზე ტრაგიკული ნიღაბი. პოეტი წერს: „საბრალო სანახავი იყო. ორივე იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, გარდიგარდმო ჰქონდა კალთაში გადებული სამწყსო ჯოხი, ჩასჩერებოდა დაბლა დედამიწას, თითქოს ტიროდა“ (იქვე, 159).

ციხელს შეგნებული აქვს თავისი წუხილის მიზეზი. პირველ რიგში, ეს სიბერეა. „ბებერი ცოცხალ-მკვდარია. ნელნელაობით კვდება კაცი, როცა ბერდება, ცოტცოტაობით ცივდება, მინამ სამუდამოდ არ გაცივდება“. ძველი მონადირე იმას ნაღვლობს, რომ ომში არ მოკვდა, ტყვიამ არ გაგმირა ან ხმალმა არ გასხიპა. მეორე მიზეზი წუხილისა ის არის, რომ შესანდობარის მთქმელს არ ტოვებს, თუმცა თავისი პატარა მეგობარი მწყემსები მაინც ეგულება იმედად...

ციხელში ფიზიკური ძალა დაშრეტაზეა, თუმცა ჩაუქრობელია თხზვის ცეცხლი. ამ წუხილით სავსე სინამდვილეში, როცა სიკვდილის მოახლოებაზე საუბრობს, თხრობაში მოულოდნელად შემოაქვს თავისი საყვარელი თემები და მათ თანამედროვეობასთან აკავშირებს, ამბობს, რომ წუხელ „ამოწვდილა ქარქაშიდან ცხოვრებაულის ხმალი, ტარით მეჩეჩება ხელში და თან მეუბნება: „შენ, ეი, ციხელო, ძმობილო, სულკურთხეულმა დიდებულმა ცხოვრებაულმა როცა ჩემი თავი ჩაგაბარა, რა გითხრა? დაგავიწყდა? ამ ხმლით ეომე საქართველოს მტერსო. შენ კი დასდიხარ არხეინად, თხა-ცხვრებს უტრიალებ. მე კი ჟანგი მჭამს. ვგდივარ უპატრონოდ...“ (იქვე, 160). და ციხელი წარსული და აწმყო ცხოვრებიდან ისევ და ისევ იხსენებს ერთმანეთზე დაუჯერებელ ამბებს და ამ გამომგონებლობით სულდგმულობს.

ვაჟას გამოგონილი პერსონაჟი (ვფიქრობთ, თავისი ნაცნობების კრებიდან გამოძერწილი სახე), მონადირე-აღმზრდელი ყმაწვილებს ცხოვრებას აცნობდა, უფრო კი, ფანტაზიას უღვივებდა. პოეტი ციხელს „ცრუპენტელას" კი უწოდებს, მაგრამ არა დასაკნინებლად. ამ ეპითეტით თავისი გმირისადმი სიყვარულს ამჟღავნებს, ეფერება ბერიკაცს. ციხელის მეშვეობით შეძლეს ყმაწვილებმა გამონაგონის მართლისგან გარჩევა და, რაც მთავარია, ოცნება ისწავლეს, ერთფეროვანი ცხოვრების გალამაზების მთავარ წყაროს დაეწაფნენ.

საახალწლო ამბავი **„მელია-კუდიგრძელია"** ნამდვილი ზღაპარია. მთხრობელი დაუჯერებელი ისტორიით აკვირვებს თავის შვილიშვილს, სოფოს, რომლისთვისაც მშვენიერი ზედმეტი სახელი „გუგული" შეურქმევიათ. პაპა-შვილიშვილის დამოკიდებულება დიდ სიყვარულზეა დაფუძნებული. მკითხველი გრძნობს ამას მწერლის მიერ მეტყველებისას სიტყვათა შერჩევით. პაპა სოსიკა გუგულის გასაჯავრებლად ამბობს: „უნდა ჩემი ქალი მელას მივათხოვო, ვაჟკაციც კარგია და ოჯახის შვილიცაო" (ვაჟა ფშაველა, V, 1964:183). მწერალი ხალხური ზღაპრის წესზე ნათქვამის სარწმუნოობის გაძლიერების ხერხს მიმართავს, თხრობაში სოსიკას რძალსაც რთავს და, რაც მთავარია, მარტო მელიასთან შეხვედრის ადგილს კი არ ასახელებს, მის გარეგნობასაც აღწერს: „წყაროს წყალს ქვემოდამ, ჭალის პირას, უცებ თავს წამომადგა ჩემი სიძე მელა; ლურჯ ცხენზე იჯდა და ლურჯი ქულაჯა ეცვა, თავიდამ ფეხებამდის იარაღში იყო ჩამჯდარი: თოფი, ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა, სასწრაფო, საპირისწამლე, – სულ ოქრო-ვერცხლითა ჰქონდა მორთული, თავზე მშვენიერი კალმუხის ქუდი ეხურა".

ამ ეპიზოდში გამოჩენილი იუმორი შემდგომ უფრო ღრმავდება. პაპამ მელა დასაწყისში კარგი ოჯახის შვილად მოიხსენია, შემდეგ, შეხვედრისას, გაეკაფიავა: „ჩემო ახალო სიძეო, ხურჯინში არა გიძეო!" ამავე სტილშია გამართული მელიას სამეტყველო ტექსტიცა და მონაკვეთის შინაარსიც, რასაც მწერალი ხალხური ზღაპრის დასასრულიდან სესხულობს: „ვაჰ, შენ ჩემო თაოვო, –

შემოიკრა ხელი თავსა და პირში. – წავხდი კაკალი კაცი, ეს როგორ მომსვლია: გუშინდელი ლოთობის ბრალია; ჩემის ბიძაშვილის ნათლობაში გახლდით, კარგა დავლიეთ, სულ მამლის ყანწებითა ვსვით ღვინო; ძრიენაც დავთვერი და კიდეც ამ დათრობამ მიყო ეს საქმე, რომ შემარცხვინა შენთან, ჩემო სიმამროვო".

რჩება შთაბეჭდილება, რომ ვაჟა ერთმანეთთან ათავსებს შეუთავსებლებს – მელიას პერსონიფიცირებას რეალური საგნებით ავსებს, რისთვისაც ცხოველთა ზღაპრიდან სესხულობს მოტივს მელიას კუდზე ასხმული ბეჭდებისა და საყურეების შესახებ და მას კონტექსტს უცვლის: მელა ხალხურ ზღაპარში სამკაულებს პატარძალს წაართმევს, ვაჟასთან ძვირფასეულობა ძღვნად მიაქვს საცოლისთვის.

სოსიკა პაპა ხუმრობის ხასიათზეა. იგი კანიდან ძვრება, რომ შვილიშვილი დააჯეროს ნათქვამში, მაგრამ პატარა სოფო, ჩანს, შეჩვეულია პაპის ასეთ ხუმრობას და არ სურს მელიაზე გათხოვებაზე სიტყვის გაგრძელება და თემის შეცვლას მოითხოვს. პაპაც უპრობლემოდ ცვლის თემას (მან ძალზე ბევრი ზღაპარი იცის) და მელიას ცნობილი თავგადასავლებიდან იხსენებს ზღაპარს მელიასა და თაგვის შესახებ, ყვება ამბებს მელიას გრძელი კუდის დახმარებით თაგვსა და ქათმებთან მოპოვებულ წარმატებებზე, შემდეგ კი დაწვრილებით აღწერს მელიას სოროს. ამ „მისახვევ-მოსახვევიან" გვირაბში მელიას საცხოვრებლის გარდა, თავისი ნადირობის ისტორიის „მუზეუმი" მოეწყო: „ლოგინად ქათმის ბუმბული და ბატის გერმა ეგო ქვეშა და საბრძანებელ ტახტად ედგა მამლის ფეხები. ბინა მელია კუდიგრძელიას სავსე ჰქონდა ქათმის, ინდაურის და ბატების ნისკარტებით... ნისკარტები ბეღურასი, წიპრიასი, ქერონა ჩიტისა. მაღლა შეკიდებული ჰქონდა მამლის ჯიჯლიბოები, თარო კიდევ სავსე იყო თაგვის კბილებითა..."

სოსიკო პაპა მელის შესახებ ქართულ საზღაპრო ეპოსში არსებულ ზღაპართაგან ერთ-ერთ ძალზე პოპულარულ ისტორიას მაინც ვერ ელევა. ესაა საქართველოშიც კარგად ცნობილი საერთაშორისო სიუჟეტური ტიპი (ქურდოვანიძე, 2000, 545 B), რომელსაც მწერალი თავისი შემოქმედებითი ინტერესის გათვალის-

წინებით ცვლის. ხალხურ ზღაპარში მელია მეწისქვილეს ეხმარება ხელმწიფის მზეთუნახავი ქალის შერთვაში, ვაჟას მოთხრობაში მელიას თავად სურს დაქორწინება. მელია მეფეს ჯერ შუაკაცებს უგზავნის, ხვეწნა-მუდარას აბარებს, მაგრამ როცა უარს მიიღებს, ძალით გადაწყვეტს მიზნის მიღწევას. ფრთხილი და ეშამაკი მელია მეფის კარზე პირდაპირ მისვლას მოერიდა და თავლა-საბძელს ცეცხლი წაუკიდა. ისევ მელიას გრძელი კუდი იწყებს მოქმედებას. მან კუდზე მუგუზალი შეიბა და ცეცხლი ისე გააჩინა. როცა აურზაური ატყდა და მზეთუნახავი უყურადღებოდ დარჩა, მელამ შეიგდო ქალი კუდზე და მოკურცხლა.

მდევარმა მზეთუნახავი არ გაატანა მელას. მელამ სოროში სცადა დამალვა, მაგრამ მდევარმა კუდით დაიჭირა და მოაწყვიტა.

საახალწლო ამბის თხზვის დროს მწერალი ფოლკლორში ცნობილ მოტივებს იყენებს, ოღონდ გარდაქმნის მათ და თავადაც ქმნის ახალს ან ახალ კონტექსტში წარმოადგენს ცნობილს. ერთი ასეთი მოტივია ქანდარაზე შემომჯდარი მამლის შესაცდენად გამიზნული მელის თხოვნა: „ჩამობრძანდი, ერთი მოწმობა დამიწერე, სტამბოლს მინდა წასვლაო“. ასეთი თხოვნის ვარიანტი ხალხურშიც გვხვდება და სულხან-საბა ორბელიანსაც დაუმუშავებია.

მართალია, მწერალი პერსონიფიცირებულს ხდის მელას და კაცურ სურვილებს მიაწერს, მაგრამ გარემოს ტრადიციულს უტოვებს: ხალხური ზღაპრიდან არის აღებული სოროში შეძრომის დროს კუდის მოგლეჯის მოტივი. ვაჟა ეპიზოდს ისევ იუმორისტულ დასასრულს მიუსადაგებს: ციხე-დარბაზიდან „გამოაბრძანეს, შეუკრეს ხელ-ფეხი ბორკილით და ისე გაძაგრული წამოიყვანეს“. მხოლოდ ასე ეკადრებოდა შეპყრობა იმ მელას, რომლის მსგავსი ვაჟკაცი ცოტა დადიოდა.

ვაჟა ფშაველა თავის საახალწლო ამბავს მელაზე შექმნილი შაირით ამთავრებს. ეს იუმორისტული ლექსი სრულ შესაბამისობაშია ვაჟას ზღაპრის ტექსტთან. მასში დაცულია მელას გმირული შემართების გამომხატველი პათოსი. ხალხში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლექსი მელიას შესახებ „საწყალი მელა ჩი-

ოდა“ (ხალხური პოეზია, VII, 1979: 589 და ვარიანტები) ასევე იუმორისტული ხასიათისაა და სხვა კუთხით ასახავს ხალხში არსებულ წარმოდგენებს ამ ცბიერ და გაუმაძღარ არსებაზე. ვაჟა თავის შექმნილ პერსონაჟს დაცინვით „ხვარასნელ გმირად“ იხსენიებს და გვარწმუნებს, რომ მელის ეს ამბავი „ხევში ერთ ქვაზე სწერია“ (ეს გამოთქმაც ხალხური ლექსის ატრიბუტია). ეს მშვენიერი იუმორით გაჯერებული ლექსი, ვფიქრობთ, იმსახურებს გახსენებას:

„ადგა, ამხედრდა მელია,
ულვაშს გადისო ხელია,
კუდზე ეჟვანი შეიბა,
ხმლით დაიმშვენა წელია,
თოფი გადიგდო მხარზედა,
ჩამოივარცხნა წვერია.
შეკაზმა თავისი რაში,
თავისი ლურჯა ცხენია.
ვაი ქათმებს და თაგვებსა,
დღე დაადგებათ ცხელია!
ესე ამბავი მელისა
ხევში ერთ ქვაზე სწერია.
შეიძრა მთელი ქვეყანა –
ერი, მღვდელი და ბერია.
დასტოვა მელამ სრა-სახლი, –
ხევის პირს ერთი ხვრელია;
შიგ კაცი როგორ შეძვრება, –
ვიწრო და მეტად ბნელია.
ნეტავ სად მიდის მელია,
თუ ჭკვა არ გამოელია?!
სუყველას მუქარას უთვლის
ეს გმირი ხვარასნელია.
კაცს მელა როგორ აჯობებს, –
ათასის ხრიკის მქნელია?!
იქ მეწისწვილეს ჰგებოდა
რკინის ხაფანგი ძველია.
ამ მეწისქვილის ხაფანგსა
ეს გმირი დაუჭერია.
გაფუჭდა ბიღებიანი,
კუდიღა გაუჭერია“.

ეს „შაირი“, როგორც ვაჟა უწოდებს, თავად ავტორის შექმნილი უნდა იყოს, რადგან მასში მელიასთვის სწორედ ისეთივე შეუსაბამო ამბავია გალექსილი, როგორც მელიას მზეთუნახავის ცოლად შერთვაა. როგორც ქალისგან დარჩა მელია ცარიელი, ისევე „წარმატებულად“ ინადირა იარაღასხმულმა.

„მელია-კუდიგრძელია“ ჟურნალ „ჯეჯილისთვის“ ყოფილა გამიზნული და დაიბეჭდა კიდეც 1891 წ. პირველ ნომერში.

საახალწლო ამბავში ორჯერ არის ნახსენები მუგუზალი. პირველად მუგუზალში ცეცხლის ნარჩენისგან ცეცხლი იგზნება. ზღაპრის ფინალში ვაჟა იხსენებს დალოცვის შინაარსის შემცველ ძველ ქართულ საახალწლო რიტუალს: „პაპა რომ ამ ამბავს უამბობდა გუგულს, ბესა, ძმა გუგულისა, კიდევ იჯდა კერის პირას, აელო ერთი მუგუზალი და აჩინჩხლებდა, ცდილობდა, რომ მეტი ნაპერწკალი გაეყარა მუგუზალს, და თან ატანდა: ამდენო ღორო, ამდენო ცხვარო, ამდენო ხარო და კამეჩო, ამდენო ბატო, ამდენო ინდაურო, ამდენო ძირო ფუტკარო, ამდენო ორმო პურო!“

ვაჟა ახალ წელს დოვლათის გამრავლების რწმენას განუმტკიცებდა ხალხს.

ვაჟა ფშაველასათვის ზღაპრული სამყაროს თხზვა განსაკუთრებით სასიამოვნო ჩანს, რადგან მასში, განსხვავებით რეალისტური თემის დამუშავებისა, რომელიც განსაზღვრულ კანონზომიერებებს უნდა დაუქვემდებარო, მწერლის ფანტაზიას შეუზღუდავი არე აქვს გადაშლილი. „ცრუპენტელა აღმზრდელის“ მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ: რაც უფრო ლაღია მწერლის გამონაგონი, მით უფრო ზეაღმავალი გზით ვითარდება ფანტაზია და შედეგად ვიღებთ არაჩვეულებრივად ფერადოვანი ამბებით ნაქსოვ ფარდაგს, რომლის არც ერთი ფიგურა არ მეორდება და მკითხველს უჭირს ამ კალეიდოსკოპისთვის თვალის მოწყვეტა.

ვაჟას, როგორც მთხრობელის, დიდოსტატობა ლიტერატურულ ზღაპრებში სრულად აისახა.

თავი XI

სოციალური ალეგორია თხრობაში

ვაჟა ფშაველა მთის ყოფის ამსახველ ეთნოგრაფიულ წერილებში ხშირად აშუქებდა პატრიარქალური ჩამორჩენილობის პირობებში მომრავლებულ სოციალურ პრობლემებს. ფშავისა და ხევსურეთის მოსახლეობის სოციალური ხელმოკლეობა და მატერიალური გაჭირვება, ასევე მმართველი წრეებისგან თავს მოხვეული ჩაგვრა ვაჟას მრავალ მხატვრულ ნაწარმოებშიც არის ასახული. მწერლის თვალით დანახულ-გაანალიზებული ყოფა, როგორც სამართლიანად არის შეფასებული (ზანდუკელი, 1953:185; მახარაძე, 1974:374; კიკნაძე, 1989:218), ძვირფას მასალას გვაწვდის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ვითარების ღრმად და საფუძვლიანად შეცნობისათვის. საზოგადოდ, ვაჟას პროზაული ნაწარმოებები „იდეათა, მოტივთა განსაზიერების თვალსაზრისით მეტად მდიდარია და ყოვლისდამტევი, სათნოებისა და ზნეობრივი დაწვრილმანების, პატიოსნებისა და სიბილწის, მარად ქალური სიტურფისადმი ერთგულებისა და ვერაგობის, ქალად გარდაქმნილი სამოთხის, მარადიული იდეალისა და სატანურ-ეშმაკეულთან ადამიანური ჭიდილის თემები ერთმანეთთანაა გადაწნული“ (ევგენიძე, 1977:198-199).

დიდი მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებითი ნიჭის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო ნაწარმოების კომპოზიციური სრულყოფის უნარი. მცირე ზომის მოთხრობაში **„ირემი“** მწერალს მკითხველი პირდაპირ მოქმედების შუაგულში შეჰყავს, რათა მონაწილე გახადოს იმ საერთო მღელვარებისა, რომელზედაც უნდა მოგვიყვეს. სანამ ავტორი ჩვენს აზრს გვკითხავს იმაზე, რასაც ვხედავთ, საიდუმლოდ ინახავს თავის ჩანაფიქრს, გვიყვება ირემზე, რომელსაც სდევნიან: „ყვირილით, კიჟინით მორბოდა

აუარებელი ხალხი. ხელში ზოგს თოფი ეჭირა, ზოგს ხმალი, სხვას ხანჯალი, შუბი. ყველას – ერთი რამ მომაკვდინებელი იარაღი. – საით წავიდა, საით გაიქცა? – ეკითხებოდა ერთი მეორეს: „მაშ წავიდა, წავიდა? ვერ მოჰკალით?..“ მდევარი გაქცეულს მისდევდა, კბილებს აღრჭენდა, გულში მუშტს იცემდა... აქ იყო ერი და ბერი, ქალი და კაცი, სამღვდელოთა წარმომადგენელი. ამ ჩამონათვალით მწერალს სურს მიგვანიშნოს, რომ გაქცეულის მტერია მთელი საზოგადოება. ვაჟა კვლავ იმეორებს ერის ხმას: „დაიჭით, მოჰკალით, მოჰკალით!“ რათა გააჟღეროს რიტორიკული კითხვები: „ვინ უნდა მოეკლათ? ვინ უნდა შეეპყრათ? ვის მისდევდა ეს ამოდენა დუნია? იქნება საპყრობილედან გამოქცეული ქვეყნის ამომგდებელი ავაზაკი, დედის ძუძუს მომჭრელი, – განხორციელებული ბოროტება, უმსგავსობა, უნამუსობა, რომლის შეპყრობა, დასჯა და ჯავრის ამოყრა ენატრებოდა ამოდენა ხალხსა?“ (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:123).

პოეტი თითქოს ცივ წყალს გადაასხამს მკითხველს, როცა გაამჟღავნებს, რომ საზოგადოება მისდევდა ყოვლად უვნებელ, მშვიდ ცხოველს – ირემს, რომლის დანაშაული ის არის მხოლოდ, რომ „ტყეში თავისუფლად სცხოვრობს, არავითარი თავის დასაცავი მტრისაგან, გარდა ფეხებისა, თვალებისა და ყურებისა, იარაღი არ მოეპოვება. სცხოვრობს თავისთვის. არც ბატონია ვისიმე, არც ყმა. არ სტაცებს, არ ართმევს არაფერს, არავისს ნამუსს და ადამიანობას არ შეჰლახავს, არავის დასწყევლის, არავის რას მოჰპარავს, საზრდოობს ბალახით, წყლით და ჰაერით, ბუნების მიერ ბოძებულით“.

ფაქტობრივად, პოეტის დახატული არსება ფრთაშესხმულ ანგელოზსა ჰგავს. მაშ რაშია საქმე? – ვიკითხავთ და ვაჟას პასუხსაც მოვისმენთ: თურმე ხალხს მისი გემრიელი ხორცი უყვარს.

ვაჟასთვის ირმისადმი ადამიანთა დამოკიდებულების ჰიპერბოლიზაცია საშუალებაა იმისა, რომ საზოგადოება დასაფიქრებლად შეაყოვნოს. ავტორი ვითარებას იმდენად ამძაფრებს, რომ უფლებამოსილია თქვას: აღარ იცის, სად შეაფაროს ირემმა თავი... რა საფარსაც მიჰმართა, ყველგან მტერი აღუჩნდა, ყვე-

ლამ მისი მოკვლა მოინდომა... უკიდურესობის ხაზგასასმელად ვაჟა შეუბრალებელთა შორის ასახელებს ბერსაც, „სულზე მზრუნველ კაცს". არაფერს ვამბობთ საერო პირებზე, მაგრამ, როცა ბერიც ნაჯახით დაედევნება საბრალო ცხოველს, ვაჟასთვის ბუნებრივი ხდება დასკვნა: „ხმელეთზე ირემმა თავშესაფარი ვერსად ჰპოვა".

ვაჟა ფარისეველთა ერთ ჯგუფზე აჩერებს ჩვენს ყურადღებას, რომლებიც სხვათა გასაგონად აცხადებენ: „რა გვინდა, რაზე ვიკლავთ თავს, რა შეგვისვა, რა შეგვიჭამა, დაე, იცოცხლოს მაგანაც, გაიხაროს ამ ოხერს წუთისოფელშიო" და მაშინვე ამხელს მათ: „ამას თუმცა ამბობდენ, მაგრამ თან მზად იყვნენ, თუ სადმე ირემი ყურებს დააჩენდა, პირდაპირ დასტაკებოდენ, არცერთი არ დაინდობდა მოსაკლავად".

ცხოვრებისეული გამოცდილება ადამიანის ბუნების შეუმცდარი შეფასების საშუალებას აძლევს მწერალს: „ბევრჯერ ისეთს რასმე ამბობს, რის წინააღმდეგი არ შეიძლება იყოს; მაინც ამბობს სათვალთმაქცოდ, რათა ერთიმეორეს ეჩვენოს კეთილმოწყალე და ქველ ადამიანად. ენა ადამიანისა სველია, ხოლო გული მისი მგელია".

დევნილმა ირემმა როგორც იქნა მიაგნო თავშესაფარს. ეს იყო ზღვა და მისი ფსკერი. უფსკრულისაკენ მიმავალ გზაზე მრავალგვარი თევზი და ცხოველი შეხვდა, მაგრამ არც ერთს არ გამოუვლენია მტრობა. ირემს იმედი ჰქონდა, რომ ზღვის უფსკრულში ვეღარ მიაგნებდა ადამიანი, მაგრამ საოცრებას მაინც შეეფეთა – მკვდარი ადამიანის სხეული დაინახა. „აქ ცოცხალი ადამიანი ვერ იბოგინებს, – დაასკვნა ირემმა და გასცილდა გვამს".

მხოლოდ ახლა ამჟღავნებს მწერალი, რომ ირემში ალეგორიულად „სიმართლე" გამოხატა!

ხალხმა დედამიწიდან განდევნა ირემი – სიმართლე და მერე ღა ატეხა ერთი ვაი-უშველებელი სიმართლის დაკარგვის გამო: „აღარ არის სიმართლე, მხოლოდ ძალმომრეობაა, უსამართლობაა, უსამართლობა! წახდა ქვეყანა, ცუდი დროა, ცუდზე ცუდი!.."

საკვალალო ის იყო, რომ ადამიანები ფარისევლურად ჩიოდნენ უსამართლობის დამკვიდრებაზე. აკი ადამიანმა თავად განდევნა სიმართლე, ხელი შეუწყო იმის გამეფებას, რასაც ახლა სიტყვით იწუნებდა. ზღვის ფსკერზე ცხოვრებამ ირემს ვერ გაუქრო ადამიანის შიში: „მომკლავენ, არ მაცოცხლებენო, – ამბობდა ირემი თავისთვის და იძულებული იყო ეღიარებინა: შეუბრალებელია ადამიანი“.

განა მარტო ეს არის ადამიანის ნაკლი? არა, რასაკვირველია. ადამიანი არა მარტო შეუბრალებელია, არამედ ეგოისტიც, ყალბიც, სიტყვის გამტეხიც, ფუჭად მოლაპარაკეც. ადამიანი ენით ბევრს ამბობს, მაგრამ არ კი ასრულებს ნათქვამს. იგი თავის ვნებასაა დამონებული, ვნების ყურმოჭრილი ყმაა, – გვეუბნება ვაჟა.

ირემი – სიმართლე კი ისევ დევნილია!

მწერალი ირმის თავგადასავალში უწყინარი, ალალ-მართალი ადამიანის დევნას გულისხმობს და რეალურ ყოფაში გვაბრუნებს. იგი ევედრება ღმერთს, ერთადერთ მშველელს: „გარდაქმენ გრძნობა, ფიქრი და ვნება ადამიანისა...“

ვაჟა წუხს, რომ მის თანამედროვე ადამიანს აღარც ფიქრი შეუძლია და აღარც სინანული. იგი პრაგმატული ინტერესებით არის შეპყრობილი და სხვაზე არ აპირებს ზრუნვას.

ვითარება უცვლელია და ირემი – სიმართლე ტირის, ზღვის წყალს უერთებს თავის ცრემლებს.

ვაჟა ფშაველა არ აკონკრეტებს თავისი იგავის ატრიბუციას, რადგან მარადიულ თემას ამუშავებს. მწერლის განწყობილება დღესაც აქტუალურია.

იგავში **„უძლური ვირი“** მწერალი სახედრის შესახებ მოგვითხრობს და მკითხველი თავის მოძმე ადამიანზე იწყებს ფიქრს. ასეთ შეგრძნებას ალეგორიის, როგორც მხატვრული ხერხის, გამოყენების გარდა, უსარგებლო სახედრის აწმყოს ფსიქოლოგიურ ჭრილში წარმოდგენა აჩენს. ვაჟა ფშაველას უენო ცხოველი ადამიანურ შეგრძნებებსა და ფიქრებს ახმოვანებს და პატრონის მასთან მიმართებას ააშკარავებს.

მწერალს ვირის პატრონი ისეთ ადამიანად ჰყავს გამოყვანილი, რომლის სიტყვა და საქმე ძალიან დაშორებულია ერთმანეთს. ამ კაცმა თავისი დაუნდობლობა რომ შენიღბოს, შინაური ცხოველის მინდორში ნადირის შესაჭმელად გაშვებისას, სახედარს ასე მიმართავს: „ღმერთსა ვთხოვ, კარგად იცხოვრო, არაფერი დაგიშავდეს, არ შეგცივდეს, არ მოგშივდეს, არ მოგწყურდეს!" (ვაჟა ფშაველა, V, 1964:219).

ბედის ანაბარა დარჩენილი ვირი ტრიალ მინდორში უპატრონოდ მიგდებული მოხუცი ადამიანივით სასოწარკვეთას ეძლევა, მაგრამ ღვთის მოწყალება ირმების სახით გამოეცხადა. ვირის მათთან დიალოგში ვაჟა ახმოვანებს ნაწარმოების ერთ-ერთ თემას – თავისუფლებაში ცხოვრების იდეალიზაციას: ირმები „იმით ვართ ბედნიერნი, რომ კაცის ხელში არა ვართ, იმას არ შევხედავთ თვალ-წარბში, ჩვენი თავი ჩვენვე გვაბარია სიყრმითვე და არ გვიჭირს ცხოვრება..."

მწერალს აქვე შემოაქვს ადამიანური და ცხოველური ბუნების დაპირისპირების თემა და გამოკვეთილად (უკვე მერამდენედ) აყალიბებს აზრს: ვიცნობთ ჩვენც ადამიანის შვილებს, თუმცა ტყეში ვცხოვრობთ და ნადირებს გვეძახიან. კაცზე შეუბრალებლები მტაცებელი მგლებიც არ არიან.

დაპირისპირების გაძლიერების მიზნით, ვაჟა ქმნის ცხოველთა ურთიერთობის საოცარ ეპიზოდს: ირემი უძლურ ვირს რქებზე შეიგდებს და ისე წაიყვანს თავისიანებთან, ზრუნვითა და გულთბილი მოპყრობით აოცებს ადამიანის ხელში დატანჯულს. ასეთი მოპყრობა ვირში ბადებს სიკეთის გადახდის სურვილს, რისი შესაძლებლობაც ოდესღაც ჰქონდა, ახლა კი სრულიად მოკლებულია ამას. ეს ფიქრი, თავის მხრივ, მიბმულია მძიმე წარსულის გახსენებასთან, როცა პატრონი შეუბრალებლად აზიდვინებდა ტვირთს და ასე დაჩაჩანაკება არ აკმარა, მინდორში გააგდო ნადირთა დასაფლეთად.

მწერალს მოთხრობაში შემოაქვს ადგილის დედისა და ნადირთ პატრონის მიერ ირმისთვის „მოსაღონიერებელი, გაახლების ბალახის" მოტანის მოტივი (იგი ეთნოგრაფიული ლიტერა-

ტურისთვის უცნობია). ბალახმა ვირი უნდა შეცვალოს. ამასთან დაკავშირებით პოეტი აცოცხლებს ცხოველთ მფარველზე ხალხურ წარმოდგენას, რომელიც მის შემოქმედებაში არაერთხელ შეგვხვედრია. ახლაც ნადირთ ღვთაების პორტრეტი ასე გამოიყურება: „ლამაზი პატარა ქალი, გაშლილი შავი თმა ღრუბელივით ედო ტანზე. მარცხენა ხელში პატარა ბალახის კონა ეპყრა".

ბალახმა ვირი სრულიად შეცვალა: „სხვა ტყავი და ხორცი შეისხა".

ვირი ფიზიკურად კი გაღონივრდა, მის ბალანს ირმის ფერიც კი დაედო, მაგრამ მაინც ვირად დარჩა, „ხანდახან ჟინი მოუვლიდა და წამოიყროყინებდა. ყროყინი გაირმებული ვირის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად დარჩა, როგორც მისი „გულის ამღერების" გამოვლინება და კიდევ ძველი ცხოვრებიდან წარუშლელად შემორჩა დაღი – „ს" ბარკალზე, რომელიც ახალ ბალანში წითლად ღვიოდა.

მწერალი ახალ კონფლიქტს იწყებს. ამისთვის ცნობილი იგავის „აქლემი და ვირი" (ორბელიანი 1986:77) ასევე საკონფლიქტო მოტივს სესხულობს, რომლის ნაწარმოებში გამოჩენისათვის მოტივაცია ადრევე შექმნა.

ერთ საღამოს გალაღებულმა ვირმა დაიყროყინა. ხევში მყოფმა მევირეებმა გაიგონეს ვირის ხმა, ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერ იპოვეს. გაირკვა, რომ ტყეში შეშაზე მოსიარულე კაცებს ბევრჯერ ენახათ უცნაური აღნაგობის ცხოველი. გაირმებული ვირი ხალხს გარეულ ცხენად მოეჩვენა. თან იმასაც ამბობდნენ, ამ ცხოველს ჯორის ფეხები აქვსო.

მითქმა-მოთქმამ ხელმწიფის ყურამდე მიაღწია და მან ცხოველის შეპყრობა ბრძანა. როცა დიდი გაჭირვებით დაიჭირეს ვირი, შენიშნეს, რომ ის ძალიან წააგავდა სოლომანის სახედარს.

ვაჟას ადამიანთა უგუნურებაზე, დაუნდობლობასა და აღუვსებლობაზე სურს მოგვითხროს. განსაკუთრებული დაცინვის საგნად ხელმწიფეს იხდის, რადგან თვლის, რაც უბირ კაცებს ეპატიებათ, ის მიუტევებელია ქვეყნის პატრონისთვის. ამ ხელმწიფეს კი უგუნურება მეტი აქვს, ვიდრე ესაჭიროება და ვერაფ-

რით ახერხებს ვირის ცხენისგან გარჩევას. მწერალი ხატავს სიტუაციას, რომელიც გამიზნულია იმის საჩვენებლად, რომ ადამიანის უგუნურება ბევრად აჭარბებს ვირისას, მთავარი სატირალი კი სახელმწიფოს მეთაურის ეს მდგომარეობაა, რომელიც ქვეყნის დამღუპველ მოვლენად ფასდება... გაირმებულმა ვირმა კაცებს შორის შეპყრობამდე შეიცნო თავისი ყოფილი პატრონი, შემდეგ კი, როცა გახედვნა მოუნდომეს, „ხალხს ისე აჩვენებდა თავს, ვითომც უნაგირი ჯერ არ ენახა და ყალხზე დგებოდა, ფრთხებოდა, ფრუტუნებდა. შეჯდომაში ხომ თითქმის არავინ გაიკარა ახლოს, რის გამოც, მეტი ღონე არ იყო, უნდა ფეხები გაეკრათ და ჯერ ისე შემსხდარიყვნენ მხედრები. ვირი კი გულიგულში იცინოდა, ამბობდა „ამ უტვინოებს ჰგონიათ, უნაგირის ხამი ვიყო!..“

მწერალი თავისი ახალი მერნით კმაყოფილ მეფეს ახალ ინტერესს უჩენს. ხალხმა უთხრა: ტყეში უზარმაზარი ხარ-ირემიც ვნახეთო. ხელმწიფე სანადიროდ წავიდა და ირმის კვალსაც მალე დაადგა. ირემმა და ვირმა იცნეს ერთმანეთი და ვირმა მეფის ისარს გადაარჩინა მეგობარი, თუმცა თავად გაწკეპლვა და სამდღიანი შიმშილი დაიმსახურა.

ვაჟას თხრობა იქით მიჰყავს, რომ გვითხრას: სახედარი თავის მტანჯველ პატრონსაც სიკეთეს გაუკეთებს, მაგრამ ადამიანი მაინც ვერ მიხვდება, როდის უნდა იკმაროს და გაჩერდეს.

მწერალს ვირის პატრონის აღუვსებელი ბუნების გამოაშკარავება სურს და ამიტომ ხელმწიფეს თავის ქვეყანაში ცხოველთა უზომო ჯაფის აკრძალვის კანონს შემოაღებინებს. ახალი კანონის დამრღვევებს სასჯელად ზღაპარში გავრცელებული სასჯელის ფორმა – ცხენის კუდზე გამობმა და ისე მოკვდინება დაუწესა. სულ მალე დასასჯელთა შორის მევირე სოლომანიც აღმოჩნდა, სასჯელის აღმსრულებლად კი – მეფის სასახელო მერანი.

ვაჟა ფშაველა ადამიანისა და ცხოველის ოპოზიციის თემის დამუშავებას განაგრძობს. ირმების დიდი სიკეთით შთაგონებული ვირი გადაწყვეტს, თავისი ყოფილი პატრონი სიკვდილს გადაარჩინოს. მეფისა და ნაზირ-ვეზირების ზედამხედველობის ქვეშ

ჩანაფიქრის აღსრულება ადვილი არ იყო ვირისთვის, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწია. ვირმა სოლომანს უთხრა: თავს უშველე, მაგრამ ჩემს ახალ შემცვლელს ნუ დასტანჯავო.

ვერც ამ სიკეთის დაფასება შეძლო ხარბმა კაცმა: „ღმერთს გეფიცები, იმდენ საპალნეს, წინად რომ გკიდებდი, ეხლა მე შენ აღარ აგკიდებო“, – დაამშვიდა სოლომანმა ვირი.

ვირის სასჯელი ისევე ზღაპრულია, როგორც მთელი ამბავი: ვირმა ისეთი სიძლიერით მიაფურთხა სახეში სოლომანს, რომ კაცი უგრძნობლად დაეცა მიწაზე, თავად ვირმა კი ტყისკენ მოკურცხლა.

სოლომანს ნაფურთხალი დაუწყლულდა და საზარელ მუნად ექცა, წყლული განუკურნელი აღმოჩნდა და მთელი სიცოცხლე წყლულად დარჩა.

ვაჟა ფშაველა ისევ უგუნურ მეფეზე თხრობას უბრუნდება. ფაქტობრივად, ფინალურ ეპიზოდში წარმოდგენილი ექვსპუნქტიანი ჩამონათვალი იგავის სიუჟეტიდან არის გამომდინარე, თუმცა კითხვები საგანგებოდ ისეა აქცენტირებული, რომ კიდევ ერთხელ დავინახოთ, რა შესაბრალისია ქვეყანა, რომელსაც ასეთი უგუნური მეფე ჰყავს.

მეფისგან დანიშნულ ბრძენთა და მეცნიერთა კრებულს უნდა გამოეძიებინა ის, რაც ალეგორიულ თხრობაში ისედაც ნათლად იყო გაცხადებული. რაკი კომისიამ ეს ვერ მოახერხა, დაიბადა ახალი დასკვნა: დღე დღეზე წარღვნა მოვა და ქვეყნის დასასრული დადგება.

დიდხანს ელოდნენ წარღვნას და რაკი არ დადგა ქვეყნის დასასრული, თავად მომლოდინეებს დაუსრულდათ სიცოცხლე...

მწერლის სატირა უგუნური მეფისა და მისი ამალის, საერთოდ ადამიანის, განქიქებას ემსახურება. დიდი ჯაფისგან დაუძლურებული ვირი მარტო გონებით კი არ სჯობნის ბუნებით გონივრად შობილთ, არამედ სიკეთეც მათზე მეტი აქვს.

„მელია-სერეფენიას“ პერსონაჟები, მართალია, ცხოველები არიან, მაგრამ ვაჟა ფშაველა ცხოველთა ზღაპარს არ ქმნის. მოთხრობა სემანტიკურად ორ ნაწილად იყოფა. მასში თხრობა

მელიათა ყოფის აღწერით იწყება, მაგრამ შემდეგ ცხოველთა ზღაპრისთვის არატრადიციულ განვითარებას იღებს. მიუხედავად ორი სხვადასხვა ტიპის ამბის თხრობისა, რაკი მელია-სერეფენიას გარშემო ტრიალებს მოქმედება, მთლიანობა შენარჩუნებულია. მოქმედების წარმმართველი ჯავარ-ქალია, ამბები ყალიბდება გახსენებათა სერიით, რომელთა თვითმხილველი სერეფენიაა. მწერალს ამბის გადმოსაცემად თხრობის ირონიული ტონი და შესატყვისი ლექსიკა შეურჩევია, რაც იმაზე მინიშნებაა, რომ ოთხფეხათა მეშვეობით ადამიანებზე სურს მოგვითხროს.

ვაჟა ფშაველა მთავარ გმირს, ხალხური ტრადიციის გავლენით, ცბიერ, მოხერხებულ და ჭკვიან არსებად მოიაზრებს და პერსონაჟის უკეთ შესაცნობად შესაბამისი ხალხური ზღაპრების ცნობილ მოტივებსაც იყენებს. მოთხრობის მეორე ნაწილში ვაჟა უკვე მიზანმიმართულად აძლიერებს ალეგორიულ თხრობას, რათა აშკარად შევიცნოთ ადამიანური მისწრაფებები.

მწერალს ცხოველებისათვის სახელები დაურქმევია, თან ისეთი შესაფერისი შეურჩევია, რომ მათი საშუალებითაც მიენიშნებინა პერსონაჟის ადამიანურ ბუნებასა და ცხოვრების წესზე. ასე, მელია-სერეფენია ისეთივე კეკლუცი, ლამაზი და ამბიციურია, როგორც ეს არაქართული სახელი ჟღერს. მის დედას ჯავარ-ქალს უწოდებს მწერალი და გახაზავს მშობლის ერთგულებასა და მზრუნველობას. სერეფენიას ხანდაზმულ არშიყს როსტომელას არქმევს მწერალი და ამით სახელსა და პერსონაჟის ასაკს შორის შეუსაბამობას გახაზავს. ეს კნინობითი ფორმა სახელისა შეესაბამება არშიყის პიროვნულ ბუნებას, ასევე მიგვანიშნებს, რომ როსტომ-გმირის აჩრდილია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ზღაპარი არ იცნობს ცხოველი-პერსონაჟებისათვის სახელის დარქმევის ტრადიციას. იგი რუსული ზღაპრების გავლენით ჩანს შემოსული. იქ კი ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული ნიუანსების აქცენტირებით არის ნაწარმოები: Лиса-Патрикеевна, лисица-красавица, лисица – масляна губица, лиса-кумушка, лисафья და სხვ. (ანიკინი, 1977:57).

ვაჟას მელაკუდა ობოლი შემოჰყავს თხრობაში. იგი ადრევე განწირულა მარტოობისთვის, თუმცა მამაპაპეული სორო მაინც რგებია შთამომავლობით, რაც სერეფენიას ოჯახიშვილობაზე მიგვანიშნებს. დედამისი, გვაუწყებს მწერალი, პრასიანელ ქიტესა ჩახმახაშვილს დაუჭერია ხაფანგით, მამა კი სამი კვირის შემდეგ „დაკარგულა უკვალოდ, უნიშან-გერშოდ, – ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, არავინ იცოდა“ (ვაჟა ფშაველა, VI, 1964:272).

ეს ვითარება მელიასადმი თანაგრძნობას უნდა იწვევდეს, მაგრამ მწერალი ვერ იკავებს თავს ირონიისგან. სერეფენიას შემთხვევით შეხვედრილი დეიდა ფარისევლურად უსამძიმრებს: „თვალებიდან ცრემლებიც კი წაიწმინდა“.

მწერალმა კარგად იცის ტყის ბინადართა ხასიათები და ცხოვრების წესი. ამიტომ, ძალიან რომ არ დაგვამძიმოს სერეფენიას ბედით, გვაუწყებს: „ყოველი მელა თავისთვის დადის, თავისთვის ნადირობს; მელიას ძალიან ეზარება სხვას გაუზიაროს თავისი ნაღვაწი, ნანადირევი. ხოლო სხვის ამაგზე კი ხარბად თვალი უჭირავს. დედაც თავის შვილებს დიდხანს არ ინახავს თავისთან, მალე მოისხლეტს, მოაშორებს ძუძუს, საკუთარი შრომით, მეცადინეობით აჩვევს საზრდოს მოპოვებას“. ამ საზოგადო ცოდნის გაცნობის შემდეგ ვაჟა სერეფენიასაც ახასიათებს: „დიდხანს დარდს თავს არ აძლევდა: მაინცდამაინც ყოჩაღი გოგონა იყო: ენა და გონებამახვილი, ცბიერი და მატყუარა, მოხერხებული“.

პირველი ეპიზოდი სერეფენიას მოხერხებულობის საჩვენებლად არის შექმნილი: მონადირემ მელას მწევრები მიუსია. სერეფენიამ თავის სოროს შეაფარა თავი. გახელებული მწევარი სოროში შეჰყვა და გამოთრევა უნდოდა, მაგრამ მელამ მწევარს ტუჩზე ჩამოჰკრა ბრჭყალი და ჩამოაღადრა. მელას სოროდან კუდით გამოთრევის ზღაპარში ცნობილი მოტივის საპირისპირო შინაარსის ამბავს თავად მწერალი ქმნის.

მელია-სერეფენიას მეხსიერებაში შემორჩენილია დედასთან ერთად ნადირობის ეპიზოდები. ეს იყო ნადირობის ხელოვნების დაუფლების გაკვეთილები, როცა დედა უჩვენებდა ქცევის

წესებს, გადასცემდა თავის გამოცდილებას. სერეფენიას ნადირობაში გამობრძმედილ ჯავარ-ქალთან ერთად კაკბის დაჭერის ამბავი ახსოვს. მწერალი ნადირობაში მელის კუდის მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს, როცა სავათების შეცდენის ხერხზე მოგვითხრობს: რაკი მელასთვის მიუდგომელ ადგილზე იყვნენ სავათები, ჯავარ-ქალი „შორიდანვე პირუკუღმა მობრუნდა, კუდი ამოიკაუჭა და იმრიგად გაიკეთა კუდი, როგორც წეროს და სავათის კისერია. პირუკუღმა გასწია სავათების გუნდისაკენ; სავათებმა ვერაფერი ვერ უგრძნეს... გაფხორილი მიდიოდა ჯავარ-ქალი... და ვიდრე ისინი მიწას ასცილდებოდნენ... ერთ სავათს სწვდა, ის იყო კი მიწის პირს ააცილა ტანი სავათმა, და ჩამოათრია დაბლა...“

სერეფენია ხოხბის მოტყუების მცდელობას თავიდან ბოლომდე იხსენებს. ვაჟა მეორედ მიმართავს მელიას ჩიტთან დიალოგის ცნობილ მოტივს, ოღონდ ახლა სხვაგვარად გაიაზრებს ეპიზოდს: მუხიდან ჩამოტყუების მიზნით ჯავარ-ქალი ჯერ ლექსს უძღვნის ხოხობს. მწერალი მას „ქების“ ტიპის სატრფიალო შინაარსით ავსებს, თან ერთგულების ფიცის ფორმულას ურთავს და შეფარვით უმჟღავნებს გულის წადილს:

„ლამაზო, როგორ მიყვარხარ,
ვით გამოიტყვის ენაო?!
შენის ყელ-ყურის ჭირიმე,
ეგრე რამ დაგამშვენაო?
შენს ორგულს და მტერს უფალმა
დილა ნუ გაუთენაო.
როგორ გიხდება ნავარდი,
მაღლიდან დაბლა ფრენაო!..
ვერ ვძლები შენის ცქერითა,
შენ გენაცვალე, შენაო“!

ხოტბამ არ გაჭრა, მაგრამ მელა ამან ვერ გააჩერა. მწერალი ჯავარ-ქალის ცბიერების გამოაშკარავების მიზნით მეტყველების ინდივიდუალიზაციის მშვენიერ ნიმუშს ქმნის: „არ მენდობი? არა გჯერა ჩემი სიტყვები?.. შენ გაგიგონია, მელები ხოხბების მტრები

არიანო, – სულ ტყუილია. განა ყველა ერთია! მე შენ შეგჭამო? შენისთანა ტურფა და ლამაზი? ვაი! წავწყდე მაშინ, წავწყდე და დავიკარგო სულით და ხორცით. პირიქით, მე მინდა დაგნათესავდე, შვილი მოგანათვლინო, შენ კი, შე კაი კაცო, რაღაცას ეჭვიანობ".

მწერალს დანათესავების მოტივი კი შემოაქვს, მაგრამ ცნობილი ხალხური მოტივის ანალოგიით ხოხობი მღვდლისა და დიაკვნის მოყვანას ავალებს მელიას. ვერც ამ მოთხოვნამ წაუხდინა განწყობილება ჯავარს, მაინც არწმუნებდა ხოხობს, რომ მღვდელ-დიაკვნის მოყვანა დააგვიანებდა ნათლობას. ლაპარაკით რომ ვერაფერს გახდა, „ხან შეხტებოდა, ცხვირწინ კუდს გაუთამაშებდა, რა არის, იქნებ კუდს ჩამოჰყვესო..."

მოთხრობის ბოლო, მეხუთე, თავში მოგონებებიდან ისევ რეალურ ყოფაში გადმოვყავართ მწერალს და უკვე სერეფენია ხვდება ყურადღების ცენტრში. ვაჟა გვაცნობს დიდ, ულვაშგრძელ, ცხვირგრძელ კუდბუთქვა ხვად მელიას, რომელიც სერეფენიას მამაპაპეულ სრასასახლეს დაპატრონებია.

დიასახლისისა და როსტომელას დავა-დიალოგის ალეგორიულად გამართვისას მწერალი არა მარტო საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, არამედ იმისდა მიხედვით ცვლის მეტყველების ტონს, თუ რომელ პერსონაჟს რა პოზიცია უკავია, ვის მრისხანე საუბარი მართებს და ვინ უკან იხევს. როცა როსტომელა მიხვდა, რომ „კერკეტ კაკალს" გადააწყდა, სიამაყე უმალ დაივიწყა: „შეურცხვა იმ ვაჟკაცს ულვაში, ვინაც დედაკაცის დაწიოკება იკადროს!.. მობრძანდით, ქალბატონო, მობრძანდით! სოროს კი არა, თუ გნებავთ, თქვენის გულისათვის თავიც მოვიკლა? შუახნის კაცი ვარ, მთელი სამელეთი მიცნობს და ერთიც ვერ იტყვის ჩემს ურიგობას, ერთი მომდურავიც არ მყავს და ნუთუ ეხლა, დღეს შენისთანა ტურფა, მშვენიერი, ანგელოზივით წყნარი და ნაზი გოგონა შემოვიმდურო? მოვკვდე, ღმერთმა ნუ მაცოცხლოს ერთი დღე".

მკითხველი გრძნობს, რომ როსტომელა ისეთ ადამიანს ანსახიერებს, ვინც ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს. მას ისე უჭირავს თავი, ისეთ გრძნობიერ სიტყვებს პოულობს სერეფენი-

ასათვის, როგორსაც მრავლისმნახველი კაცი არ დაიშურებდა ყმაწვილი ქალის მოსახიბლად. მაგრამ ეშმაკ ქალბატონს არ ეშლება როსტომელას ანგარებიანი მისწრაფების ამოცნობა. თუმცა როსტომელა არ აპირებს უკან დახევას. იგი მონდომებით ცდილობს შთააგონოს, დაიყოლიოს, დაარწმუნოს, რომ სერეფენია ახალგაზრდა, გულუბრყვილო, გამოუცდელი ბრძანდება, რომ უპატრონოდ, უამხანაგოდ ყოფნა მისთვისვეა საზიანო. როსტომელა უღრუბლო ცხოვრების ფანტასტიკურ პერსპექტივას უშლის მშვენიერ ქალბატონს: „ისე შეგინახო, როგორც ჩემი ორივე თვალები, დაბრძანდე გერმის რბილ ლეიბზე, მოიკეცო მშვენივრად და მოგდიოდეს მზამზარეულად საჭმელი და სასმელი. არ თუ შიში ვისიმე გქონდეს, არც რიდი. მე შენი მონა, მორჩილი, ყურმოჭრილი მონა ვიქნები“.

რაკი სერეფენია დაუფარავად უცხადებს როსტომელას, რომ სძულს გადაყრუებული ბებრები, ახლა როსტომელა თავის შებრალებას ცდილობს, მაგრამ გაკაპასებული სერეფენია შეუვალი რჩება (გვ. 279-280).

ვაჟა ფშაველა არაჩვეულებრივი ოსტატობით ხატავს ხასიათებს. მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პერსონაჟთა მეტყველების ინდივიდუალიზაცია, სიტყვების შერჩევა, როსტომელას სასიყვარულო მონოლოგებში აზრის ჩამოყალიბების თავისებურებები და რემარკები, რომელთა საშუალებით მწერალი ააშკარავებს „შეყვარებულ“ მელიას.

საუკუნის დასასრულს, კერძოდ 1895 წელს, როცა **„მუცელა“** დაიწერა, საქართველოში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო. გლეხობას დიდი გაჭირვებით გაჰქონდა თავი. საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრით დაკავებული თავადაზნაურობა კი სამშობლოზე ფიქრისა და ზრუნვის ნაცვლად, მცირე ქონებას დროსტარებაში ფლანგავდა. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მომაკვდინებელი ნაკლი ლიტერატურაში უკვე იყო ასახული. ილია ჭავჭავაძეს უკვე ჰყავდა დახატული იმდროინდელი ყოფის შემოქმედთა ერთი ნაწილის გვირგვინი, ცოცხლად მკვდარი სული – თავადი თათქარიძე. უფრო მეტიც, მწე-

რალმა კონკრეტული მაგალითიდან საზოგადო ჭირის ხარისხში აყვანილი პრობლემა დაგვანახა: როგორ არ უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები. ილია ჭავჭავაძის სატირული მახვილით დახატული თავადი თათქარიძე, ჩამორჩენილი ფეოდალური საქართველოს ტიპური წარმომადგენელი, სამარცხვინოდ ცხოვრობდა და ასევე აღესრულა. მოთხრობა, როგორც ილია გვეუბნება, ადამიანთა ჭკუის სასწავლებლად დაწერა, მაგრამ, ჩანს, კაცთა დაცემას ისეთი მასშტაბური ხასიათი ჰქონია, რომ პროცესის შეჩერება აღარ შეიძლებოდა.

90-იან წლებში ვაჟა ფშაველას პროზაულ შემოქმედებაში გაჩნდა უსარგებლო, მანკიერი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები, რომლებშიც პოეტმა ქართულ, მაგრამ ილიასაგან განსხვავებულ სივრცეში მოგვითხრო ამბები, რათა ისევ დაგვენახა, როგორ არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი და როგორი შეიძლება იყოს მისი სასჯელი. ვაჟა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის ზნეობრივი მისწრაფებები მარტო კი არ შეცვლილა, პირიქით, უფრო გამძაფრებულა უარყოფითი ნიშნით.

ვაჟა ფშაველას დახატული სამყარო გამოგონილია. ფანტაზიის ნაყოფია ქვეყანათა სახელებიც – სმა-ჭამეთი და ულვაშენი. სამაგიეროდ, რეალურ საფუძველზე დგას პრობლემა. როგორც მოსალოდნელი იყო, რეალური ადამიანების გვერდით მოქმედებენ ფანტასტიკური არსებები.

ვაჟა ფშაველა „მუცელაში" კონტრასტის ხერხით აყალიბებს არა მარტო სიუჟეტს, არამედ პერსონაჟთა ხასიათებსაც. თხრობაში არსებით როლს თამაშობს წარსული, რომელსაც, ღვთის ნებით, თავისივე მსგავსი უნდა ეშვა, მაგრამ, საუბედუროდ, ყურძნის ნაცვლად, ძაღლყურძენა გაახარა. მწერალი მიგვითითებს, რომ ცხოვრებამ, უფრო ადამიანთა არჩეულმა ცხოვრების წესმა, ფასეულობები გადააფასა და ნირი უცვალა იდეალს. ნიშანდობლივია, რომ მეფეც თავისი შესაფერისი ჰყავთ სმა-ჭამეთელებს: იგი „ძალიან ხელს უმართავდა მსმელებს და ფრიად სასახელო საქმედ მიაჩნდა სმა. მისნი საყმონიც თავიანთ მეფესა ჰბაძავდენ" (ვაჟა ფშაველა, V, 1964:312).

მწერალი სათაურის ორგვარი წაკითხვის საშუალებას გვაძლევს. ერთი მხრივ, იგი პერსონაჟის ბრძოლის დროს მუცლის გაკაწვრის გამო შერქმეული ზედმეტი სახელია, მეორე მხრივ, მთავარი გმირის არსს გამოხატავს, მის „მუცელღმერთობას" ახასიათებს. მწერალიც სახელის მეორე მნიშვნელობას ტვირთავს, მით უმეტეს, რომ გმირის საცხოვრებელი ადგილის სახელადაც „სმა-ჭამეთს" ირჩევს. ძველად ეს სახელი სიმდიდრის გამო რქმევია აქაურობას, ახლა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება. მთავარი გმირის უკეთ გასაცნობად მწერალი მუცელას წინაპრების შესახებ გვესაუბრება. იგი იხსენებს გახშირებული „მტრიანობის" პერიოდს, როცა მუშტს, ძალასა და ვაჟკაცობას დიდი გასავალი ჰქონდა, მომხდურისგან თავის დაცვა ღირსების საქმე იყო. სწორედ მაშინ აულაპარაკებია ხალხი გამოჩენილი ვაჟკაცობით სმა-ჭამეთის სიმდიდრით გამორჩეული ოჯახის შვილს, გივის. იგი მარტო დახვედრია შინ მტრების გუნდს და ცხრა-ათ კაცს გამკლავებია, დაუხოცავს. გარდა ასეთი ბრძოლისუნარიანობისა, გივი „მეოჯახე, ფრიად მხნე, პურადი და გულადი, ყველასგან პატივცემული კაცი" ყოფილა.

ყოველივე ეს წარსულში იყო, ახლა კი სმა-ჭამეთი, ისევე, როგორც მთელი საქართველო, რუსეთისგან არის დაცული, თუმცა უფრო დაპყრობილი გვეთქმის. ახლა ხმალამოღებული მტერი აღარ გვესხმის თავს და რომც დაგვეცეს, უბრძოლველად დაგვიპყრობს, რადგან ახლა „ხმალი და ფარი, საომარი იარაღი სად ეყარა, სად ჭამდა ჟანგი", არავინ იცოდა.

წარსულიდან მხოლოდ სახელების ხსოვნა შემორჩენილა. ძლიერი წინაპრის, გივის, შთამომავლებს ძველი დიდების ხსოვნით ეძახიან მუცელას (დიდი პაპის ზედმეტ სახელს), ყარამანს და ამირანს. ეს უკანასკნელნი მოსახელეებს, მართალია, არ ჰგავდნენ, მაგრამ ოჯახს სანაქებოდ უვლიდნენ.

ვაჟა ფშაველა კონტრასტის ხერხით თვალსაჩინოს ხდის წინაპრებსა და შთამომავალთ შორის არსებულ განსხვავებას. წინაპარი მუცელა ისეთი „წერწეტი და წვრილი იყო, რომ ნემსის ყუნწში გაძვრებოდა", ხოლო შთამომავალი „კოლოტსა ჰგავდა; სწო-

რედ გაბერილი რუმბი ეგონებოდა კაცს". ახალგაზრდა მუცელას ფიქრიც თავისი გარეგნობის შესაფერისი აქვს. როცა მშობლები დიდი პაპის მხნეობის, სიმამაცისა და ქველობის ამბებს უამბობდნენ, მუცელას მონათხრობი თავისებურად ესმოდა: „ალბათ გამოჩენილი მსმელ-მჭამელიც იქნებოდაო". ახალგაზრდა მუცელა იმით არის გამორჩეული, რომ მუდამ ქეიფობს, დაუსრულებლად გაჰკივის „მრავალჟამიერს", ვაჟა ფშაველა აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ მუცელაანთ ეზოში მისულ უქონელთ სმა-ჭამის დიდი მოტრფიალე ლანძღვა-გინებით და კეტის ცემით რეკავდა კარმიდამოდან.

ვაჟა მუცელას დროისა და ვითარების პროდუქტად თვლიდა. სმა-ჭამეთელებს სხვა ყველა საგმირო საქმე გამოლეული ჰქონდათ და ვინც ამ საქმეში ისახელებდა თავს, სახელი და დიდებაც იმას რჩებოდა „ოღონდ გესმია რამე და გეჭმია, თუნდა თავპირი გემტვრია, ხმას არ ამოიღებდა. ბუღასავით სქელს კისერს მოიტრიალებდა ქეიფის დროს და კედელივით გაშეშებულს შუბლზე ხელსახოცით ოფლს იწმენდდა, ფშვინავდა მუცელა და გმინავდა. „უდებს მუცელა ურემს, დაუდვა, დაუდვა! ოი, შენ კი გეთაყვანე ღმერთში! ვერ დაცლის ჯიხვს მუცელა, მე შენ გითხრა"! – გაიძახოდა მერიქიფე".

ვაჟას კარგად მოეხსენება თევზი თავიდან რომ ყროლდება და ქვეყნის ზნეობის დაცემაში ლომის წვლილი ხელმწიფეს რომ მიუძღვის. მწერალი ქმნის ერთი ტიპის მეფის სახეს, რომელსაც ტიპობრიობასთან ერთად ზედროულობაც შეიძლება მივაწეროთ. მეფის ხასიათის თვალნათლივ გასამჟღავნებლად ვაჟა მუცელას ხელმწიფესთან აახლოვებს. ქვეყნის ბედის გამგებელი ისე მოიხიბლება მუცელას სმის შესაძლებლობით, რომ ას სოფელს და ორასი ათასი დღის ტყესა და მიწას საშვილიშვილოდ აჩუქებს და კიდევ: პირველი ვეზირის ხარისხსა და სასახლეში დაუკითხავად სიარულის უფლებას უბოძებს.

მწერლის მიერ წარმოდგენილი დაუფიქრებელი გულუხვობა და ემოციას აყოლილობა ძალიან ზუსტად ახასიათებს ხელმწიფეს.

ვაჟა ფშაველას არც ბრბოს ფსიქოლოგიის წარმოჩენა ავიწყდება. მეფის გულუხვობით აღფრთოვანებული ადამიანები ხელში ატაცებულს ატარებენ მუცელას, მის სახელს სკანდირებენ და სხვებისაგანაც მოითხოვენ მუცელას დიდების აღიარებას.

თავად მუცელა ფარისევლის ღირსებით ერთი ოქროთი ასაჩუქრებს მათხოვარს და ამით კიდევ უფრო აგიჟებს ბრბოს: „ყველანი მზად იყვნენ ანთებულიყვნენ სანთლად და დამწვარიყვნენ მუცელას თვალწინ“ – გვეუბნება მწერალი.

მუცელასადმი მეფის მოწყალე თვალით ცქერამ და მისთვის მსახურების მიჩენამ დააზარალა მოქეიფე, კუჭი აუჯანყდა მუცელას, რადგან ძველებურად ველარ ჭამდა. მეფემ არ შეიწყნარა მუცელას თხოვნა, წაერთვა მინიჭებული პატივი. გაღარიბებული ხალხი კი დააფიქრა თავის მდგომარეობაზე... ამ დროს გამოჩნდა ჭილობში და ძონძ-კონკებში გამოხვეული კაცი, პართენი, თავად მოწყალების მთხოვნელი და სხვების დამპურებელი. ეს პერსონაჟი გვაგონებს ხალხური ლეგენდარული ზღაპრის მათხოვარს, რომელიც, ფაქტობრივად, სასწაულთმოქმედი წმინდანია და ადამიანთა სიკეთეში გამოცდას ისახავს მიზნად. პართენი ზომიერად ცხოვრებას ურჩევდა ხალხს, მეფის გასაგონად კი სტვირზე დაამღერა:

„მეფევ, შენ გბაძავს ქვეყანა,
ყველა: დიდი და მცირეა,
ვაზის ნაყოფი რომ გიყვარს,
რად მოსრე მისი ძირია!
მუცელას მუცელს უსუქებ,
დავრდომილთ მოსჭერ კბილია.
ნაღვლისა შხამით გაგვმსჭვალე,
ნუგეში დაგვიძვირია...
რად დაგვავიწყე ხმლის ქნევა,
სიმხნევე, გულით ლომობა?
მტერი რომ თავზე დაგვესხას,
რით მოვიგეროთ იგია?
სულ დაგვავიწყდა სმაშია
იმის წესი და რიგია.
ხმლები შამფურად გადიქცა,
მშვილდი, ისარი – შეშადა.

გამხდარა შენი სამეფო
ტურების საჭმელ ლეშადა“.

ამ ლექსს და მთლიანად მონაკვეთს ვაჟა ხალხური ზღაპრის „მეფე და სკვინჩა“ (სიბრძნე, II, 1964:173) გავლენით ქმნის. ზღაპრისეული ვეზირების რჩევა ჩიტის მოკვლის შესახებ აქ მუცელას ნათქვამით არის შეცვლილი. ვაჟა ჩიტის ფუნქციას ადამიანს მიაწერს და ამით მეტ სოციალურ ჟღერადობას სძენს ფაქტს. მუცელაც პართენის ჩამოხრჩობას მოითხოვს. მეფე უსმენს თავის მრჩეველს და ქვეყანას მოსალოდნელ დაღუპვას პართენის ჩამოხრჩობით ააცდენს. უგუნური მეფე სასტიკიცაა: პართენი ერთი კვირა ხეზე დაკიდებული უნდა დაეტოვენინათ, რათა ყველა გამვლელ-გამომვლელს ენახა. ხალხური ზღაპრის ფინალის შეცვლა პერსონაჟად ადამიანის გამოყვანამ განაპირობა. მწერალი ხალხის მოსარჩლე პართენს ღარიბებსა და ბეჩავებს დაატირებინებს.

ვაჟა ამით არ ასრულებს მუცელას მხატვრული სახის ხატვას. იგი ქმნის მუცელას მარხულობისა და ზიარების სატირით გაჯერებულ ეპიზოდს, რომლის თანახმად, მუცელამ „სიმსუნაგითა და ავმუცლობით“ ლუკმასთან ერთად კოვზი გადაყლაპა. კოვზი ძლივს ამოაძრეს და გადარჩენილმა მუცელამ საღმრთო გადაიხადა – ერთი საოჯახო სადუღარი ლობიო და ერთიც სარეცხის ქვაბში მოხარშული ფლავი შეჭამა.

ფორმალურმა ზიარებამ ვერ გააბათილა მუცელას ცოდვიანი ცხოვრების სიმძიმე. ერთხელ, კუდიანების ღამეს, სტუმარმრავლობისას, იძრა დედამიწა, იჭექა ცამ და მუცელას სახლში შეიჭრნენ „ბალნიანი, უზარმაზარი ტანის სულიერები – დევები; საზარელი შეხედულება ჰქონდათ: ზოგს რქები ჰქონდა შუბლზე, მეორეს ვირის ყურები; მესამეს ბრჭყალებად ნესტრები ჰქონდა, მეოთხეს კბილებად – ხმლები და მეხუთეს – ჩანგლები და სხვ. და სხვ“.

ვაჟას წარმოსახულ დევებს ხალხური ზღაპარი არ იცნობს, არც მწერლის მიერ მათთვის მინიჭებული ფუნქციის შესახებ გვსმენია. ვაჟა ფშაველამ გადაწყვიტა, რომ რაკი რეალურ სამყა-

როში ხელშეწყობილ და ცხოვრებით განებივრებულ მუცელას არ გამოუჩნდა შემჩერებელი და მისი ქცევის აღმკვეთი, ირეალური სამყაროს ბინადრებმა უნდა მოსთხოვონ საზღაური. და მართლაც, დევებმა მსუქანი მუცელა ისე გაიტაცეს, როგორც ბუმბული ქარმა. მათ ტყვე „არც ბედაურზე შეუსვამთ, არც კატაზე, ისე ფეხდაფეხ მიარბენიებდენ: ერთი წინ მიუძღოდა, ორს იქით და აქეთ ყურები ეჭირათ (უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ მოზრდილი ყურები ჰქონდა მუცელას), ორი ზურგს უკან უდგა, ისინი „ქიმუნჯებს“ – მჯიღებსა სცემდენ და ისეთი გაძრიალებული, გაბზრიალებული მიჰყავდათ, თითქოს „პარახოტიაო“.

სმა-ჭამეთში დევები თავიანთ გამოჩენას ღვთის ბრძანებას მიაწერენ: „ეს სასჯელი თვით უფალმა გაგიწესა, – ეუბნებიან ისინი მუცელას, – რადგან შენგან ტირიან ცხვარნი და ძროხანი; შენგნით ჰგოდებს პური და მარილი, ლობიო, ბრინჯი, მწვანილ-ბალახეული ათასნაირი; შენგან ცრემლად იღვრება წვენი ვაზისა და თვით მათი ფესოები; შენგან მოთქვამენ ცაში ფრინველნი ცისანი, დაბლა – თევზნი წყლისანი; შეძრწუნებულა და შეწუხებულა ძილი და მცონარეობა...“ (ვაჟა ფშაველა, V, 1964:322).

ვაჟა ფშაველა დევების სახით ღვთის ნების აღმსრულებელი დიდი ფიზიკური ძალის პერსონიფიცირებას ახდენს. მუცელაზე ადრე დევებს თავიანთი სადგურის დიდ დარბაზში, რომელიც უღრან ხევში, ყრუ, უდაბურ ადგილას, ერთი კლდის გამოქვაბულში მდებარეობდა, ესტატე დიაკვანი, „მსუნაგი და გაუმაძღარი მუცლის პატრონი და ტაბლაპარია“ ამოუყვანიათ. თურმე მამა ზაქარიას უთხოვნია უფლისთვის ესტატეს „გაწვრთნა და გასუფთავება ყოვლის მწიკვლისაგან“, უფალს კი დევებისთვის მიუნდვია ეს საქმე.

დევების სამყოფი რეალური გარემოთი გაზავებული ფანტასტიკური სივრცეა. ვაჟა ჩვეულებრივ კაცებრივ ყოფას აღწერს: „დილას ერთი დევი სანადიროდ წასულიყო დილაადრიანად და ერთი უშველებელი ირემი მოიტანა მხარზე გადებული და ერთი წიფლის მორი... დაანთეს ცეცხლი, ირემი გაატყავეს და შეუდგნენ საუზმის მზადებას...“ (იქვე, 326). ეს საქმიანობა დევებისა

ისეთია, როგორიც ჯადოსნურ ზღაპარში გვხვდება: რამდენი ძმა დევიც მოქმედებს, იმდენი ირემი და იმდენივე ჭადრის ხე მოაქვთ საჭმლის მოსამზადებლად. თხრობის მანერა რომ დაუახლოვოს ზღაპრისას, მწერალს მსმენელის დალოცვის ფორმულაც კი შემოაქვს: „გათენდა დილა. ღმერთმა მრავალი დილა გაგითენოსთ სიმთელისა, სიხარულისა და მშვიდობისა". დევებს მოსამსახურე ქალები და კაცები თავისი შესაფერისი ჰყავთ. ესენი არიან ჭინკები და წყლის ალები, რომლებიც მრავალჯერ გვხვდებიან ვაჟას მოთხრობებში. ზღაპრულ-ფანტასტიკურია დევების სუფრაც. იგი ისე ყვავის, როგორც სამოთხე. „რა გინდა სულო და გულო, სუფრაზე რომ არ იყო: ირმისა, ჯიხვისა, ჯეირნის ხორცი; რა შემწვარი ხოხბები, დურაჯები, თევზეული – კალმახი, გელაქნური, ორაგული, ზუთხი, – ეს ალებს მოჰქონდათ ხოლმე მუდამდღე დევებისათვის სადილად... დოქებით მოიტანეს სუფრაზე ღვინო ისეთი, როგორც დედის რძე..."

სუფრის აღწერაში მწერლის ხელს უთუოდ შეამჩნევდა მკითხველი. ზღაპარს, ლიტერატურული შემოქმედებისაგან განსხვავებით, არ უყვარს ასეთი დეტალიზაცია.

მწერალი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მუცელას ტანჯვა უკვე დაწყებულია. დევები მას უკვე აზღვევინებენ ჩადენილი ცოდვებისათვის. ისინი მუცელას იმავე საშუალებით სჯიან, როგორითაც თავად აწამებდა სმა-ჭამეთში კარზე მომდგარ მათხოვრებს: დევები მუდამ დღე ლხინობდნენ, მშიერი მუცელა კი ხეზე მიბმული უყურებს მათ და ნერწყვებს ყლაპავს.

ვაჟა ფშაველას სურს გვითხრას, რომ ყოველმა ცოდვილმა თავად უნდა ზღას. ამიტომ არ გამოჩნდა მუცელას მხსნელი – ვერც ძმებმა და ცოლმა იპოვეს, არც მეფემ მოაკითხა. მუცელა იძულებულია თავს თავად უშველოს და დევებს გამოსასყიდს, ფულს და ბაჯაღლო ოქროს, ჰპირდება, მაგრამ ამაოდ.

მუცელას მხოლოდ გაჭირვებამ გაახსენა, რომ ქრისტიანი იყო, უფალს შენდობა სთხოვა, სანთლის დანთება და საყდრის აგება აღუთქვა, თუმცა შემსმენელი ვერ იპოვა, გარდა ესტატესი. მასავით დასჯილი დიაკვანი ჯურღმულიდან აწვდის ხმას მუ-

ცელას და არიგებს: „ვეევედრნეთ უფალს, ძმაო მუცელავ, ნუ გატყდები, ნუ დაჰკარგავ სასოებას, მოწყალე არს ღმერთი“.

სმა-ჭამეთში, ანუ თავის ბუნებით საცხოვრისში, მუდამ ლხინსა და მუცელზე მზრუნველი კაცი დევების ტყვეობაში, ანუ წარმოსახულ სივრცეში, მაქსიმალურად უნდა დაიტანჯოს, რათა რაიმე შეიმეცნოს, ფიქრობს მწერალი და ხატავს მუცელასთვის ყველაზე უფრო დიდი განსაცდელის სურათს. უჭმელობისაგან სანთელივით ჩამოდნაო, გვაუწყებს მწერალი. მუცელამ ცხოველივით „ყორეებს დაუწყო ლოკა და წნელებს კბილით ღეჭა, ჯონჯლვა, იმ წნელს, რომლითაც ბოძზე იყო მიკრული“. ეს რომ შენიშნეს, დევებმა უარეს ყოფაში ჩააგდეს: წნელის მაგივრად რკინის ბორკილი ჩაუდვეს და რკინისავე ჯაჭვით მიაბეს იმავე მუხის ბოძზე.

ვაჟა ფშაველა ქმნის მუცელას სხეულის ოთხ ნაწილად გაყოფის სასწაულის ესთეტიკაზე დაფუძნებულ ეპიზოდს, რომელიც, ვფიქრობთ, შთაგონებული უნდა იყოს ცხოველთა ზღაპრით „მელია და მისი კუდი“ (ჩიქოვანი, I, 1938:25), ოღონდ მწერალი „გასამართლების“ მოტივს ზღაპრის საპირისპირო ფუნქციას ანიჭებს. თუ ზღაპრის მიხედვით, ძაღლების დევნას სოროში თავშეფარებული მელია თავისი სხეულის ნაწილებს ასამართლებს, არკვევს, ვინ ეხმარებოდა სირბილში და ვინ ხელს უშლიდა, მწერალთან სხეულის ნაწილები ხდებიან ბრალმდებელნი, ცდილობენ ამხილონ თავისი პატრონი, მიუთითონ ცხოვრების არასწორ წესზე. მუცელას გამოეყო სული, მუცელი და ჭკუა. ეს სამი მთავარი შემადგენელი სხეულისა მამხილებელ დიალოგს მართავს პატრონთან. ფინალში ყველა ერთად უტევს ღორმუცელას: „რჩევით ბევრჯერ გირჩიეთ, მაგრამ გესმოდა კი?მუდამ ღვინით გაჟღენთილი, გაბრუებული იყავი, რას გაგაგონებდით, ან რას ჩაგაგონებდით? ზოგჯერ გესმოდა კიდეც, ჰგრძნობდი, მაგრამ ყურს არ გვიგდებდი“. დროდადრო თავის მართლების ცდა მუცელას ვერ შველის, საშინელ მდგომარეობაშია, გულში ირტყამს ბორკილიან ხელებს და ალბათ ღვთის განგებით არ შეიშალა ჭკუაზეო, ამბობს მწერალი.

ამ გამოცდას, რომელიც სხეულის აჯანყებით გამოიხატა, მწერალი მუცელას არსის წარმოსაჩენად აწყობს და მიზანსაც

აღწევს. მუცელას საყვედურობს მუცელიც კი, რომელიც, მუცელას თქმით, ფუფუნებასა და პატივში ჰყავდა. ჭკუისა და სულის საყვედურები მძიმე და კატეგორიულია: „...წამწყმიდე, წამწყმიდე! დამტანჯე, ჯვარს მაცვი, არასოდეს ჩემთვის საზრდო არ მოგიწოდებია. ვმჭლევდები და ლამის, რომ მოვკვდე. მუდამ მშიოდა და დღესაც ვკვდები შიმშილით“ (იქვე, 328).

ვაჟა ფშაველა თვლის, რომ დევების ტყვე მუცელა საკმარისად ვერ შეიგრძნობს ტანჯვის სიმძიმეს, რადგან განვლილ ცხოვრებას მისთვის ფიქრისა და შეგრძნებების უნარი დაუჩლუნგებია. ამიტომ სასჯელი უთუოდ ფიზიკურ პლანში უნდა განხორციელდეს. მწერალი ქმნის სიზმარს: სულთმობრძავიც კი სასმელ-საჭმელზე ფიქრობს მუცელა. ღვინოსა და ინდაურზე უჭირავს თვალი, თან გრძნობს, რომ თუ აჭმევენ, გამოჯანმრთელდება. სიზმრის წესზე, მუცელა ვერ მიახვედრებს ცოლსა და ძმებს, მაჭამეთო და სწორედ ამ დროს განუტევებს სულს. მისი ტანჯული სულის მიმბარებელი, ჩანს, მუცელასავე სურვილით, ტრადიციული მიქელგაბრიელია, მაგრამ ვაჟა ფშაველასთვის მიუღებელია პრობლემის ასეთი იოლი გადაწყვეტა. მწერალი ახალ სვლას გვთავაზობს: „გაიტაცეს მუცელას სული ეშმაკებმა, მაგრამ მუცელა განა სულად ჰგრძნობდა თავის თავს? არა, ისე ჰხედავდა, როგორც სიცოცხლის დროს იყო. თავფეხებიანად. იმ წყეულებმა ისეთს ეკლიან გზაზე გააქანეს ფეხშიშველა კაცი, რომ მთელს ტანზე სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა. მიიყვანეს წყეულებმა ერთს ბნელ ადგილას, ცოტა იქით საზარელი ცეცხლის ალი მოჩანდა და კუპრის საძაგელი სუნი ტრიალებდა. შეხედა მუცელამ და დაინახა წვრილი ხიდი – ის ბეწვის ხიდი იყო... ფრიად შეშინდა მუცელა და ტირილი მორთო“ (იქვე, 330).

ამ ეპიზოდის შექმნისას მწერალი ითვალისწინებს ფშავში გავრცელებულ ცრურწმენებს (მასზე ზოგადად ზემოთ ვისაუბრეთ) და თავისი გმირის ისტორიასაც ამ ცოდნას უფარდებს. მუცელას „ბეწვის ხიდზე“ გავლის დაუძლეველი შიში აქვს, რადგან იცის, რომ ცოდვილი ვერ ახერხებს მასზე გავლას.

ვაჟა ფშაველამ სულზე მონადირე ეშმაკებს მუცელა დამსახურებულად მოატაცებინა, თუმცა ეს ქმედება წინა საფეხური აღმოჩნდება მუცელას ტანჯვისა. „შავეთის“ უფროსი ტარტაროზის განჩინებით, ჯოჯოხეთში მოხვედრა დიდი ფუფუნება იყო მუცელასთვის. სიზმარი კი გრძელდება: „ეშმაკებმა მუცელა უკანვე წამოიყვანეს და ერთს ხრიოკს, უდაბურს მინდორზე დააგდეს“. არც ამით გათავდა მუცელას ტანჯვა. ცხედარს დაესია „ათასნაირი ფრინველი და ცხოველი: სად ყორნები მოყრანტალდენ და დაუწყეს თვალებს ჩიჩქნა; სად სვავების გუნდი მოფრაშფრაშდა და მკერდს უწიწკნიდენ, ფეხებს ტურები უხრავდენ, ხელებს კაჭკაჭნი უკენკდენ...“ და ისევ სიზმრის წესზე გვაუწყებს მწერალი: „ველარ ინძრეოდა ადგილიდან მუცელა, მაგრამ ბრაზი კი მოსდიოდა“.

ამის შემდეგ მწერალი ისევ ახალ თემას იწყებს. დევებს მუცელა ჯანმრთელი და სრულ გონებაზე მყოფი სჭირდებათ, რათა თავისი ნებით გაყიდოს საკუთარი სული და, როგორც წესია, ხელიც მოაწეროს ხელწერილს.

მუცელას შერყვნილი გონება აქაც მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს. დევებს თავისი ძმებისა და ცოლის სულს სთავაზობს, მაგრამ როცა ძალას ატანენ, თავის სულსაც იმეტებს. თითქოს ეს ფიზიკური გადარჩენისთვის ჩაიდინა, გულში კი ფიქრობდა „არა, არაო“.

სულის გაყიდვის შემდეგ ვაჟა ფშაველა მუცელას გაორებულ ფსიქიკაზე მიგვანიშნებს. მწერლისთვის ეს თემა კარგად ნაცნობია პოემიდან „ეთერი“, თუმცა ამ საქციელის მოტივაციაა ძალზე განსხვავებული ისევე, როგორც პერსონაჟები. ვაჟა მუცელას წამიერ სინდისის ქენჯნაზე მიგვანიშნებს, როცა იგი დამბადებელს მადლობას სწირავს თავისუფლების მინიჭებისათვის, თუმცა კარგად ესმის, რომ ორგულსა და სულის გამყიდველს არა აქვს უფლის ხსენების უფლება. ყოველივე ეს კი მკრეხელობად მოჩანს იმ ფონზე, როცა გადატანილ განსაცდელთა მიუხედავად, მუცელასთვის პირველხარისხოვან ამოცანად საჭმლით მუცლის ამოვსება რჩება.

ვაჟა ფშაველას მუცელას მაგალითზე სურს გვითხრას, რომ ადამიანის ფსიქიკის შეცვლა არ არის ადვილი. თავისუფალი კი გახდა მუცელა, მაგრამ ახლა სხვაგვარმა სატანჯველმა მოიცვა: უფრო მგრძნობიარე გახდა, ეშინია ვინაობის გამხელისა, დახმარების მიღება უნდა, მაგრამ ფრთხილობს, არ იცნონ, მარტო თავისი დამპურებელი დედაკაცისა კი არ ეშინია, ქვებსაც კი უფრთხის, სულის გაყიდვისთვის დაცინვასა და სამდურავის მოსმენას გაურბის. მწერალი ისევ გამოსცდის მუცელას და შინისკენ მიმავალ გზაზე სიმინდის ყარაულის ქოხში ჩააძინებს და სიზმარსაც აწვევს: „ქოხს გარშემო მგლის ჯოგი შემოერტყა, ცეცხლის ენებს ატრიალებენ და პირიდან, როგორც სამჭედლოს ქურიდან, ცეცხლს ისროდნენ. მუცელას დაერივნენ, წეწდენ და ჰგლეჯდენ. გაითრიეს ვითომ კიდევაც. საშინელს ტკივილებსა ჰგრძნობდა. შეშინებულმა თვალები გაახილა: მუცელას გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მიიხედ-მოიხედა: ქოხი არსად ჩანდა, თითონ ფლატოში ეგდო“ (იქვე, გვ. 339).

მუცელა სიზმრისეული ხილვებით კი იტანჯება, მაგრამ ეს არ არის მისი შეცვლის გარანტია. მწერალი გვარწმუნებს, რომ იგი ისეთივე უტეხი რჩება, როგორიც იყო. სიზმრიდან გამოსულმა მუცელამ ლამაზთვალება შველს მოჰკრა თვალი და ყოველივე ცუდი უმალ გაუქრა ხსოვნიდან. „ახ, რა სამწვადეა, ეგ ვერანაო!“– თქვა.

ვაჟას კიდევ ერთხელ სურს გახაზოს, რომ მუცელასთვის სული არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ამას თავად პერსონაჟიც გრძნობს: „თითქოს დევებს სული მივყიდე, კარგად რაღადა ვგრძნობ ჩემ თავს, ნეტა გამაგებინაო?!“, ამბობს და იმაზე იწყებს ფიქრს, რას შეჭამს შინ მისული?

მწერალი მუცელას ხატვისას არ არღვევს სახის განვითარების შინაგან კანონზომიერებას და შინ დაბრუნებულ „გმირს“ ბაქი-ბუქის ისეთ კორიანტელს დააყენებინებს, როგორც საყოფიერო ზღაპრის „მძლეთამძლე“ (სიბრძნე, II, 1964:244) ვითომ გმირს ახასიათებს, მოქმედების ადგილზე შიშით გული რომ უსკდება, ხალხის წინაშე კი თავის უძლეველობაზე ტრაბახობს.

ვაჟა ფშაველა იხსენებს ცოდვილთა მიერ ეკლესიების აგების ტრადიციას და მუცელას მიაწერს მადლიერების ნიშნად საყდრის აგების სურვილს. იწყებს კიდეც მშენებლობას, მაგრამ ულვაშენის ქვეყნის მეფის მიერ უძღებარელებისთვის გამოცხადებული ომი უშლის ხელს მშენებლობაში. კომიკური ელფერი დაჰკრავს მუცელას ომისთვის მზადებას: „მოძებნა ძველი, ჟანგისაგან გამოხრული, მამა-პაპის ხმალი, იპოვა დამტვრეული ფარი და შეუდგა ბეჯითად საქმეს. გაწმინდა პირველი, დააკოწიწა მეორე... დაგლეჯილი ჩაჩქანიც იპოვა, სამკლაურებიც მიაწებ-მოაწება ერთმანეთზე და რაინდულად გამოეწყო...“

საგულისხმოა, რომ მუცელა მაინც სმა-ჭამისათვის ისჯება, რადგან მას, ტყუილის გარდა, სხვა მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია. იგი თორმეტ სხვა ღორმუცელასთან ერთად სხვათა მაგალითად ჩამოახრჩვეს „სმა-ჭამის გაღმერთებისათვის“. ულვაშეთის მეფეს სურდა ჩამოხრჩობილთა მნახველებს ერწმუნათ, რომ „არის სხვა ღმერთიც“.

ფინალში ვაჟა მოგვითხრობს, რომ მუცელას საფლავიდან უშველებელი სვავი ამოფრინდა და მთისკენ გასწია. გაუმაძღრობის სიმბოლოს, სვავისგან, გათავისუფლება ადამიანის მოჯადოებისგან გათავისუფლებად უნდა გავიგოთ, ოღონდ რატომ წავიდა იგი მთის, წმინდა ადგილისკენ? ფინალშივე ჩნდება მოტივი 6-7 წლის ბავშვის მიერ ფულის თხოვნისა. ფული მუცელას დაწყებული მშენებლობის დასამთავრებლად გროვდება. „შენ რა საყდრის აშენება შეგიძლია?“ – ეჭვით ეკითხებიან ყმაწვილს. მწერალს სჯერა, რომ საყდარი წმინდა ხელებმა უნდა ააშენოს, რომ სულგაყიდული კაცის დაწყებული საქმე განგრძობას ვერ ჰპოვებს.

მწერლის დამოკიდებულება ასახული პრობლემისა და ნაწარმოების მთავარი გმირისადმი თხზულების დასაწყისშივეა გამჟღავნებული: იყო და აღარ არის. ღმერთმა ნუღარც აჩვენოს ქვეყანას იმისთანა ადამიანი, როგორიც ის იყო.

ვაჟა – ხილულად მთხრობელი

ვაჟა ფშაველა თავის მოთხრობებს ისევე ხშირად აგებდა ზეპირსიტყვიერ მასალაზე, როგორც ეპიკურ თხზულებებს. გრიგოლ კიკნაძემ ვაჟას მხატვრული პროზიდან გამოყო ძირითადი სემანტიკური მოტივები და ამის საფუძველზე განსაზღვრა არა მარტო პოეტის მიერ არჩეული მიმართულებები და პრიორიტეტები, არამედ წერის ორიგინალური მანერაც. მწერალი „კი არ ასკვნის და აფასებს, არამედ ხ ე დ ა ვ ს და ამაშია მისი, როგორც ხელოვანის თავისებურება“ (კიკნაძე, 1989:228). ვაჟას ზოგიერთ მოკლე მოთხრობაში („ხმელი წიფელი“, „მთის წყარო“, „მთანი მაღალნი“, „ფესვები“ „ქუჩი“ და სხვ). ადვილი შესამჩნევია მწერლის ხაზგასმული ლირიკულობა და ფრაზის რიტმულობა. „ვაჟას პროზის ლირიკულობა უფრო სხვაგვარია, ვიდრე „ლირიკული პროზა“, როგორც ეს ჩვენ ჩვეულებრივად გვესმის (იქვე, 227). ამ მოთხრობებს, – წერს ენათმეცნიერი გუჩა კვარაცხელია, – ლირიკული ლექსისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვთ, გარდა ტრადიციული რითმისა, მეტრისა და რიტმისა... ეს პოეზიასა და პროზას შორის შუალედური ფორმაა, რომელიც დაკავშირებულია ახალი პოეზიის შექმნასთან ევროპაში (კვარაცხელია, 2002: 60-61).

მკვლევარი ლეილა სულხანიშვილი „ცრუპენტელა აღმზრდელის“ მაგალითზე წარმოაჩენს ვაჟას ოსტატობას და ამის საფუძველს სრულიად მართებულად ხედავს პოეტის მისწრაფებაში, გამოიყენოს ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნიშნები (სულხანიშვილი, 1964:149).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პროზა პოეზიისაგან განსხვავებული ემოციური დატვირთულობისაა. ლექსი ადვილად

იტანს სიტყვათა თამაშს, რითმისა და რიტმისათვის გაღებულ მსხვერპლს და სხვა თავისებურებებს. ყოველივე ეს პროზისათვის საჭირო არ არის, რადგან მისთვის უმთავრესია აზრი, ფრაზის სიმწყობრე, ტექსტში გამოყენებულ სიტყვათა ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება. „სიტყვაში, როგორც სოციალურ მოვლენაში, – წერს მიხეილ ბახტინი, – სოციალურ მოვლენაში მისი ცხოვრების ყოველ სფეროსა და მომენტში – ბგერითი სახიდან განყენებულ აზრობრივ პლასტებამდე – ფორმა და შინაარსი მთლიანია“ (ბახტინი, 1975:72).

ლიტერატურული პროზა, როგორც ფიქსირებული მხატვრული სიტყვა, სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე ზეპირსიტყვიერი, მოსასმენად გამიზნული პროზა. საზოგადოდ, „ადამიანის მეტყველების წინაშე დგას აზრის შესატყვისი გამოხატულების პოვნისა და მისი გამოყენების, აზრის სინათლისა და სიზუსტის ამოცანა“ (კიკნაძე, 1957:137). შეიძლება გვეფიქრა, რომ ფოლკლორული პროზის მთქმელი საერთოდ ზეპირი მეტყველებისათვის ჩვეული დაბრკოლებების წინაშე უნდა იდგეს, რომლის დროსაც გარკვეულად გაძნელებულია ფრაზათა გამართვა, სიტყვების ერთმანეთთან სწორად შეხამება, მათ შორის ისეთი ურთიერთკავშირის მონახვა, რომ გადმოსაცემი აზრი ჩამოყალიბებული და გასაგები იყოს, მაგრამ, ფაქტობრივად, ასე არ არის. ზეპირი მეტყველების წარმატებას ფოლკლორში, და განსაკუთრებით ზღაპარში, ხელს უწყობს გადმოსაცემი მასალის ტრადიციულობა, მისი ღრმა ცოდნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზღაპრის თუ თქმულების მოყოლას ყოველთვის თან ახლავს მთქმელის ფსიქოლოგიური შემზადების პერიოდი. მან წინასწარ იცის, რა უნდა მოგვითხროს, ვისზე და როგორ. იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ, ჩვეულებრივ, მთქმელი ის პიროვნება ხდება, რომელსაც სიტყვა უჭრის, ეადვილება აზრისთვის გამართული ფორმის მოძებნა.

ზღაპრის თქმის ცოცხალი ტრადიციის თანმხლები მუდამ არის იმპროვიზაცია, თუმცა ეს არ არის აბსოლუტურად თავისუფალი თხზვა. იმპროვიზატორი-მთქმელი, ნიჭიერებისა და ოსტატობის ხარისხის მიუხედავად, მაინც ტრადიციის ჩარჩოებშია

მომწყვდეული. იგი ზეპირი მეტყველებისას თხზავს ტრადიციული სიუჟეტის ფარგლებში, მას შეუძლია ინდივიდუალურად გამართოს ფრაზა ან თუნდაც მთელი აბზაცი, მაგრამ არა აქვს უფლება ერთის მაგივრად მეორეზე ილაპარაკოს.

რაც შეეხება ზღაპრის ენას, მიუხედავად მისი გმირების ფანტასტიკურ სამყაროში ტრიალისა, მათზე თხრობა ისეთი „რეალისტურ-საყოფიერო“ ენით მიმდინარეობს, თითქოს ცოცხალ, ნაცნობ და ახლობელ ადამიანებზე გვიყვებოდნენ. ასეთივეა ამბის გადმოცემის მანერაც, მოთხრობის ტონიც. აქ წამყვანია ყოველდღიურობა, მიწიერება. უშუალოდ მთქმელისაგან მოსმენილი სიტყვა ცოცხალია და თან ახლავს ცოცხალი სიტყვისთვის აუცილებელი კომპონენტები – ტონი, რიტმი, ინტონაცია, სიტყვაში ჩადებული ემოციური მუხტი, ჟესტიკულაცია და სხვ. ზეპირსიტყვიერი პროზის მთქმელ-შემსრულებელს გარკვეული ძალისხმევა უხდება მსმენელის ყურადღების მიპყრობის, შემდეგ კი მისი აყოლიება-დაკავებისათვის. ამიტომ იგი გამუდმებით ზრუნავს გადმოსაცემი ამბის სახეობრიობაზე, ანუ ამბის ისე მოთხრობაზე, რომ შეიძლებოდეს მისი წარმოდგენა.

ხალხური პროზის სტილისათვის უცხოა ერთ საგანზე ყურადღების დიდხანს შეჩერება. როგორც საზღაპრო მოქმედებაა დინამიკური, ისეა სიტყვაც. მთქმელის ძირითადი აქცენტი გადატანილია ზმნაზე, რომლის ზუსტად შერჩევა და მოხერხებულად ხმარება შესაძლებელს ხდის პერსონაჟისა და საგნის მდგომარეობის ზედმიწევნით აღწერას, მოქმედების ხილულობას (ანიკინი, 1966: 41), სიუჟეტის მოძრაობისთვის თვალის გადევნებასა და სხვ.

მონათხრობის ხილულად ქცევის ოსტატობას მეზღაპრეთა შორის ჩაეყარა საფუძველი და მხოლოდ შემდეგ გადავიდა ლიტერატურულ პროზაში, თუმცა ყველა მწერალმა ვერ შეძლო ხატვის ამ მანერის გათავისება. ნათქვამში დასარწმუნებლად ერთმანეთს შევუდაროთ ვაჟას მოთხრობა „ჩვენი სოფელი“ და ქართული ჯადოსნური ზღაპრების ცალკეული მონაკვეთები.

ვნახოთ, რა გზით მიიღწევა მოქმედების ხილულობა ზღაპარში „ლურჯი თევზი“? „ბიჭი შევიდა თუ არა [ოთახში], მაშინვე

შენიშნა მაღლა ჩამოკიდებული ხმალი და მათრახი... ვაჭარმა შუა ადგილას სკამი დადგა, ჩამოიღო ხმალი და მათრახი და იქვე დააწყო. მერე ტახტის ქვეშ შეძვრა და ორი ადამიანის თავი გამოიღო. აიღო ერთი, დადო სკამზე და დაუწყო ალერსი, კოცნა და ტირილიც დაიწყო. ახლა დაავლო ხელი მათრახს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააყარა, სცემა, სცემა და ისევ ტახტის ქვეშ შეაგდო. ახლა მეორე აიღო, იმასაც დააყარა მათრახი და ისიც შეაგდო ტახტის ქვეშ..." (სიბრძნე, I, 1963:326-327).

აქ გადმოცემული მოქმედების წარმოდგენა, დანახვა, ვფიქრობთ, ძნელი არ არის. მთქმელი ნივთების ჩამოთვლითა და მოქმედების ადგილის დაზუსტებით ქმნის გარემოს, შემდეგ კი მოგვითხრობს ამბავს, რომელიც გადმოცემულია მწყობრად – ერთ მოქმედებას ლოგიკურად მოსდევს მეორე, მეორე ამზადებს ნიადაგს მესამის გამოჩენისთვის და ა.შ. სიტყვათა შერჩევისას მთქმელს გათვალისწინებული აქვს პერსონაჟის განწყობილება, ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც იგი არის ჩაყენებული. მხედველობაში გვაქვს აბზაცის მეორე მონაკვეთი და ზმნები: „დაუწყო ალერსი, კოცნა", „ტირილიც დაიწყო". მთქმელი ხმარობს არა ნეიტრალურ გამოთქმებს: მაგ., „აიღო მათრახი", „დაარტყა" და სხვ., არამედ „დაავლო ხელი მათრახს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააყარა, სცემა და [ცოლის თავი] ისევ ტახტის ქვეშ შეაგდო..."

მაგალითები საზღაპრო ეპოსში უამრავია, მაგრამ კიდევ ერთს მოვიტანთ. ცხრა ყაჩაღთან მოჯამაგირედ დამდგარმა ბიჭმა ის იყო კერძები მოამზადა, „ამ დროს ერთი სასაფლაოდან ამოყო ერთმა ხელი და უთხრა: – ცოტა ფლავი მაჭამეო. რომელი ქვაბიც გადმოდგმული ჰქონდა, იქიდან ამოიღო ქაფქირით და ჩაუდო ხელში. ახლა მეორემ ამოყო ხელი და უთხრა: ცოტა ფლავი მაჭამეო. ამოუღო და იმასაც ჩაუდო ხელში. ახლა მესამემ ამოყო და იმანაც ფლავი სთხოვა. აიღო და ცხელი ქაფქირი ჩაარტყა ხელში და უთხრა: – თქვე მამაძაღლებო, აქ სამი ათასი მკვდარი მაინც იქნება და ყველას რომ თითო ქაფქირი ფლავი გაჭამოთ, ჩემი პატრონები რომ მოვლენ, იმათ რაღა ვაჭამოო?" (იქვე, 410-411).

გარდა გადმოცემული ამბის წარმოდგენის შესაძლებლობისა, ვფიქრობთ, ადვილი შესამჩნევია ტექსტის იუმორით შეფერილობაც.

გრ. კიკნაძის დაკვირვებით, „ვაჟას პროზაული ფრაზა არაჩვეულებრივად შ ე კ უ მ შ უ ლ ი ა, რაც მისი პ ო ე ტ უ რ ო ბ ი ს ერთ-ერთი პირობაა. მისი ფრაზის ასეთი ხასიათი სავსებით შეეფერება იმ მასალას, რომელსაც ვაჟა გადმოგვცემს... მწერალი წერს ისე, რომ მის თხზულებას სრულიადაც არ ეტყობა საგანგებო სიტყვებისა და გამოთქმების ძიების კვალი (კიკნაძე, 1989: 233-234).

ვაჟა ფშაველა თავის მოთხრობაში სოფლის სურათის წარმოსახვას საგანთა ჩამოთვლით იწყებს. საგანთა მრავალფეროვნება გარკვეულად აძნელებს მთლიანი სურათის აღქმას, რადგან ვრცელ აბზაცში ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი სხვადასხვა რიგის საგნები და სოფლის მოქალაქენი თავთავისი ნიშნებით. „როდესაც სოფელს გავიხსენებ, – იწყებს თხრობას ვაჟა, – მაშინვე თვალწინ წარმომიდგება ტყე, მინდვრები, მდინარე, მთები, მიწური და ჩალური გაბეჩავებული ქოხები და გაჭიმული გუთანი, ცელი და ნამგალი, მკითხავი და ქადაგი, მღვდელ-დიაკვანი, მნათე და გონების სიჩლუნგე..." (ვაჟა ფშაველა, V, 1964:75).

კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვაჟა დიდ ფერწერულ ტილოზე შორ პლანში აფიქსირებს სტატიკურ საგნებს, რათა შექმნას ფონი. შუა და ახლო პლანის დასახატავად მწერალი ფიგურებს უკვე დინამიკაში წარმოადგენს და, შესაბამისად, უფრო ადვილად აღსაქმელს ხდის. მოვუსმინოთ მწერალს: „ქუდმომრუდებული მჭადაზნაურა, სუდია მამასახლისი, იღლიაში ჯოხამოჩრილი გზირი, რომელიც ჩამოწეწილს ჩოხის კალთებს დაათრევს, წვიმისაგან გალუსკულს ქათამს დაჰფერებია, უგზო-უკვლოდ დაფარფატებს სოფლის უსწორმასწორო ქუჩებზე, ხან აქ დააჩენს ქუდის ნვერს, ხან იქ, ამოადენს ძაღლების ყეფას, დედაკაცებისა და ქათმების წიოკს, ჟივილ-ხივილს" (იქვე).

მივაქციოთ ყურადღება გზირის ხატვის ვაჟასეულ მანერას. პოეტის ირონიული დამოკიდებულება გზირისადმი მარტო პერ-

სონაჟის გარეგნობაში არ ჩანს. მას ვაჟა საგანგებოდ შერჩეული სიტყვებით ხატავს: „ჯოხამოჩრილი“, „ჩამოწეწილს ჩოხის კალთებს დაათრევს... „მწერალი აქ გზირის ნასვამობაზე მხოლოდ მიგვანიშნებს, მომდევნო ზმნებით კი გახაზავს პერსონაჟის ბუნებასა და მოძრაობის ტრაექტორიას. გზირი „წვიმისაგან დალუსკულს ქათამს დ ა ჰ ფ ე რ ე ბ ი ა“ [ნადავლი უშოვია!], უგზოუკლოდ დ ა ფ ა რ ფ ა ტ ე ბ ს “ და სხვ. ასეთი მიზანმიმართული დეტალიზაცია სურათს უფრო ხილულს ხდის, დინამიკური ფინალური მონასმით კი დაგვირგვინებულია აბზაცის როგორც ვიზუალური, ისე აუდიო მთლიანობა: ძაღლების ყ ე ფ ა, დედაკაცებისა და ქათმების წ ი ო კ ი, ჟ ი ვ ი ლ-ხ ი ვ ი ლ ი.

ვაჟას მოთხრობის პირველივე, ადვილად წარმოსადგენი ამბავი ხალხურ თქმულებასთან არის დაკავშირებული. ეს არის გადმოცემა ლობიოს ქოთანზე, რომელსაც, თურმე, ისეთივე ამაგი აქვს ქართველებზე, როგორც ბატებს რომზე. ამ შედარებით ავტორი გვამზადებს გამორჩეული ამბის მოსასმენად.

ვაჟას ხალხური გადმოცემა პირდაპირ კი არ გადააქვს მოთხრობაში, თავისი სიტყვებით მოგვითხრობს ამბავს და პირველი ფრაზიდანვე ცდილობს ისე შეარჩიოს სიტყვები, იმგვარი კავშირი დაამყაროს მათ შორის, რომ გადმოცემული ისტორიის აღქმისა და წარმოდგენა-დანახვის შესაძლებლობა შექმნას.

იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ თხრობის ვაჟასეულ მანერას და დავრწმუნდეთ, რა დიდოსტატურად ახერხებს მწერალი გადმოცემული ამბის ხილულად ქცევას, ეპიზოდს მონაკვეთებად წარმოვადგენთ.

„... ერთს ოჯახში ბუხარია ძალზე გახურებული. ბუხრის ნაპირი დაუმშვენებია უზარმაზარ ლობიოს სადუღარსა. სადუღარში ლობიო თავისებურად, ფილოსოფიურად დინჯად დუღს და გადმოდის...“

ამ აღწერითი ნაწილის შემდეგ აქტიური მოქმედება იწყება. სადილობის დრო რომ დადგა, – მოგვითხრობს ვაჟა, – „შეგროვდნენ ოჯახის წევრნი; გაჩნდა დიასახლისი, ამოზილა ლობიო, მოიმარჯვა ჯამ-ჭურჭელი; გაშალეს სუფრა. ის-ის იყო გადმოდგა

დიასხლისმა სადუღარი, უნდოდა ჯამებზე დაესხა ლობიო. უცბად ხმა გაისმა: „თავს უშველეთ, ლეკები მოდიანო!" თავსზარდაცემული ოჯახობა აიბარგა, ზოგმა ციხეს მიაშურა, სხვა ტყეში გაიქცა. სადუღარი დარჩათ გადმოდგმული..."

ამბის შემდგომი ნაწილი კიდევ უფრო დინამიკურია. ეპიზოდში გათამაშებული სასწაულის საკუთარი თვალით ხილვა განაპირობებს მოულოდნელობის ეფექტს და ამბის დასასრულიც ამ ლოგიკითაა ნაკარნახები.

„...გააფთრებული ლეკები შეცვივდნენ სახლში იმ იმედით, რომ ტყვეები და დავლა ეშოვათ, მაგრამ თავისებური დარბაისელი სადუღარი დახვდათ; ქოთანში ლობიო ისევ ჩუხჩუხებდა, თითქოს ცეცხლი უკეთიაო. ლეკებმა ეს რომ დაინახეს, გაოცდნენ, შეშინდნენ, სთქვეს: „ჩქარა წავიდეთ აქედამ, თორემ ჩვენი საქმე ცუდად არის, სუფრა გაშლილია, საცაა ოჯახის პატრონი მოვა პურის საჭმელად და ტყავებს დაგვაძრობსო: ამ საკვირველის საჭმლის, რომელიც უცეცხლოდ დუღს, მჭამელი სწორედ ცეცხლი იქნება, ერთი რამ საოცარი კაცი; – ჩქარა, აბა ჩქარაო!" ლეკებმა არამც თუ იმ ოჯახს, მთელს სოფელსაც თავი დაანებეს, ხელი არ ახლეს და გაშორდნენ იმ არე-მარეს" (იქვე, 76).

ქოთანში მოთუხთუხე ლობიოს ამბავს, როგორც ვაჟას მოთხრობის ერთ დამოუკიდებელ ეპიზოდს, აქვს კომპოზიციის ყველა ძირითადი ელემენტი (ექსპოზიცია, კვანძი, ამბის განვითარება, კულმინაცია, ბოლო ამბავი). იმის მიხედვით, თუ რაზე მოგვითხრობს მწერალი, თხრობის რიტმი ხან მდორეა, ხან აჩქარებული. მწერალი ერთმანეთს უნაცვლებს აღწერასა და აქტიურ მოქმედებას, განსჯას და ისევ მოქმედებას. ვაჟა ყოველივეს ისე წარმოადგენს, რომ ჩვენს წარმოსახვაში აღიბეჭდება ნათქვამი, ამბის ნაწილებს შორის დაცულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შედეგად კი ყალიბდება მთლიანი სურათი.

მოთხრობაში „ჩვენი სოფელი" გამოჩენილი მეორე ფოლკლორული ტექსტი ამინდის გამგებელს უკავშირდება. მწერალი ტაროსის ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალზე ლაპარაკისას ბიბლიური ადამის შექმნას იხსენებს და ამბავს ისე მოგვითხ-

რობს, რომ დანახვის შესაძლებლობა მოგვცეს: „წამალი გვალვისა, ისევ ბებრუცუნებმა და პატარძლებმა მოიგონეს: – წერს ვაჟა,– შეზილეს ტალახისაგან „ლაზარე", სწორედ ისე, როგორც ღმერთმა პირველი კაცი ადამი, დაასვენეს გაძაგრულ ხონჩაზედ, დაათრევენ საბრალო ლაზარეს კარი-კარ და გაიძახიან:

„ლაზარ მოდგა კარსა,
ლაზარ ბატონო!
ცხრილი აგორებულა,
წვიმა გაჩქარებულა,
აღარ გვინდა გორახი,
ახლა მოგვეც ტალახი,
ლაზარ ბატონო! – ვო".

მწერლის მიერ გადმოცემული ამბის ხილულად ქცევაში არანაკლები მნიშვნელობა ეკისრება ლიტერატურულის გვერდით ხალხური მეტყველების შენარჩუნებას. ხალხურ გამოთქმათა ბუნებრივი ხატოვანება, მათში ჩადებული ენერგია აძლიერებს მკითხველის წარმოსახვას.

მოვუსმინოთ მწერალს: „თუ რომელიმე სოფლის მოხელე, მამასახლისი იქნება თუ სუდია, „საყელოში იწევს", სოფელი უწყრება: „ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდა, შენ გინდა ისევ დაიბრუნო!? ჩემი დაყენებული ხარ, თუ ჭკვიანად არ იქნები, შველა მაქვს, მალე გადაგაყენო. სოფელი დუმაა, ნელ-ნელა მოათალე, შვილოსან, ის გირჩევნიან. შენ სოფელს გინდა გაუმკლავდე? ეჰეე, დიდი ძალა აქვს სოფელსა; თუ მოინდომა, მალე ყირაზე გადაგატარებს!"

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ფშაველა თხზვის დიდოსტატია, იგი საგანგებოდ ზრუნავს ნათქვამის ვიზუალურ მხარეზე. მოკლე მოთხრობაში „მთიელის უბედურება" მწერალი ღარიბი კაცის დასაფლავების შემაძრწუნებელ სურათს ხატავს. გასაგებია, თავად სინამდვილეა გაუსაძლისი და ვაჟაც არ ცდილობს მის შერბილებას, პირიქით, მისი მოხმობილი შედარებები კიდევ უფრო ამძიმებს პერსპექტივას... მწერლის ყურადღების ცენტრში

გარდაცვლილის ოჯახის წევრები არიან მოქცეულნი და დეტალები, რომელზედაც ვაჟა ჩერდება, ნათელს ხდის ტრაგიკულის მიზეზს. სასოწარკვეთას იწვევს ცოლისა და ბავშვების გარეგნობა, მათი სიარული. მწერალი მათი მეშვეობით ქმნის გაუსაძლისი სინამდვილის ხატს. თუმცა ვაჟას ხატვის რეალისტური მანერის თავისებურებაზე წარმოდგენას მცირე ამონარიდი უკეთ შეგვიქმნის: „...საფლავის პირზე აგროვებული მიწა და მესაფლავეები ხელნიჩბიანები... კუბოშიც არ ჩაუსვენებიათ, – არა, ორი ფიცარი არის ერთმანერთზე გაკრული და იმაზედ ასვენია მისი გვამი... უკან შავად ჩაცმული დედაკაცი მისდევს, მისი სახე ღვარისაგან დაღარულს ფერდასა ჰგავს, მისი თითები სანთელივით გაყვითლებულა, მისი თვალები დაბნელებულს მზეს მომაგონებს, – მისი თავი ელვა-მეხისაგან დაჩაგრულს ტიტველს კლდეს ჰგავს, რომელსაც მხოლოდ თმის მაგივრად ბრძამი ყვითელი, წვერებშეკვრეცილი ჯგუფ-ჯგუფად აქა-იქ მიჰკოსებია... მისდევს დედაკაცი კუბოს კოჭლობით, ცალს თეძოს მიიქნევს და იმას მისდევენ კიდევ ბალღები თავგაწეწილები, ფეხშიშველები; ტანზე კონკები, ძონძები აცვიათ და ტირიან“.

ზოგადი შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ მწერალი მხოლოდ მას შემდეგ იწყებს სურათის ან მოქმედების აღწერას, რაც თავად დაინახავს მას.

დამოწმებული ლიტერატურა:

აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.

აბაშიძე კ., ეტიუდები, II, თბ., 1912.

აბაშიძე კ., ვაჟა ფშაველა, გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915, 348.

Аникин В. П., Волшебная сказка «Царевна-лягушка». – Фольклор как искусство слова. М., 1966.

Аникин В. П., Русская народная сказка., М., 1977.

აფშინაშვილი გ., ხალხური ლექსები ფშავში ჩაწერილი, „კვალი", 1893, 21, 22; „კვალი", 1894, 14; „კრებული", 1898, 7, განყ. III, გვ. 46-54; „კრებული", 1900, 1-4.

ბალიაური ნ., სწორფრობა ხევსურეთში. თბ., 1991.

Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957.

ბაქრაძე ა., ფიქრი და განსჯა, თბ., 1972.

Бахтин М.М., Вопросы литературы и эстетики. М., 1975.

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.

Библейская энциклопедия. Труд и издание Архимандрита Никифора. М., 1891.

გაჩეჩილაძე ა., გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის მჭამელი", თბ., 1959.

გაწერელია ა., ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი – ვაჟა ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 1966.

დანელია ს., ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1927.

დობორჯგინიძე ბ., ბუნება და ადამიანი ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში, თბ., 1962.

ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის, თბ., 1977.

ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989.

ეთერიანი, ხალხური სიტყვიერება, IV, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1954.

ესიტაშვილი შ., მითოლოგია, რელიგია და სინამდვილე ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში, თბ., 1985.

Ефименко П. П., Первобытное общество. Очерки по истории палеолитического времени. Л..1938.

ვაჟა ფშაველა., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964.

ვართაგავა იპ., სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი, ჟურნ. „განათლება", 1914, 2.

ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964.

ზანდუკელი მ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1953.
ზანდუკელი მ., სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. – ვაჟა ფშაველასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1966.
თევდორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, II, თბ., 1939.
თოფჩიშვილი რ., ეთნოგრაფიული ეტიუდები, I, თბ., 2005.
თოფჩიშვილი რ., ხევსურული სწორფრობა და ფშაური წაწლობა, – ქართველთა ეთნიკური კულტურის საკითხები, თბ., 2008.
გაზეთი „ივერია", 1902.
კანდელაკი მ., პირადული და საზოგადოებრივი ქართველ მთიელთა ურთიერთობის ტრადიციულ სისტემაში. – ოჩხარი, ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002.
კვარაცხელია გ., ვაჟა ფშაველა ახალი პოეზიის სათავეებთან – ქართველოლოგია IX, თბ., 2002.
კვესელავა მ., ფაუსტური პარადიგმები, II, თბ., 1961.
კიკნაძე გრ., ვაჟა ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ – ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966.
კიკნაძე გრ., ვაჟა ფშაველას შემოქმედება, თბ., 1989.
კიკნაძე ზ., ვაჟას მთა და ბარი. – ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", თბ., 1980.
კიკნაძე ზ., სწორფრობა. – ივერია. ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, თბილისი, პარიზი, 1992.
კიკნაძე ზ., ქართული ხალხური ეპოსი, თბ., 2001.
კავკასიური ხალხური პოეზია, გიორგი კალანდაძის თარგმანი, თბ., 1959.
კალანდარიშვილი გ., ვაჟა-ფშაველას პოეტური ხილვის შესახებ, „მაცნე", VI, 1969.
კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, – მოთხრობები და პიესები, თავი XIV, თბ., 1947.
История Всемирной литературы. VI, М., 1989.
მაკალათია ს., ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (ეთნოგრაფიული მასალები) ტფილისი, 1925.
მაკალათია ს., ფშავი, ტფ., 1934.
მაკალათია ს., ხევსურეთი, ტფ., 1935.
მაკალათია მ., წყლის კულტის გადმონაშთები ლეჩხუმში. – კრ. „ლეჩხუმი", თბ., 1985.
მახარაძე აპ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1974.
მითოლოგია, ქართული მითოლოგია, შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპ. ცანავამ, თბ., 1991.

მინდაძე ნ., ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივი ციკლების ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ცხოვრების ტრადიციული წესი. –„ჩუბინი", 2003,2.

ნათაძე 1950 – ხალხური ლექსები და ზღაპრები, შეკრებილი გიორგი ნათაძის მიერ, თბ., 1950.

ნაკაშიძე ი., ვაჟა-ფშაველას პოეზია (კრიტიკული ცდა), გაზ. „კვალი", 1896, 44.

ნაკაშიძე ი., ვაჟა-ფშაველა, გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915, 248.

ნარდონი ს., (სიმონ ხუნდაძე), ვაჟა ფშაველა, გაზ. „სამშობლო", 1915, 143.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1986.

Ошеров М., Северные сказки. Новосибирск, 1936.

ოჩიაური ალ., სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში (ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1980.

ოჩიაური თ., ხევსურეთის მითოლოგიიდან (ხის ბეჭი) – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1955, 7.

ოჩიაური თ., ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილი მითოლოგიური გადმოცემების შესახებ – ვაჟა ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966.

ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

Пропп В.Я., Русская сказка. Л., 1984.

Пропп В.Я., Исторические корни волшебной сказки. М., 2000.

რამიშვილი დ., ადამიანი და ბუნება ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში, თბ., 1968.

ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909.

რობაქიძე ა., კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბ., 1941.

საისტორიო, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, ქს. სიხარულიძის შედგენილი, თბ., 1961.

სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950.

სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956

ხალხური სიბრძნე, I, მ. ჩიქოვანის შედგ., II, ალ. ღლონტის შედგ., III, ე. ვირსალაძის შედგ., თბ., 1964.

სირაძე რ., წერილები, თბ., 1980.

სიხარულიძე ქს., საისტორიო სიტყვიერება – ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, II, თბ., 1964

სიხარულიძე ქს., ვაჟა-ფშაველა. – ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, თბ., 1966.

სიხარულიძე ქეთ., კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006.
სულხანიშვილი ლ., ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობების ზოგიერთი თავისებურება, თბ., 1964.
სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.
ტაბიძე ტ., ვაჟა-ფშაველა – ვაჟა ფშაველას თხზ. თ. I, 1928.
ფშავლიშვილი, ფშაველთა ცხოვრებიდან, „ივერია", 1896, 37.
ფშაური ლექსები, ხალხური სიტყვიერება, III, თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ფშაური ლექსები, რედაქტორი მ. ჩიქოვანი, თბ., 1953.
ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედ. თბ., 1938; II, ხალხური სიტყვიერება, II (ქართული ხალხური ზღაპრები), თბ., 1952; V, თბ., 1956.
ქიქოძე გ., „ვაჟა-ფშაველა" – ვაჟა ფშაველას თხზ. ტ. I, 1928.
ქიქოძე გ., ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს. თბ., 1947.
ქურდოვანიძე თ., ეთერიანი, თბ., 1974.
ქურდოვანიძე თ., ვაჟა ფშაველა და ხალხური პოეტური სიტყვა, თბ., 1991.
Курдованидзе Т. Д., Указатель сюжетов грузинской народной сказки. Систематический указатель по системе Аарне-Томпсона. Тбилиси, 2000.
ქურდოვანიძე თ., ქართული ზღაპარი, თბ., 2002.
ქურდოვანიძე თ., ფოლკლორი და ქართული მწერლობა, თბ., 2004.
ყუბანეიშვილი ს., ვაჟა ფშაველა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში", – ვაჟას კრებული, II, თბ., 1982.
ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შემდეგ. ს. ყუბანეიშვილი, თბ., 1946.
შანიძე აკ., ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931.
შექსპირი იულიამ, ტრაგედიები, II, გ. გაჩეჩილაძის რედაქციით, თბ., 1954.
ჩიქოვანი მ., დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955.
ჩიქოვანი მ., ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956.
ჩიქოვანი მ., ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ფოლკლორული ძირები. – ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1961.
ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975.
ჩლაიძე ლ., კავკასიური ფოლკლორი, თბ., 2006.
ჩხეიძე რ., მურმანის ტრაგედია (ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა), თბ., 1995.
ჩხენკელი თ., ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971.
ჩხენკელი თ., მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989.

ცანავა რ., მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები, თბ., 2005.

ცოცანიძე გ., სწორფრობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზნე-ჩვეულებათა სისტემაში. – ოჩხარი. ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002.

ძიძიგური შ., ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა. თბ., 1971.

Дзидзигури Ш., Грузинские варианты нартского эпоса. Тбилиси, 1971.

ჭინჭარაული ალ. ხალხური, – ვაჟა ფშაველას ხუთი პოემა, თბ., 1975.

ჭრელაშვილი ლ., ვაჟა-ფშაველას პოემა „სისხლის ძიების" შემოქმედებითი ისტორია. – ტექსტოლოგიის საკითხები, IV, თბ., 1974.

ქართული ხალხური პოეზია, ტ. I – XII, თბ. 1972-1984.

ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია", თბ., 1913

ხიზანიშვილი დ., ფშაველი და ფშაველები (ეთნოგრაფიული მიმოხილვა), „ივერია", 1889, 138-140, 177-179, 183, 211, 215; „ივერია" 1890, 79-82.

ჯანაშვილი მ., საინგილო, ძველი საქართველო, II, 1913.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 5

თავი I

ვაჟას შემოქმედების დრო და ფშაურ-ხევსურული ცხოვრების წესი 11

თავი II

ვაჟა ფშაველა ხალხური სიტყვიერების სპეციფიკასა და მის ინდივიდუალურ შემოქმედებასთან მიმართებაზე 30

თავი III

უნივერსალური მითური თემების ინტერპრეტაცია 57

თავი IV

დემითოლოგიზაცია, როგორც რეალობა 105

თავი V

ზნეობრივი გმირის ძიება 124

თავი VI

მამულის მარადიული გრძნობა 188

თავი VII

ოპოზიცია: ადამიანი – ბუნება 209

თავი VIII

ახალი დრო: პიროვნება და ტრადიციული საზოგადოება 220

თავი IX

სიყვარულის სახელით ცოდვით დაცემის თემა 241

თავი X

ლიტერატურული ზღაპრები 262

თავი XI

სოციალური ალეგორია თხრობაში 280

თავი XII

ვაჟა – ხილულად მთხრობელი 305

გამომცემლობის რედაქტორი მაია ეჯიბია
გარეკანი თინათინ ჩირინაშვილი
დაკაბადონება ეკატერინე თეთრაშვილი